# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№32 (597) ◆ 7 – 13 აგვისტო. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ვის რაში სჭირდება ბათიაშვილის მოკვლა?“

გვ.7



ოპოზიციის კომფორტს ქვეყნის ინტერესს ვერ შევწირავთ

## „არიან მოწმეები, რომლებიც იტყვიან, როგორ ებრძოდნენ იარაღით ხელში რურუა და თარგამაძე გამსახურდიას“

გვ.7



„თანასწორობის ინსტიტუტთან ურთიერთობა უმრავლესობის წევრებსაც აქვთ“

...თუ სააკაშვილს არ შეუძლია იყოს ნელსონ მანდელა, ვაცლავ ჰაველი და მაჰათმა განდი, სხვებს მაინც მიჰბაძოს, მაგალითად, კენედის, რუზველტსა და რეიგანს...

...გვარამიას, ბოკერიას, ნადირაძისა და რურუას გამონათქვამები საოცრად ჰგავს ბერიასას.

**„ვინც ვარგოდა, ხელისუფლებიდან მიდის“**

## ფარული საფრთხე კოდორის ხეობისთვის

ხეობის ქვემო ნაწილში სეპარატისტებისა და რუსი ცისფერჩაფხუტიანების გადაჯგუფება ხდება.

გვ.9



პრიორიტეტების ძიებაში გვ.14

## ზომიერების დეფიციტი ქართულ პოლიტიკაში



...საკმარისია სააკაშვილმა თქვას, რა კარგი, რა მზიანი დილა გათენდაო, რომ წინასწარ ვიცით, რას იტყვის იმავე დილას ნათელაშვილი — ასეთი უმური, ასეთი პირქუში დილა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო...

...პოლიტიკურ ასპარეზზე შუალედური, ზომიერი, ობიექტური ძალა, პრაქტიკულად, არ ჩანს...

...ანირებული სიტუაცია, რომელიც ხელისუფლებას ნებისყოფის სიმტკიცე ჰგონია, საშუალებას არ აძლევს, თვითკრიტიკულად შეაფასოს თავისი საქმიანობა...



## „ზღვა, რომელიც შორია“

გვ.15

სპექტაკლის ნახვის შემდეგ აფხაზებმა მისი ვიდეოფირზე ჩაწერა და თან წაღება ისურვეს.

## საქართველოს კიდევ ერთხელ სილა გააწნეს...



რა უნიკალური ნამუშევრები დავკარგეთ ბოლო დროის განმავლობაში გვ.6,13

## საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

ბოლო პერიოდის ყველაზე სკანდალური მოვლენა საქართველოში გვ.36

## „გაგვიმართლა, თორემ შედეგი აშკარად ტრაგიკული იქნებოდა“



კონდიციონერს ცეცხლი ბასრი საგნებით შეიარაღებულმა ბერძენმა მესაზღვრეებმა გაუჩინეს(?!)

საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე წერეთელი გერმანიაში ახალშეძენილი ავტობუსით შინ ბრუნდებოდა, პორტთან მოსული დაგვიკავშირდა...

ამასობაში საბერძნეთში ჩვენს საელჩოსაც მოუძებნია სხვა ავტობუსი... გვ.6

სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს ტელევიზიით მოუსმენიათ ჩვენი ამბავი და თურქეთში გვიმასპინძლეს... მადლობა ყველას, ვინც უმძიმეს წუთებში გვერდით დაგვიდგა.

## „თეთრი მონები“ საქართველოშიც გამოჩნდნენ

„ქართველ ქალებს ჯარისკაცების მომსახურებას აიძულებენ“

უცხოეთში დაკარგულ ადამიანთა ბედი არავის აინტერესებს.

## ოცნება ავიხდინე — „ქართული“ ვიცეკვე

გული ჯაგაევა — ამერიკიდან „მისის ელეგანტურობის“ და „მოსიყვარულე მეუღლის“ ტიტულით დაბრუნდა. გვ.37




**„საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ“ აჭარაში სტუდენტები დაასაქმა** გვ.11 R

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

## ოპოზიცია არჩევნებისთვის იბრძოლებს

სახელისუფლებო კულუარებში უკვე ხუმრობენ ოპოზიციის გადაწყვეტილებაზე ბოიკოტის შეწყვეტის თაობაზე. მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილმა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, ოპოზიციური პარტიების ლიდერები საგონებელში ჩაცვივდნენ — რა სჯობია, ბოიკოტი თუ არჩევნებში გამარჯვებისთვის ბრძოლაო.

ზურაბიშვილის ნაბიჯი ოპოზიციისთვის „განხეთქილების ვაშლად" იქცა. როგორც ამბობენ, ზურაბიშვილის და, ამავე დროს, ხელისუფლების ოპონენტებმაც ვერ დაუშვეს, რომ ოპოზიციისთვის განკუთვნილი ყველა ხმა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიშზე დარიცხულიყო. ამიტომაც „ახალი მემარჯვენეების" ოფისში ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ „მრეწველები", „კონსერვატორები" და „რესპუბლიკელები" არჩევნებისთვის სამზადისს შეუდგებიან.

ამ პარტიათა ლიდერების განცხადებით, ბოიკოტს მაშინ ექნებოდა გამართლება, ყველას ერთი აზრი რომ ჰქონოდა. ასე რომ, „ახლები", „ლეიბორისტები", „თავისუფლება" და „სახალხო ფრონტიც" შეწყვეტენ წინააღმდეგობას და კუთვნილი მანდატებისთვის იბრძოლებენ.

შალვა ნათელაშვილი არ გამორიცხავს, რომ იმ პარტიებმა, რომლებიც უკვე შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს, ბოლო წუთებში შეცვალონ გადაწყვეტილება და ისევ ბოიკოტს მიმართონ. იმ პარტიებს კი, რომლებმაც ბოიკოტზე უარი თქვეს, ახლა ის უფრო აწუხებთ, როგორ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, — ერთად, ბლოკებისა და სხვა სახის გაერთიანების სახით თუ ცალ-ცალკე, როგორც მათი კოლეგა სალომე ზურაბიშვილი აპირებს.

## ახალი შანსი



პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანას ახალი „შანსის" შესახებ ამცნო. მისი თქმით, ქვეყანაში ცხოვრობს უამრავი ჯან-ღონით სავსე ადამიანი, რომელთაც ახალი დღის გათენება არ უხარიათ, რადგან სამსახური არ აქვთ.

გაუხარელ 50 ათას კაცს პრეზიდენტი გახარების შანსს აძლევს და აცხადებს, რომ უმუშევართა არმია პროფესიულად უნდა გადამზადდეს, რათა ხალხმა სამსახურის შოვნა შეძლოს. ამასთან, სამთვიანი გადამზადების პროცესში თითოეულ „სტუდენტს" 150 ლარის ოდენობით სტიპენდია უნდა დაენიშნოს.

პრეზიდენტის ინიციატივის განსახორციელებლად სამზადისს უკვე შეუდგა სოციალური დახმარების და დასაქმების სააგენტო. განაცხადებების მიღება პირველიდან, დასაქმების პროგრამა კი 18 სექტემბრიდან დაიწყება.

## პრეზიდენტი ჯარში მიდის

წლევანდელ შვებულებას საქართველოს პრეზიდენტი რიგითი რეზერვისტის ამპლუაში, რეზერვისტთა ბატალიონში გაატარებს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი არველაძის განმარტებით, დაახლოებით ათი დღის განმავლობაში სააკაშვილი გაივლის რეზერვისტთა მომზადების სრულ კურსს. „ამით პრეზიდენტი გამოხატავს ყველა იმ პატრიოტის მხარდაჭერასა და თანადგომას, ვინც რეზერვისტთა რიგებში მსახურობს", — განაცხადა არველაძემ.

პრეზიდენტი უკვე გაემგზავრა ოსიაურის რეზერვისტთა ბატალიონში ახალწვეულებთან ერთად.

## კოდორი „თბილისის რაიონი" გახდა?



ბოლო დღეებში კოდორის ხეობაში თბილისის მთავრობის წევრების გახშირებული ვიზიტების შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაასკვნა, რომ კოდორი თბილისის რაიონი გახდა. „ახლა ჩვენი ხეობა ისევეა თბილისისთვის, როგორც საქართველო ამერიკისთვის", — ხუმრობენ კოდორელები.

ხეობის რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიას, რომელიც თბილისის მერმა გიგი უგულავამ შექმნა, დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი ხელმძღვანელობს. მისი განცხადებით, დედაქალაქის სარეზერვო ფონდებიდან მოძიებული თანხით ხეობაში პირველ ეტაპზე ჯანდაცვისა და განათლების ობიექტებისთვის საჭირო ინვენტარს შეიძენენ; თბილისის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ კი აჟარის საავადმყოფოს 40 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტები გადასცა. თბილისის მერის გიგი უგულავას გადაწყვეტილებით, ორ კვირაში საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების ჯიპის ტიპის ორი ავტომობილი ეყოლება.

კოდორის საშუალო და დაწყებითი სკოლის შენობები კაპიტალურად შეკეთდება, ხოლო სოფელ აჟარის საავადმყოფოში წყლის სისტემა დამონტაჟდება. საავადმყოფო წყლის გარეშე 4 წლის წინ, წყალდიდობის შედეგად საქარე ნაგებობების დანგრევის შემდეგ დარჩა.

უახლოეს ხანში კოდორში სპორტული დარბაზის აღდგენა და ორი საფეხბურთო ხელოვნურსაფარიანი მოედნის გაკეთებაც იგეგმება. დედაქალაქის მთავრობის წევრებისგან დაკომპლექტებული კომისია ხეობის ბიბლიოთეკას პირადი ფონდის ახალი ლიტერატურითაც დაეხმარება.

## „რატომ სთხოვენ გლეხებს ტრაქტორებში 36.000 ლარს"



მოძრაობა „საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის ეკონომიკურ პროგრამას მიესალმება, მაგრამ მისი განხორციელებისა ნაკლებად სჯერა. ზურაბიშვილი პრეზიდენტის ძველ დაპირებებს იხსენებს, რომლებიც მისი თქმით, დღემდე არ შესრულებულა და მხოლოდ პიარპოლიტიკის ნაყოფი იყო.

„რაც უნდა დადებითი იყოს საქართველოს ეკონომიკურ ვითარებაზე საერთაშორისო შეფასებები, აშკარაა, რომ ქვეყანაში რთული ეკონომიკური და სოციალური ფონია. ეს ქვეყნის შიგნით უფრო თვალსაჩინოა. პრეზიდენტის გამოსვლა მნიშვნელოვანი იყო. სააკაშვილი სწორად მსჯელობს — სასამართლო, ინვესტიციები, საწარმოების ამოქმედება და სამუშაო ადგილები დღეს მთავარი პრობლემებია, მაგრამ არ შეიძლება მთავრობამ და პრეზიდენტმა სამი წლის განმავლობაში მხოლოდ განცხადებები აკეთონ და პროგრამები წარმოადგინონ, მათი იმპლემენტაცია კი არ ხდებოდეს", — განაცხადა „საქართველოს გზის" ლიდერმა, რომელიც მთავრობას ურჩევს, მეტი ყურადღება დაუთმოს რეგიონებში მიკროკრედიტების პროგრამის დანერგვას და მოაგვაროს ტრაქტორების პრობლემა, რომელიც მისი თქმით, 21 აპრილს „კახელებს დიდი ზარ-ზეიმით ჩააბარეს". „ახლახან ვიყავი კახეთში. რატომ სთხოვენ გლეხებს ტრაქტორებში 36.000 ლარს? რას აკეთებს სოფლის მეურნეობის მინისტრი, რატომ არ ასრულებს პროგრამას და ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი?" — კითხულობს ზურაბიშვილი.

## საზღვარი კვლავ სადავო რჩება



საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის ბადრი ბიწაძის განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის 184 კილომეტრი ჯერ კიდევ შეუთანხმებელი რჩება. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არ არსებობს სადავო საკითხები სახელმწიფო საზღვრის დადგენის თვალსაზრისით, არის მხოლოდ შეუთანხმებელი საკითხები.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიები მუშაობას უახლოეს მომავალში ბაქოში გააგრძელებენ.

„საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის 65% შეთანხმებულია", — განაცხადეს ორი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების სადელიმიტაციო-სადემარკაციო სახელმწიფო კომისიების თავმჯდომარეებმა გიორგი მანჯგალაძემ და ხალაფ ხალაფოვმა.

შეხვედრის შემდეგ არ დასახელდა კონკრეტული მონაკვეთები, რომლებიც დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიების მე-8 შეხვედრაზე განიხილეს, თუმცა ცნობილია, რომ დავითგარეჯის და „წითელი ხიდის" მონაკვეთები ჯერ კიდევ შესათანხმებელია.

## განსაკუთრებულ ინვესტორს ყველაფრის ყიდვის უფლება მიეცემა

1-ლი აგვისტოდან ძალაში შევიდა კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", რომლის საფუძველზეც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას განახორციელებს.

საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის მერაბ ლომინაძის განცხადებით, კანონს შემოაქვს „განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის" ცნება. ამ სტატუსით ის ინვესტორები ისარგებლებენ, რომლებსაც საქართველოში უკვე აქვთ ან აპირებენ 8 მლნ ლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელებას; ან ის პირები, რომლებიც ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში 2 მლნ ლარის ინვესტიციას ჩადებენ.

კანონის თანახმად, ინვესტორს იმ ობიექტის შესყიდვის შესაძლებლობა ექნება, რომელიც სახელმწიფო საპრივატიზაციო ნუსხაში არ იქნება განთავსებული. მისი მოთხოვნით, ობიექტი შევა საპრივატიზაციო ნუსხაში, გამოცხადდება კონკურსი ან აუქციონი და სხვა დაინტერესებულთა არარსებობის შემთხვევაში ინვესტორს ობიექტი პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა.

ოპოზიცია ახალ კანონს ეჭვის თვალით უყურებს, მაგრამ ჯერ აზრს არ გამოთქვამს.

## ოსმა სეპარატისტებმა თავზე ხელი აიღეს



ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 5 აგვისტოს, დილით, ეუთოს მისიის დამკვირვებლებს, ესტონელ ოფიცერს მაიორ კრისტ ჯან მორას და უნგრელ ოფიცერს მაიორ ლასლო კოვარის შეიარაღებული პირები იარაღით დაემუქრნენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, უცხოელი დამკვირვებლები კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ მონიტორინგს აწარმოებდნენ. მათ ოსურ სოფელ ტბეთთან ახალგათხრილი სანგრები აღმოაჩინეს და ფოტოფირზეც აღბეჭდეს.

ეუთოს წარმომადგენლებს გზა გადაუღობეს ე. წ. „ოპოლჩენცებმა" და სოფელში შესვლის საშუალება არ მისცეს. შეიარაღებულმა ოსებმა დამკვირვებლებს სასწრაფოდ ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს და დაშინების მიზნით ჰაერში რამდენჯერმე გაისროლეს. ინციდენტის გამო დაუყოვნებლივ შეიკრიბა ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა. ეუთოს დამკვირვებლებმა კონფლიქტის ზონაში ახალგათხრილი სანგრების არსებობა დაადასტურეს და შესაბამისი ოქმიც გააფორმეს. მომხდარი რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვსაც აცნობეს, მაგრამ ამ ფაქტს სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის რეაგირება ჯერ არ მოჰყოლია.

## რა უდევთ გულში



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი 7-8 აგვისტოს სოხუმში ჩასვლას გეგმავს. მოსკოვის მერის იური ლუჟკოვისა და მის „ამფსონთაგან" განსხვავებით, რუსეთის საგარეო უწყებიდან ამის შესახებ აცნობეს საქართველოს ხელისუფლებას. თურმე გრიგორი კარასინი თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე სჯასაბაასოდ ჩადის. კარასინი სოხუმში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს, საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანსა და გაეროს მისიის წარმომადგენლებს შეხვდება. კარასინის სოხუმში სტუმრობის შედეგებს, ალბათ, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის თვითალიარებული მთავრობა გაახმაურებს.

## პროფესორები 100-100 ლარით დააჯარიმეს



თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროტესტანტ პროფესორ-მასწავლებლებს 100-100 ლარის გადახდა დააკისრა.

პროფესორ-მასწავლებლების უფლებების დამცველი ადვოკატები განმარტავენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან კოლეგია საქმის განხილვის პერიოდში ტენდენციურობას იჩენდა. ადვოკატები თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

## რას შეცვლის გაერთიანება

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, სულ მალე საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები გაერთიანდებიან. პრეზიდენტის აზრით, ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს გასაუმჯობესებლად უპირველეს ყოვლისა თანამედროვე და ეფექტიანი საგადასახადო დეპარტამენტია საჭირო, ასევე, ფინანსური ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია. მისი თქმით, პირველ წლებში, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, მეწარმესთან ურთიერთობა, ძირითადად, საგადასახადო პოლიციის მეშვეობით ხდებოდა. როგორც კი საგადასახადო ინსპექტორი ბიზნესსუბიექტის შესამოწმებლად შედის, ავტომატურად ხდება სუბიექტის წარმომადგენლის კრიმინალიზაცია, ის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს ინსპექტორთან და საგადასახადო დარღვევით სისხლის სამართლის კოდექსიც ავტომატურად ირღვევა.

„საგადასახადო და საბაჟო სამსახურები უნდა გაერთიანდეს, ხოლო ფინანსური პოლიცია ამ სტრუქტურის მხოლოდ ერთ-ერთი შენაერთი იქნება. რეფორმის გატარება თვეებს მოითხოვს და მას სწორი და მეცნიერული მიდგომა სჭირდება", — განაცხადა სააკაშვილმა.

## კოდორის ხეტყე რუსეთში?!



სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის განცხადებით, კოდორის ხეობაში უკანონოდ არის გაკაფული ტყის დიდი მოცულობა. გავრცელებული ინფორმაციით, ტყის მასივები თვითნებურად ჰქონდათ დანაწილებული ემზარ კვიციანის მომხრეებს, რომლებსაც მოჭრილი ხეები სოფელ ლათაში მდებარე კვიციანის სახერხში გადაჰქონდათ; იქიდან კი სოხუმის გავლით ქართული ხეტყე სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთშიც გადიოდა.

ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

## ვინ ააშენა ატრაქციონი?

შეკვეთილში დისნეილენდის ტიპის პარკისა და ატრაქციონების პრეზიდენტისეულმა პრეზენტაციამ გურიისა და აჭარის რეგიონების მოსახლეობის გაკვირვება გამოიწვია. აქამდე ყველამ იცოდა, რომ შეკვეთილში პარკს და ატრაქციონებს ცნობილი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი აშენებდა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ახალი გასართობი ცენტრი საჩუქრად გადაეცა მოსახლეობისთვის. პარკის პრეზენტაციაზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლის დროს კი „გაირკვა", რომ პარკი, რომლის ბადალი თურმე მსოფლიოში არ ყოფილა, სახელმწიფოს აუშენებია. პრეზიდენტმა ყველა უსასყიდლოდ დაპატიჟა. მართალია, ატრაქციონებით ხალხი კმაყოფილი იყო, მაგრამ მაინც ამბობდნენ, გართობა კარგია, მაგრამ სიმართლეც აუცილებელია; რატომ უნდა დავუკარგოთ ბიზნესმენს დამსახურება? ვაითუ შემოგვწყრეს და მეტი აღარაფერი გაგვიკეთოსო.

## კოდორს ძებნილებისგან ათავისუფლებენ

კოდორის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად კიდევ ორი ძებნილი აიყვანეს. დაკავების ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოსა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს.

დაკავებული ვოვა გუჯეჯიანი მკვლელობისთვის იყო გასამართლებული და ორთაჭალის ციხიდან გაქცევის შემდეგ იძებნებოდა. მეორე დაკავებული იგორ უშხვანი ასევე მკვლელობაშია ეჭვმიტანილი და სოხუმში არსებული ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების წევრად მოიაზრება. სამართალდამცავების თქმით, ორივე მათგანი ემზარ კვიციანის მხარდამჭერია.

# საქართველოს პრეზიდენტს სრული კარტ-ბლანში აქვს



თუ ნოლაიდელი თავისებურად იძუნწებს და მაინცდამაინც ახლა გაახსენდება საბიუჯეტო პრობლემები, პრეზიდენტის განცხადება განცხადებად დარჩება...

თუ პოლიტიკურ მოსაზრებებს სახელმწიფოს ღალატში ავურევთ, ჩვენ სატირალი გვექნება, მტრებს კი – სასაცილო...

როგორც ჩანს, საქართველოს სახელისუფლებო ძალებში მიმართულებები და ფუნქციები გადანაწილდა. ზოგი შეიარაღებულ ამბოხებას იარაღითვე ახშობს, ზოგი ამ დროს ტელეეთერით გამოდის და სახალხო მეხსიერებიდან გამომდინარე, ხალხისა და ქვეყნის მტრებზე ლაპარაკობს — ანუ პოლიტიკური ოპოზიციის ჩახშობას ცდილობს. ამ ყველაფრის ფონზე კი საქართველოს პრეზიდენტი ზოგადეროვნულ პროექტებზე — უმუშევრობის აღმოფხვრაზე, ბიზნესის გათავისუფლებასა და ზოგადად, კარგი ცხოვრების პერსპექტივებზე გვესაუბრება. ტაქტიკურობა და ლოგიკა თავისთავად კარგი რამ არის, მით უმეტეს, თუ სახელმწიფოს მართვასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ისეც არ მოგვივიდეს, რომ ფანტაზიებით გართულებს ქვეყანა და ის ხალხი დაგვავიწყდეს, ვის სამუშაო ადგილებზეც ვზრუნავთ, ან ვისი მტრების განადგურებაზეც ვლაპარაკობთ. ერთი მხრივ, როდესაც სახელმწიფო დემოკრატიის ანაბანას სწავლობს, გარეშე მტრებიც მოგვძალებიან და ვერც ეკონომიკაა მთლად წელგამართული, ძალზე ძნელია, ოპოზიციის კონსტრუქციულ თუ ზოგჯერ არაკონსტრუქციულ ყიჟინს მოთმინებით უსმინო. თან, ამ დროს ხელისუფალი რომ ხარ, იმისაც გეშინია, „შეძახილმა ხე არ გაახმოს" და არჩევნებზე ერთგულმა ამომრჩეველმა სააკაშვილის კირკიტაძესა და სამყურაშვილს დავითაშვილი, გამყრელიძე და ნათელაშვილი არ ამჯობინოს; ცალკე „მოფარიკავე" სალომე ზურაბიშვილზე აღარაფერს ვამბობთ... ამიტომაც ლოგიკურია ცდუნება, რომელიც ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფლებას გაუჩნდა — სახალხო მეხსიერებასა და ხალხის მტრებზე საუბარი ხომ ძალიან ადვილია, მით უმეტეს, ჩვენს დაძაბულ სიტუაციაში, მაგრამ აქ ერთი ძალიან დიდი „მაგრამ" არსებობს — ჯერ ერთი, უცოდველი ადამიანი არ არსებობს (თუნდაც ჩვენს უახლეს ისტორიას გადავხედოთ), და მეორე — სანამ ქვეყანაში თუნდაც ერთ ადამიანს ექნება უფლება, საერთო-სახალხოდ გამოვიდეს და საბოლოოდ დამტკიცებული და დასაბუთებული ბრალდების გარეშე მეორე ადამიანს არათუ ქვეყნის მოღალატის, თუნდაც ნაკლებად მძიმე — ვთქვათ, აქლემის ან ნემსის ქურდის იარლიყი მიაკრას, სამართლიანობასა და დემოკრატიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება. აკი ეტყობა კიდეც ჩვენს სასამართლოს ამის კვალი. ასეთ სიტუაციაში კი ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რომელიც საქართველოს ყოველმა მოქალაქემ, — ქართველმა და არაქართველმა, პოლიტიკოსმა და არაპოლიტიკოსმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას: გვინდა კი ასფალტი და ავტობანები, მომღერალი შადრევნები და განათებული ატრაქციონები ისეთ ქვეყანაში, სადაც სამართალს ჩალის ფასი აქვს?

საყურადღებოა ისიც, რომ კოდორის ეიფორიით გატაცებულებმა კონფლიქტის სხვა კერებიც არ უნდა დავივიწყოთ. „კვირის პალიტრის" გასულ ნომერში ჩვენი ჟურნალისტის მიერ ინკოგნიტოდ მოვლილი ცხინვალის ტერიტორიების შესახებ ვწერდით. გამოქვეყნებულ ფოტოზეც ნათლად ჩანდა, რომ სეპარატისტებში უჩვეულო მზადება და გამოცოცხლებაა. ჟურნალისტების ნათქვამი გასული კვირის ბოლოს უკვე ეუთოს დამკვირვებლებმაც დაადასტურეს. ისე არ მოგვივიდეს, რომ ფანჯარას ვაწვებოდეთ და მტერი კარიდან შემოგვეპაროს...

გასული კვირის მოვლენებსა და სამომავლო პერსპექტივებზე პოლიტოლოგი **სოსო ციცაძე** გვესაუბრება:

**— შეიძლება ითქვას, რომ კოდორელებს „შარი ხეირად აქცია" — პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის წყალობით განცხადებული, მიღწეული კუთხე ყოველმხრივ უნდა ალორძინდეს. ოფიციალურად ისიც განაცხადეს, რომ კოდორის ხეობაში საკმაოდ რთული კლიმატური პირობებია — ორიოდე თვეში მიმოსვლა შეუძლებელი გახდება. მანამდე კი თბილისში იქ გზების შეკეთება უნდა მოასწრონ, შენობებიც და ინფრასტრუქტურაც გამართავენ. ალბათ, ხვდებით, ეს ყველაფერი ცოტა ადრე გადაწყდებოდა... მაინცდამაინც შეიარაღებული ამბოხი იყო საჭირო იმისთვის, რომ ხელისუფლებას კოდორელებისთვის სათანადო ყურადღება მიექცია და [illegible]?**

— მოდი, ასეთი პრინციპით ვიმსჯელოთ — ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. რაც შეეხება დროს — [illegible] სახელმწიფომ [illegible] ჩვენ [illegible] ახლა [illegible] ჯერჯერობით იქ სხვადასხვა სამთავრობო კომისია და დელეგაცია ჩადის და „ვითარებას სწავლობენ"... აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის კოდორში გადაყვანის იდეა ძალიან კარგი და დროულია, მაგრამ ასეთ რეფორმას შესაბამისი ადმინისტრაციული შენობებიც სჭირდება, კავშირგაბმულობითა და სხვა ინფრასტრუქტურებით. თუ იქ მხოლოდ მეავიას და მის ორ თანაშემწეს ჩაიყვანენ და რომელიმე სტუმართმოყვარე სვანის ოჯახში შეასახლებენ, ეს მუშაობისგან ძალიან შორს იქნება; თავადაც მოგეხსენებათ, მთავრობა სამ კაცსა და ერთი დროშის ფრიალს არ ნიშნავს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი ფუნქციები სრული ლეგიტიმაციითა და დანიშნულებით უნდა შეასრულოს — იქნება ეს სასამართლო, სააღმსრულებლო თუ პოლიციური უფლებამოსილებანი... დაუხვევიათ ხელზე ეს კლიმატური პირობები და ზამთარში გზების ჩაკეტვა — მსოფლიოში ბევრად უფრო რთული რეგიონებიც არსებობს, ვიდრე კოდორია. თუ სახელმწიფოში ყველაფერი თავის ადგილზე იქნება და ხელისუფლება მოინდომებს, კოდორთან მუდმივი მიმოსვლა იყოს მთელი ზამთრის განმავლობაში, სპეცტექნიკას (არცთუ ძნელად წარმოსადგენსა და საშოვნს) დილიდან საღამომდე ამუშავებს და გზაც აღარ ჩაიხერგება...

სამწუხაროდ, პესიმიზმისთვის უფრო მეტი მაგალითები გვაქვს, ვიდრე ოპტიმიზმისთვის.

...ავღანეთში ბევრად უფრო რთული ლანდშაფტისა და რელიეფის მქონე სალანგის უღელტეხილი სამ თვეში გაიყვანეს, რადგან საბჭოთა არმიისთვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ხომ კოდორის პატარა ხეობაზე გვაქვს ლაპარაკი და არა ამაზონის ჯუნგლებზე... შეუძლებელი არაფერია, თუ სახელმწიფოში მართლაც სურთ რაიმეს გაკეთება...

პრეზიდენტმა საჯაროდ და სახალხოდ ნოლაიდელს ისიც დაავალა, გამოეკვლია დსთ-დან გასვლის შემთხვევაში, რა პრობლემები შეგვექმნებოდა. როგორც თქვენ არ გაგიკეთებიათ საამისოდ არაფერი, ისე — ნოლაიდელს. ყოველ შემთხვევაში, დიდი ფახიფუხით გაკეთებულ განცხადებას რომ არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია, დამეთანხმებით... ასე რომ, მთავარ პრობლემად მე უფრო ნების გამოხატვა და ბრძანების შესრულება მიმაჩნია. თუ ეს ყველაფერი კოდორში გაკეთდა, ეს სააკაშვილის მიერ გაკეთებული ყველაზე დიდი საქმე იქნება მისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში.

— ბრაიზას მოულოდნელი სტუმრობა საკმაოდ საინტერესო ფაქტია და ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. როგორც ჩანს, ამერიკელები აქედან წასულ ინფორმაციას აღარ ენდობიან და გადაწყვიტეს, თვითონვე გადაემოწმებინათ, რა ხდება საქართველოში. ჩვენს მთავრობას რომ არ ენდობიან, შესაძლოა, გასაგებიც იყოს, მაგრამ თავის საელჩოს რატომ არ ენდობიან, ეს კი ნამდვილად გაუგებარია. აქ ერთი მომენტიც არის — რამაც, ვფიქრობ, ბრაიზას საქართველოში ჩამოსვლა განაპირობა და თან, ასე სასწრაფოდ, — შეერთებულ შტატებში შიშობენ, რომ გამარჯვების ეიფორიით მოცულ საქართველოს მთავრობაში ვინმეს სულმა არ წასძლიოს და ჩახმახს არ გამოჰკრას თითი. ეს უკვე ომის საწინდარი იქნება და რუსეთისგან განსხვავებით, ამერიკას კიდევ ერთი სისხლის ღვრის კერის გაჩენა თავის სტრატეგიულ სამოკავშირეო არეალში, დღეს მაინც, ხელს არ აძლევს. თუ ასე მაინც მოხდა, ვაშინგტონი იძულებული იქნება, საქართველოს სასარგებლოდ ხელი თუ არ გამოიღოს, სიტყვა მაინც თქვას. ეს კი რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების ტოლფასი იქნება. ირანის ბირთვული პროგრამის დოსიეს გამო ვითარება დღითი დღე მწვავდება, ჩრდილოეთ კორეის პრობლემა უფრო და უფრო აქტიურდება, ისრაელსა და ლიბანში რა ხდება, თავადაც ხედავთ, ერაყზე კი აღარაფერს ვიტყვი... ასეთ სიტუაციაში ახალი თავსატეხი, ბუნებრივია, არავის უნდა. თუ ვაშინგტონი გვეტყვის, თქვენი ამბიციებისა და „ცხელი თავების" ბრალია, რაც მოგივიდათ და აღარ დაგეხმარებითო, იმის ტოლფასი იქნება, რომ ამერიკამ საქართველოსთან თანამშრომლობასა და კავკასიაში თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე უარი თქვას. ამიტომაც თეთრი სახლის ადმინისტრაცია ყველანაირად ფრთხილობს და ცდილობს, საქართველოში მშვიდობა შენარჩუნდეს... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაშინგტონში, ხატოვნად რომ ვთქვათ, არცთუ სასიამოვნო წუთებს განიცდიდნენ, როდესაც უკრაინის პრემიერ-მინისტრი რუსეთის კადრი — იანუკოვიჩი გახდა. ის, რაც დღეს კიევში ხდება, პრაქტიკულად, ამერიკული დიპლომატიის მარცხს ნიშნავს. ყველა „სიკეთესთან" ერთად, კუბაში ფიდელ კასტროა სასიკვდილოდ გადადებული და ესეც ვაშინგტონისთვის უმნიშვნელოვანესი საზრუნავია — კასტროს ჯანმრთელობაზე პირველი შეტყობინების მიღებისთანავე აშშ-ის კონგრესმა კუბაზე დემოკრატიის დამყარებისათვის ოთხმოცი მილიონი დოლარი გამოყო. ასე რომ, საქართველოში მოვლენათა შესაძლო გართულება ამერიკის შეერთებულ შტატებს დღეს ყველაზე ნაკლებად „სჭირდება"...

— ბრაიზას მოულოდნელი სტუმრობა საკმაოდ საინტერესო ფაქტია და ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. როგორც ჩანს, ამერიკელები აქედან წასულ ინფორმაციას აღარ ენდობიან და გადაწყვიტეს, თვითონვე გადაემოწმებინათ, რა ხდება საქართველოში. ჩვენს მთავრობას რომ არ ენდობიან, შესაძლოა, გასაგებიც იყოს, მაგრამ თავის საელჩოს რატომ არ ენდობიან, ეს კი ნამდვილად გაუგებარია. აქ ერთი მომენტიც არის – რამაც, ვფიქრობ, ბრაიზას საქართველოში ჩამოსვლა განაპირობა და თან, ასე სასწრაფოდ, – შეერთებულ შტატებში შიშობენ, რომ გამარჯვების ეიფორიით მოცულ საქართველოს მთავრობაში ვინმეს სულმა არ წასძლიოს და ჩახმახს არ გამოჰკრას თითი.

**— კოდორის მოვლენების ჩაწყნარებიდან უმოკლეს ხანში თბილისს ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსანი, მეთიუ ბრაიზა ეწვია. თეთრ სახლში ამ პიროვნებას რა გავლენაც აქვს, ყველასთვის კარგად არის ცნობილი. მიმომხილველები ბრაიზას საქართველოს „გუბერნატორსაც" უწოდებენ ხოლმე. თუმცა „გუბერნატორი" ამჯერად ისე მოულოდნელად ჩამოვიდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი უცხოეთში იმყოფებოდა და მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა. როგორც გახმაურდა, შეხვედრა მთლიანად კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა...**

**— რამდენად რეალურია კოდორის ხეობაში აფხაზებისგან კონფლიქტის გამწვავების საშიშროება? მით უმეტეს, ვრცელდება ინფორმაცია, კოდორის მისადგომებთან შეიარაღებული აფხაზებისა და კავკასიელი კონფედერატების კონცენტრაციის შესახებ. ამ ყოველივეს თქვენ მიერ ნახსენები რუსეთის ინტერესებიც ერთვის...**

— მოვლენათა ასეთი განვითარება ნაკლებმოსალოდნელია. როგორც ჩანს, საქართველო ამ „ომში" მთლად მარტოც არ არის და შეერთებულმა შტატებმა ორიოდე სიტყვა რუს დიპლომატებთანაც შეგვაწიეს. ამის დასტური გახლავთ ის, რომ რუსი მაღალჩინოსნების შეფასებები უფრო და უფრო ნაკლებაგრესიულია. ბოლო განცხადებით სერგეი ივანოვმა კოდორში ერთობლივი მონიტორინგის ჩატარება მოითხოვა; ქართული მხარის პასუხი სრულიად ლოგიკური და სამართლიანი იყო — კი ბატონო, ჩვენ არ ვართ მონიტორინგის წინააღმდეგი, მაგრამ დავიწყოთ გუდაუთიდანო; გუდაუთაში კი რუსები საერთაშორისო დამკვირვებელთა შესვლას, დღეს მაინც, არაფრის გულისთვის არ დაუშვებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები კოდორში მანამდე დარჩებიან, სანამ ეს კოდორელთა უსაფრთხოებისთვის იქნება საჭირო. რაც შეეხება აფხაზებს — გეოგრაფიული მდებარეობა ხეობისა ისეთია, რომ უპირატესობა შესაძლო ბრძოლაში ყოველთვის ქართულ შენაერთებს ექნებათ. თუმცა ბრძოლასაც აფხაზები ვერ წამოიწყებენ — გახურებული საკურორტო სეზონია და მათ სხვა პრობლემები და საზრუნავი აქვთ. ამიტომაც იყო, ბაღაფშმა საკმაოდ დარდიმანდული, ვითომ აუღელვებელი კომენტარი რომ გააკეთა პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე — კოდორში ნახევარი წელი მაინც მიმოსვლა შეუძლებელია და აფხაზეთის მთავრობის იქ დამკვიდრებას ნაკლებსახიფათოდ მივიჩნევთო. მან ისიც დასძინა, თუ სააკაშვილი კოდორის ხეობას, ანუ აფხაზეთის მიწას მიხედავს და ააყვავებს, გაგვიხარდებაო...

ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს პრეზიდენტს სრული კარტ-ბლანში აქვს, — შეუძლია კოდორში ხელისუფლება განიმტკიცოს და ეს უპირველესად ადგილობრივი მოსახლეობისთვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, მათი გულის მოგებით უნდა მოხდეს...

**— კოდორის მოვლენების წარმატებით განვითარების პარალელურად, ხელისუფლება პოზიციების განმტკიცებას პოლიტიკაშიც ცდილობს. ნაციონალების გამოჩენილი წარმომადგენლები „ხალხის მტრებზე" ლაპარაკობენ. ამ ტიტულს კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პოლიტიკოსებს „სახალხო მეხსიერებიდან" გამომდინარე ანიჭებენ...**

— გამოძიების დოსიეში უშიშროებას რა უდევს, ჩვენ არავინ ჩაგვახედებს და ამიტომ თუნდაც იმავე ბათიაშვილის დანაშაულზე ან უდანაშაულობაზე მსჯელობა ცოტა ძნელია. მეორე მხრივ, ისიც ძალიან ცუდი ფაქტია, როდესაც კაცს სატელეფონო საუბრისთვის იჭერენ და ასეთ მძიმე, ვიტყოდი, უმძიმეს ბრალდებას უყენებენ. სატელეფონო ჩანაწერები ორთვიანი პატიმრობისთვის შეიძლებოდა გამოეყენებინათ, მაგრამ სასამართლოსთვის მაინც ხომ დასჭირდებათ მყარი არგუმენტაცია? — ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. რაც შეეხება პოლიტიკოსების მოღალატეებად შერაცხვას, ჩვენი ხელისუფლება ზოგჯერ ბავშვივით იქცევა, ისე მტკივნეულად აღიქვამს ხოლმე ოპოზიციის კრიტიკას. აბა, ოპოზიციამ რა უნდა გააკეთოს? არის სადმე ქვეყანა, სადაც პოლიტიკური ოპოზიცია მთავრობას აქებს? კრიტიკა სავსებით ბუნებრივია; ისიც ბუნებრივია, რომ ზოგჯერ სამართლიანი და კონსტრუქციული იქნება, ზოგჯერ კი — არა. პოლიტიკა მათემატიკა ხომ არ არის? არც პოლიტიკოსების კამათია მათემატიკოსების დაფასთან დებატები, ზუსტი ფორმულები რომ უწერონ ერთმანეთს და სიტყვები აწონონ... არა მგონია, ამისთვის ღალატის დაბრალება და დაპატიმრება გონივრული საქმე იყოს. ასეთია პოლიტიკა და პოლიტიკაში თამაშის წესები. თუ ვინმეს ეს არ მოსწონს და ბავშვივით მართლა ახალი წესების შემოღება სურს, მისთვისვე იქნება ცუდი, რადგან თუ პოლიტიკურ მოსაზრებებს სახელმწიფოს ღალატში ავურევთ, ჩვენ სატირალი გვექნება, მტრებს კი — სასაცილო...

**— ასეთ ვითარებაში, ქვეყნის დემოკრატიის განვითარებისთვის სასამართლო სისტემას, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გასული კვირის ბოლოს ამირან რობაქიძის საქმის სასამართლო პროცესზე კიდევ ერთხელ შეიქნა ცხადი, რომ სახელმწიფო უწყებები, უწინარესად კი, შსს და პროკურატურა, მართლმსაჯულების მსახურთ, რბილად რომ ვთქვათ, სათანადო პატივს არ სცემენ...**

— დემოკრატიის მშენებლობისა თუ ჩამოყალიბების პროცესში სასამართლო სისტემა ყველაზე რთული სეგმენტია. სასამართლო პრობლემები დღეს ისეთ ქვეყნებსაც კი აქვთ, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და საფრანგეთია. ნუ გვექნება ილუზია, რომ დღეს და ხვალ, ორ დღეში შევძლებთ იმის შექმნას, რასაც სხვები ლამის საუკუნეები ქმნიდნენ. მით უმეტეს, საქართველოში, სადაც სავარძლის შენარჩუნების შიში, ბიძაშვილ-მამიდაშვილობა და მეზობლობა უფრო მეტს წყვეტს, ვიდრე ყველაზე მკაცრი და სამართლიანი კანონი. თუმცა, არც ისე ივარგებს, მავანთ გულზე ხელი დაიკრიფონ და ელოდონ, სამი საუკუნის შემდეგ ნამდვილ სასამართლოს როგორ მივიღებთ...

*დაჩი გრძელიშვილი*

# ლურჯი ეშმაკი



ორიოდ დღის წინ მეტრო „ახმეტელთან“ ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა. მოკითხვის შემდეგ მთხოვა, თუ გაქვს ორი ლარი, გთხოვ, მომეციო. რა თქმა უნდა, მივეცი. ახლა ვნახავ, როგორი ხელი გაქვსო, მითხრა და თანმხლებთან ერთად თბილისის ქუჩებში მრავლად მდგარ ლურჯ სათამაშო აპარატთან მიმიყვანა. ჩემი ორლარიანი სათამაშო აპარატში ჩაუშვა, ახლა ათ ლარს მოვიგებ, აი, ნახავო, — მითხრა და თან ხელი გამეტებით დაარტყა აპარატს. სანამ გონს მოვეგებოდი და მივხვდებოდი, რა ხდებოდა, ვახომ სათამაშო ყუთს ლაზათიანად შეუკურთხა და წიხლიც უთავაზა. რომ წააგო, ამიტომაც გაცოფდა. მე კი ვიცინე, მაგრამ თვითონ სულაც არ ჰქონდა სასაცილოდ საქმე. „არადა ხუთი ლარის მოგება შემეძლო“, — მითხრა დანანებით. დავინტერესდი, საიდან შოულობდა ფულს აპარატებზე სათამაშოდ. „დღეს ორმოცი ლარი მოვიგე — ჯერ ათი, მერე ოცდახუთი და ასე ავედი ორმოცდაორ ლარამდე. არადა ორლარიანით დავიწყე თამაში. აზარტი მაგარი რამეა. ოცი წუთიც არ დამჭირვებია, მოგებული ფული წავაგე“, — სათქმელი არ დაემთავრებინა, რომ ისევ „ძველი დისლოკაციის“ ადგილს დაუბრუნდა.

მოშორებით დავდექი, მაინტერესებდა, რას იზამდა. ამ დროს მეტროდან ხალხის ნაკადი გამოვიდა. ჩვენმა გმირმაც არ დააყოვნა, ერთი ახალგაზრდა გააჩერა და რაღაც უთხრა. უცნობმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ვახოს რაღაც მისცა. ცნობისმოყვარეობას ველარ ვძლიე და მივუახლოვდი. „აი, ძმაო, სამოცი თეთრი მომცა, ცოტას კიდევ ვიშოვი და თავიდან ვცდი ბედს“, — მომახარა უმალ.

ერთობ საინტერესო გამოდგა ფულის შოვნის მეთოდიც. ხალხის მომდევნო ნაკადის მეტროდან ამოსვლისას ახლა ვახოს თანმხლები ნიკა დაფაცურდა. ვილაც უცნობთან მივიდა და უთხრა: ძმაო, კაი ბიჭები ვართ, გასაჭირი გვაქვს და თუ რამ ხურდა გაქვს, იქნებ დაგვეხმაროო. ეს უფრო მათხოვრობას ჰგავდა, ვიდრე ე.წ. „კაიბიჭობას“. გამვლელმა ჯიბეზე სასხვათაშორისოდ გაიკრა ხელი და სვლა არ შეუნელებია, ისე მიაძახა, არაფერი მაქვს, ძმაოო. ერთთან რომ ხელი მოეცარათ, ახლა მეორე გამოიჭირეს და 60 თეთრს კიდევ ოცდაათი მიამატეს. ეს ერთობ უჩვეულო და საინტერესო პროცესი იქამდე გაგრძელდა, სანამ ორ ლარს არ მოუყარეს თავი. მერე გახარებულები გაიქცნენ და კუპიურად ქცეული ხურდა სათამაშო აპარატში დაუნანებლად ჩაუშვეს. რა თქმა უნდა, ისევ წააგეს. იმას აღარ მოვყვები, რაც სათამაშო აპარატს დამართეს. მეტიც, მეც მომხვდა — მისაყვედურეს, კარგი ფეხის არ ყოფილხარო.

ისევ მეტროს ამოსასვლელთან „ჩასაფრდნენ“ — ამჯერად ნანადირევი ლარიბული იყო, ასე, ლარამდე და გადაწყვიტეს, ოცთეთრიან აპარატებზე ეცადათ ბედი.

ამასობაში ორლარიან აპარატებთან მოზარდების რიგი დადგა, თექვსმეტიოდე წლისანი თუ იქნებოდნენ. არადა აპარატზე შავით თეთრზე წერია: „18 წლამდე ბავშვებისთვის თამაში აკრძალულია“. „ვინ უყურებს, რამდენი წლის ხარ, მთავარია, ფული ჩააგდო და მორჩა!“ — მიხსნის ნიკა, რომელიც თავად 17 წლის არის. ისიც გამიმხილა, რომ ხშირად „იგროკები“ ხალხსაც ასუფთავებენ. ეს უფრო შეღამებულზე ხდება. თურმე უმეტესად მობილურს „ახევენ“.

ამ „ზოგადსაკაცობრიო“ ინფორმაციის მიღების შემდეგ ოცთეთრიან აპარატსაც მივადექით. ისე ჩაყლაპა ვახოს სიმწრით ნაშოვნი ხურდა, უკან ერთიც არ „გადმოუფურთხებია“. „ხომ გითხარი, ათლარიანი აპარატები სჯობია-მეთქი“, — გაუბრაზდა ვახო ნიკას. უცებ ბანანისა და სიგარეტების გამყიდველი ქალი წამოდგა, „ლურჯ ეშმაკთან“ (ასე ეძახიან ამ აპარატებს) მივიდა და რამდენიმე ოცთეთრიანი ჩაუშვა. გაკვირვებისაგან პირი დავაღე. „რა გაგიკვირდა, გარე მოვაჭრეებიც თამაშობენ, — მითხრა ვახომ, დაბნეულობა რომ შემატყო, — ეგ მაგათთვის ჩვეულებრივი პონტია, გაყიდიან ბანანს ან სიგარეტს და წავიდა აპარატებში“.

„ლურჯმა ეშმაკმა“ ქალსაც გაუცრუა იმედი. მანაც გულიანად მიაწყევლა და იქაურობას გაშორდა.

ამასობაში ჩემი და ჩემი ნაცნობების წასვლის დროც მოვიდა. სამარშრუტო ტაქსიში ჩავსხედით, პირველი გაჩერება ჩემი იყო და ბიჭებს მგზავრობის საფასური გადავუხადე. ნამდვილად ღირდა ნანახი ამ ფასად.

*ირაკლი მანაგაძე*

# სად გაქრა გოდერძი მახარაშვილი

## ზოგს სიმდიდრე უყვარს, მე — სტუმრები და მეგობრები...

შეუძლებელია, არ გაინტერესებდეთ, რას აკეთებს ლეგენდარული გოდერძი მახარაშვილი. ცნობილი ფილმის ცნობილი მსახიობი თითქმის ცარიელ ბინაში პლასტმასის მუნდშტუკით „იავას“ ეწევა და ნახევარი საუკუნის შავ-თეთრ ტელევიზორებს კუთხიდან კუთხეში დაატარებს.

ბატონ გიორგი კობახიძეს იმდენჯერ დავურეკე და არ მიპასუხა, ვიფიქრე, ალბათ, დასასვენებლად წავიდა-მეთქი. თუმცა რომ მითხრეს, რას ამბობ, გიორგი კობახიძეს დასასვენებელი ფული სად აქვსო, დავადე თავი და მივადექი. მისი ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა. კიდევ კარგი, — ჩართული რომ ჰქონოდა, შეიძლება შეხვედრაზე უარიც ეთქვა, რადგან უცხოს ნახვას ისე ერიდება, როგორც გარეთ გამოსვლას...

მსახიობს სინამდვილეში გოდერძი კი არა, გიორგიც არ ჰქვია, ალაგ-ალაგ მაინც ბატონ გოდერძის ვეძახდი. ამაზე სევდიანად იღიმებოდა და „იავას“ ექაჩებოდა, მე კი თვალი ადამის დროინდელი ტელევიზორებისკენ გამირბოდა...

— თქვენი მზერა დავიჭირე. გაინტერესებთ არა, რატომ მიდგას ორი ტელევიზორი ერთად და თანაც, ოთახის შუაგულში. იმიტომ, რომ ხან ერთი მჭირდება და ხან — მეორე და სახურავის ანტენა ერთიდან მეორეზე გადამაქვს... „რეკორდს“ მაგალითად, ბევრი ნათურა აქვს და ძაბვა რომ დაიწევს, ეკრანი უჯდება, მაშინ ანტენას „ივერიას“ ვუერთებ. „ივერიას“ რომ ხმა ჩაუწყდება, წამოვვარდები და დასაბრახუნებლად გავრბივარ. ზოგჯერ დაუბრახუნებლადაც ალაპარაკდება ხოლმე. ეტყობა, „ეშინია“ ან ჩემი ადგომის ინტერესი აქვს... ეს „ივერია“ ერთმა ჩემმა ცნობილმა კოლეგამ მაჩუქა, იმას კიდევ სხვამ მისცა ცოტა ამაზე უკეთესი, მაგრამ უკვე ოთხი ხელოსანი მოვიყვანე და ვერაფერი გაუგეს. ახლა მეხუთე უნდა მოვიყვანო...

— *შეკეთება რომ ძვირი ღირს?*

— რას ამბობთ, შესაკეთებელი ფული სად მაქვს. ხელოსნები ჩემი ძმაკაცები არიან. ყველგან მყავს ძმაკაცები, აქვე ახლოს ბაზარია და იქ — ყველაზე მეტი. როცა რამეს ვყიდულობ, თან წონაში არ მატყუებენ, თან „ნამდვილს“ მაძლევენ, — ეს ცხოვრების შეღავათია. ისე, ბაზარიც ცხოვრებასავით არასანდო გახდა, — გლეხი იშვიათად მხვდება და გული მტკივა. თუ ძმაკაცისგან არ ვიყიდე რამე, აუცილებლად მომატყუებენ. ერთხელ კილო-ნახევარი ყველის ფული გამიჩნდა და გახარებულმა ვიყიდე... მერე ნაცნობი დავინახე და ავაწონინე, — 400 გრამი არ აკლდა!

— *„იავასაც“ შეღავათით ყიდულობთ?*

— ჰო, 25 თეთრად, ბითუმად. ამ ფასად სიგარეტის მოვაჭრეები ყიდულობენ ხოლმე. მცნობენ — გოდერძი მოვიდაო და რიგს მითმობენ. მრცხვენია — ეტყობა, ერთმანეთს ეუბნებიან ვინცა ვარ, თორემ რა დიდი როლი ახლა მე მაქვს ნათამაშები... ის კი არა, ერთხელ თენგიზ არჩვაძემაც უთხრა ხალხს ჩემზე, — ეს იცით, ვინ არის, გოდერძია მახარაშვილიო. მაშინაც გული მომივიდა, ვიფიქრე, კაცს ამხელა როლები აქვს ნათამაშები და ჩემს პატარა როლს ალადავებს-მეთქი. გვიან მივხვდი, რომ პატარა როლიც შეიძლება უყვარდეს ხალხს.



— *ამ პატარა როლზე დიდხანს მუშაობდით?...*

— სამ თვეს, — კალინინგრადში. სუფთა ავსტრიული ქალაქია, რუსებმა წაართვეს ავსტრიელებს ომის დროს. 1964 წელი იყო. ლექციებიდან მომხსნა ბატონმა რეზო ჩხეიძემ. დიდი მსახიობები თამაშობდნენ ჩემთან. ერთ რეპეტიციაზე ბატონმა სერგომ მითხრა, — აბა ერთი, როცა კვდები, თვალები გაახილე, რა გამოვაო. ეს ჩვეულებრივი ამბავი კი არ არის — ამ დროს თვალები სულ „ცარიელი“



უნდა იყოს. გავახილე და იყვირა ბატონმა სერგომ — Аппарат на Годердзи! — მაგრამ იმ წუთში ვერ მოვიდნენ ოპერატორები. მაინც კარგი კადრია ფილმში. მაშინ ლექციების გაცდენა ადვილი არ იყო, მაგრამ დიდებული რექტორი გვყავდა, ილია თავაძე, გამიშვა. ჩემი მასწავლებელი კი აკაკი ხორავა იყო. საწყალს, ერთადერთი შვილი რომ მოუკვდა, მთელი სიყვარული ჩვენს ჯგუფზე გადმოიტანა, მაგრამ მეუბნებოდნენ, — შენ მაინც განსაკუთრებულად უყვარხარო. ჭრაჭუნა ფეხსაცმელები უყვარდა. მოგყვებოდა გვერდით და ჭრაჭ-ჭრუჭ, ჭრაჭ-ჭრუჭ, ჭრაჭუნობდა ფეხსაცმელი. გიორგიც მაგან დამარქვა.

— *აბა რა გქვიათ?*

— გიჟური.

— *რას ამბობთ?*

— ჰო. ქალებს მოსწონდათ. მგონი, ჩემს სახელს მართლა შევეფერებოდი... იმდენჯერ მიჩხუბია ქუჩაში, მილიციაშიც ბევრჯერ უკრავთ თავი. ინსტიტუტში მომიწყვეს სასამართლო. ბატონმა ილიამ ჯერ მიყურა და მერე მიუბრუნდა ხალხს: — ვენაცვალე ამის ნათლიას, ასე შესაფერისი სახელი რომ დაარქვაო.

— *კი მაგრამ რა გაჩხუბებდათ?*

— რა გგონიათ, რაზე ვჩხუბობდი? — ან ჩვენს გოგონებს ვიცავდი, ან კიდევ, რომ გაიგებდნენ არტისტი ვიყავი და „ზემოდან“ დამიწყებდნენ ყურებას, — ვითომ ამას რისი თავი ექნებაო, მაშინ ვიქნევდი მუშტებს. ერთხელ მილიციელებიც ვცემე, მაგრამ არ ჩამსვეს ციხეში, ქალი იყო მოსამართლე და დამიცვა. მილიციელებს სულ ლაჩრები ეძახა, — არ გრცხვენიათ, შეიარაღებულ ხალხს ერთი კაცი როგორ მოგერიათ, არსენა ხომ არ არისო!

— *ისეთი რა მოხდა, ბატონო გიორგი, რომ ასეთი პოპულარული სხვა ფილმებში აღარ გამოჩნდით?*

— როგორ არ გამოვჩნდი, მაგრამ, ძირითადად, რუსულ ფილმებში ვთამაშობდი. ქართულ ფილმებში კი უმნიშვნელო როლებს მაძლევდნენ. რა ვქნა, ეს გულს მტკენდა. ერთხელ ბატონ რეზოს ამის გამო გამოვექეცი კიდეც „დონ-კიხოტის“ გადაღებიდან. ასე, პირდაპირ ავდექი და წამოვედი ახალციხიდან. მეორე რეჟისორს კი დავუბარე: — უთხარი იმ შენს რეზოს, რომ გიჟურის ლოყებლაჟლაჟა ვაჭრის თამაში არ უნდა-მეთქი. მერე ბიჭებმა მითხრეს, სადღაც უთქვამს ჩემზე ბატონ რეზოს, — ამ კაცს ვერ ვუპატრონე, დამნაშავე ვარო. მაინც ძალიან მიყვარს. რომ შევხვდები, უნდა გადავეხვიო.

— *ახლაც თუ გიწვევენ, ბატონო გიორგი, რუსულ ფილმებში?...*

— არა, რას ამბობთ, 1991 წლიდან აი, ასე, სახლში ვარ...

— *და რით ცხოვრობთ?*

— 33 ლარით. 33 კიდევ ცოლს აქვს. შვილები, როგორც შეუძლიათ, მეხმარებიან... მაგრამ დახმარების მიღება ყოველთვის მიჭირს, თითებს მწვავს. მეორეჯერ ვიქორწინე, ჩემი ცოლისდა, ვიქტორია სირაძე ერთ დროს ცეკას მდივანი იყო. ვილაცებს ეგონათ, ის მეხმარებოდა... მაგრამ არასოდეს არავისთვის არაფერი მითხოვია. ან კი რა თხოვნა მინდოდა, რუსეთში როლზე ზოგჯერ 2-3 ათას მანეთს მაძლევდნენ. ეს დიდი ფული იყო და 40 პროცენტი ქართულ კინოს რჩებოდა... ახლა კი ვილებ ვიქტორიას დახმარებას, ისიც იმიტომ, რომ სიცოცხლისთვის მჭირდება. ისიც რა, — გაყიდის სახლიდან რაიმეს და ჩვენც გვიწილადებს. ჩვენც ვყიდით რალაცებს, ოღონდაც ბევრი აღარაფერი დარჩა. გული იმაზე მწყდება, რომ სტუმრებს ველარ ვმასპინძლობ. ზოგს სიმდიდრე უყვარს, მე — სტუმრები და მეგობრები... ძმაკაცებთან მაინც ვახერხებდი ჩაჯდომას. რა ბევრი ჩვენ გვჭირდებოდა. თუმცა ახლა ველარც ამას ვაკეთებ, რადგან ავად ვარ. ძალიან განიცდიან ბიჭები... რომ მომცა საშუალება, თქვენც გაგიშლიდით პატარა სუფრას და კარგ სადღეგრძელოებსაც გეტყოდით... თუმცა ვინ იცის... 1997 წლიდან მსახიობის ხელფასი მაქვს გაყინული, ეგებ როდესმე ავილო... აი, მაშინ აუცილებლად დაგპატიჟებთ...

P.S. მართლა ვინ იცის... ბოლოს და ბოლოს, ყველამ აილო ეს გაყინული ხელფასი და რალა ბატონი გიორგი ვერ აილებს თავის 2358 ლარს? აუცილებლად მივალ... ჯერ ერთი, კარგ სადღეგრძელოებს მოვისმენ და მეორე — თავის ლექსებს წავაკითხებ და... ერთხელ კიდევ გავიხარებ ხელოვნებით, რომელიც ისევეა გარიყული, როგორც ლეგენდარული გოდერძი მახარაშვილი...

*ეთერ ერაძე*



# „ამ ქვეყანაში სიმართლე არავის სჭირდება“(?!)





„მოსამართლე ისე იქცევა, გეგონება, უცხოპლანეტელია და აქაური კანონები და წესები არ იცის“

**წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარ, როცა პირისპირ სიმართლეს მეუბნებიან და თან დასძენენ, რომ იძულებული არიან სასამართლოში სხვანაირად, უკუღმა ილაპარაკონ**

19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის ისტორია ნორმალურ ქვეყანაში დიდი ხნის გამოძიებული იქნებოდა და დამნაშავეებიც დასჯილი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული ამა თუ იმ პირის ნება-სურვილზე, რაც ქვეყნის დემოკრატიულობის ნიშანი ნამდვილად ვერ არის. რობაქიძის პროცესმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ [illegible] ხელისუფლების გავლენა. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ უარი თქვა გურამ დონაძის და ზურაბ მიქაძის დაკითხვაზე, [illegible] ჟურნალისტების დაკითხვა დაიწყო, რომლებიც იმ საბედისწერო ღამეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან — ბაშალეიშვილისა და ლობჯანიძესთან ერთად მორიგეობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სასამართლოს მათი ვინაობის გაგება არ უნდოდა. სამწუხაროდ, სასამართლო პროცესი ისე მთავრდება, რომ მთავარი კითხვა — ვინ მოიტანა იარაღი შემთხვევის ადგილზე — უპასუხოა(!).

**ალეკო ალადაშვილი** (დაზარალებულის ადვოკატი): „წინა სხდომებზე [illegible] შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა [illegible] სასამართლო [illegible], ასე ის საპატრულო პოლიციის დასაცავად გამოვიდა. [illegible] ჩვენი შუამდგომლობით [illegible] სასამართლოს [illegible] სია [illegible] ვინაობის [illegible] ავტორიტეტი აღარ აქვს“.

სავარაუდოდ, ამირან რობაქიძის პროცესი მალე დასრულდება, რადგან დასაკითხი თითქმის აღარავინ დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ რობაქიძის ხუთივე მეგობარმა ფაქტების გაყალბებაში ზურაბ მიქაძე და გურამ დონაძე დაადანაშაულა, სასამართლომ კატეგორიული უარი თქვა მათ დაკითხვაზე(?!). არადა სწორედ მათი დაკითხვით შეიძლებოდა პასუხი გასცემოდა კითხვას, ვინ მიიტანა იარაღი შემთხვევის ადგილზე.

ალეკო ალადაშვილი: „მოსამართლე აქეთ გვსაყვედურობს, შუამდგომლობა მიქაძის და დონაძის დაკითხვაზე გამოძიებაში რატომ არ დააყენეთო. ათჯერ გავმარტეთ, რომ გამოძიებას უნდობლობა გამოვუცხადეთ საქმის ფაბრიკაციის გამო და სიმართლის გარკვევას სასამართლოში ვცდილობდით, მაგრამ ამ ქვეყანაში სიმართლე არავის სჭირდება. მოსამართლე გვიმტკიცებს, რომ სასამართლო სისხლისსამართლებრივი დევნის აღსაძვრელი ორგანო არ არის, თურმე ასეთი მოთხოვნით პროკურატურას უნდა მივმართოთ. ვინ სთხოვა მოსამართლეს დონაძესა და მიქაძეზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა? ჩვენ მხოლოდ მათ დაკითხვას ვითხოვთ“.

გარდაცვლილი ამირან რობაქიძის მამას სასამართლოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აეჭვებს. მისი აზრით, იარაღი ბაშალეიშვილმა კი არა, სულ სხვა პირმა ისროლა...

**სოსო რობაქიძე:** — ისე საგულდაგულოდ აფარებენ ხელს გურამ დონაძეს, ეჭვი აღარ მასვენებს. ზუსტად ვიცი, იმ ღამეს დონაძეც ნასვამი იყო. ისიც ვიცი, რომ იარაღის მოყვარულია და სულ თან ატარებს. ამ ბოლო დროს ეჭვი მეპარება, ბაშალეიშვილმა ისროლა თუ სხვა ვინმემ? საქმე ის არის, რომ როცა ჩემი შვილი მოკლეს, ამბობდნენ, შავთმიანმა კაცმა ისროლაო, ბაშალეიშვილი კი ქერაა. ბაშალეიშვილი ამ ბოლო დროს სულ დამუნჯდა, ხმას არ იღებს, აღარაფერს ამბობს. ამ დანაშაულში მის მონაწილეობაზე თვით გამომძიებელ ნიქაბაძესაც ეპარება ეჭვი. გამომძიებელმა ბაშალეიშვილს მკვლელობის მეორე დილით დაურეკა, მან კი უსაყვედურა, რატომ მალვიძებო. მკვლელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში ისეთ განცდაშია, რომ დაძინებაზე ლაპარაკიც ზედმეტია... რა მოხდა იმ ღამეს, სრული სურათის აღდგენა არც გამოძიებას უნდა და არც — სასამართლოს. მოსამართლე ისე იქცევა, გეგონება, უცხოპლანეტელია და აქაური კანონები და წესები არ იცის. დარწმუნებული ვარ, იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ბაშალეიშვილთან ერთად იმ ღამეს მორიგეობდნენ, „ვერ იპოვიან“, რადგან სასამართლოსა და გამოძიებას ნაბრძანები აქვთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ეს ხალხი არ გამოაჩინონ.

ბევრი უტყუარი ფაქტი ვიცი, რა მოხდა იმ ღამეს, მაგრამ სიმართლის დამტკიცება ჯერჯერობით გამიჭირდება. იარაღი, რომელიც ჩემს შვილსა და მის მეგობრებს ჩაუწყვეს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოდან მოიტანეს. იმ პერიოდში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციას ზურაბ მიქაძის ნათესავი ოთარ მიქაძე ხელმძღვანელობდა — ავტომატები, ყუმბარები, ნიღბები სწორედ ამ განყოფილებიდან წამოიღეს და იქვე გაისროლეს ის ორი ტყვიაც, რომელთა მასრებიც ვითომ არ იციან, საიდან გაჩნდა.

**— ეს ინფორმაცია საიდან მიიღეთ, რა გარანტია გაქვთ, რომ სიმართლეა?**

— ინფორმაცია ზუსტია. იგი ერთ-ერთმა ყოფილმა ჩინოსანმა მომაწოდა. თავად ამის საჯაროდ თქმას ვერ გაბედავს. პირობა მივეცი, რომ მის ვინაობას არ გავამხელ. საერთოდ, პირად საუბრებში პოლიციელები, ყოფილი ჩინოვნიკები და გამომძიებლები სიმართლეს აღიარებენ. ამბობენ, რაც მოხდა: დონაძე იმ ღამეს იქ იყო, მაგრამ სასამართლოს წინაშე ამის თქმას ვერავინ ბედავს, რადგან იციან, რომ ამ საქმეს გადააყოლებენ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარ, როცა პირისპირ სიმართლეს მეუბნებიან და თან დასძენენ, რომ იძულებული არიან სასამართლოში სხვანაირად, უკუღმა ილაპარაკონ.

ამირან რობაქიძის საქმეზე სასამართლო პროცესის დაწყებამდე ყველა დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოების დასაშოშმინებლად ხელისუფლება ბუდიდან გურამ დონაძეს გადმოაგდებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ამაშიც არის ლოგიკა. მაგალითად, რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი ამბობს, რომ დონაძეს ხელისუფლების ზოგიერთი წევრის შესახებ მაკომპრომეტირებელი მასალა საგულდაგულოდ აქვს გადამალული.

**თინა ხიდაშელი:** „ცხადია, დონაძეს კომპრომატების მთელი არქივი აქვს. დარწმუნებული ვარ, ყველა ვიდეოფირს საგულდაგულოდ ინახავს და თანაც არაერთ ეგზემპლარს. ცხადია, რატომ იცავენ დონაძეს „გმირულად“. საშიში ინფორმაციის მქონე ხალხს, როგორც წესი, ფიზიკურად უსწორდებიან, მაგრამ ეტყობა, არავინ იცის, სად და ვისთან რა აქვს შენახული დონაძეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაცია მედიის ხელში მოხვდება. ეტყობა, დონაძემ თავიდანვე კარგად გათვალა სიტუაცია და თავიც საიმედოდ დაიზღვია“.

# „თეთრი მონები“ საქართველოშიც გამოჩნდნენ

ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე სარფიან ბიზნესად ადამიანებით ვაჭრობა მიიჩნევა. საქართველოს კი ამ ბიზნესში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს როგორც მიმწოდებელსა და სატრანზიტო ქვეყანას. სტატისტიკური მონაცემებით, 2005 წელს მონობას თავი მხოლოდ 12 კაცმა დააღწია. მათ შორის შვიდი ქალი, ოთხი — მამაკაცი და ერთიც ბავშვი იყო. 2006 წლის მონაცემები კიდევ უფრო მწირია, რაც იმას მეტყველებს, რომ სტატისტიკა რეალობასთან ახლოს არ არის.

ტრეფიკინგის პირველი მსხვერპლი საქართველოში 90-იან წლებში გამოჩნდა. პირველი გახმაურებული ისტორია 15 წლის გურჯაანელ ია ქიტოშვილს უკავშირდება, რომელიც 1996 წლის 29 აპრილს გაუჩინარდა და რომელსაც დღემდე უშედეგოდ ეძებენ. პოლიციამ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ იმის გარკვევა შეძლო, რომ გოგონა თბილისში 700 დოლარად გაყიდეს. ერთხანს ის ცემის ქუჩაზე არსებულ ბორდელში ჰყავდათ. მისი კვალი ბათუმში დაიკარგა და სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ ია ქიტოშვილი ცოცხალია.

სამწუხაროდ, ტრეფიკინგის გახმაურებული შემთხვევები არც ქართველი საზოგადოებისა და არც სამართალდამცველების შეშფოთებას აღარ იწვევს. არადა შეშფოთების საფუძველს ბოლო დროს უცხოეთში სამუშაოდ ან სასწავლებლად წასული ქართველების მასობრივად გაუჩინარება ნამდვილად იძლევა. არასამთავრობო ორგანიზაციებს ოჯახის წევრის მოძებნის თხოვნით ყოველთვიურად 3-4 მოქალაქე აკითხავს. ეს კი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ძალზე დიდი მაჩვენებელია.

ტრეფიკინგის ფაქტები განსაკუთრებით ხშირად თურქეთში, საბერძნეთსა და გერმანიაში ფიქსირდება. ბოლო დროს კი ქართველებით ერაყი, ირანი, საუდის არაბეთი და იორდანიაც არის დაინტერესებული. მუსლიმანურ ქვეყნებში ქალის სამუშაო, ძირითადად, ბორდელებშია, მამაკაცებისა კი — პლანტაციებსა და მშენებლობებზე. ქართველმა მამაკაცებმა კარგად იციან, რა უმძიმეს სამუშაოზე მიდიან, მაგრამ ის კი არ ჰგონიათ, რომ ძალზე მცირედს ან საერთოდ არაფერს გადაუხდიან.

**ხათუნა ქითანავა**, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, პროექტის „არა! — ადამიანების ტრეფიკინგს“ კოორდინატორი: „ჩვენს ორგანიზაციას უამრავი მოქალაქე აკითხავს ახლო ნათესავის გაუჩინარების გამო. სამწუხაროდ, ვერ ვეხმარებით. ხშირად სამართალდამცველებიც უძლურნი არიან, რადგან უცხოეთში ადამიანის მოძებნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ბოლო დროს ძალზე გახშირდა მოქალაქეთა ერაყში სამუშაოდ წასვლა. ამას მოჰყვება ტრეფიკინგის ახალ-ახალი ისტორიებიც. დიდი ანაზღაურების იმედით მშენებლობებზე დასაქმებულ ქართველებს ან სულ უფულოდ, ან კაპიკებად ამუშავებენ, ქართველ ქალებს კი ჯარისკაცების მომსახურებას აიძულებენ. ასეთი ფაქტები უკვე არის, მაგრამ არც ერთი საქმე სასამართლომდე არ მისულა“...

ტრეფიკინგი მსოფლიო პრობლემად იქცა. ეს დანაშაულებრივი ბიზნესი უნაკლოდ არის ორგანიზებული და მასში, როგორც წესი, სამართალდამცველები არიან ჩაბმული. საქართველოს ამ საქმეში სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი აქვს.

ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთი დანაშაულებრივი ე. წ. ფირმაა გამოვლენილი და ისიც ვარდების რევოლუციის პირველ თვეებში.

2004 წლის 22 ივნისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სამმართველოში უზბეკი გოგონები — ზუბარა რადუევა და სანდოლატ ხაროვა მივიდნენ. მათი თქმით, ისინი 12 ივნისს მოტყუებით (თითქოს ჩაის საკრეფად) თბილისში ვინმე აშოტამ ჩამოიყვანა. სამსახურის მომლოდინე გოგონები მან თავის ბინაში გამოამწყვდია. ორივე ირწმუნებოდა, რომ იმ კაცს მათი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაგზავნა ჰქონდა განზრახული (აშოტამ და მისმა მეუღლე მარიამმა გოგონებს პასპორტები ჩამოართვეს).

ამ სქემის გაშიფრვის შემდეგ ბრალდებულები დააკავეს, გაასამართლეს კიდეც, მაგრამ ორ თვეში ყველა გაათავისუფლეს(?!). სხვათა შორის, ამ ჯგუფზე ჩვენება მისცა ერთმა მოქალაქემ (რომელიც მათ საქმიანობას კარგად იცნობდა და როგორც მოსამსახურე ხშირად ახლდა დუბაიში გაყიდულ ქალებს), რომელმაც განაცხადა, რომ ქალების საზღვარგარეთ გაყვანასა და მათი პასპორტით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უშიშროების, პროკურატურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები იყვნენ. ქალმა ზოგიერთის გვარიც დაასახელა, მაგრამ გამოძიება ამით „რატომღაც“ არ დაინტერესებულა...

როგორც ჩანს, ეს მარშრუტი ერთადერთი არ არის, ამგვარი ფირმები თურქეთშიც მუშაობენ. მაგალითად, თურქეთში რამდენიმე ხნის წინ აღმოაჩინეს ირანული ორგანიზაცია, რომელიც ტრეფიკინგისთვის გამზადებულ ქალებს სხვადასხვა ქვეყანაში გადასაყვან საბუთებს 7000 დოლარად უმზადებდა. დანაშაულებრივი ქსელის გაშიფვრის შემდეგ ანკარაში სხვებთან ერთად პოლიციის ოცამდე თანამშრომელი დააკავეს.

*ხათუნა ქითანავა:* „საქართველოში სამართალდამცველები არანაირ პრევენციულ ზომას არ მიმართავენ. თუ არის ტრეფიკინგის გახსნის ცალკეული შემთხვევა; ესეც მსხვერპლის დამსახურებაა.

**„ქართველ ქალებს ჯარისკაცების მომსახურებას აიძულებენ“**

საქმე მაშინ იხსნება, თუ ვინმემ თავი დააღწია ჯოჯოხეთს.

ქართველი სამართალდამცველები ამ მაფიოზური ქსელის დასაშლელად არაფერს აკეთებენ, ქსელის წევრები კი საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულნი და მფარველებიც ჰყავთ. ხშირად მსხვერპლსაც არწმუნებენ, რომ მისი გამგზავრების შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს, თორემ სხვებსაც „მოუნდებათო“. ამიტომაც არის, რომ დაკარგულის ახლობლებმა თითქმის არასოდეს იციან, ვინ შესთავაზა მათი ოჯახის წევრს საზღვარგარეთ სამუშაო. ყველას ვაფრთხილებთ, გადაამოწმონ ინფორმაცია — სად მიდიან, ვისთან. რამდენიმე ხნის წინ ერთი მამაკაცი გვესტუმრა — მას მზარეულად უცხოეთში სამუშაოდ ერთ-ერთი ფირმა ეპატიჟებოდა. კიდევ კარგი, ფირმამ მამაკაცს რესტორნის მეპატრონის ვინაობა გაუმხილა. როცა გადავამოწმეთ, ის ინტერპოლის ძებნილი აღმოჩნდა. დაიხვეწა სასწავლებლად გამგზავრების მსურველთა ტრეფიკინგში ჩაბმის მეთოდები. ფირმები ხელშეკრულებას მხოლოდ გამგზავრების წინა წუთებში აცნობენ მოქალაქეებს. ხელშეკრულებები უმეტესად კაბალურია და ხშირად მათი ქართული და ინგლისური ვარიანტები ერთმანეთს არ ემთხვევა“.

როცა ლაპარაკია ტრეფიკინგზე, თითქმის არავინ ახსენებს შიდატრეფიკინგის პრობლემას. წლების წინ დაკარგულ მუჩიაშვილს პოლიციამ სწორედ კოდორში მიაგნო და მისი დამმონებელი ოჯახის უფროსი ტრეფიკინგში დაადანაშაულა კიდეც.

როგორც ირკვევა, სვანეთში და, სხვათა შორის, სამეგრელოშიც, ე.წ. „თეთრი მონები“ დიდი ხანია ჰყავთ. ეს იციან სამართალდამცველებმაც, მაგრამ ხმას არავინ იღებს.

*ხათუნა ქითანავა:* „კოდორში სპეცოპერაციამდე რამდენიმე თვით ადრე გვქონდა ინფორმაცია, რომ უპატრონო და გაჭირვებული ხალხის გაყიდვით ერთი დანაშაულებრივი ჯგუფი იყო დაკავებული. გალალების კარგ ბაზრად სვანეთი ითვლებოდა.

ნაცვლად იმისა, რომ ინტენსიურად მუშაობდნენ ტრეფიკინგის დანაშაულებრივი ქსელის გამოვლენაზე, სამართალდამცველები ელოდებიან, როდის გამოიქცევა ვინმე; არავითარი გამოძიება, საქმეში წინასწარ ჩართვა და ა.შ. არ მიმდინარეობს. ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის.

ტრეფიკინგს მაფია ხელმძღვანელობს. უცხოეთში ტრეფიკინგს, ძირითადად, სხვადასხვა ფირმების საშუალებით ახორციელებენ , ჩვენთან კი გავლენიანი პირები ხელმძღვანელობენ“.



**უცხოეთში დაკარგულ ადამიანთა ბედი არავის აინტერესებს**

P.S. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტად არის განვითარებული ეს ბინძური ბიზნესი. განვითარებული ქვეყნის მოსახლეობა უცხოეთში არ წავა არალეგალურად სამუშაოდ, ამიტომ ტრეფიკინგის სამიზნე ღარიბი ქვეყნის მოსახლეობაა, რომელიც უკეთესად ცხოვრების იმედით ძალზე იოლად ებმება მაფიის დაგებულ მახეში. ამიტომ ქვეყნიდან გამგზავრების წინ კარგად შეამოწმეთ, სად მიდიხართ, რა პირობებით; ვინ არის თქვენი კონტრაქტორი ფირმა...

ნუ გახდებით მონა XXI საუკუნეში!

*გვერდი მოამზადა ხათუნა პაიჭაძემ*

# „გაგვიმართლა, თორემ შედეგი აშკარად ტრაგიკული იქნებოდა"



## კონდიციონერს ცეცხლი ბასრი საგნებით შეიარაღებულმა ბერძენმა მესაზღვრეებმა გაუჩინეს(?!)

15 ივლისს იტალიაში, ვენეციასთან ახლოს დამწვარი ავტობუსის ქართველი მგზავრები საბერძნეთის სასაზღვრო პოლიციას უჩივიან. ავტობუსს საქართველოდან ესპანეთის მიმართულებით გადაჰყავდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, რომელსაც საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში უნდა მიეღო მონაწილეობა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ბადრი მაჭავარიანის თქმით, რომ არა ბერძენ მესაზღვრეთა დაუდევრობა და გულგრილობა, არაფერი მოხდებოდა. თვითმხილველთა მტკიცებით, შესაძლოა, ავტობუსის ჩხრეკისას ელექტროგაყვანილობის სისტემა დაზიანდა და მოკლე ჩართვამ ხანძარი გამოიწვია. უკვე იტალიის ტერიტორიაზე კონდიციონერების ჩართვიდან 20 წუთში ავტობუსში ხანძარი გაჩნდა. სალონი დაიწვა. ყველა მგზავრი უვნებლად გადარჩა, მაგრამ მთლიანად დაიწვა მათი ბარგი და ანსამბლის რეკვიზიტები. ესპანეთში მიმავალი ანსამბლი შინ ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა.

ახლა მოცეკვავეები იტალიის (ავტობუსი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დგას. — ავტ.) ექსპერტიზის სამსახურებისგან ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენას მოითხოვენ და თუ ბერძენ მესაზღვრეებზე გაჩენილი ეჭვი გამართლდა, ადამიანის უფლებების დარღვევის მოტივით საერთაშორისო სასამართლოში აპირებენ ჩივილს.

მომხდარის გამო ავტობუსის მეპატრონისა და მძღოლის ბაგრატ ბოჭორიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მწვავე შაქრიანი დიაბეტის გამო მას ექიმები ზედმეტ ლაპარაკს უკრძალავენ. თუ იტალიაში ექსპერტიზის დასკვნა

> საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე წერეთელი გერმანიაში ახალშეძენილი ავტობუსით შინ ბრუნდებოდა, პორტთან მოსული დაგვიკავშირდა...
> ამასობაში საბერძნეთში ჩვენს საელჩოსაც მოუძებნია სხვა ავტობუსი...
> სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს ტელევიზიით მოუსმენიათ ჩვენი ამბავი და თურქეთში გვიმასპინძლეს...
> მადლობა ყველას, ვინც უმძიმეს წუთებში გვერდით დაგვიდგა.

ბერძენი მესაზღვრეების ბრალეულობას არ დაადასტურებს, სავარაუდოდ, მომხდარზე პასუხისგება ავტობუსის მფლობელს მოუწევს.

ავტობუსით მოგზაურობისას ბარგის დაზღვევა, მოგეხსენებათ, საქართველოში ჯერჯერობით, უცხო ხილია და ანსამბლიც წლების განმავლობაში დაუზღვეველი ბარგით მოგზაურობს.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი **ბადრი მაჭავარიანი:** „40 კაცი ვმგზავრობდით ორსართულიანი, ოთხმოცადგილიანი ავტობუსით. ოთხი თვის განმავლობაში ვარჩევდით ავტობუსს, რომლითაც ესპანეთის ტურნემდე თურქეთში გასტროლებზეც ვიყავით. იმავე ავტობუსით „ერისიონის" მოზარდების ჯგუფმა იმოგზაურა ბულგარეთში.

როგორც წესი, მგზავრობის წინ ავტობუსს ვამოწმებთ. მძღოლებს წინასწარ ვაძლევთ განსაზღვრულ თანხას ავტობუსის მოსაწესრიგებლად. უმთავრესად ორი მოთხოვნა გვაქვს: სავალი ნაწილები გამართულად უნდა მუშაობდეს და კონდიცირება სტანდარტს აკმაყოფილებდეს. კონდიციონერები გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე შევამოწმეთ — ავტობუსი კარგად არ გრილდებოდა. რა თქმა უნდა, მძღოლებმა ესეც მოაგვარეს. საქართველოდან გასვლის შემდეგ კონდიციონერები რამდენიმე საათის განმავლობაში გვქონდა ჩართული, ყველა გამართულად მუშაობდა. თურქეთში წვიმდა და ისე ციოდა, აღარ ჩაგვირთავს. საბერძნეთის საზღვარსაც გრილ ამინდში მივადექით.

ამ ტერიტორიაზე ოცდამეცხრედ შევედით. ამიტომაც სასაზღვრო პოლიციის ყველა ცვლა გვიცნობდა. თითქოს საგანგებოდო, იმ დღეს უცნობი ცვლა მუშაობდა. მათ უფროსთან მივედი და გავესაუბრე. ამასობაში ავტობუსში ჩხრეკა დაუწყიათ. [illegible]



და ავტობუსი თქვენს ჭკუაზე დაშალოთ-მეთქი? აგიწყობთ მაცივარსაც და ავტობუსსაცო. ააწყვეს, თუმცა მაცივარი ირყეოდა...

საბერძნეთის საბაჟოდან გვიან ღამით გავედით. დილით ანსამბლი ზღვაზე დავასვენეთ. ბორანზე დავაყენეთ ავტობუსი. 15 ივლისს ვენეციას რომ მივუახლოვდით, ძალიან დაცხა, მძღოლს ვთხოვეთ, კონდიციონერი ჩაერთო. სიგრილე რომ ვერ ვიგრძენი, მძღოლს ვკითხე, რა ხდება-მეთქი და უკან გავიხედე — ავტობუსს გარედან ბოლი ასდიოდა. ყველანი ძირს ჩამოვედით. მძღოლმა მაქრობელათი ცეცხლი ნაწილობრივ ჩააქრო, მაგრამ უცებ გაჩერებული მანქანის ძრავა თავისით ჩაირთო და საბარგულიდან ცეცხლმა იფეთქა. გამოვაღეთ საბარგულის კარი. ყველაფერი იწვოდა. როგორც ჩანს, მოკლე ჩართვა მოხდა, სალონი და საბარგულები დაიწვა. ტანთ რაც გვეცვა, იმის ამარა დავრჩით. იმის საშუალებაც კი არ გვქონდა, საქართველოდან გადმორიცხული ფული მიგვეღო, შაბათ-კვირას ბანკები არ მუშაობდნენ.

იტალიელები მაშინვე მხარში ამოგვიდგნენ. ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონემ გვიმასპინძლა. ჩემმა მეგობარმა, ტურისტული კომპანიის ხელმძღვანელმა რინო ჯოვემ მეორე დღეს ვენეციის პორტში უფასოდ დაგვახვედრა გემის ბილეთები. სასწრაფოდ ჩაერთვნენ საქმეში ჩვენი საელჩოები და საკონსულოები იტალიასა და საბერძნეთში. ცდილობდნენ, ჩვენი უკან დაბრუნების საკითხი სწრაფად მოეგვარებინათ. ბედმა გაგვიღიმა — საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე წერეთელი გერმანიაში ახალშეძენილი ავტობუსით შინ ბრუნდებოდა. პორტთან მოსულს გაუგია ჩვენი ამბავი, დაგვიკავშირდა და გვითხრა, საბერძნეთში დაგელოდებითო. ამასობაში საბერძნეთში ჩვენს საელჩოსაც მოუძებნია სხვა ავტობუსი.

სალონიკში სხვა მეგობრებიც დაგვხვდნენ; სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს ტელევიზიით მოუსმენიათ ჩვენი ამბავი და თურქეთში გვიმასპინძლეს. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სამედიცინო უნივერსიტეტის მხრიდან ერთი წუთითაც კი არ შეწყვეტილა კავშირი — შენი ქვეყნიდან ასეთი ყურადღება სხვის თვალშიაც გამაღლებს.

მადლობა ყველას, ვინც უმძიმეს წუთებში გვერდით დაგვიდგა.

საბერძნეთის საზღვრის გადმოკვეთისას სასაზღვრო პოლიციის იგივე ცვლა დაგვხვდა. პოლიციის უფროსთან მივედი და ვუამბე, რაც მოხდა. ჩემი ორი დღის წინანდელი გაფრთხილებაც გავახსენე. სახელი და გვარი ვკითხე. უარი განაცხადა. ტელეფონები და მისამართები ხელით [illegible]

[illegible]

აგვისტოში არც ერთი სამინისტრო და სახელმწიფო სტრუქტურა, მათ შორის, ექსპერტიზის სამსახურიც არ მუშაობს... სექტემბრამდე პასუხს ვერაფერზე გაგცემთო. ვთხოვე, საქმეს მსვლელობა მიეცით და იქნებ სექტემბრამდე გაარკვიოთ რაღაც-მეთქი. მივანიშნე, რომ ჩვენი საკონსულო და საელჩო ყოველდღიურად მოითხოვს პასუხს ამ ფაქტზე. მიუხედავად ამისა, იმედი არ მაქვს, რომ გაფრთხილება ნაყოფს გამოიღებს".

„კვირის პალიტრა" შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალურ მთავარ სამმართველოსაც დაუკავშირდა.

სახანძრო ტექნიკური მიმართულების უფროსი **რეზო გელაშვილი:** „შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ობიექტის გამოკვლევის გარეშე ექსპერტისთვის ძნელია დასკვნების გაკეთება, მაგრამ თვითმხილველთა ჩვენებების საფუძველზე შეიძლება ვერსიებზე ლაპარაკი. საბერძნეთის საბაჟოზე შემოწმების პროცესში ბასრი ხელსაწყოების გამოყენების გამო შეიძლებოდა დაზიანებულიყო ელსადენების ქსელის იზოლაცია, მაგრამ რადგან შემოწმების შემდეგ მანქანა ამუშავდა და შეფერხების გარეშე ჩაირთო ძრავაც და ფარებიც, ამ სისტემის დაზიანების შედეგად ხანძრის გაჩენა გამოირიცხება. ჩხრეკიდან 42 საათის შემდეგ ჩართეს კონდიციონერი და მალე ხანძარიც გაჩნდა. კვამლი კონდიციონერის ჟალუზიდან გამოიტყორცნა. ე.ი. შეიქმნა ავარიული რეჟიმი კონდინციონერების მკვებავ ელექტროქსელში. დაზარალებულები ამბობენ, რომ ცეცხლის კერა საბარგულში იყო, სწორედ ამ ზონაშია განთავსებული კონდიციონერის მთავარი დანადგარი და ელექტროენერგიით მკვებავი ხაზი. მოკლე ჩართვა შეიძლება დაძველების შედეგად ხაზის დამოკლებასაც გამოეწვია, მაგრამ მძღოლებისა და დამქირავებლების ჩვენებით, გასვლის წინ საგანგებოდ მოწესრიგდა კონდიცირების სისტემა. აქედან გამომდინარე, ეს ვერსია ნაკლებსავარაუდოა. გვრჩება მეორე — ავარიული რეჟიმი შეიქმნა საბერძნეთში ჩატარებული ჩხრეკისას მექანიკურად მიყენებული დაზიანების შედეგად.

ექსპერტიზის ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერტის გულმოდგინებას. თუ კარგად იმუშავებს, ბასრი საგნით მიყენებული დაზიანებებიც შეუძლია აღმოაჩინოს...

ანსამბლის ერთ-ერთი მოცეკვავე, **ნათია კუნდუხაშვილი:** „გაგვიმართლა და სრულ აალებამდე მოვასწარით ჩამოსვლა, თორემ შედეგი აშკარად ტრაგიკული იქნებოდა.

ყველას შეგვეძლო ჩამოსვლის დროს ჩანთები აგვეღო, მაგრამ რას ვიფიქრებდით, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა.

აქამდე საზღვარზე გვჩხრეკდნენ, საბარგულებსაც გულდასმით ათვალიერებდნენ, ჩანთებსაც გვიხსნიდნენ, მაგრამ ამგვარად არასოდეს მოქცეულან. არავის აქვს უფლება ადამიანის უფლებები დაარღვიოს, მით უფრო მაშინ, როდესაც ამის საფუძველი არავისთვის მიგვიცია"...

**ეკა ლომიძე**

# საქართველოს კიდევ ერთხელ სილა გააწნეს...

## რა უნიკალური ნამუშევრები დავკარგეთ ბოლო დროის განმავლობაში

თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი ქართული ტაძარი ოშკი გაძარცვეს... ამან კიდევ ერთხელ გამახსენა იერუსალიმში შოთა რუსთაველის ფრესკის განადგურების მცდელობა. სამწუხაროდ, უცნობია, ვინ და რატომ ჩაიდინა ვანდალობა, სად წაიღო 1,5 მ სიმაღლის ღვთისმშობლის უძველესი ბარელიეფი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბოლო ხანს თურქეთში ქართულ ძეგლებს მუდმივად ძარცვავენ. ოშკიდან ხელოვნების უნიკალური ნიმუშის დაკარგვის ამბავი თურქეთიდან ახლახან დაბრუნებულმა ტურისტებმა აცნობეს „კვირის პალიტრას". მოგზაურთა ჯგუფმა, რომელიც სისტემატურად სტუმრობს თურქეთს, ჯერ კიდევ სამი თვის წინ დააფიქსირა ღვთისმშობლის ბარელიეფის გაქრობა და ეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსაც შეატყობინა. როგორც ჩანს, ყური არავინ შეიბერტყა. ამიტომაც თურქეთის კიდევ ერთხელ მონახულების შემდეგ გულგატეხილი მოქალაქეები ჩვენ დაგვიკავშირდნენ.

უკვე დაკარგული ბარელიეფი სულ ბოლოს, ერთი წლის წინ, ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გადაიღო. ის მაშინ ჩამოვარდნილი და კედელზე მიყუდებული იყო. გიორგი კალანდია ფიქრობს, რომ ბარელიეფი დიდი ხნის წინ ჩამოვარდა. ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციამ ის ჯერ კიდევ კედელზე გადაიღო. როგორც ამბობენ, შესაძლოა, უნიკალურ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს მხოლოდ კოლექციონერები კი არა, ისინიც მიზანმიმართულად ძარცვავდნენ, ვისაც ამ ტერიტორიაზე ქართული კვალის წაშლა სურთ.

ისტორიკოსთა აზრით, ეს დაინტერესებული ძალები შეიძლება სულაც არ იყვნენ მხოლოდ თურქული ეროვნებისა — თურქები ოფიციალურად აღიარებენ და ყველგან წერენ, რომ ოშკი ქართული ტაძარია. თუმცა ერთ უზუსტობას მაინც უშვებენ — მათი განცხადებით, ქართული ტაძარი ბიზანტიის ტერიტორიაზე დგას(?!).



დოლისყანის ტაძრის კედლიდან უნიკალური მზის საათი ცოტა ხნის წინ გაქრა

ხელოვნებათმცოდნე **ირინე გიგიაშვილი** საგანგაშოდ მიიჩნევს იმას, რაც საქართველოს ისტორიულ მხარეში, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული კულტურის ძეგლების თავს ხდება.

— ათეულობით წლების წინ ოშკს და სხვა ქართულ ტაძრებს უგუნური ოქროსმაძიებლები ძარცვავდნენ. მათ არ ესმოდათ ამ ძეგლების მნიშვნელობა და ოქროს ძიების ჟინით შეპყრობილები დაუნდობლად აზიანებდნენ ყველაფერს. დღეს დამოკიდებულება შეიცვალა და ძეგლებს ძარცვავენ ისინი, ვისაც მათი მნიშვნელობა ესმით.

— **კოლექციონერებს გულისხმობთ?**

— დიახ. ძეგლები სათანადოდ არ არის დაცული და შეფასებული თურქეთის სახელმწიფოს მიერ. ამიტომაც კოლექციონერებს თავისუფლად მიაქვთ ის, რაც მოეწონებათ ჩვენს ტაძრებში. ათი წლის წინ პირველად მოვინახულე ოშკი. მას შემდეგ მუდმივად ვაკვირდები ამ ძეგლის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას. მიხვდნენ, რომ რაღაც ღირებულის მახლობლად ცხოვრობენ და ცდილობენ, სარგებელი ნახონ. 10 წლის წინ ქართული ტაძრების მახლობლად დუქანსაც ვერ ნახავდი, დღეს, სამწუხაროდ, ტუალეტიც კი მიაშენეს. ჰგონიათ, ამით კარგი საქმე გააკეთეს. ჯერ ვერ ხვდებიან, რომ ძეგლი ძარცვისგან უნდა დაიცვან. მეტიც, როგორც კი ნახეს, ვილაცები საკოლექციო ფრაგმენტებით დაინტერესდნენო, თვითონაც დაიწყეს მოხსნა-გაყიდვა — რაღა სხვამ დაგვასწროსო.

(გაგრძელება გვ.13)



# ოპოზიციის კომფორტს ქვეყნის ინტერესს ვერ შევწირავთ

„ვის რაში სჭირდება ბათიაშვილის მოკვლა?“

## ქართულ ძალოვან სტრუქტურებს რა შეუძლიათ, ეს ახლახანაც კარგად დავინახეთ და მომავალშიც ვნახავთ

ამას წინათ, პარლამენტში ერთი ამერიკული კანონის გადმოქართულება სცადეს. როგორც კულუარებში ამბობენ, ჩვენი კანონმდებლები ამაოდ დაშვრნენ, მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. კანონპროექტი, რომელიც პოლიტიკური ექსტრემიზმის აღმოსაფხვრელად და, შესაბამისად, „პოლიტიკური ექსტრემისტების“ გამოსავლენად უნდა ამოქმედებულიყო, არადემოკრატიულობის გამო დასავლელმა დემოკრატმა მეგობრებმა დაგვიწუნეს. არც შემცდარან, რადგან საქართველოშიც ელოდებოდნენ, რომ კანონი ოპოზიციისთვის დამოკლეს მახვილად იქცეოდა და მისი ამოქმედების შემთხვევაში არაერთ ოპოზიციონერ ლიდერს გაუყენებდნენ ორთაჭალის ციხის გზას.

კანონპროექტის მიღების ერთ-ერთი ინიციატორი **ნიკა გვარამია** იყო, რომელთან საუბრისასაც უპირველესად იმით დავინტერესდით, რატომ მომწიფდა უმრავლესობაში ასეთი კანონპროექტის მიღების იდეა.

**— თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა კვიციანის ამბოხს?**

— ორხელისუფლებიანობა საქართველოში, დესტაბილიზაციის კერის შექმნა და მერე ახმაურება, — ხედავთ, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი მხარე საქართველოს ხელისუფლების კონტროლს აღარ ექვემდებარებაო...

ყველაფერ ამას მე იგორ გიორგაძეს ვუკავშირებ. ბოლო დროს კარგად დაემთხვა ერთმანეთს ლევან პირველის ნათქვამი, მალე დავბრუნდებიო, ბათიაშვილისა და მისი პარტიის, ასევე იგორ გიორგაძისა და მისი ემისრების განცხადებები.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერი ეს ერთმანეთთან არის დაკავშირებული?**

— აბსოლუტურად.

**— თქვენი აზრით, ასლან აბაშიძე და ლევან მამალაძეც ამ მარაქაში არიან?**

— დარწმუნებული ვარ და სწორადაც თქვით, — ეს ერთი მარაქაა. ეს ხალხი გვებრძვის და საამისოდ არც თავიანთ არცთუ მოკრძალებულ მატერიალურ რესურსებს იშურებენ.

**— სხვათა შორის, რუსულმა ტელეარხებმა კვიციანის გამოსვლის პირველსავე დღეს დაიწყეს ლაპარაკი ორხელისუფლებიანობაზე; ექსპრეზიდენტ შევარდნაძესაც ჰკითხეს ერთ-ერთი სატელეფონო ჩართვისას, აღიარებთ თუ არა ორხელისუფლებიანობის არსებობის ფაქტსო...**

— საბედნიეროდ, რუსებს ამჯერადაც არ ეყოთ ინტელექტუალური რესურსი და ვერ განჭვრიტეს, როგორი პასუხი მოჰყვებოდა ასეთ გამოსვლას. ჩვენ არათუ ვუპასუხეთ რუსეთის პროვოკაციას, ახალი რეალიებიც შევქმენით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში. შევძელით უარყოფითი სიტუაციის პოზიტიურისკენ შემობრუნება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ხელისუფლების მობილურობა და ადეკვატურობა, არამედ ეროვნული კონსოლიდაცია, ხალხის ერთ პოზიციაზე დადგომა. სამწუხაროა, რომ ასეთ დროს პოლიტიკური ოპოზიცია განზე გადგა. პირდაპირ გეტყვით, — ჩვენს ოპოზიციურ ძალებს არ ძალუძთ ერთიანი სახელმწიფოებრივი ღირებულებების ირგვლივ კონსოლიდაცია.

**ოპოზიციის დიდმა ნაწილმა კლასიკური ანტისახელისუფლებო და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები გააკეთა. რატომ გარისკავდა ხელისუფლება და რატომ ჩართავდა ასეთ ხალხს თამაშში, რატომ გაიხდიდა ასეთ ხალხს თანამებრძოლებად? ეს ხომ ისინი არიან, რომლებიც მეამბოხეებს გმირებად აცხადებდნენ და მადლობას უხდიდნენ...**

**— თქვენ ისიც თქვით, კვიციანს რომ გაემარჯვა, მალე კოდორში იგორ გიორგაძეც ჩაგვიდოდაო. ხეობაში „გამაგრებული“ გიორგაძე უკვე რეალური საფრთხე გახდებოდა?**

— ასეთ შემთხვევაში კოდორის ხეობა დესტაბილიზაციისა და სახელმწიფოებრივი საფრთხეების მუდმივ წყაროდ იქცეოდა, რაც ტერიტორიული მთლიანობის პერსპექტივას ან დიდი ხნით გადაგვადებინებდა, ან საერთოდ დაგვაკარგვინებდა. კოდორის ხეობიდან დაიგეგმებოდა ტერაქტები, რაც მუდმივი დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური არეულობის საფუძველი შეიქნებოდა. ცხადია, ამ ხალხს თბილისშიც ეყოლებოდა მოკავშირეები და ძალიან კარგადაც ჩანს, ვინც იქნებოდა მათი მოკავშირე.

**— ვის გულისხმობთ?**

— შალვა ნათელაშვილი რომ დაუჭერდა მხარს, ცხადია. ამ პოლიტიკოსის რუსეთთან სიამტკბილობა დამალული არ არის. გაიხსენეთ მისი განცხადებები, იარაღის დაყრისკენ რომ მოუწოდებდა ჯარისკაცებს. ნათელაშვილი პირდაპირ აცხადებდა მტრული ქვეყნის ტელევიზიით იმას, რაც რუსებს უნდოდათ, — ეს სისხლიანი სამხედრო ოპერაციააო. ვერავინ დამაჯერებს, რომ ასეთი ადამიანი არ იქნებოდა იგორ გიორგაძის იდეური და პოლიტიკური მხარდამჭერი.

სხვა პოლიტიკური ძალების განცხადებები, ვფიქრობ, პოლიტიკური უგუნურებით იყო განპირობებული. არ მინდა, ვიფიქრო, რომ მათაც ნათელაშვილისნაირი პოლიტიკური ინტერესი ჰქონდათ.

(გაგრძელება გვ.11)

# „ჩვენ მინისტრთა კაბინეტშიც გვყავს მეგობრები“

„თანასწორობის ინსტიტუტთან ურთიერთობა უმრავლესობის წევრებსაც აქვთ“

„არიან მოწმეები, რომლებიც იტყვიან, როგორ ებრძოდნენ იარაღით ხელში რურუა და თარგამაძე გამსახურდიას“



„ვინც ვარგოდა, ხელისუფლებიდან მიდის“

ერთთვიანი პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე ირაკლი კაკაბაძემ ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით მეშვიდე საპყრობილესთან გამართა აქციები და პროგნოზიც გააკეთა — ბათიაშვილის გამო საქართველოს ხელისუფლება სტრასბურგის სასამართლოში პროცესს წააგებს და მატერიალურადაც გვარიანად დაზარალდებაო. თანასწორობის ინსტიტუტის ლიდერი „კვირის პალიტრასთან“ ხელისუფლების ბოლოდროინდელ ქმედებებსაც აფასებს და იმასაც არ მალავს, რომ თანასწორობის ინსტიტუტს ხელისუფლების წარმომადგენელთა სახით რამდენიმე გასაიდუმლოებული წევრიც ჰყავს. იმის თაობაზე, რა ხდება ქვეყანაში კარგი, რა არის ცუდი და რა გამოსასწორებელი, **ირაკლი კაკაბაძე** გვესაუბრება:

— კარგი ის არის, რომ ხალხი ეკლესიაში დადის და ლოცულობს; კარგია, რომ ხალხი შრომობს, ერთი-ორი შადრევანი რომ გაკეთდა, ისიც კარგია, მაგრამ შადრევნის გაკეთება არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა აშენდა. ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ინჟინრები და მშენებლები მუშაობენ კარგად. ისე, სასურველია, მუშები ქართველები ყოფილიყვნენ და არა — თურქები. რამდენიმე საავადმყოფო რომ გაკეთდა, კარგია, მაგრამ საავადმყოფოზე დიდი მორგები რომ გვექნება, ეს ცუდია (ჩემი აზრით, 125-ადგილიან საავადმყოფოში 300-ადგილიანი მორგი არ უნდა იყოს). თუ მტრობას გასაქანი არ მიეცა, ესეც კარგია.

ჩვენი სულიერი ლიდერის, პატრიარქის საალდგომო ეპისტოლე უდიდესი ზნეობრივი სიტყვა იყო. კარგი იქნება, თუ უწმიდესის მოწოდებას დავუჯერებთ და ფსალმუნებს წავიკითხავთ. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მოინანიოს პატარა ცოდვაც კი, რომელიც ჩაუდენია. მოსანანიებელი კი ყველა ადამიანს აქვს, მით უმეტეს, ქვეყნის ხელმძღვანელს. როდესაც მთავრობის წევრები უდანაშაულო ადამიანებს ხოცავენ, პრეზიდენტს არ აქვს მოსანანიებელი უდანაშაულო მსხვერპლი? ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება მოსანანიებელია; ადამიანების წამება, არასწორი პრიორიტეტები, იარაღის ქლარუნში გადაყრილი ფული, მაშინ როდესაც ბევრ მოხუცსა და ბავშვს შია, მოსანანიებელია; უფასო სასადილოები რომ ყველას არ შველის და არ ჰყოფნის, ესეც გამოსასწორებელია; სოციალური პროგრამების ნაცვლად სამხედრო პროგრამების დამუშავება და კბილების კრაჭუნი, კონფლიქტური სიტუაციების შექმნა და უდანაშაულოთა დასჯა — მოსანანიებელი აქვს ყველას, განსაკუთრებით კი ხელისუფლებას.

უნდა შეიცვალოს ვანო მერაბიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი НКВД-ს მსგავსი სტრუქტურა და შეიქმნას თანამედროვე, ლიბერალური ტიპის უშიშროების სამსახური; ცალ-ცალკე უნდა იყოს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტები; წესრიგის დარღვევას თვალყურს უნდა ადევნებდეს ფედერალური სამსახური, პოლიციური დეპარტამენტები კი მუნიციპალურ და სამხარეო დაქვემდებარებაში უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ქვეყანას ჯარი უნდა ჰყავდეს, მაგრამ როგორც პაციფისტი არაპოპულარულ რამეს ვიტყვი — საქართველოს დიდი ჯარი არ სჭირდება, ჩვენი მთავარი ძალა დიპლომატია, სიყვარულის დიპლომატია უნდა იყოს და არა — სიძულვილის ენაზე ლაპარაკი. ბევრ იარაღს კონფლიქტების საშიშროება მოაქვს.

**— კოდორის სპეცოპერაცია ხომ კარგად გამოვიდა?**

— მისი შედეგი სექტემბრისთვის გამოჩნდება. თუ ეს მშვიდობიანი გეგმის ნაწილია და ამ გზით აფხაზეთში აფხაზებთან შეთანხმებით მშვიდობიანად დაბრუნებას შევძლებთ და კვლავ ერთი დროშის ქვეშ გავერთიანდებით, კარგი იქნება და მივესალმები, მაგრამ თუ ეს არის შევარდნაძე-კიტოვანის 1992 წლის ავანტიურის მსგავსი რამ, მაშინ ეს დანაშაული იქნება ქართველი ერის წინაშე.

**— კოდორის სპეცოპერაციაზე ოპოზიციის განცხადებებმა ხელისუფლება გააღიზიანა და ოპონენტთა დიდი ნაწილი მტრად გამოაცხადა.**

— ოპოზიციას მტრად აცხადებდა ჰიტლერიც, სტალინიც, პინოჩეტიც, მაო ძედუნიც... ასეა, ყველა დიქტატორი მტრად აცხადებს ოპოზიციას. საქართველოს პრეზიდენტმა გასულ თვეში ინტერვიუ მისცა „უოლსტრიტ ჯორნალს“, სადაც განაცხადა, — ჩემთვის მისაბაძი (ნახევრად ავტორიტარული ლიდერები) იუგოსლავიის ყოფილი დიქტატორი იოსებ ბროზ ტიტო და ქემალ ათათურქი არიანო. ვისურვებდი, ჩვენი პრეზიდენტის იდეალი ქართველი მეფეები — დავით აღმაშენებელი და თამარი ყოფილიყვნენ. არსებობდნენ დემოკრატი ლიდერებიც, თუნდაც ზვიად გამსახურდია. თუ სააკაშვილს არ შეუძლია იყოს ნელსონ მანდელა, ვაცლავ ჰაველი და მაჰათმა განდი, სხვებს მაინც მიჰბაძოს, მაგალითად, კენედის, რუზველტსა და რეიგანს...

**— ხელისუფლება აცხადებს, პოლიტპატიმრები არ გვყავსო...**

— 1938 წელს ეჟოვისთვის რომ ეკითხათ, პოლიტიკური პატიმრები გყავთ თუ არაო, იუარებდა — ესენი პოლიტპატიმრები კი არა, დამნაშავეები არიანო. გვარამიას, ბოკერიას, ნადირაძისა და რურუას გამონათქვამები საოცრად ჰგავს ბერიასას. როგორ ლაპარაკობენ პრეზიდენტის ღალატზე ნიკა რურუა, ბოკერია და გივი თარგამაძე, როდესაც 1991-92 წლებში ზვიად გამსახურდიას სწორედ ეგენი ებრძოდნენ. არიან მოწმეები, რომლებიც იტყვიან, როგორ ებრძოდნენ იარაღით ხელში რურუა და თარგამაძე გამსახურდიას. არ გამიგია, ნიკა რურუას მოენანიებინოს, რომ „მხედრიონში“ მთავარი დამსჯელი იყო. ჩემი ახლობელი ოჯახის შვილია, მამამისს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ურჩევნია, ჯერ საკუთარი ცოდვები მოინანიოს და სხვებს მერე მოჰკითხოს.

ჩვენი ხელისუფლების განცხადებები — პოლიტპატიმრები არ გვყავსო, ძალზე წააგავს საბჭოთა პროპაგანდას და ამის გამო ბევრ პროცესსაც წააგებს სტრასბურგის სასამართლოში.

**— პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში პოლიტიკური ექსტრემიზმის წინააღმდეგ კანონპროექტის შემოღებაზე მსჯელობენ. ასეთი კანონის ამოქმედების შედეგად რას ელით?**

— იურიდიულ კომიტეტს ერთი რამ ეშლება. კანონი, რომელიც აშშ-ში მოქმედებს, სხვაგვარად მოაზროვნეებსა და ბათიაშვილისნაირ ხალხზე არ ვრცელდება. ხელისუფლების რადიკალურ ოპონენტებს აზრის გამოხატვას აშშ-ის ხელისუფლება არ უშლის. ის კანონი ტერორისტებს სჯის. ის, რომ მწყობრიდან გამოსულ კვიციანს, რომელიც ან ხელისუფლების დაქირავებული პროვოკატორია, ან ფსიქიკურად არანორმალური, ბათიაშვილისთვის რაღაცის თქმა მოუნდა, არ არის ირაკლის მოღალატეობის დამადასტურებელი. თუ უთხრა, გამაგრდითო, იმასაც ეუბნებოდა, იარაღი არ გამოიყენოო. ამ მოწოდებების გამო უნდა დაიჭირონ?

1937 წელსაც მოქმედებდა კანონი, რომლის თანახმადაც „სამეულები“ როგორც სამშობლოს მოღალატეებს, ისე ხვრეტდნენ ხალხს. ფილმ „მონანიებაში“ არის ერთი ეპიზოდი — ავტობუსით დიდგვაროვნებს მიიყვანენ ჩეკაში და იმის გამო, რომ უკან წაყვანა დაეზარებათ, იტყვიან, რაკი მოვიყვანეთ, ბარემ დავხვრიტოთო. თუ ამ კანონს მიიღებენ, ბოლშევიზმს დააკანონებენ. მის მიღებას ყველანაირი მშვიდობიანი მეთოდით შევეწინააღმდეგებით. ვინც ვარგოდა, ამ ხელისუფლებიდან მიდის. სალომე ზურაბიშვილი ადრევე წამოვიდა, ახლახან — გოგა ხაინდრავა... ჩვენს ინსტიტუტს რამდენიმე მინისტრთან აქვს ურთიერთობა. ისინი თანასწორობის ინსტიტუტის წევრები არიან, ხაინდრავამ უკვე განაცხადა და დამალვას აზრი არ აქვს, რომ ჩვენი წევრი ადრევე იყო. ჩვენთან ურთიერთობა აქვს პარლამენტის, მათ შორის, უმრავლესობის წევრებსაც, მაგრამ ამის გახმაურებას ერიდებიან — ხშირად ამბობენ, როგორც კი ხმას ამოვიღებთ, ნათესავების დაჭერით გვემუქრებიანო; ზოგი კი ფიქრობს, ყველაფერს დავკარგავ, თუკი თანასწორობის ინსტიტუტთან ჩემი კავშირი გახმაურდებაო.

**— ადრე თქვით, გიორგი ბარამიძე და გიგი უგულავა თანაგვიგრძნობენო, ე. ი. კიდევ გყოლიათ ხელისუფლებაში მეგობრები და თანამოაზრეები.**

— მინისტრთა კაბინეტშიც გვყავს მეგობრები. ჩვენს ინსტიტუტს პრემიერ-მინისტრთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვს და ნინო ბურჯანაძესთანაც, მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად ვაკრიტიკებთ.

ისე, მტრული დამოკიდებულება არც პრეზიდენტთან გვაქვს.

ხელისუფლებას კოდორის სპეცოპერაციით თავი მოაქვს — რეიტინგი აგვიწიაო. რეიტინგი ფულივით არის — ერთ დღეს გაქვს, მეორე დღეს კი შესაძლოა, დაკარგო. ჩემი აზრით, ყველაზე წარმატებული ნამუსიანი კაცია, ყველაზე დიდი წარმატება კი — ნამუსი. ყველაზე მართალი ის არის, ვინც საკუთარ ნამუსთან იქნება მართალი.

**— რა აქვს ხელისუფლებას უპირველესად გასაკეთებელი?**

— პრეზიდენტს ვურჩევ, ფსალმუნები იკითხოს და თუ ამას ხმამაღლა გააკეთებს, ეს საუკეთესო პიარი იქნება მისთვის. ვურჩევ, ხალხს არ მოსწყდეს, გულისხმიერებით მოეკიდოს მის პრობლემებს; მოიცილოს უვარგისები მთავრობიდან, ობიექტურად შეაფასოს ვითარება და მისი საქმეც კარგად იქნება. ქვეყნისა კი მაშინ იქნება კარგად, როცა ზურაბ ჟვანიას, სანდრო გირგვლიანის, ამირან რობაქიძისა და სხვა უდანაშაულო მსხვერპლთა მკვლელები დაისჯებიან; როცა სიმართლეს აღიარებს ქვეყანა. თუ სიმართლე და სამართალი არ იქნა, მაშინ არც მშვიდობა იქნება. ამიტომ პრეზიდენტს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას ვურჩევ, სიმართლის რთული და მტკივნეული გზიდან არ გადაუხვიონ, რადგან ეს ერთადერთი გზაა, რომელიც სამოქალაქო სტაბილურობას შეგვინარჩუნებს.

**იზო რუკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვაკანსია

## უშიშროების საველე ოფიცერი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს „IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უშიშროების საველე ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაოს შესრულების ადგილია BP-ს ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენები **აღმოსავლეთ საქართველოში.** უშიშროების საველე ოფიცერი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობა იქნება საველე უშიშროების საკითხების კონტროლი და ამ საკითხებში სათანადო გარანტიების შექმნა და რჩევების მიცემა BP-ს ხელმძღვანელობისათვის. მითითებისამებრ, იგი კოორდინირებას გაუწევს უშიშროების დაცვის ღონისძიებებს ამ მიზნით გამოყოფილი მოქმედების არეალის ფარგლებში. მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები გავრცელდება კომპანია „BP-საქართველოს" და კონტრაქტორების ყველანაირ საქმიანობაზე უშიშროების სფეროში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობებში შედის:

- ყოველკვირეული კავშირი იქონიოს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან, უშიშროების მხრივ შექმნილი მდგომარეობის გარკვევის მიზნით, და შედეგები ასახოს ყოველდღიურ მოხსენებებში. გააღრმავოს ურთიერთობა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველა სამსახურთან, მათგან სათანადო დახმარების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
- დაამყაროს და მუდმივად იქონიოს მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობა სტრატეგიული მილსადენების დაცვის ადგილობრივ სამმართველოსთან, საზღვრის დაცვის სამსახურთან და მოქმედების არეალში არსებული სამხედრო ნაწილების მხედრობასთან.
- მოქმედების არეალში მოიპოვოს და დაამუშავოს სიტუაციური ინფორმაცია და ანალიზის შედეგები აცნობოს „BP-საქართველოს" უშიშროების სფეროს ხელმძღვანელებს და შესაბამის საველე თანამშრომლებს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ტერორისტულ საქმიანობასა და დამნაშავეობაზე.
- მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს უშიშროების საფრთხეების შეფასება, საკუთარი მოქმედების არეალის ფარგლებში.
- იქონიოს კავშირი, უხელმძღვანელოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტაროს ტრენინგი მოქმედების არეალში კონტრაქტით მომუშავე უშიშროების სამსახურების თანამშრომლებს, რათა მათი მოქმედებები შესაბამისობაში იყოს BP-ს უშიშროების სტანდარტებთან და პროცედურებთან.
- იქონიოს მჭიდრო კავშირი „BP-საქართველოს" საველე კონტინგენტთან, მათ შორის, ექსპლუატაციის ტექნიკოსებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცრებთან და მიწის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან. საჭიროებისამებრ მიაწოდოს მათ ინფორმაცია უშიშროების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.
- შესაბამისი მითითების მიღების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებში, ინციდენტის მართვის ჯგუფს და საველე თანამშრომლებს მიაწოდოს რჩევები და აღმოუჩინოს დახმარება.
- იმოქმედოს „BP-საქართველოს" უშიშროების სამსახურის სახელით, საპროტესტო აქციების და სხვა სამოქალაქო არეულობების დარეგულირების დროს.
- დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეადგინოს ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი წერილობითი ანგარიშები.
- უზრუნველყოს პირველადი რეაგირება უშიშროების კუთხით „BP-საქართველოს" საქმიანობის პროცესში მომხდარ საავტომობილო ავარიებზე.
- ჩაატაროს გამოძიება და/ან დახმარება აღმოუჩინოს გამოძიების ჩატარების პროცესში, ხელმძღვანელობიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.
- ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს დიზელის/საწვავის მოხმარების კონტროლს.
- დაიცვას და გაატაროს BP-ს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის პოლიტიკა.
- უზრუნველყოს რეგულარული კოორდინაცია მოქმედების არეალში მომუშავე ქვეკონტრაქტორის უშიშროების პერსონალთან.
- საჭიროებისამებრ შეასრულოს სხვა დავალებები და მითითებები, ექსპლუატაციის ნაწილის და პროექტის საქმიანობაში დახმარების მიზნით.

**მოთხოვნები:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სამხედრო, უშიშროების სამსახურში ყოფნის ან პოლიციაში მუშაობის გამოცდილება;
- ცოდნა და გამოცდილება რისკის ანალიზის და რისკის მენეჯმენტის სფეროებში;
- ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური და უშიშროების მდგომარეობის შესახებ კომპეტენტური ინფორმაციის ფლობა;
- ავტომობილის მართვის მოქმედი მოწმობა;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერული პროგრამების – MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook – გამართული ცოდნა;
- კომუნიკაციის კარგი უნარი და გამორჩეული ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაკვირვების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ, რთული კლიმატის და რელიეფის პირობებში, მათ შორის, ქალაქგარეთ, მოშორებულ და დაუსახლებელ ადგილებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 9 აგვისტო, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

კადრების დეპარტამენტი
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა №38


# ცხინვალი ამო-ებს ჩამოყრით ემუქრება

## ვინ დაფრინავს ცხინვალის თავზე?



სეპარატისტები ცხინვალის თავზე გამოჩენილ ყველა მფრინავ ობიექტს ჩამოგდებით ემუქრებიან...

სანამ მთელი საზოგადოების ყურადღება კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე იყო გადატანილი, ცხინვალისა და ჯავის თავზე ვილაც „დანავარდობდა".

ამოს — „ამოუცნობი მფრინავი ობიექტების" ზუსტი დადგენა ვერც ცხინვალელმა სეპარატისტებმა შეძლეს და ვერც რუსი ცისფერჩაფხუტიანების სარდალმა.

მათივე განცხადებით, ღრუბლიანობის გამო ვერც საფრენი აპარატების ზუსტი ტიპი დაადგინეს, თუმცა ხმით მიხვდნენ, რომ ცხინვალის თავზე, მაღალ სიმაღლეზე, ხან თვითმფრინავები და ხანაც შვეულმფრენები დაფრინავდნენ.

მიუხედავად ამისა, სეპარატისტულმა ცხინვალმა ბრალი მაინც თბილისს დასდო და დაემუქრა, — ამის შემდეგ ყველა იმ საფრენ აპარატს ჩამოვაგდებ, რომლებიც კონფლიქტის ზონაში თვითნებურად შეფრინდებიანო.

კოდორის ხეობისა არ იყოს, ცხინვალის რეგიონში მოქმედი სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც თავის დროზე ქართულმა მხარემაც დაუფიქრებლად მოაწერა ხელი, ყველა საფრენ აპარატს სამმხრივი სამშვიდობო ძალების სარდლის (რა თქმა უნდა, რუსი გენერლის) საგანგებო თანხმობის გარეშე აკრძალული აქვს კონფლიქტის ზონის თავზე გამოჩენა.

როგორც წესი, ჯავის რაიონში ხშირად სხდებიან ჩრდილო ოსეთიდან გადმოფრენილი რუსული შვეულმფრენები, რომლებიც სეპარატისტებს შეიარაღებით ამარაგებენ.

ქართულ მხარეს საშუალება არა აქვს, აღკვეთოს უკანონო ფრენები, რომლებიც სინამდვილეში საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევაა, თუნდაც იმიტომ, რომ ჯავის რაიონი კონფლიქტის ზონად არ მიიჩნევა. კონფლიქტის ზონაში შემოფრენამდე რუსული შვეულმფრენი უკანონოდ არღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს.

თბილისს ჯერჯერობით, ისღა დარჩენია, საპროტესტო წერილები გაგზავნოს მოსკოვში.

# KГБ-ს „შვილობილს" საფრანგეთისხელა ტერიტორია ანდვეს

## კრემლმა საბჭოთა კავშირის დროინდელი სასაზღვრო ზონები აღადგინა

საბჭოთა სასაზღვრო ზონების სიმკაცრეს ათეული წლობით იტანდნენ საქართველოს სამხრეთ რაიონების მცხოვრებნი — სპეციალური საშვის გარეშე აბასთუმანში ცხვირს ვერ შეყოფდი, სარფში საღამოს ზღვაში საბანაოდ არავინ ჩაგიშვებდა. საბჭოთა კავშირი დაიშალა და „რკინის ფარდაც" მოშორდა ყოფილ საბჭოთა საზღვრებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვს ყოფილი იმპერიის აღდგენის სურვილი არ ასვენებს. თუმცა რუსეთი ჯერჯერობით, ახალ „რკინის ფარდას" თურქეთთან კი არა, ახლა უკვე საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებთან ჩამოაფარებს.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, KГБ-ს „შვილობილს" — ФСБ-ს (უშიშროების ფედერალურ სამსახურს) საკონტროლოდ გადაეცა 550 ათასი კვ.მ(!) ფართობის სასაზღვრო ზოლი, რაც, საერთო ჯამში, საფრანგეთის ტერიტორიის ტოლია.

პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, საზღვრის გაყოლებით 15-30 კმ-ის სიღრმეში იქმნება სასაზღვრო ზოლი, რომელშიც სპეციალური საბუთის გარეშე ჩიტიც ვერ შეფრინდება.

ყველაზე ფართო სასაზღვრო ზოლი — 30 კმ, რატომღაც საქართველოსთან გაკეთდა — რუსეთ-საქართველოს საზღვრის ყაბარდო-ბალყარეთის მონაკვეთზე. ჩეჩნეთის მხრიდან საქართველოს საზღვარს 15-17 კმ-ზე სპეციალური ნებართვის გარეშე ვერავინ მიუახლოვდება, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად დაგიდევენ კრემლის ბრძანებას ჩეჩნური შეიარაღებული ჯგუფები. საქართველოსთვის მთავარია, ბოლოს და ბოლოს, დაადგინოს რუსეთთან საერთო საზღვრის ყველა საკამათო მონაკვეთი, თორემ სახელმწიფო საზღვრამდე რამდენ კილომეტრზე მიუშვებს თავის მოქალაქეებს რუსეთი, ეს ნაკლებად აწუხებს. უბრალოდ, ამ საკამათო ტრადიციის აღდგენით რუსეთი კიდევ უფრო ემსგავსება საბჭოთა იმპერიას და „რკინის ფარდით" თავის მოქალაქეებს მეტ პრობლემას გაუჩენს. ისე კი, რუსეთს საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება ნამდვილად სჭირდება შუა აზიის პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან, საიდანაც შუა რუსეთში უხვად შედის ნარკოტიკები. სასაზღვრო ზონების აუცილებლობა, ეტყობა, შორეულ აღმოსავლეთშიც, ჩინეთის საზღვართანაც გახდა საჭირო, რადგან ამ სასაზღვრო მხარეში ჩინელი მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად მატულობს.

# „ტომკეტის" ბოლო გაფრენა



**ომის დაწყების შემთხვევაში, ამერიკულ „ტომკეტებს" ბათუმისა და ფოთის თავზე საჰაერო უპირატესობა უნდა მოეპოვებინათ**

გასულ კვირას ამერიკული ატომური ავიამზიდ „თეოდორ რუზველტიდან" ბოლო გაფრენა განახორციელა F-14 Tomcat-ის ტიპის საგემბანო გამანადგურებელმა თვითმფრინავმა.

F-14-ების პირველი ესკადრილია პენტაგონმა 1971 წელს შეიძინა და მას შემდეგ ორი ათეული წლის განმავლობაში „ტომკეტი" „ცივი ომისდროინდელი" ერთ-ერთი მთავარი გამანადგურებელი იყო. მისი ესკადრილიები ოკეანეებში ძირითადად ამერიკული საავიამზიდო დაჯგუფებების საჰაერო თავდაცვას ახორციელებდნენ.

„ტომკეტების" პენტაგონის შეიარაღებიდან მოხსნის შემდეგ, რა საოცარიც უნდა იყოს, ისინი ირანის არსენალში დარჩებიან. 1974 წელს აშშ-ის ხელისუფლებამ 80 ცალი „ტომკეტი" ირანის შაჰს მიჰყიდა. დღეს კი ამერიკული, მაგრამ ირანის შეიარაღებაში მყოფი „ტომკეტები" შესაძლოა, თავიანთ ამერიკულ თანამოძმეებს დაუპირისპირდნენ.

# ფარული საფრთხე კოდორის ხეობისთვის

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, ოპერატიული მოქმედების შედეგად საბოლოოდ გადაიჭრა ამბოხებული კვიციანის პრობლემა და კოდორის ხეობაში კანონიერება აღდგა.

ახლა, ამ გარდამავალ ეტაპზე, როდესაც კოდორის ხეობაში ჯერ კიდევ არა აქვთ ფეხი მომაგრებული ოფიციალურ სამართალდამცავ ორგანოებს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხეობის საზღვრების განმტკიცებას.

სეპარატისტულ სოხუმს არასოდეს დაუმალავს, რომ აპირებს, ბოლოს და ბოლოს, თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანოს აფხაზეთის სვანეთი.

მაგრამ ამ სურვილის განხორციელება ძალისმიერი გზების გარეშე შეუძლებელია. სეპარატისტულ სოხუმს კი არ სურს აგრესორისა და „გაყინული" შეიარაღებული კონფლიქტის ხელახლა გამჩაღებლის სახელი მიაკერონ.

ამიტომაც სეპარატისტები, მოსკოვის აქტიური მხარდაჭერით, ცდილობენ „აგრესორის" იარლიყი პირიქით, ქართულ მხარეს მიაკრან.

თბილისისთვის კი დღეს მთავარი ამოცანა კოდორის ხეობაში ფეხის მოკიდება უფრო უნდა იყოს, ვიდრე სოხუმზე იერიშის დაგეგმვა. თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო 15 წელი საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები კოდორის ხეობაში ფაქტობრივად ვერ მუშაობდნენ.

ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა კოდორის ხეობაში მოქმედი შსს-ს შინაგანი ჯარების ბატალიონის დაშლის შემდეგ.

დღეს სოხუმიც და მოსკოვიც თბილისს ბრალს სდებენ — ხეობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფებია შეყვანილი, რაც 1994 წლის „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ" მოსკოვის შეთანხმების დარღვევააო. ისინი კოდორის ხეობის სასწრაფო მონიტორინგს ითხოვენ.

საერთოდ, როდესაც 12 წლის წინ, მოსკოვში, ქართულმა დელეგაციამ ზემოხსენებული შეთანხმების არსებულ ვარიანტს მოაწერა ხელი, ამით დიდი დანაშაული ჩაიდინა მთლიანად საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინაშე.

ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მოქმედ ე.წ. სამშვიდობო ხელშეკრულებებში ისეთი თავებია ჩადებული, რომლებიც ქართულ ინტერესებს თავიდანვე წამგებიან მდგომარეობაში აყენებდა.

თუმცა, სანამ დოკუმენტები შეიცვლება ან საერთოდ გაუქმდება (რაც ძალიან რთული პროცესია, მაგრამ არა შეუძლებელი), ქართულ მხარეს მაინც მოუწევს კოდორის ხეობაში მონიტორინგის ჯგუფის დაშვება, უპირველესად, გაეროს სამხედრო დამკვირვებლებისა.

ოფიციალურმა თბილისმა სოხუმს და მოსკოვს იქით წაუყენა ულტიმატუმი — ჯერ გუდაუთის სამხედრო ბაზის მონიტორინგი ჩატარდეს და შემდეგ კოდორის ხეობისაო.

ეს, პრინციპში, მართებულია, რადგან მიუხედავად მრავალწლიანი მოთხოვნებისა, გუდაუთის ყოფილ რუსულ სამხედრო ბაზაზე დღემდე არ დაუშვიათ არათუ ქართული სავერიფიკაციო ჯგუფი, არამედ მათი უცხოელი კოლეგებიც. არადა 1999 წლის სტამბოლის გადაწყვეტილების თანახმად, გუდაუთის ბაზა ოფიციალურად დახურულად მხოლოდ საერთაშორისო სავერიფიკაციო ჯგუფის დასტურის შემდეგ ჩაითვლება.

რუსული მხარე იმიზეზებს, — სოხუმისგან არ გვაქვს უცხოელი და, მით უმეტეს, ქართველი სამხედრო დამკვირვებლების გუდაუთაში უსაფრთხოების გარანტიაო. მოსკოვი ამტკიცებს, რომ გუდაუთის ყოფილი 50-ე სამხედრო ბაზა კონფლიქტის ზონაში მდგარი კოლექტიური უსაფრთხოების ძალების სარეაბილიტაციო ცენტრად გადაკეთდა და იქ 130 სამხედრო და 4 შვეულმფრენი არის განთავსებული.

სხვათა შორის, შეიძლება გუდაუთაში ბაზირებული შვეულმფრენებიდან იყოს ის დამტვრეული Ми-24 (№33), რომელიც 4 აგვისტოს ათი წუთი დასტრიალებდა თავს კოდორის ხეობის სოფელ ქვაბჩარასა და ქართული პოლიციელების პოსტებს.

რუსული სამშვიდობო ძალების სარდალი ჩაბანი არ უარყოფს ამ ფაქტს და განმარტავს, რომ მათ შვეულმფრენით ოფიცრები საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე გადაჰყავდათ.

რუსი გენერლის განმარტება კი გასაგებია, მაგრამ საოცარია ის, რომ ოფიცრების გადასაყვანად იყენებდნენ არა სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 ტიპის (რომელშიც უფრო მეტი ადამიანი ეტევა) შვეულმფრენს, არამედ დამრტყმელ Ми-24-ს. ეს Ми-24 დაბალ სიმაღლეზე ფრენისას გვერდზე სითბურ „ხაფანგებს" ისროდა, თანაც მისი კაბინიდან, სავარაუდოდ, ვიდეოგადაღებას აწარმოებდნენ, რათა ხეობაში შეყვანილი ქართული სამხედრო ტექნიკა დაეფიქსირებინათ.

სოხუმისა და მოსკოვის ზეწოლა, ხეობაში მონიტორინგის ჩატარების მოთხოვნით, კვლავ გაგრძელდება. თბილისს ამ ეტაპზე კოდორის ხეობაში პოლიციური დანაყოფების გარდა სხვა ძალა არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ანტიკრიმინალური ოპერაცია დასრულებულია და შსს-ს დანაყოფები სრულიად საკმარისია.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ლათას ქვემოთ ხდება სეპარატისტების ძალების კონცენტრაცია, მათ შორის „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" ჯგუფებიც.

ცუდი არ იქნება, თუკი თბილისი თავადაც მოითხოვს კოდორის ხეობის ქვემო ნაწილის მონიტორინგს, რომელიც დღეს სეპარატისტების ხელშია. თუკი იქ მართლაც დაფიქსირდა სეპარატისტებისა და დაქირავებული მებრძოლების ყოფნა, მაშინ ქართულ მხარესაც ეძლევა შესაძლებლობა, აქტიურად გააპროტესტოს ეს და აფხაზურ მხარეს იქით დასდოს ბრალი მოსკოვის 1994 წლის შეთანხმების დარღვევაში.



კოდორის ხეობის ქვემო ნაწილში სეპარატისტებისა და რუსი ცისფერჩაფხუტიანების გადაჯგუფება ხდება

**ისარგებლებენ თუ არა სეპარატისტები ხეობაში შექმნილი მდგომარეობით?**

# „ჰეზბოლაჰი" „ცახალს" არ უთმობს




ისრაელის თავდაცვის არმია „ცახალმა", რამდენიმედღიანი სახმელეთო იერიშის მიუხედავად, ვერ აიღო ლიბანის ქალაქი ბინტ ჯიბეილი, რომელიც „ჰეზბოლაჰის" მთავარ ბაზას წარმოადგენს.

ისრაელის არმიამ სახმელეთო ოპერაციის დროს გარკვეული დანაკარგი განიცადა პირად შემადგენლობაში, რის გამოც ამ ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, სახმელეთო ოპერაციის გაფართოების ნაცვლად მთავარი აქცენტი ისევ წერტილოვან საჰაერო დარტყმებზე გადაეტანა.

ამისათვის ისრაელმა აშშ-ში სასწრაფოდ შეიძინა GBU-28 ტიპის მართვადი ბომბები, რომლებსაც ამერიკელები სატრანსპორტო თვითმფრინავებით აწვდიან თელ-ავივს. ეს საავიაციო მართვადი ბომბი მიწისქვეშა ბუნკერების გასანადგურებლად სპეციალურად ერაყის ომის წინ შეიქმნა. მას შეუძლია გრუნტში 30 მ სიღრმეში ჩავიდეს (რკინაბეტონის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 6 მეტრამდე მცირდება) და იქ 2 ტონა ტროტილი ააფეთქოს. თავად ბომბი 2,3 ტ-ს იწონის და მიზანს ლაზერული სხივის მიყოლით ზუსტად ხვდება. თითოეული ასეთი „ჭკვიანი" ბომბი თითქმის 145 ათასი დოლარი ღირს და მისი ჩამოგდება F-15 ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენს შეუძლია. ასეთი თვითმფრინავები კი ისრაელს უკვე შესყიდული აქვს. ეტყობა, „ცახალის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ასეთი „ჭკვიანი" ბომბებით, ბოლოს და ბოლოს, გაანადგურებს მიწისქვეშა ბუნკერებში დამალულ „ჰეზბოლაჰის" იმ მეთაურებს, რომლებიც კვლავ აგრძელებენ ბრძანებების გაცემას ებრაული ქალაქების დასაბომბავად. ამ დღეებში ისრაელის მიმართულებით ისეთი რაკეტები გაუშვა „ჰეზბოლაჰმა", როგორებიც ებრაულ ქალაქებში ჯერ არ ჩამოვარდნილა. ქალაქ აფულის მიდამოებში სამი რაკეტა დაეცა. თითოეული მათგანის საბრძოლო ქობინი 100 კგ-მდე იწონიდა. აფულა ხაიფიდან, რომელსაც ყველაზე ხშირად სწვდება „ჰეზბოლაჰის" „გრადები", 20 კმ-ითაა დაშორებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ჰეზბოლაჰს" შეიარაღებაში „გრადებზე" უფრო შორსმფრენი და ძლიერი რაკეტები აქვს.

# თურქ გენერალს სომხურ „წარსულს" უხსენებენ

ბოლო ხანს თურქეთის მასმედიის ზოგიერთი საშუალება დიდ აგიტაციას ეწეოდა თურქეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სარდლის, არმიის გენერალ იაშარ ბოიუკანიტის წინააღმდეგ.

გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში მითითებული იყო, რომ 1940 წელს დაბადებული გენერლის ოჯახი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში სომხეთში ცხოვრობდა და მერე გადასახლდა თურქეთში.

„ბრალდების" მიუხედავად, თურქეთის ხელისუფლებამ ივლისის ბოლოს გენერალი ბოიუკანიტი თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად დანიშნა. ეს თანამდებობა თურქეთში ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივი გენშტაბის უფროსისა, რადგან დღევანდელ თურქეთში გენერლები და სამხედროები ძალიან დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სხვა თუ არაფერი, ის, რომ თურქეთი რადიკალური ისლამისტების ქვეყანა არ გახდა, პირველ რიგში პროგრესულად მოაზროვნე თურქი სამხედროების დამსახურებაა.

თავად გენერალი ბოიუკანიტი ცნობილი იყო, როგორც რადიკალური ისლამისტებისა და სექტანტების შეუწყნარებელი მოწინააღმდეგე. ეტყობა, ამიტომაც გამოუცხადა მას ისლამისტური თურქეთის ნაწილმა აქტიური ბრძოლა.

იაშარ ბოიუკანიტი იყო კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი, გენშტაბის გენერალური მდივანი, 1-ელი არმიის მეთაური და სახმელეთო ჯარების სარდალი. ხელმძღვანელობდა ანტიპარტიზანულ ბრძოლებს ქურთების წინააღმდეგ.

საქართველო-თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის თანამშრომლობა 12 წელზე მეტს მოითვლის. ქართულ არმიას თურქულმა მხარემ დღემდე 20 მლნ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია. ამიტომაც საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის სულერთი არ უნდა იყოს, ვინ დაინიშნება „პირველ სამხედროდ" ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ჩვენს მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში.

# თეთრი სახლი Су-ებზე სანქციებს აწესებს

## ირანისა და ვენესუელის მიერ რუსული Су-ების შეძენამ ვაშინგტონს მოთმინების ფიალა აუვსო

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სანქციების დაწესება მოულოდნელი აღმოჩნდა რუსული მხარისთვის.

2000 წლის კანონის თანახმად, სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკულ ფირმებს 2 წლით აუკრძალა ყოველგვარი კონტაქტი ორ ცნობილ რუსულ კომპანიასთან — „როსობორონექსპორტთან" და „სუხოისთან". ფიქრობდნენ, რომ სწორედ ეს ორი რუსული კომპანია აწვდიდა ირანს იმ მასალებსა და ტექნოლოგიებს, რომლებიც მან შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად გამოიყენოს.

„სუხოის" ფირმის წარმომადგენლები გაკვირვებას ვერ მალავენ — ბოლო 6-7 წელია ირანისთვის არაფერი მიგვიყიდიაო. თუმცა მანამდე ირანს მიაწოდეს 30 ცალი Су-24 ტიპის საფრონტო ბომბდამშენი და ორი Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი. ირანს 9 ცალი Су-25 ჰყავს. მათგან 7 ჯერ კიდევ 1991 წელს გადაფრინდა ერაყიდან ირანში. ეს 7 მოიერიშე იმ 69 თვითმფრინავთაგანია, რომლებიც ერაყმა 1986-87 წლებში იყიდა თბილისის საავიაციო ქარხნისგან. რამდენიმე წლის წინ თბილისში ოფიციალურად მყოფმა ირანის უმაღლესი დონის დელეგაციამ თბილისის საავიაციო ქარხანა მოინახულა. დელეგაციის ხელმძღვანელობა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს დაჟინებით სთხოვდა Су-25 მოიერიშეების მიყიდვას. ეს გარიგება ნამდვილად მომგებიანი იქნებოდა როგორც საქართველოს ბიუჯეტისთვის, ისე პირველ რიგში „თბილავიამშენისთვის", მაგრამ ვაშინგტონის არაოფიციალური ზეწოლის შედეგად თბილისმა თეირანს უარი განუცხადა მოიერიშეების მიყიდვაზე.

„თბილავიამშენს" ვაშინგტონის უარის მიუხედავად, ეს თვითმფრინავები ირანისთვის მაინც რომ მიეყიდა, ალბათ, აშშ-ის სახდეპარტამენტის სანქციებს ვერ ასცდებოდა.

მოსკოვზე კი ისეთი ზეგავლენა, როგორიც თბილისზე, ვაშინგტონს, რა თქმა უნდა, არა აქვს, ამიტომაც რუსეთი თავისუფლად აწვდის სხვადასხვა სახეობის შეიარაღებას აშშ-ის მიერ „შერისხულ" ირანს და არა მარტო მას.

ფიქრობენ, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ირანის ფაქტორი საბაბად გამოიყენა, რათა რუსული „სუხოისთვის" ხელი შეეშალა მსოფლიოში ასე პოპულარული Су-27 და Су-30-ებით ვაჭრობაში.

ეტყობა, თეთრი სახლის მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როდესაც ვენესუელამ „სუხოის" 24 ცალი Су-30 დაუკვეთა. გაჩნდა ინფორმაციაც, რომ აშშ-ის უშუალო მეზობელმა მექსიკამაც შეიძლება შეიძინოს Су-27-ები საზღვაო აკვატორიის გასაკონტროლებლად.

თავის მხრივ, სახელმწიფო ფირმა „როსობორონექსპორტმა" ვენესუელას 100 ათასი ახალთახალი „კალაშნიკოვი", 53 შვეულმფრენი და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსები (მათ შორის შეიძლება С-300-ებიც) მიჰყიდა.

ვაშინგტონს შეუძლებელია, არ აშფოთებდეს რუსული იარაღის ექსპორტის გაზრდა ლათინური ამერიკის იმ რეგიონში, რომელშიც ისტორიულად მხოლოდ ამერიკული წარმოების იარაღი იყიდებოდა.

ახლა კი, კუბის გარდა, სამხრეთ ამერიკის ბევრი ქვეყანა (იგივე ვენესუელა, პერუ, ჩილე) აქტიურად ყიდულობს რუსულ იარაღს, რომელიც ამერიკულზე იაფია და შესაძლებლობებით მაინცდამაინც არ ჩამოუვარდება მას.

ეკონომიკური სანქციების დაწესებით აშშ-ის ხელისუფლება, ეტყობა, ცდილობს, ხელი შეუშალოს რუსული იარაღის გავრცელებას მთელ მსოფლიოში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ ბიზნესით რუსეთის ბიუჯეტი მილიარდობით დოლარით ივსება. გარდა ამისა, იარაღის მსოფლიო ბაზარზე სერიოზული კონკურენციის ფონზე ამერიკული საიარაღო ფირმები (რომელთა აქციებიც აშშ-ის ხელისუფალთაც ბლომად აქვთ) ყველა ღონეს იხმარენ რუსული იარაღის „ჩასაძირად".

**რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა**

არ გამოგრჩეთ!
სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი




ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

# მორიგებული „მამები" და საიდუმლო სატელეფონო ჩანაწერები

2000 წლის 25 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, ტაგანროგელ კრიმინალურ ავტორიტეტს ვლადიმირ იაიცკის, მეტსახელად „პუპიკს", შუბლში დაახალეს ტყვია. და ეს მოხდა არა სადმე ქალაქგარეთ ან სადღაც მიყრუებულ უბანში, არამედ ქალაქის ადმინისტრაციის წინ მდებარე მოედანზე.

თავდამსხმელმა იქვე დატოვა მანქანა და მიიმალა. გამოძიებამ მის ქართულ წარმომავლობაზე დაიწყო ლაპარაკი.

შემთხვევის ადგილზე დარჩა იაიცკის ჯიპიც — „მიცუბიში პაჯერო". დაჭრილი უმალ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ ექიმების ერთსულოვანი დასკვნით, გადარჩენის შანსი არ არსებობდა. დაჭრილი კი კიდეც გადარჩა, საავადმყოფოდანაც გაიპარა და აორთქლდა მისი ჯიპიც, მკვლელობის მცდელობის სამხილი. მეტიც, მილიციამ ამ შემთხვევის შემსწრე ვერც ერთი მოწმე ვერ ნახა. საქმეში მილიციის საოლქო სამსახური ჩაერთო.

ტაგანროგში საგანგებოდ ამ საქმისთვის ჩასულმა ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილმა მაძებარმა ანდრეი სოლომატინმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს საქმე უხმაუროდ არ ჩაივლიდა — დაღვრილ სისხლს ახალიც მიემატებოდა. გრძნობდა, რომ ამ დღეებში სადღაც იქვე, შესაძლოა, მეზობელ სახლშიც, ახლა გაცხოველებული კრიმინალური გარჩევები მიმდინარეობდა და წუთი წუთზე ტყვია გავარდებოდა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ მკვლელობა იაიცკის საძმოსთან დაპირისპირებულ ვლადიმირ დიგაის, მეტსახელად „დიგას" დაჯგუფების შეკვეთა უნდა ყოფილიყო. დიგას ხალხი აკონტროლებდა, მათივე თქმით, უყურებდა ტაგანროგს. ამ დროს კი არამკითხე რობინ ჰუდი, ვიღაც პუპიკი საქმეებს არჩევს და პატიოსნად წყვეტს ყველა დავას; დაჩაგრულების ქომაგია, ჭკუაც უჭრის და მუშტიც ღონიერი აქვს. მართალია, მისი სამართალი ქურდულია და თვითონ და მისი ხალხიც წმინდა წყლის კრიმინალები არიან, მაგრამ დაუკრეფავში არასდროს გადადიან და ამის გამო არც მილიცია აწუხებთ. შემოსავლის ძირითად წყაროდ პატრონებისათვის დაბრუნებული თანხებიდან მიღებული პროცენტები აქვთ და რადგან ტაგანროგის კომერციულ სტრუქტურებში ე. წ. გადაგდება ჩვეულებრივი მოვლენაა, მათი ბიზნესი ყვავის. დიგაის კი „კეთილი ძია" არ სჭირდება იმ ქალაქში, სადაც მისი შიშით აქაური ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც მასთან კონსულტაციის გარეშე უბრალო გადაწყვეტილებასაც ვერ იღებს.

კილერობაში ეჭვმიტანილი ქართველი ვიტალი დარჯანია დიგაის დაჯგუფების წევრია. ჯერჯერობით სუფთა წარსული აქვს. ერთ დროს კარგი სპორტსმენი იყო ისეთ სახეობაში, როგორიცაა ბრძოლა წესების გარეშე და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ რატომღაც ნარკოტიკებზე „შეჯდა" და შავ სამყაროში გადაინაცვლა... დიგაისა და ალექსანდრ ბელიაკოვის გვერდით. დიახ! დიგაი კი მიიჩნეოდა კრიმინალური დაჯგუფების მეთაურად, მაგრამ გაერთიანებაში ყველაზე დიდი „ავტორიტეტი" ბელიაკოვია. სწორედ ის, რომელმაც ამ ექვსი წლის წინ ტაგანროგის ერთ-ერთ რესტორანში ჯერ მუშტი-კრივი გაუმართა მილიციის ოფიცრებს, შემდეგ სახლში წავიდა, თოფი წამოიღო და ერთი მათგანი მოკლა, მეორე კი მძიმედ დაჭრა. იმავე საღამოს ოჯახიანად ორი წლით გადაიკარგა. მერე თითქოს დაიჭირეს კიდეც და სასამართლომ დაიჯერა, რომ ბელიაკოვმა დანაშაული აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა და ორი წელი მიუსაჯა, ისიც — პირობითად, თავისუფლების აღკვეთის გარეშე.

გასაგებია, რომ კრიმინალური დაჯგუფებები კონკურენტებს ვერ იტანენ, მაგრამ იაიცკი, რატომ უნდა გაემეტებინა სასიკვდილოდ მაინცდამაინც დარჯანიას. აკი პუპიკი იყო ერთადერთი კაცი მთელ იქაურ შავ სამყაროში, რომელიც გულით წუხდა ვიტალის წამალზე „შეჯდომას" და თითქოს ფიციც დაუდვია, ბიჭს გადავარჩენო. ახლა კი, აი... გასროლა ცენტრალურ მოედანზე. აქ აშკარად ვიღაცის ხელი ურევია.

ვიტალი დარჯანია იაიცკის სასიკვდილოდ არ გაიმეტებდა.

„ამ ქალაქში კანონი არ კანონობს. აქედან გამომდინარე, რაღაც ახალი, არაორდინარული ღონისძიებები უნდა გავატაროთ. ვითხოვ თქვენს თანადგომას", — წერდა ანდრეი საოლქო მილიციის ხელმძღვანელობას. სხვა გამოსავალი არ იყო. ერთადერთი, ვისი ციხეში გამოკეტვაც იმხანად შეიძლებოდა, სწორედ ვიტალი დარჯანია იყო, მაგრამ ადგილობრივი პროკურატურა იმას დასჯერდა, რომ ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვა. ამასობაში მილიციამ ვერა, მაგრამ ალექსანდრ ბელიაკოვმა მიაგნო თავში დაჭრილ პუპიკს, რომელიც როსტოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში იწუშებდა ჭრილობას და საჩქაროდ მიაკითხა. არა იმიტომ, კიდევ ერთი ტყვია დაეხალა მისთვის, უბრალოდ, სთხოვა, როცა მილიცია დაჰკითხავდა, არაფერი ეთქვა თავდასხმის შესახებ.

— ვთქვათ და, ასეც მოვიქეცი, მაგრამ მე ხომ დავინახე, ვინც მესროლა. თქვენი კაცი, ვიტალი დარჯანია იყო.

— ეგეც ვიცით, მაგრამ ამჯერად ეს მისი, ასე ვთქვათ, პირადი ინიციატივა იყო. მაგას მოვუვლით.

პუპიკს რას მოატყუებდნენ. ხვდებოდა, უფრო სწორად, დანამდვილებით იცოდა, რომ ბელიაკოვი ცრუობდა, მაგრამ ქურდულ სამყაროში ამ კაცის უდიდესი ავტორიტეტი ამის თქმის უფლებას არ აძლევდა. ამიტომაც დათანხმდა და თითქოს მშვიდობაც დამყარდა. ამისთვის იყო, როსტოველ მაძებარს აქაურ პროკურატურაშიც არაორაზროვნად რომ მიანიშნეს: „მამები" უკვე მორიგდნენ. თავდასხმა არ ყოფილა; იყო შემთხვევითი გასროლა; თვითონ იაიცკის არც მილიციისთვის, არც ქალაქის პროკურატურისთვის არ მიუმართავს; რაში გვჭირდება სხვის გარჩევებში ხელის ფათური; მგლები დაძღნენ; არც ცხვრებს დაჰკლებიათ რამე. ერთადერთი დარჯანიას საქმელა დარჩა გასარკვევი და მასაც „მამები" მოუვლიანო.

პუპიკს რას მოატყუებდნენ. ხვდებოდა, უფრო სწორად, დანამდვილებით იცოდა, რომ ბელიაკოვი ცრუობდა, მაგრამ ქურდულ სამყაროში ამ კაცის უდიდესი ავტორიტეტი ამის თქმის უფლებას არ აძლევდა. ამიტომაც დათანხმდა და თითქოს მშვიდობაც დამყარდა. ამისთვის იყო, როსტოველ მაძებარს აქაურ პროკურატურაშიც არაორაზროვნად რომ მიანიშნეს: „მამები" უკვე მორიგდნენ. თავდასხმა არ ყოფილა; იყო შემთხვევითი გასროლა; თვითონ იაიცკის არც მილიციისთვის, არც ქალაქის პროკურატურისთვის არ მიუმართავს; რაში გვჭირდება სხვის გარჩევებში ხელის ფათური; მგლები დაძღნენ; არც ცხვრებს დაჰკლებიათ რამე. ერთადერთი დარჯანიას საქმელა დარჩა გასარკვევი და მასაც „მამები" მოუვლიანო.

ანდრეი სოლომატინი დარწმუნდა, რომ ტაგანროგელ სამართალდამცავებთან ვერაფერს გახდებოდა, როსტოვში დაბრუნდა და დიდი ომის შემდეგ დიგაი-ბელიაკოვის დაჯგუფების წევრების ტელეფონების მოსმენის ნებართვა აიღო საოლქო სასამართლოსგან. ბუნებრივია, ტაგანროგში არაფერი იცოდნენ ამის შესახებ.

ამ საიდუმლო ომში მაძებარს არც ჩხრეკები ჩაუტარებია, არც მანქანებით დევნა დაუწყია და არც სანქცირებული თვალთვალი დაუწესებია. მხოლოდ კრიმინალების სატელეფონო საუბრებს აგროვებდა. ბევრი, ძალიან ბევრი კასეტა დაგროვდა როსტოვში, ტაგანროგიდან შორს. თითოეული მათგანი გულდასმით იშიფრებოდა, მაგრამ კარგა ხანს ისეთს ვერაფერს ჩაავლეს ხელი, საქმეს რომ წაადგებოდა.

და აგერ — იაიცკიზე თავდასხმის დეტალები გამოიკვეთა. უკვე შეიძლება, საფუძვლიც არსებობს ბანდიტების დასაკავებლად, მაგრამ მაძებარმა იცის, რომ ტაგანროგში ასეთი „მტკიცებულებებით" ვერაფერს გააწყობს, ბანდიტებს არ დააჭერინებენ. ამიტომ ისევ როსტოვში ჩალიჩობს. საოლქო პროკურატურის თანხმობით ერთ საღამოს ისე მოიტაცებს ვიტალი დარჯანიას, რომ ვერავინ ვერაფერს იგებს.

და კვლავ სატელეფონო საუბრის ჩანაწერები:

— ალო...

— საშა, შენა ხარ? ეს მე ვარ, ვოვა. სალამი!

— სალამი.

— არ იცი, სად არის ვიტალიკი?



— რა ხდება?

— ისე, რა...

— უფრო სწორად?

— ვიტალიკი არ იცი სად არის?

— შენ რა, საქმე გაგეჭედა?

— არა, მე არა მიშავს.

— ვიტალიკი თითქოს მივლინებაში წავიდა... მილიციიდან დარეკეს. თქვეს, რომ საბუთები მათთანაა. მანქანა უკვე მთელი კვირაა თეთრი სახლის წინ, მოედანზე აგდია. საბურავები დაშვებულია და კარიც ღიაა.

— მერედა სად არის ვიტალიკი?

— არ ვიცი.

— შენ თვითონ სად ხარ?

— ვიტალიკის სახლში.

ვიდრე ეს საუბარი მიმდინარეობდა, ვიტალი დარჯანია როსტოვის მილიციის სამმართველოში იძლეოდა ჩვენებას.

აცხადებდა, რომ იმ საბედისწერო დღეს მან შემთხვევით იპოვა 1936 წელს გამოშვებული იტალიური „ბერეტას" მარკის პისტოლეტი და პუპიკს აჩვენა. აი ამ დროს კი გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა, იარაღი გაუვარდა; ეგონა, კაცი მოკლა და შემთხვევის ადგილიდან ისე გაიქცა, რომ მანქანა აღარც გახსენებია.

სატელეფონო საუბრების ჩანაწერებიდან სოლომატინმა იცოდა, რომ სროლის შემდეგ კილერმა მანქანა ვეღარ დაქოქა და იძულებული გახდა, ფეხით გასცლოდა იქაურობას. ახლა ყველაზე კარგი ის იქნებოდა, პუპიკს რომ მიეცა ჩვენება, რომლის შემდეგ დარჯანიას მხილება იოლი იყო, მაგრამ იაიცკიმ ქვა აგდო და გახვრეტილი შუბლი შეუშვირა: თავი დამანებეთ! არაფერიც არ მომხდარა, ჩვენებას არ ვიძლევიო და პირში წყალი ჩაიგუბა.

ანდრეი სოლომატინმა იაიცკის სისხლით მოსვრილ ჯიპსაც მიაგნო, მანქანის ჭერში გაჭედილი იმ ტყვიის გულაც იპოვა, თავი რომ გაუხვრიტა პუპიკს, მაგრამ მაინც პასუხი ვერ მოეძებნა კითხვებზე, რამ აიძულა დარჯანია მკვლელობაზე წასულიყო; რა შესთავაზეს ისეთი, რომ უარი ვერ თქვა კაცის, მით უმეტეს, მისივე წრის კრიმინალის მოკვლაზე?

საბედნიეროდ, ესეც მალე გაარკვია. დიგაიმ და მისმა ხალხმა მაცდური კომბინაცია გაითამაშეს, — ხმა გაავრცელეს, რომ პუპიკი ვიტალის მოკვლას აპირებდა და დარჯანიას შესთავაზეს, დაესწრო მისთვის, მაგრამ მისიანებისგან განწირული დარჯანია კვლავაც შემთხვევით გასროლას „აწვებოდა" ჩვენებაში; არც იაიცკი იღებდა ხმას. დაუწერელი „დუმილის კოდექსი" ორივესთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე სისხლის სამართლის დაწერილი კოდექსი. ამასთან, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იმ ავბედით და ანტიკვარულ „ბერეტას" სასხლეტის გამოკვრას არცთუ პატარა ღონე სჭირდებოდა, რომ გავარდნილიყო. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ არც გამოძიებას, არც სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოსაზრება იარაღის შემთხვევით გავარდნის თაობაზე. ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი და ესეც დადგინდა სატელეფონო საუბრის გაშიფვრის შემდეგ.

როგორც გაირკვა, იაიცკიზე თავდასხმას ბელიაკოვი ხელმძღვანელობდა და საქმეში ჩართულ შვეცსა და კიროჩენკოსთან ერთად თავდასხმის წინ რამდენიმე საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ პუპიკს. ყველა მათგანი ფიჭური ტელეფონით სარგებლობდა და იმ დღეს არც ერთს არ მოსვლია ფიქრად, თავიანთი ტერმინოლოგიით ესარგებლათ. შემდეგი ჩანაწერებიდან ირკვეოდა, როგორ მალავდნენ თავიანთ ოჯახებს დიგაი-ბელიაკოვის დაჯგუფების წევრები პუპიკზე თავდასხმის შემდეგ, მთელი ერთი თვის განმავლობაში, ბუნებრივია, შურისძიების შიშით. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო და მაინც როგორ არ ეცადა ანდრეი სოლომატინი მკვლელობის განზრახვის დადგენას, ვერაფერს გახდა. ტაგანროგელი სამართალდამცავების წყალობით კრიმინალებმა მიაღწიეს იმას, რომ საქმეს წინასწარგანზრახვის გარეშე სხეულის მძიმე დაზიანების კვალიფიკაცია მისცეს. არადა მანამდე საოლქო პროკურატურამ ბანდის წევრების დაპატიმრების სანქცია გასცა. მხოლოდ მისმა ორმა წევრმა მოასწრო მიმალვა, დიგაი და ბელიაკოვი კი მათ საყვარელ კაფეში აიყვანეს. ბანდიტთა თავკაცებმა ვერაფრით ახსნეს, რა დანაშაულისთვის მოექცნენ მათ ასე მკაცრად და ეს როსტოველ მილიციელთა თვითნებობას დააბრალეს. მოგვიანებით კი, როცა შეიტყვეს, რომ მათი დამღუპველი ფიჭური ტელეფონები ყოფილა, ქალაქში პანიკა ატყდა და ბევრმა კრიმინალმა სანაგვე ურნაში გადაუძახა ჩვენი დროის ეს უდიდესი გამოგონება. მაგრამ რად გინდა — მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნა სატელეფონო საუბრების ჩანაწერებში დარჯანიას, ბელიაკოვისა და სხვების ხმების იდენტურობას ადასტურებდა, ტაგანროგის სასამართლომ ეს გარემოება მტკიცებულებად არ მიიღო.

ანდრეი სოლომატინი და მისი თანაშემწეები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სახეზე იყო დანაშაულის ყველა ნიშანი, მაგრამ ამავე დროს დაზარალებული ყველაფერს უარობდა — დარჯანიას არ უსვრია, ბელიაკოვს ეს არ უნდოდაო და ა.შ...

იწურებოდა დაკავებულთა საპატიმრო ვადაც. დიგაი-ბელიაკოვის დაჯგუფება გამარჯვებას ზეიმობდა და სწორედ იმ რესტორანში გეგმავდნენ ქეიფს, სადაც როსტოველებმა მათი თავკაცები დააპატიმრეს და თითქოს დამწვარზე მალამო გადაუსვესო, მაძებრებს მაინც გაუმართლათ. სულზე მიუსწრო სატელეფონო საუბრების ახალმა გაშიფრულმა ჩანაწერმა, რომლის მიხედვითაც ფარდა აეხადა ბევრ დანაშაულს — ბანდიტური დაჯგუფების მიერ ფულის გამოძალვას, ავტომანქანების დაყაჩაღებასა და სხვა დანაშაულებს, რომელთა შესახებ არაფერი იცოდნენ „ტაგანროგელმა სამართალდამცველებმა."

მიაკითხეს დაზარალებულებსაც. სოლომატინმა თითქმის ძალით ჩაიყვანა როსტოვში ერთი კალინინგრადელი, რომელსაც ბანდის წევრებმა ახალთახალი „აუდი" წაართვეს. ისე ჰყავდათ დაშინებული ბანდიტებს, რომ ჩვენების მიცემას სულაც არ აპირებდა, მაგრამ როცა საოლქო პროკურატურის ეზოში თავისი მანქანა დაინახა, კალამი და ქაღალდი მოითხოვა. სხვა დაზარალებულებმაც კალინინგრადელს მიჰბაძეს და ამჯერად ბანდა უკვე მყარად დაჯდა საბრალდებო სკამზე: ბელიაკოვს თორმეტი წელი მიუსაჯეს; დიგაის, დარჯანიასა და დიდენკოს კი ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა.

P. S. მას შემდეგ ოთხმა წელმა განვლო, შესაძლოა, ახლა ყველა მათგანი თავისუფალია, რადგან ჩვენი არ იყოს, არც რუსეთის სასამართლოს ჰქონდა მაშინ კარგად საქმე.

**ვაჟა გავაშელი**



# ოპოზიციის კომფორტს ქვეყნის ინტერესს ვერ შევწირავთ



## რატომ გაუშვეს კვიციანი?

(დასაწყისი გვ.7)

— **ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ თავიანთი განცხადებების გამო ნათელაშვილსა და თუნდაც ირინა სარიშვილს მოუხდეთ პასუხისგება? ამ უკანასკნელმა ტელეეთერში გაიმეორა ბათიაშვილისთვის საბედისწეროდ ქცეული სიტყვა — „გამაგრდით“.**

— ბრალდების საფუძველი მხოლოდ მტკიცებულებებია...

— **თუკი ბათიაშვილისთვის იქცა ეს სიტყვა მტკიცებულებად?**

— იმ სახის მტკიცებულებები, რომლებიც არსებობდა ბათიაშვილის შემთხვევაში, არ არსებობს ნახსენები ადამიანების მიმართ. შესაბამისად, პოლიტიკური შეხედულებების გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემიან. თუმც მათ მიმართ განაჩენი მაინც დადგება — ხალხის დამოკიდებულებას ვგულისხმობ.

— **ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ბათიაშვილი მხოლოდ კვიციანთან სატელეფონო საუბრის გამო არ აღმოჩენილა გისოსებს მიღმა.**

— საკმარისი მტკიცებულებები არსებობდა ბათიაშვილისთვის ბრალის წარსადგენად და საიმისოდ, რომ მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდებოდა. რამდენადაც ვიცი, სატელეფონო საუბრების გარდა სათანადო სტრუქტურებს ბათიაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა ინფორმაცია და მტკიცებულებებიც აქვთ. წარსული და განვლილი გზა არავის აძლევს დანაშაულის ჩადენის უფლებას.

მე ვესაუბრე ქალბატონ ელენე თევდორაძეს, რომელმაც მითხრა, ბათიაშვილი ისეთ პირობებშია, როგორიც საქართველოში არც ერთ პატიმარს არ აქვსო. მას ისიც კი შესთავაზეს, თუ მარტო ყოფნა არ გინდათ, სხვა პატიმრებთან გადაგიყვანთო. ამიტომ აბსოლუტური სიცრუეა, რომ ამბობენ, ბათიაშვილი განგებ ჰყავთ იზოლირებულიო. მერწმუნეთ, არც მისი ლიკვიდაციის საფრთხე არსებობს. ვის რაში სჭირდება ირაკლი ბათიაშვილის მოკვლა?

— **კოდორის სპეცოპერაცია იმდენად კარგად იყო დაგეგმილი, რომ გამოითქვა ვარაუდი, — ყველაფერი ეს კარგა ხნის წინ დაიგეგმა და კვიციანი ხელისუფლების პროვოკაციას წამოეგოო.**

— წინასწარ არაფერი დაგეგმილა... რა უნდა ქნას ხელისუფლებამ, რომ არავის გაუჩნდეს ეჭვი, — არც იფიქროს და არც არაფერი აკეთოს? ოპოზიციის კომფორტს ქვეყნის ინტერესს ვერ შევწირავთ. კიდევ არაერთი წარმატება გვექნება, რომელიც კვლავ გამოიწვევს ოპოზიციის დისკომფორტს.

გავიგე, ისიც თქმულა, პრეზიდენტს გარედან დაეხმარნენ რჩევებითო. ასეთი განცხადებების საფუძველი ის არის, რომ აქამდე არ გვყოლია ისეთი ხელისუფლება, რომელიც გააზრებულ ნაბიჯებს დამოუკიდებლად გადადგამდა. ამიტომ საკმარისია, წარმატებას მივაღწიოთ, რომ უმალ იწყება მისი მიზეზის ქვეყნის გარეთ ძებნა. გარედან ნამდვილად არავის წაუშველებია ხელი.

— **აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება მეტისმეტად გაღიზიანებულია კოდორის ამბებით, მათ ჩრდილოკავკასიელებიც მხარს უბამენ. შესაბამისად, კონფლიქტის განახლების ალბათობაც დიდია...**

## „ვის რაში სჭირდება ბათიაშვილის მოკვლა?“

— მათი ქმედებები ლაკმუსის ქაღალდია ჩვენი წარმატებებისთვის. ნებისმიერ პროვოკაციას უმკაცრესად აღვკვეთთ და ყველას საკადრისს მივუზღავთ.

— **ჩვენს პირისპირ ხომ რუსეთი იქნება.**

— რუსეთთან ომი არ მოგვიწევს. ომის დაწყებას არავისთან ვაპირებთ და არც ვინმეს პროვოცირებას ვგეგმავთ, მაგრამ ვინც თავს დაგვესხმება, ადეკვატურ პასუხს მიიღებს. ქართულ ძალოვან სტრუქტურებს რა შეუძლიათ, ეს ახლახანაც კარგად დავინახეთ და მომავალშიც ვნახავთ.

— **ხელისუფლება ოპოზიციაზე განაწყენებულია, კრიტიკულ მომენტში გვიგანაო, მაგრამ თამაშგარეთ რომ სწორედ ხელისუფლების წყალობით დარჩა, ესეც ფაქტია.**

— რა განცხადებებიც გააკეთეს, მას შემდეგ ვინ ჩართავდა თამაშში? ოპოზიციის დიდმა ნაწილმა კლასიკური ანტისახელისუფლებო და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები გააკეთა. რატომ გარისკავდა ხელისუფლება და რატომ ჩართავდა ასეთ ხალხს თამაშში, რატომ გაიხდიდა ასეთ ხალხს თანამებრძოლებად? ეს ხომ ისინი არიან, რომლებიც მეამბოხეებს გმირებად აცხადებდნენ და მადლობას უხდიდნენ.

— **მათი განმარტებით, მეამბოხეებს გმირობად ის ჩაუთვალეს, რომ თანამოძმეებზე იარაღი არ აღმართეს და შშს შენაერთებს განერიდნენ.**

— ტყუილია... პირველივე პოლიციელის გამოჩენისთანავე ცეცხლი გახსნეს. აბსურდია გავრცელებული ხმა, — ჩეჩნები ეგონათ და ამიტომ ისროლესო. მეამბოხეები დამარცხდნენ ხელისუფლებასთან და ამიტომ უშველეს თავს გაქცევით. იყო კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც — მათ არც მოსახლეობა უჭერდა მხარს.

— **ითქვა, კვიციანის დაჭერა არც უნდოდა ხელისუფლებას და ამიტომ გაუშვესო.**

— ასე სჯობიაო, გადაწყვიტეს სათანადო სტრუქტურებმა და მათ ვენდობი.

— **რატომ გაუშვეს მეამბოხე კვიციანი?**

— ეტყობა, მისი დაპატიმრება ან ლიკვიდაცია ზედმეტ რისკთან და დიდ მსხვერპლთან იქნებოდა დაკავშირებული. პრეზიდენტის მოთხოვნა იყო, მსხვერპლი მინიმალური იყოსო. კოდორელი ქალის სიკვდილი იმ ადამიანების სინდისზეა, რომელთაც მისი სახლიდან ცეცხლი გახსნეს — საზენიტო დანადგარიდან დაუშინეს შვეულმფრენს და ცხადია, საპასუხო სროლაც დაიწყო.

— **ხელისუფლების შეფასება ძალზე მკაცრი იყო, — თითქმის ყველა არასახელისუფლებო ძალა ქვეყნის მტრად გამოცხადდა. ეს საშინელი იარლიყია.**

— საშინელება ის არის, რომ ეს შეფასება ადეკვატური და რეალურია. ოპოზიციამ ეროვნულ ინტერესს რომ ზურგი შეაქცია, ფაქტია. ამის შემდეგ გინდ მოღალატეები დაარქვით, გინდაც — სხვა რამ. ხვალ-ზეგ ჩვენი ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე რომ დადგება, ეს ხალხი ისევ შექმნის კონსოლიდაციის პრობლემებს.

— **და ამიტომ გაჩნდა იდეა, რომ მიგვეღოთ კანონი პოლიტიკური ექსტრემიზმის წინააღმდეგ?**

— ამ კანონს ასე არ ჰქვია და გადაწყვეტილებაც არ მიგვიღია, ამოქმედდება თუ არა. მომხდარმა დაგვანახვა, რომ აუცილებელია სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცეს ძალზე რადიკალურ განცხადებებს, რომლებიც პოლიტიკური საბურველით არის შემოსილი, მაგრამ რეალურად მყისიერი საფრთხის შექმნას ისახავს მიზნად. არავის პოლიტიკური შეფასებები არ მაინტერესებს, მე სახელმწიფო ინტერესი მამოძრავებს. როდესაც ქვეყანა განსაცდელის წინ აღმოჩნდება, იმასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ რას გაიფიქრებს, არათუ — ნათქვამს. რისკის წინაშე ვერ დავაყენებთ ქვეყანას. სამართლებრივი შეფასება უსათუოდ უნდა მიეცეს გამონათქვამებს, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ, შეიარაღებული გამოსვლებისა და ტერორიზმის მხარდასაჭერად. თუ ვინმე ამგვარ დანაშაულს ჩაიდენს, გინდ ხელისუფლების წარმომადგენელი იყოს, გინდ — ოპოზიციისა, უსათუოდ მოუწევს მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა.

*იზო რიკაძე*

# „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ“ აჭარაში სტუდენტები დაასაქმა

მსოფლიოში ცნობილი ბრენდი „ბორჯომი“ მხოლოდ წყურვილს არ კლავს. მინერალური წყალი ორგანიზმს აკაჟებს. „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“ კი თითქმის დაარსებიდანვე ზრუნავს საზოგადოების ცხოვრების ჯანსაღი წესის განსამტკიცებლად. ამიტომაც დღემდე „ბორჯომის“ ეგიდით არაერთი საინტერესო, ნოვატორული პროექტი განხორციელდა. ერთი კვირის წინ დაწყებული აქცია შესაძლოა ტრადიციად იქცეს და მისაბაძიც კი გახდეს. ორმოცდაათი, „ბორჯომის“ ლოგოთი დამშვენებული მაისურით შემოსილი სტუდენტი აჭარის რეგიონის საკურორტო ზონის დასუფთავებაზე ზრუნავს. ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება, საკუთარი შრომით გამოიმუშაონ გასამრჯელო. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ამიერიდან ყოველ ზაფხულს დაასაქმებს სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს.



პირველი აქცია 1 აგვისტოს დაიწყო. თანაც განსაკუთრებული შემართებით. აქციის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ხელმძღვანელობამ აჭარის ადმინისტრაციიდან წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ სტუდენტები განსაკუთრებული შემართებით მუშაობენ და პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. კომპანიის გენერალური დირექტორი **ზაზა კიკვაძე** ამ შედეგით კმაყოფილია.

— ჩვენ ავიტაცეთ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა, რომელიც სტუდენტების დასაქმებას ეხებოდა. ჩვენ გვქონდა სურვილი, განგვეხორციელებინა გარკვეული პროექტი, რომელიც სასარგებლო იქნებოდა როგორც ქვეყნისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. დიდხანს ვმსჯელობდით, თუ რა სახის აქცია ჩაგვეტარებინა. დასუფთავებით და საზოგადოებისთვის სასარგებლო სხვა საქმეებით სტუდენტების დასაქმების პრეზიდენტისეულმა იდეამ გარკვეულწილად გაგვიიოლა საქმე, დარწმუნებული ვარ, სტუდენტები მიეჩვევიან შრომას, წესრიგს და მიხვდებიან, თუ რა სასიამოვნოა საკუთარი შრომით მიღებული ხელფასის დახარჯვა.

პარალელურად მიეჩვევიან და მიაჩვევენ გარშემომყოფებს, იზრუნონ გარესამყაროზე, იზრუნონ საკუთარი ქვეყნის კეთილმოწყობაზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საკურორტო ზონებში. თუ ტურისტული ბიზნესის განვითარება გვინდა, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურითა და დაბინძურებული გარემოთი ვერაფერს გავხდებით.

ზაფხულის სეზონის გამო აქციის ჩატარება ზღვისპირეთში გადავწყვიტეთ. დავუკავშირდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას და შევთავაზეთ, „ბორჯომის“ ეგიდით 50 სტუდენტს დაესუფთავებინა ბათუმის, ქობულეთის და ჩაქვის ცენტრალური სკვერები და პარკები. ძალიან მოეწონათ ჩვენი წინადადება და ყველანაირად დაგვეხმარნენ. ფაქტობრივად, ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, აჭარის ადმინისტრაციამ საკუთარ თავზე აიღო.

— ***რამდენ დღე გაგრძელდება თქვენი აქცია?***

— პროექტის თანახმად, სტუდენტები დასაქმდებიან 25 სამუშაო დღის განმავლობაში და მიიღებენ ხელფასს ხელზე — 200 ლარს. ამასთან, აჭარის ხელისუფლება ადგილობრივი ბიუჯეტიდან აფინანსებს ამავე აქციის მონაწილე 550 სტუდენტს.

პროექტის პრეზენტაციაზე 50 სტუდენტს გავუფორმეთ პირველი შრომითი ხელშეკრულება. ვხედავდი 50 გაბრწყინებულ სახეს და გამახსენდა ჩემი პირველი საქმიანი კონტრაქტი და პირველი ხელფასი.

— ***თქვენი „პარტნიორი“ სტუდენტებისთვის ალბათ საინტერესო იქნებოდა გამოცდილი ბიზნესმენის მოგონებები.***

— სამწუხაროდ, ჩემი სტუდენტობის დროს არავის შემოუთავაზებია ასეთი საინტერესო წინადადებები. ამიტომაც მთელი ზაფხული, ისევე როგორც მთელი წელი, მატერიალურად მშობლებზე ვიყავით დამოკიდებული. არადა ჩვენს თაობასაც სურდა, საკუთარი ფული ჰქონოდა და არავინ იტყოდა უარს, მისი გამომუშავების საშუალება რომ მისცემოდა. სტუდენტი ვიყავი, როდესაც 1986 წელს საზოგადოებას კოოპერატიული საქმიანობის უფლება მიეცა და პირველი კოოპერატივებიც გაჩნდა. სამმა მეგობარმა წამოვიწყეთ საკუთარი ბიზნესი. თავად ვამზადებდით პროდუქციას და თავად ვზრუნავდით მის რეალიზაციაზე. ჩვენი ძირითადი ბაზარი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში იყო. კარგად მახსოვს, როგორ გავიტანეთ პირველი პროდუქცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ და როგორ გავაფორმეთ პირველი კონტრაქტი მალაზიათა ქსელთან. პირველ კონტრაქტს პირველი ხელფასი მოჰყვა, რაც სწორედ სტუდენტურ არდადეგებს დაემთხვა. დიდი შრომისა და უძილო ღამეების შემდეგ პირველი წარმატება ძალიან სასიამოვნო იყო. ერთდროულად ვსწავლობდით და ვშრომობდით. ამასთან, დიდი პასუხისმგებლობა ვიკისრეთ მშობლების წინაშე — საქმის დასაწყებად მათგან ვისესხეთ ფული. გარიგება ჯენტლმენურ პირობებს ეფუძნებოდა, რისკი ძალიან დიდი იყო, მაგრამ ჩვენმა გამბედაობამ გაამართლა.

— ***თუ ბათუმიდან მიღებული წერილით ვიმსჯელებთ, თქვენი კომპანიის ახალმა ინიციატივამაც გაამართლა.***

— გვჯეროდა, რომ ასეც იქნებოდა. აქციის გახსნაზე ჩვენს ახალბედა „პარტნიორებს“ ავუხსენი, რომ მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო, რადგან პირველი საქმიანი ხელშეკრულება გააფორმეს ძალიან სერიოზულ კომპანიასთან. შესაბამისად, თითოეული მათგანი უკვე „ბორჯომის“ სახეს წარმოადგენს. ამით უზარმაზარი პასუხისმგებლობა დაეკისრათ. ისინი გახდნენ ჩვენი თანამშრომლები, რათაც მიეცათ საშუალება, ღირსეულად შეასრულონ ის პასუხისმგებლობა, რაც მათ ამ ნაბიჯით [illegible]




[illegible] მავალ ცხოვრებაში იმას, თუ რამდენად შრომისმოყვარე და პრინციპული ადამიანები ჩამოყალიბდებიან.

— ***სამომავლოდ რას აპირებთ?***

— ასეთი აქციის პერმანენტულად განხორციელებას. [illegible]

# „ბაბუ, ხომ მოხვალთ ხოლმე ჩემს საფლავთან და სანთელს ხომ დამინთებთ..."

*მისი სამარე სიონის ეზოს უფლის ნატერფალივით ამჩნევია.. მერე თითქოს ეს წმიდა ნაკვალევი სხვა საფლავებით გრძელდება, ტაძარს გარს უვლის, წყდება და.. ბოლოს ზეცას უერთდება..*

*მამა ალექსივით უბრალო ეს ძვალთშესალაგი პატარა, თეთრი მარმარილოთი ერთადერთ და უკანასკნელ თხოვნად ამოჭრათის თითქოს თავის მოდგმას: „ბაბუ, ხომ მოხვალთ ხოლმე ჩემს საფლავთან და სანთელს ხომ დამინთებთ..."*

*ბიოგრაფიიდან*

*ეპისკოპოსი* **ალექსი გერსამია** *მღვდლის, ილარიონ გერსამიას და ქსენია ჩაჩხიანის ოჯახში 1865 წლის 14 აპრილს დაბადებულა. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ ჯერ მესტიის სამრევლო სკოლის მასწავლებლად გაამწესეს, 1890 წლიდან — ლაილაშის დიაკვნად, ხოლო 1891-დან კი — მღვდლად...*

*1925 წლის 8 ნოემბრიდან იგი უკვე ცაგერის ეპისკოპოსია, 1928 წლის 2 მარტიდან — ეპისკოპოსი ჭყონდიდელი და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველი, ხოლო 1930 წლის სექტემბრიდან — ნიკოზის ეპისკოპოსი... 1938 წლის 7 თებერვალს საავადმყოფოში იმ მიზეზით გარდაიცვალა, რომ ოპერაციის დროს სისხლის გადასხმისას სისხლის ჯგუფი შეეშალათ(?!)...*

*ეპისკოპოს კალისტრატე ცინცაძის მოგონებებში, იმ დროის კონიუნქტურიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი ეპისკოპოს ალექსი გერსამიას პატიმრობის თაობაზე...*

**ლუარსაბ ტოგონიძე,** საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი: „ეპისკოპოს ალექსის დაპატიმრების შესახებ ნიკიტა თალაკვაძე თავის დღიურებში წერს, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში, ალექსის ფოთში მსახურებისას, მენავთობე ხოშტარიას ირანიდან მალულად მისთვის ტაძრის ალსადგენად ფული გამოუგზავნია, რის შემდეგაც ალექსიც და კიდევ სხვებიც დააპატიმრეს... ეს ამბავი, დაახლოებით, 1929-30 წლებში მოხდა..."

**ნათელა გერსამია,** ეპისკოპოს ალექსი გერსამიას შვილიშვილი: „ამ ამბავთან დაკავშირებით მახსოვს, როგორ იგონებდა ხოლმე თვალცრემლიანი დედაჩემი ბაბუაზე ერთ-ერთ სოლიდურ გაზეთში დაბეჭდილ ვრცელ წერილს სათაურით „ეპისკოპ — ვორ"... უმძიმესი ცხოვრება ჰქონდა, მახსოვს, ქუჩაში რომ გავდიოდით, ხან ქვებს ესროდნენ, ხან ლანძღავდნენ... გამუდმებით შეურაცხყოფდნენ... ჩემთვის ეს კოშმარული მოგონებებია... საბრალო ბაბუას კი ჯიბის რომელიღაც კუნჭულში უპოვრებისთვის და ყველასთვის, ვისაც ძალიან უჭირდა, ყოველთვის ჰქონდა გადანახული ხურდა. ძალიან მძიმე, სამარცხვინო და საშინელი წლები იყო და ეს საშინელება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა... სასულიერო წოდების გამო ხომ ჯოჯოხეთი გამოატარეს, ჩვენც დაბეჩავებულები დავდიოდით... სიკვდილის წინ, აგონიაში თურმე სულ იმეორებდა: — არაფერი დამიშავებია და არც არაფერი მომიპარავს, ნუ დამაპატიმრებთო — ისე იყო კაცი ტრავმირებული..."

მამა ალექსიმ მეუღლე, თეო ადრე დაკარგა და სამივე შვილი — პარასკევაც, დომინიკაც და დავითიც მარტომ



დაზარდა, იმათთვის, როგორც იტყვიან, ალექსი მამაც იყო და დედაც, — თავად ზანდა, ახვევდა და ძალიან კარგი განათლებაც მიაღებინა.

*ნათელა გერსამია:* — ბაბუამ მართლა მარტომ დაზარდა შვილები... ხომ გითხარით, უმძიმესი ცხოვრება ჰქონდა-მეთქი, მაგრამ როგორღაც მოახერხა — სამივე მათგანმა პეტერბურგში ისწავლა... ჰოდა, ერთ დღესაც ამ ჩვენმა სტუდენტებმა საქართველოდან ამანათი მიიღეს, ეგონათ, უფრო ზუსტად კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მამამ სასუსნავი გამოუგზავნათ, მაგრამ რომ გახსნეს, სახტად დარჩნენ — ყუთში ჩვენებური მიწა და მასზე ამობიბინებული იები დახვდათ... გული მტკივა, ბაბუასავით თბილ, სიყვარულით და სიკეთით სავსე ადამიანს ასეთი საშინელი ხვედრი რომ ერგო...

ბაბუაზე რომ ვლაპარაკობ, აუცილებლად უნდა გავიხსენო მამა ალექსი ჩხეტიანი (ალექსიზე, სქემაში — აბრაამ ჩხეტიანზე — „კვირის პალიტრა" მასალას მომავალში შემოგთავაზებთ და გთხოვთ, თუ რაიმე იცით ამ საოცარი მოღვაწის შესახებ, დაგვიკავშირდით, ავტ.), — ბაბუა, სვეტიცხოველში რომ მსახურობდა, სულ მასთან იყო, — ჩვენთან, თბილისშიც ხშირად ჩამოდიოდა. ჰოდა ერთხელაც, 30-იან წლებში, ე.წ. ნეპის ეპოქაში ალექსი ჩვენთან ჩამოვიდა, — ბაბუამ სთხოვა, იქნებ ჩემებს ერთი ბიდონი ნავთი მაინც აუღოო, — მოგეხსენებათ, რა გაჭირვება იდგა ქვეყანაში... საღამოს ადგა ალექსი, აიღო ბიდონი, ნავთის რიგში ჩადგა და მთელი ღამე იქ გაათია... მაგრამ ეს ნანინანატრი და იმ დროს ოქროსავით ძვირფასი ნავთი შინ რომ მოეჰქონდა, სიონთან შეჩერდა, ბიდონი მიწაზე დადგა და ლოცვა დაიწყო... ბევრი რომ ალარ გავაგრძელო, მოიხედა და სადღაა ნავთი... მოვიდა შინ და ვეკითხებით, — რა იქნა, ნავთი, მამა ალექსიო და — წაიღეს, მაგრამ იმან იკითხოს, ვინც წაიღო, თორემ ჩვენ რა, იმას რა ემველებაო... ისიც მახსოვს, როგორ განიცდიდა და რცხვენოდა ხოლმე, ბაბუა თავისი საეპისკოპოსო რეზიდენციის ეზოში ქათმებს ხორბალს რომ დაუყრიდა, — როგორ შეიძლება, ეპისკოპოსმა ქათმებს აჭამოსო... უსათნოესი იყო ალექსი, უბოროტო და ძალიან თავმდაბალი...

**— ბაბუს პატიმრობის შესახებ რა იცით?**

— მხოლოდ ის, ციხეში რომ ჩაუსვამთ, იქ ჩვენი ნათესავი, სერგო გოცირიძე შეხვედრია, იმ გოცირიძეს მამაჩემისთვის შემოუთვლია, — ნუ გეშინია, დავით, ალექსის აქ უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემსო... მახსოვს, ბაბუას ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა...

**— რა ბედი ეწია?**

— მისი დიდი ნაწილი, როგორც ვიცი, სვეტიცხოველში დარჩა, ნაწილი კი — დაიფანტა... მათ შორის გახლდათ ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემა...

ერთი ამბავიც მინდა გიამბოთ: როგორც უკვე ვთქვი, ალექსიმ სამივე შვილს განათლება პეტერბურგში მიაღებინა... იმ დროისათვის იქ ერთი წარჩინებული ქართველი გენერალი, გვარად გელოვანი (წარმოშობით ლეჩხუმელი) მოღვაწეობდა, რომელთანაც ბაბუას ნათელ-მირონი აკავშირებდა... მამა იტყოდა ხოლმე, რუსეთში სწავლისას ყოველ კვირას გელოვანებთან სადილზე აუცილებლად უნდა მივსულიყავითო...

რევოლუცია რომ მოხდა, მამაჩემმა პეტერბურგიდან ჯერ თავისი დები გამოგზავნა, მერე, რის ვაი-ვაგლახით, თავადაც გამოაღწია... იმ დროს თურმე შიმშილით წყდებოდა იქაური ქართველი სტუდენტობა... მამას იმან უშველა, რომ კარგად მღეროდა და ცოტა ხანს სიმღერით ირჩინა თავი... მერე, როგორც იქნა, მატარებელზე ბილეთი იშოვა და წამოსვლას აპირებდა, რომ საშა ყაზბეგმა დიდი ხვეწნა-მუდარით პირდაპირ მატარებლიდან ჩამოიყვანა, — ოღონდ ახლა ნუ წახვალ და რაც გინდა, მთხოვე, ცოტა ხნით დარჩიო... მოკლედ, მატარებელი, რომლითაც მამაჩემი აპირებდა გამომგზავრებას, არმავირში გააჩერეს და უკლებლივ ყველა მიახვრიტეს... ასე გადაარჩინა საშამ მამა.

**— განსაკუთრებული ურთიერთობა ვისთან ჰქონდა ბაბუათქვენს?**

— იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციასთან: კონსტანტინე გამსახურდიასთან, აკაკი შანიძესთან, ალექსანდრე ჯანელიძესთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, მღვდელ კარბელაშვილთან, რომელიც კომუნისტებმა თავის ძმებთან ერთად დახვრიტეს და ბევრ სხვასთან... კარგად მახსოვს კალისტრატე ცინცაძე, რომელიც ხშირად გვსტუმრობდა და სულ მეფერებოდა, აგრეთვე, სამთავროს მონასტრის მონაზვნები, რომლებთანაც ყოველი წლის გაზაფხულს ვრჩებოდი; ჩემი მშობლები სანახავად რომ მომაკითხავდნენ, გზიდანვე მხედავდნენ სამთავროს სამრეკლოზე, — იქ მიყვარდა ყოფნა. მონაზვნები უსათნოესი ადამიანები იყვნენ...

ერთადერთი, რაც ბაბუამ გვთხოვა, ის იყო, — ხომ მოხვალთ ხოლმე ჩემს საფლავთან და სანთელს ხომ დამინთებთო... ყოველი წლის 7 თებერვალს, მისი გარდაცვალების დღეს, მისი შთამომავლები მივდივართ ხოლმე...

რომ გარდაიცვალა, ბაბუას კუბოსთან ყვავილების მიტანა აკრძალეს, მხოლოდ იმის ნება დაგვრთეს, რომ იებით შემკული ჯვარი შეგვეტანა... 38 წელი იყო და ახსნა არ უნდა, რა საშიში იყო ეკლესიაში შესვლა. მამაჩემს მრავალრიცხოვანი სამეგობრო ჰყავდა და ყველას ეხვეწებოდა, — თუ ხათრი გაქვთ, ალექსის პანაშვიდზე ნუ მოხვალთო, რადგან კარგად იცოდა, ეს ნებისმიერის დასაპატიმრებლად მშვენიერი საბაბი იყო, მაგრამ მაინც მოვიდა ხალხი...

მთავრობამ პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს ბაბუას სიონში დაკრძალვაზე უარი უთხრა, მაშინ კალისტრატე ადგა და თქვა: — თუ ალექსის იქ არ დაგვაკრძალვინებთ, მთელი სამღვდელოება მის კუბოს პროცესიად გავყვებით ქალაქში და მთელი საეკლესიო რიტუალით დავკრძალავთო... ისე შეეშინდა ხელისუფლებას, განზრახვაზე ხელი აიღო და ბაბუას სიონის ეზოში დაკრძალვის ნება მისცა პატრიარქს...

კალისტრატეს უთქვამს, — ეჰ, მე კი ვასაფლავებ ალექსის, მაგრამ ჩემი დამმარხავი ალარავინ იქნებაო...

*მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ლუარსაბ ტოგონიძეს.*

P.S. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ნებისმიერი სახის მასალა სარწმუნოებისათვის წამებულ და ღვაწლმოსილ ადამიანებზე.

*საკონტაქტო ტელეფონებია: 8 99-93-48-40; 8 99-54-82-29.*

**მანანა ტუაევა**

## რას გვეტყვი, მამაო?

**— ძალიან გულჩვილი ვარ, როდესაც უცხო ადამიანიც კი ლაპარაკობს თავის ავადმყოფობაზე, საოცრად მეცოდება, რამდენიმე ხნის შემდეგ აუცილებლად ამტკივდება ის ორგანო ან ნაწილი, რაც დაავადებულ ადამიანს აწუხებს. გთხოვთ მირჩიოთ, თავი როგორ დავიცვა. გმადლობთ.**

— თქვენ ფსიქოლოგიური პრობლემები გაქვთ, დაფუძნებული ფსევდოჰუმანურობაზე და ფსევდომგრძნობელობაზე. იმის მაგივრად, რომ ავადმყოფი ადამიანის თანადგომა და გამხნევება შეგეძლოთ, თქვენ მის ადგილზე წარმოიდგენთ თავს და საკუთარი თავის სიბრალულით ალსავსე მართლაც იმ სიმპტომებს გრძნობთ, რაც სხვას აწუხებს. ეგოისტური კუთხით ნაკლებად იფიქრეთ საკუთარ თავზე. გამოიძიეთ საკუთარი ცოდვები, ნუ იქნებით მცირედმორწმუნე, დახმარების ხელი გაუწოდეთ უძლურთ ან ფსიქოლოგს მიმართეთ დახმარებისთვის.

**— გთხოვთ მიპასუხოთ, რა უნდა გააკეთოს (რა ლოცვები წაიკითხოს) დიდი მარხვის პერიოდში ჩასახული ბავშვის მშობელმა, რომ შვილი დაიცვას ბოროტი ძალებისგან?**

— მარხვაში ჩასახული იქნება ბავშვი თუ ხსნილში, დედის ვალია, იყოს კარგი ქრისტიანი, ანუ ეკლესიური ცხოვრებით იცხოვროს: ილოცოს, იმარხვოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ცოდვები გამოიძიოს და მოინანიოს. ლოცვით კანონს კი მოძღვართან ერთად შეარჩევს.

**— მაინტერესებს სამოთხეში თუ ხვდებიან ცხოველები, მაგალითად, ძაღლები?**

— ცხოველს, მათ შორის ძაღლს, არ გააჩნია ის, რაც მას ადამიანისგან განასხვავებს — უკვდავი სული. ადამიანი შექმნილი სამყაროს გვირგვინია და შესაბამისად, მასზე უნდა აღსრულდეს უფლის აღთქმანი. უმჯობესია, ცხოველების ბედზე ფიქრის ნაცვლად დაფიქრდეთ, თვითონ რას აკეთებთ იმისთვის, რომ თქვენ სამოთხე, ანუ სასუფეველი დაიმკვიდროთ.

**— სად მდებარეობს თბილისში წმ. პანტელეიმონის სახელობის ტაძარი?**

— წმ. პანტელეიმონის სახელზე თბილისში ორი ტაძარი არსებობს: ერთი — ვერის სასაფლაოზე, მეორე კი — საბურთალოზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობაში.

სწორედ ამ კვირაში, 9 აგვისტოს, პანტელეიმონ-მკურნალის ხსენების დღეა და შეგიძლიათ მოილოცოთ ეს ტაძრები.

**თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მართლმადიდებელ მამათა სწავლების მიხედვით მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებს მღვდელი ლევან მათეშვილი.**


28 ივლისიდან



ყურადღება! ჟურნალში საჩუქარი

ფერადი ჩანართი ბავშვებისათვის — პირველი ნაბიჯები ქრისტეს გზაზე



2 აგვისტოდან ახალი ნომერი

ლიტერატურული პალიტრა

პროზა
- როსტომ ჩხეიძე
- ირაკლი სამსონაძე
  მშვიდი ცურვა
- მარიამ წიწიშვილი
- ნიკუშა ანთაძე

პოეზია
- მურმან მატარაძე
- ნესტან ნიჟარაძე
- ირაკლი შენგელია
- ნინო ნაცვლიშვილი

მონატრება
- ქეთინო ზარდიაშვილი
  ბათა ქექია

თარგმანი
- მაქს ფრიში
  HOMO FABER
- ჯო ჯონ მოსლარი
  მზითევი
- თომას ჰობსი
  ლევიათანი

№ 8(23), აგვისტო, 2006

ფასი 1.5 ლარი



ცხელი წიგნები

42-43-40; 38-26-73



336 გვერდი, რბილი გარეკანი,

ფასი: 5 ლ.

# საქართველოს კიდევ ერთხელ სილა გააწნეს...

## რა უნიკალური ნამუშევრები დავკარგეთ ბოლო დროის განმავლობაში


ტაძრის კედლიდან ჩამოვარდნილი ღვთისმშობლის ბარელიეფი უკვალოდ გაქრა

(დასაწყისი გვ.6)

**— დააკონკრეტეთ, რა დავკარგეთ ამ ხნის განმავლობაში?**

— ძალიან ბევრი რამ. ოშკში არის მეათე საუკუნის უნიკალური ნამუშევარი, გალერეის რვაწახნაგა სვეტი. იგი მთლიანად შემკული იყო ბარელიეფებით. 2000 წელს ჩამოტეხეს ვედრების ბრწყინვალე კომპოზიცია, რომელზეც გამოსახული იყო ქრისტე, იოანე ნათლისმცემელი და ღვთისმშობელი. მას მიაყოლეს წმინდა ნინოს უძველესი ქართული მხატვრული ბარელიეფური გამოსახულება. სვეტის დამტვრევისას დაზიანდა გრიგოლ ოშკელის ქანდაკება — მას თავი მოატეხეს. წელს უკვე ღვთისმშობლის ქანდაკებაც გაქრა. ისიც უნიკალური კომპოზიციის ნაწილი იყო. მდებარეობდა ტაძრის სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში, საკმაოდ დაბლა, ხელითაც მისწვდებოდით. ხუთი ფილისგან შემდგარი კომპოზიციის ცენტრში მოქცეულია ქრისტეს ბარელიეფი, მარცხნივ ღვთისმშობელია და მარჯვნივ — იოანე ნათლისმცემელი. მათ გვერდებზე გამოსახული არიან ტაძრის მაშენებლები — დავით კურაპალატი და მისი ძმა ბაგრატ ერისთავთ ერისთავი. ძმებს ხელებზე უსვენიათ ოშკის მაკეტები. ეს არის მასშტაბურად გრანდიოზული კომპოზიცია, რადგან ფიგურები დაახლოებით მეტრ-ნახევარზე მეტი ზომისაა. ოქროსმაძიებლებმა კომპოზიციის ქვემოთ კედელი გამოთხარეს და ფილები ჰაერში გამოეკიდა. ერთ-ერთს ქვის სვეტი შეუდგა ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა ვახტანგ ჯობაძემ, ორი კი ხის მორებით გაამაგრეს. ღვთისმშობლის ქანდაკება ჯობაძის გამოჩენამდე ჩამოვარდნილა. კარგა ხანს იყო დასვენებული კომპოზიციის მარცხნივ, კედელთან. ეს ფილა იმდენად დიდი იყო, რომ მას შეუმჩნევლად ვერავინ წაიღებდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ დაადგა თვალი და... ოშკი მდიდარია ასეთი ბარელიეფებით, ამიტომ იგი ქართული კედლის კულტურის განვითარების ზენიტადაა აღიარებული. იგივე ითქმის ხახულზე, იშხანსა და ტბეთზე. მათი ქანდაკებები და ქვაზე ნაკვეთი ფორმები უნიკალურია.

X საუკუნის II ნახევრის შემდეგ, ეკლესიის გადაწყვეტილებით, საქართველოში შეწყდა კედლის რელიეფური ხელოვნების განვითარება. არადა ეს იყო წინამორბედი იმ შესანიშნავი ხელოვნებისა, რომელიც დასავლეთ ევროპაში განვითარდა გოთურ-რომანული არქიტექტურის სახით. ამ სტილით ნაგები ტაძრები დახუნძლულია ქანდაკებებით და დიდი ზომის ბარელიეფებით. ბარელიეფური კედლის ხელოვნება არ განვითარებულა ბიზანტიაშიც, რომელიც საქართველოსთვის სანიმუშო იყო. კეთდებოდა მხოლოდ მცირე ზომის სპილოს ძვლის ბარელიეფები. ამასაც საქართველომ მისცა დასაბამი.

**— შეიძლება მსგავსი რამ სხვა ტაძრებშიც მოხდეს?**

— ეს უკვე კარგა ხანია ხდება. 2002 წელს კლარჯეთში, დოლისყანაში, დაიკარგა ტაძრის სამხრეთის ფასადზე ჩამჯდარი მზის საათი, რომელიც უსათუოდ რომელიღაც კოლექციონერმა მოხსნა. მისი ჩამოვარდნა გამორიცხული იყო. ტაძარში მეჩეთია. ხოჯა გარდაცვალებამდე თვალისჩინივით უვლიდა ტაძარს. მან ჯერ კიდევ 1996 წელს მითხრა, — აქაურობა უნდა გავასუფთაო და მუზეუმი გავხსნა ტურისტების მოსაზიდადო. როგორც ჩანს, მისი გარდაცვალების შემდეგ მოხსნეს საათი.

იშხანში დაიკარგა არაჩვეულებრივი წნული ქვის ჯვარი.

თურქეთი აშკარად ველარ აუდის მის ტერიტორიაზე გაბნეული უამრავი ძეგლის პატრონობას, თუმცა წარმოშობით ყველა მას არ ეკუთვნის.

**— როგორ შეიძლება მოიძებნოს გამოსავალი?**

— რაც ბოლოს მოხდა, სილის გაწვნას უდრის, რომელმაც უთუოდ უნდა გამოგვაფხიზლოს. ნუთუ მაინცდამაინც ღვთისმშობლის ბარელიეფი უნდა დაგვეკარგა გამოსაფხიზლებლად? უკვე ერთი წელია, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის ოფიციალურ დონეზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტაძრების რესტავრაციის თაობაზე. ისტორიული და მხატვრული ღირებულებითა და საგანგაშო მდგომარეობით ამ ნუსხაში პირველია ოშკი. მომხდარმა შეიძლება დააჩქაროს შეთანხმების პროცესი და დაიწყოს ოშკის საფუძვლიანი შესწავლა. ამასთან, ვთხოვ ყველა ქართველს, რომელიც უძველეს ტაო-კლარჯეთში მოგზაურობს, გაითვალისწინოს, რომ ეს ძეგლები ჩვენი წინაპრების აშენებულია, მაგრამ თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და თურქების კულტურულ მემკვიდრეობადაც მიიჩნევა. ამიტომაც სიფრთხილე გვმართებს: იქ ჩვენი რწმენის, სიყვარულის და ემოციების ზედმეტად გამოხატვა საფრთხეს უქმნის ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. არ უნდა ვაგრძნობინოთ მუსლიმან თურქებს, რომ ჩვენს სალოცავში შევდივართ. მათ უნდა იცოდნენ — ეს არის კულტურული ღირებულების ძეგლი, რომელიც გარკვეულ სარგებელს მოუტანთ.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის, **ქეთი კვინიკაძის** თქმით, აუცილებელია, დაჩქარდეს შეთანხმება თურქეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის და შეიქმნას დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით იქნება განსაზღვრული მხარეების ვალდებულებები — როგორ მოიქცნენ ასეთი ფაქტების გამოვლენისას, სად და როგორ მოიძებნოს დაკარგული ნივთი და ვის გადაეცეს იგი პოვნის შემთხვევაში: „ასეთი იურიდიული დოკუმენტი ძალიან ბევრ საკითხს მოაწესრიგებს, რაც ამ ძეგლების დაცვის გარანტი იქნება. 2002 წელს საქართველოს მთავრობასა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, აწარმოოს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიებზე მდებარე ქართული მართლმადიდებლური ძეგლებისა და ნანგრევების დაცვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. 2002 წლიდან დღემდე საკმაოდ დიდი დრო გავიდა იმისთვის, რომ სახელმწიფოს ამ ვალდებულების შესრულებაზე ეზრუნა. ვფიქრობ, თურქეთიც არ დარჩება გულგრილი ქართული ძეგლების ძარცვის გამო, რაც სისხლის სამართლის აღძვრის სრულ საფუძველს იძლევა".

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ცნობით, მათი მონაწილეობით თურქეთის და საქართველოს მთავრობები მუშაობენ ოქმზე, რომელშიც აღინუსხება ის ძეგლები, რომელთა დაცვა პრიორიტეტულია. მათ დასაცავად სპეციალური რეჟიმი ამუშავდება. სამართლებრივი ბაზის მოწესრიგების გარდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის სხვა გზა, სამწუხაროდ, არ არსებობს.

*ეკა ლომიძე*


**S C F - Germany**

ფირმა SCF-Germany იღებს შეკვეთებს და აწვდის მომხმარებელს ახალ და მეორად მსუბუქ და საბარგო ავტომობილებს, ქვანძებსა და აგრეგატებს, სხვადასხვა სახის მოწყობილობათა მასალებს, მანქანებს, სპეცტექნიკას.

ფირმა SCF-Germany აწყობს და ემსახურება კერძო ტურებს შემკვეთის მოთხოვნისამებრ, უზრუნველყოფს დახვედრას აეროპორტში და სასტუმროში განთავსებას, საქმიან შეხვედრებზე თარჯიმანის თანხლებით მიცილებას, დამკვეთის ყველა საორგანიზაციო პრობლემის მოგვარებას.

ფირმა SCF-Germany თქვენი ხაიმედო და კომპეტენტური პარტნიორია გერმანიაში. ჩვენთან დაკავშირება ყველასთვის მისაწვდომია:

☎ +49 (0)911-528-29-01
Fax: +49 (0)911-528-29-02
E-mail: s.c.f.-germany@freenet.de



**სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული საქართველო-ისრაელის**

**სტომატოლოგიის ინსტიტუტის მრავალპროფილიანი სამედიცინო კოლეჯი**

**აცხადებს მიღებას**

თბილისი,
ჩარგლის 34
მეტრო „ღრმაღელე"

☎ 61-54-23 (დღისით)
34-16-37 (საღამოს)
78-97-97 (საღამოს)
893-90-63-09
893-71-55-11

www.interbusiness-medical.edu.ge
E-mail: institutemedicaledu.ge@yahoo.com
infomedicaledu.ge@yahoo.com

მიმდინარეობს სტუდენტების გადმოყვანა



ექსპლუატაციის ტექნიკოსი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს „IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის თანამდებობის დასაკავებლად.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

შერჩეული კანდიდატი გაივლის მომზადებას ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცედურებში და შეიძენს უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა BTC-ს ობიექტების უსაფრთხო და ეფექტური ექსპლუატაციისა და ინტეგრირებული მუშაობისათვის.

ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის ზოგად მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს მიეკუთვნება (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ადამიანების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) პრინციპებისადმი განუხრელი ერთგულების დემონსტრირება.
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის შენარჩუნება ობიექტზე;
- „მუშაობის ნებართვის" გაცემის სისტემის დანერგვა და ობიექტზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აღრიცხვის წარმოება;
- HSE-ს და წარმოების სფეროებში მოქმედი პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა;
- კომპანიის პროცედურების, ვალდებულებების და მართვის სისტემების შესრულება;
- მილსადენის ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცესების, პროცედურების და ვალდებულებების შესრულება;
- ექსპლუატაციის და ტექმომსახურების წესების ათვისების უნარის გამოვლენა;
- პროაქტიური მიდგომა პრობლემებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისთვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა იმუშაოს მოშორებულ ადგილებში;
- აუცილებელია კომუნიკაციის კარგი უნარის გამომჟღავნება ობიექტზე მომუშავე თანამშრომლებთან და მილსადენის ექსპლუატაციის ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებში გარკვევის უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის და მილსადენის ობიექტების ინტეგრირებული მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების უნარი.

კონკრეტული მოვალეობები დაზუსტდება გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სათანადო საინჟინრო/ტექნიკური კვალიფიკაცია;
- საწარმოო სფეროში, მაგ. ელექტრულ, ინსტრუმენტულ, მექანიკურ, სამრეწველო საწარმოებში მუშაობის გამოცდილება;
- ზეპირი და წერილობითი ინგლისურის ფლობა და ენის შემდგომი დაუფლების სურვილი;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 14 აგვისტო, ორშაბათი, 18 საათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა №38

## პრიორიტეტების ძიებაში

**ქართველები უკიდურესობის ხალხი ვართ. ხასიათი რთული და წინააღმდეგობრივი გვაქვს. ჭირიც ზღვარგადასული ვიცით და ლხინიც, სიხარულიც და მწუხარებაც, სიყვარულიც და სიძულვილიც, სასწაულებრივად მაღალი ზნეობაც გვახასიათებს და უზნეობაც შემაძრწუნებლად მდაბალი გვჩვევია, უანგარობაშიც სწორუპოვარნი ვართ და შურიანობაშიც წრეგადასულნი...**

# ზომიერების დეფიციტი ქართულ პოლიტიკაში

ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენი პოლიტიკური სპექტრიც ორ უკიდურესობას წარმოადგენს, ლამის შუალედური, ზომიერი შრის გარეშე. ერთი მხრივ, არის ნარცისიზმით შეპყრობილი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდან სულ იმას გაიძახის — შემომხედეთ, რა ტანადი, ლამაზი და მშვენიერი ვარ, განა ოდესმე რომელიმე ქვეყანას ჩვენისთანა კარგი ხელისუფლება ჰყოლიაო? წელთა აღრიცხვას „ვარდების რევოლუციიდან" იწყებს და სერიოზულად ამტკიცებს, რომ 2003 წლის ნოემბრამდე იყო „უკუნი", შემდეგ კი „იქმნა ნათელი". მეორე მხრივ, არის საკმაოდ ჭრელი, მაგრამ მაინც ერთგვაროვანი ოპოზიციური სპექტრი, რომელიც ასევე ერთხმად და ხელაღებით უარყოფს ხელისუფლების ყველა მიღწევას და მის საქმიანობაში მხოლოდ რეგრესს ხედავს. საკმარისია სააკაშვილმა თქვას, რა კარგი, რა მზიანი დილა გათენდაო, რომ წინასწარ ვიცით, რას იტყვის იმავე დილას შალვა ნათელაშვილი — ასეთი უმური, ასეთი პირქუში დილა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო...

ერთი სიტყვით, სახეზე გვაქვს ორი უკიდურესობა. ყოველგვარი უკიდურესობა კი, როგორც ფრანგები ამბობენ, სისულელესთან მეზობლობს.

ატავისტურად მიღებული ატრიბუტებით, ისტორიის მიერ შენახული ეროვნული ხასიათის გამო ქართველს ოპოზიციაში დგომა უფრო ეხერხება. ჩვენში ნაკლებად მოქმედებს სოციალური, კოლექტიური არსებობისა და თვითშენახვის ინსტინქტი. „უჩემოდ ვინ იმღერეთობის" კულტი იმდენად ღრმად გვაქვს გამჯდარი, რომ ობიექტურობას გვაკარგვინებს. ნებისმიერ საქმეს ვიწროპირადული, ულტრაინდივიდუალისტური თვალით ვუყურებთ და სულაც არ გვადარდებს წახდება თუ არა ამით საქვეყნო საქმე.

ზემონათქვამი თანაბრად ეხება ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც. დემოკრატიის ტალღებზე ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნაციონალურმა მოძრაობამ მყისვე თავი კანონზე მაღლა დააყენა და სახელმწიფოს ხარჯზე ქვენა ინსტინქტებით ნაკარნახევი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მიჰყო ხელი. მეორე მხრივ, სააკაშვილთან ძალაუფლებისთვის ბრძოლის წაგებით დაბოლმილმა და დაბრმავებულმა ოპოზიციამაც მიაფურთხა ობიექტურობას და მზად არის, სული ეშმაკს მიჰყიდოს, გადამთიელსაც კი შეეკრას, ოღონდ კი პრეზიდენტის ტახტი შეარყიოს.

პოლიტიკურ ასპარეზზე შუალედური, ზომიერი, ობიექტური ძალა, პრაქტიკულად, არ ჩანს. ანალოგიური მდგომარეობაა მასმედიაშიც. ტელევიზიაც და პრესაც ორ დაპირისპირებულ ბანაკად — ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად არის დაყოფილი. თითებზე ჩამოსათვლელია გაზეთები, რომლებიც მეტ-ნაკლები ობიექტურობით აშუქებენ მოვლენებს. პოლიტიკურმა პარტიებმა კი ახლა უკვე ტელეარხების გაყოფაც დაიწყეს — ერთ არხზე მხოლოდ ხელისუფლების მომხრენი გამოდიან, მეორეზე — ოპოზიციის...

არადა საზოგადოებაში საქმე ასე მარტივად ნამდვილად არ არის. ქართველი საზოგადოების საგრძნობი ნაწილისთვის პრინციპულად მიუღებელია როგორც ხელისუფლების გაუთავებელი ტრაბახი და თვითკმაყოფილება, ისე ოპოზიციის მიერ ყველაფრის განქიქება. შეიძლება ნამუსზე ხელი აიღო და თქვა, რომ ორწელიწად-ნახევარში ქვეყნის ბიუჯეტის გახუთმაგება, პენსიების გასამმაგება, ასეულობით კილომეტრი გზის მოასფალტება, დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების იერის უკეთესობისკენ შეცვლა სათქმელადაც არ ღირს, მაგრამ ასეთი პოზიცია არა მარტო არაობიექტური, უგუნურიც იქნება. ფაქტია, რომ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ახალმა ხელისუფლებამ მტკიცე და ენერგიული მოქმედებით გადაწყვიტა ყბადაღებული აჭარის პრობლემა, უმოკლეს დროში ნამდვილ ჯარს დაამსგავსა ქართული ჯარი, რესპუბლიკის გზებზე აღკვეთა ავტოინსპექტორთა ყაჩაღური თარეში, ქვეყნის მასშტაბით მოაგვარა ენერგეტიკული პრობლემა, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით მკვეთრად შეამცირა კორუფციის დონე უმაღლეს სასწავლებლებში, მასშტაბური სახე მიიღო სასკოლო მშენებლობამ და ა. შ.

ყოველივე ეს ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების უდავო წარმატებაა და მისი უგულებელყოფით ოპოზიცია თავს სირაქლემის მდგომარეობაში იყენებს. კრიტიკულმა პათოსმა ობიექტურობა არ უნდა დაგვაკარგვინოს.

დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლი მისი თვითკმაყოფილებაა. ახირებული სიჯიუტე, რომელიც ხელისუფლებას ნებისყოფის სიმტკიცე ჰგონია, საშუალებას არ აძლევს, თვითკრიტიკულად შეაფასოს თავისი საქმიანობა, აღიაროს, გააანალიზოს შეცდომები და შეეცადოს მათ გამოსწორებას. ხელისუფლების ნარცისიზმი, საკუთარი თავის ხოტბა-დიდება ოპოზიციური სპექტრის დიდ ნაწილს მეორე უკიდურესობისკენ უბიძგებს. სწორედ ასეთი უკიდურესობაა ოპოზიციის მხრივ პარლამენტის სხდომების ბოიკოტი და მომავალი არჩევნების ბოიკოტის მუქარა, რაც ისევ ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. თავის მხრივ, არც ხელისუფლებას ესმის, რომ მას, როგორც შმართველ პოლიტიკურ ძალას, ყველაზე ნაკლებად აქვს გაგულისების უფლება; რომ ვალდებულია, იყოს უფრო მომთმენი, შემწყნარებელი, დამთმობიც კი ოპოზიციასთან, რადგან სწორედ მას ეკისრება უმთავრესი პასუხისმგებლობა ეროვნულ კონსენსუსზე. საქართველო დაპირისპირებულთა მთლიანობაა და ხელისუფლება ვალდებულია, კანონის ფარგლებში დაიცვას პოლიტიკურ ოპონენტთა ინტერესებიც. ოპოზიციის ნებისმიერ წინადადებაზე ხელისუფლების წარმომადგენელთა აგრესიული, ცინიკური დამოკიდებულება კი მხოლოდ ზრდის კონფრონტაციის ხარისხს და აძლიერებს საზოგადოების პოლარიზაციას.

დღეს უკვე აშკარაა, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფ პოლიტიკურ გუნდს შენების ნიჭზე მეტი ნგრევის ნიჭი აღმოაჩნდა. სახელისუფლებო კადრების შერჩევისას სრულიად უგულებელყოფილ იქნა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა დასაწინაურებელი კადრის პროფესიონალიზმი, ორგანიზატორული უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, პატიოსნება და სხვ. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოიწია პირადი ერთგულების, უსიტყვო მორჩილების პრინციპებმა. სწორედ ამიტომ ხელისუფლების ვერტიკალში მრავლად აღმოჩნდნენ დაბალი ზნეობისა და ინტელექტის, კარიერიზმის ბაცილით მოწამლული, მერკანტილური ფსიქოლოგიის ადამიანები, რომელთა არაპროფესიონალიზმისა და უვიცობის შედეგია მომზადების გარეშე, უგუნური სითამამით წამოწყებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ექსპერიმენტების ერთი ნაწილის დამუხრუჭება და სრული კრახიც კი. საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის გაღრმავების, მასობრივი უმუშევრობის ზრდის, იმ სამართლებრივი განუკითხაობის ფონზე, რომლის დროსაც რიგითი ადამიანებისთვის კრიმინალებზე უფრო საშიში ხდებიან საზოგადოების მიერ „სიკვდილის ბრიგადებად" მონათლული, ხოლო ხელისუფლების მიერ სამართალდამცველის სტატუსით აღჭურვილი კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ჯგუფები, ქვეყანაში მწიფდება ფართო სოციალური უკმაყოფილება. ხელისუფლება ინტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ ხალხის მხარდაჭერით კვლავინდებურად სარგებლობს, თუმცა სოციოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ ნაციონალები საზოგადოებრივი ნდობის აშკარა დეფიციტს განიცდიან. ამის დასტურად გირგვლიანის გახმაურებული საქმე და წამყვანი ჟურნალისტის მიერ პროტესტის ნიშნად ტელეკომპანია „რუსთავი 2"-დან წასვლაც იკმარებდა.

ძნელია გონივრული ახსნა მოეძებნოს იმ გულქვა, გაბოროტებულ დამოკიდებულებას, რომელსაც ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ხალხის მიმართ ამჟღავნებს. ყველაზე თვალნათლად ეს სიძულვილი თავს იჩენს შემოქმედებით და სამეცნიერო-პედაგოგიურ ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში. ძალაუნებურად გახსენდება ერთი ჭკვიანი კაცის სიტყვები: „ერიდეთ უნიჭო ადამიანებს, მათ საზიზღრობის უდიდესი ნიჭი აქვთ".

უმაღლეს სკოლაში მიმდინარე რეფორმის შედეგად უმუშევრობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში დაახლოებით სამ ათასამდე პედაგოგს ემუქრება. ეს მეტად მტკივნეული, მაგრამ გარდაუვალი პროცესია. ყოველწლიურად საქართველოს სკოლებს დაახლოებით 38 ათასი მოსწავლე ამთავრებს. გასულ წლამდე მათგან უმაღლესში 32 ათასი, ანუ 80-85% ირიცხებოდა. ეს სრული ნონსენსი იყო და ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით, უმაღლესი სკოლების აკრედიტაციით, სხვადასხვა აუცილებელი ღონისძიების გატარებით ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ სფეროში არსებული სრულიად არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. გასული წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის ორჯერ ნაკლები — 17 ათასი აბიტურიენტი ირიცხება. უკვე ეს ფაქტიც თავისთავად გულისხმობს უმაღლესი სკოლების პედაგოგიური შემადგენლობის მკვეთრ შემცირებას, მაგრამ პროფესორ-მასწავლებელთა ამ უზარმაზარი არმიის სამსახურიდან დათხოვნა მათი სოციალური დაცვის სათანადო გარანტიების წინასწარი მომზადების გარეშე, რბილად რომ ვთქვათ, არაადამიანურია. ქუჩაში გაყრილი საზოგადოების ეს ნაწილი სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ალტერნატივა მხოლოდ ხელისუფლების მიერ უკვე გახსნილი ან მომავალში გასახსნელი უფასო სასადილოების რიგში ჩადგომაა, რასაც პროფესორ-მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ისევ შიმშილით სიკვდილს არჩევს. უზნეობაა ჯერ ცხოვრების ბოლო სარის ნაარდება ხალხს, უფასო სასადილოების გახსნით კი შეეცადო მაშინ ადამიანური ღირსების ჩაქრობა.

რა შეიძლება ენიდონ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის უღირს ცდებს — შტრაიბრეხერებად აქციოს ჩვენი სახელოვანი მეცნიერები? ადამიანებს, რომლებითაც უნდა ვამაყობდეთ (ხალხი ამაყობს კიდეც), საპროტესტო მოძრაობისგან ჩამოცილების სანაცვლოდ რექტორატმა კერძო შეღავათები შესთავაზა — პროფესორის ხელფასებს შეგინარჩუნებთ, ოღონდ განზე გადექითო. არც ბატონებმა ჯუმბერ ჭუმბურიძემ და გრიგოლ ფარულავამ, არც ქალბატონებმა მზექალა შანიძემ და მარიკა ლორთქიფანიძემ ეს არ იკადრეს. ბატონ გიორგი ხუბუას კი უკვირს: ამ ხალხთან ურთიერთობის ფორმას ველარ ვპოულობ, ფანტაზია აღარ მყოფნის, აღარ ვიცი, კიდევ რა შევთავაზოო. ღირსეულ ადამიანებს მხოლოდ ღირსეული რამ უნდა შესთავაზოთ, ბატონო გიორგი. ისინი მხოლოდ თავიანთი უფლებების დასაცავად არ იბრძვიან და კოლეგა-თანამებრძოლების ხარჯზე თქვენთან მერკანტილურ გარიგებაზე არ წავლენ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმას კი არავინ ედავება — რატომ ატარებს რეფორმას, არც იმას, რატომ არის ასე მტკივნეული (ის ყველა შემთხვევაში მტკივნეული იქნებოდა). სასაყვედურო სხვა რამეა: არავის აქვს უფლება უმაღლესი სკოლის რეფორმის სახელით ქუჩაში გაყაროს ათასობით დამსახურებული ადამიანი და პილატესავით ხელები დაიბანოს. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ისინი სოციალური გარანტიებით. ხელისუფლებას შეუძლია თქვას, სამსახურიდან დათხოვნილ პედაგოგებს აკადემიურ სტიპენდიებს ვთავაზობო, მაგრამ უზნეობაა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე თინეიჯერს 800-1.000 ლარს უხდიდე, პროფესორს კი 90 ლარს სთავაზობდე და იმასაც ამადლიდე. კიდევ ერთი უზნეობა სახელმწიფოს მწირი ბიუჯეტისკენ ხელის გაშვერაა — რა ვქნათ, მეტის საშუალება არ გვაქვსო.

ერთჯერადი აქტით პედაგოგთა შემადგენლობის 75-80%-ით შემცირება აწყობილ-დალხინებული საზოგადოებისთვისაც ძალზე მტკივნეული იქნება. არაფერი დაშავდებოდა, თუ ამ პროცესს სამ წელიწადზე გავანაწილებდით და ყოველწლიურად 25-25%-ს შევამცირებდით. რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა [illegible] სახელმწიფოს დღევანდელ პირობებშიც აქვს შანსი, გაცილებით ღირსეულად გაუშვას ეს ადამიანები სამსახურებიდან. გავიხსენოთ, რა დაუჯდა ბიუჯეტს საციგურაო მოედნის დამონტაჟება რიყეზე, მერე მისი აყრა და სპორტის სასახლის წინ მისი თავიდან დამონტაჟება; რა დაჯდა რიყეზე დამონტაჟებული უაზრო ატრაქციონი, რომელმაც სულ რამდენიმე დღე იმუშავა... ლიფტ-ატრაქციონების, საციგურაოების, რუსლანების გარეშე საქართველომ 3 ათას წელს გაძლო და როგორმე სამ-ოთხ წელს კიდევ გაძლებდა. ან ის რასა ჰგავს — ხელისუფლება გამუდმებით რომ ყოყოჩობს — „მსოფლიოში საუკეთესო" სამხედრო ყაზარმები თუ საპოლიციო უბნის შენობები ავაშენეო. მერედა, რატომ ვაშენებთ გერმანელებზე, ფრანგებზე, შვედებზე უკეთეს შენობებს? ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე ჩვენთან შედარებით ასჯერ მეტი შემოსავალი აქვთ. ხომ შეიძლება ამ ეტაპზე გერმანელებზე უკეთესი კი არა, გერმანელებისნაირი შენობები ვიკმაროთ, დაზოგილი თანხით კი სხვა პრობლემებს მივხედოთ? განა ეს უფრო ლოგიკური, გონივრული და, ბოლოს და ბოლოს, ადამიანური არ იქნებოდა? ხელისუფლებას უნდა შეეძლოს პრიორიტეტების გამორჩევა. სანახაობა, იცოცხლეთ, კარგი საქმეა, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანას ისე არ ულხინს, რომ ხელისუფლებამ სულ იმაზე იფიქროს, გართობის რა ახალი სახეობა მოვიფიქრო, კიდევ რით ვასიამოვნო ახალგაზრდებსო. „ძველგაზრდებიც" ამ ქვეყნის მოქალაქენი არიან და მათზე ხელისუფლების ზრუნვა მხოლოდ უფასო სასადილოების გახსნით არ უნდა შემოიფარგლოს.

ზემოჩამოთვლილ უაზრო ღონისძიებებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული თანხა სავსებით იკმარებდა პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური სტიპენდიების 200 ლარამდე გაზრდისთვის, მაგრამ ასე რომ მოიქცე — უნდა იცოდე; თუ არ იცი — უნდა სწავლობდე.

ჩვეულებრივ, რეფორმის შემუშავება საჯარო დისკუსიის პირობებში მიმდინარეობს. ქვეყნდება ცალკეულ მეცნიერთა, მეცნიერთა ჯგუფების სადისკუსიო წერილები, ეწყობა წარმოდგენილი პროექტების საჯარო განხილვები...

დღევანდელმა ხელისუფლებამ თითქმის ყველა რეფორმის პროექტი არქისაიდუმლო ვითარებაში მოამზადა, რის შემდეგაც საზოგადოებას მომავალი კანონის უალტერნატივო მოდელის სახით წარუდგინა. ჩვენმა კონსერვატიულმა საზოგადოებამ რეფორმების პროექტებით შემოთავაზებული სუპერრადიკალური ცვლილებები კი მეტად მტკივნეულად აღიქვა.

არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის სწავლებისადმი. უმაღლეს სასწავლებლებში ეს საგანი აღარ წარმოადგენს სავალდებულო დისციპლინას, ხოლო იქ, სადაც სტუდენტები მაინც ირჩევენ, მას გაცილებით ნაკლები საათები აქვს დათმობილი.

ახალგაზრდა თაობის პატრიოტული აღზრდა წინაპართა გმირული საქმეების გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია. პატრიოტული სული ვერ ჩამოყალიბდება მხოლოდ პატრიოტთა ბანაკებში. ამისთვის საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნაა საჭირო. ხელისუფლება ხშირად იშველიებს ილიას სახელს, საქმით კი უგულებელყოფს ჩვენი დიდი წინაპრის ერთ-ერთ უმთავრეს შეგონებას: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, განწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს..."

ნაციონალები დღეს პირწმინდად იმეორებენ ბოლშევიკთა შეცდომას. ისინი „კორუმპირებულებად", „დრომოჭმული აზროვნების მატარებლებად" აცხადებენ უფროს თაობას და მასობრივად ერეკებიან მას სამსახურებიდან. ხელისუფლება მხოლოდ შავ ფერში აღიქვამს მთელ საბჭოთა პერიოდს, რაც ცალმხრივს, ზედაპირულს, სწორხაზოვანს ხდის ისტორიულ წარსულზე მის წარმოდგენებს. მისთვის არაფერს ნიშნავს წინაპართა ისეთი შეგონებები, როგორიცაა: „წინა კაცი უკანა კაცის ხიდია"; „წარსულს კენჭს ნუ ესვრი, თორემ მომავალი ლოდებს დაგიშენს" და სხვა. რა საჭიროა, ვთქვათ, განათლების რადიკალური რეფორმის გასატარებლად განათლების საბჭოური სისტემის ერთიან კომმარად წარმოსახვა? განა უფრო ობიექტური და სამართლიანი არ იქნება ვთქვათ, რომ ამ სისტემამ, რომელიც, სხვათა შორის, მეფის რუსეთის, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, განათლების პრუსიულ სისტემას ეფუძნებოდა, თავის დროზე მეტად დადებითი როლი შეასრულა ქვეყანაში მასობრივი განათლების გავრცელების საქმეში, ბოლო ხანებში კი ძალზე მოძველდა და კარდინალურ გარდაქმნას მოითხოვს? თორემ თავს სასაცილო მდგომარეობაში ვიგდებთ, როცა ვაცხადებთ, რომ განათლების საბჭოთა სისტემა ყველას და ყველაფერს რყვნიდა და ამახინჯებდა. აი, მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების მესვეურებს ვერ მოუხერხა ვერაფერი, ისინი მაინც ალვასავით ტანადნი და ლამაზნი აღიზარდნენ...

არადა, თუ ბოლშევიკთა ნამოქმედარს შეიძლება შეცდომა უწოდო, იმავეს ველარ იტყვი დღევანდელი ხელისუფლების საქციელზე... შეცდომის გამმეორებლის ქმედება უკვე უგუნურებაში გადადის...

**სახელისუფლებო კადრების შერჩევისას სრულიად უგულებელყოფილ იქნა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა დასაწინაურებელი კადრის პროფესიონალიზმი, ორგანიზატორული უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, პატიოსნება და სხვ. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოიწია პირადი ერთგულების, უსიტყვო მორჩილების პრინციპებმა. სწორედ ამიტომ ხელისუფლების ვერტიკალში მრავლად აღმოჩნდნენ დაბალი ზნეობისა და ინტელექტის, კარიერიზმის ბაცილით მოწამლული, მერკანტილური ფსიქოლოგიის ადამიანები, რომელთა არაპროფესიონალიზმისა და უვიცობის შედეგია მომზადების გარეშე, უგუნური სითამამით წამოწყებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ექსპერიმენტების ერთი ნაწილის დამუხრუჭება და სრული კრახიც კი...**

*უჩა ბლუაშვილი*
*ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტოლოგი*



# „ზღვა, რომელიც შორია“



სპექტაკლის ნახვის შემდეგ აფხაზებმა მისი ვიდეოფირზე ჩაწერა და თან წაღება ისურვეს

ქართულ-აფხაზური არაერთი შეხვედრის მონაწილე მწერალი გურამ ოდიშარია ორი წლის წინ (პირველად ომის შემდეგ) სოხუმში ჩავიდა. მეგობარი აფხაზებისგან მოისმინა საოცარი ისტორიები, თუ როგორ ვერ გაიმარჯვა ომმა იმ ადამიანებზე, რომლებმაც შეინარჩუნეს ღვთისა და ადამიანების სიყვარული. აფხაზი მეგობრები იმითაც დაინტერესდნენ, გაუძლებდა თუ არა მათი ქართველი მეგობარი თავის სახლთან ჩავლას. გურამ ოდიშარიას პასუხი ასეთი იყო: „სანამ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს არ გავუგებთ, ჩემს სახლს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება“. ერთადერთი, რისი უნახაობაც მწერალმა ვერ შეძლო, მამის საფლავი იყო... პირველივე საღამოს აფხაზმა მასპინძლებმა იგი სასაფლაოზე აიყვანეს. პურმარილზეც თავად იზრუნეს(!). თბილისიდან ჩატანილი სანთლებითა და აფხაზი მეგობრების ატანილი ღვინით ითქვა მოსაგონარი... მერე ისაუბრეს...

ბოლო სიტყვა, რომლითაც გურამ ოდიშარიამ აფხაზებს საფიქრალი დაუტოვა, ასეთი იყო: „თუ თქვენთვის მიუღებელია აფხაზი, ვინც წინაპართა საფლავებს დაივიწყებს, მაშინ არც საფლავების დამვიწყებელი ქართველი უნდა გინდოდეთ!“

ნამდვილი ამბავი მოგვიანებით მხატვრულ სიმართლედ იქცა და მწერალმა გურამ ოდიშარიამ თემურ ჩხეიძის თხოვნით დაწერა პიესა, რომელსაც „...ზღვა, რომელიც შორია“ ეწოდა. ის სოხუმის ქართულ თეატრში დაიდგა. სამეფო უბნის თეატრში პრემიერიდან დღემდე სპექტაკლზე სრული ანშლაგია. იგი ერთნაირად შოკის მომგვრელია როგორც ქართველი, ისე აფხაზი მაყურებლისთვის.

...აფხაზი ასტამური (მერაბ ბრეკაშვილი), აფხაზი ქალი საიდა (ლილი ხურითი), აფხაზი გივი და რომა (ნუგზარ ჩიქოვანი, მერაბ ყოლბაია) 13 წლის წინ ამ ქალაქში ერთად ცხოვრობდნენ. ახლა კი ის დიოსკურიასავით ზღვაში ჩაძირულა, ჩამკვდარა...

ქართველი მწერალი ზურაბი ომის შემდეგ პირველად ჩადის სოხუმში, სადაც მას სახეშეცვლილი ქალაქი და გაუცხოებული მეგობრები ხვდებიან. იგონებენ წარსულს, იმ დროს, როცა ყველგან სიყვარული სუფევდა, მაგრამ ომმა და ომის შემდგომმა წლებმა სიძულვილი დათესა. მათ უჭირთ ერთმანეთთან მიახლოება, ბევრი რამ ერთმანეთისთვის ვერ უპატიებიათ, მაგრამ ძველი ურთიერთობები აიძულებთ, წარსულის ის შემაკავშირებელი ძაფი მოიძიონ, რომლითაც ქვეცნობიერად არიან მიბმული ზიარ მიწას. უჭირს ორივე მხარეს, რადგან დიდია მსხვერპლი და სისხლი, წარსულიდან რომ ხმაურობს... მორალური ომი დღესაც გრძელდება, გრძელდება სოხუმელთა თავშეყრის ადგილებში: ზღვისპირა ბულვარზე, „ბრეხალოვკაში“, სასტუმროების — „რიწისა“ და „ინტურისტის“ ახლომდებარე ქუჩებში. პოლიტიკოსებს კი დღემდე ვერ უპოვიათ (იქნებ არც უძებნიათ) გზა, რომელიც ომით გახლეჩილ საზოგადოებას ერთმანეთთან მიიყვანს.

გრძელდება გაუცხოება ენგურგამოღმაც. აფხაზეთიდან იძულებით აყრილი მოსახლეობა ყოველდღიურად შორდება აფხაზეთს. იზრდება ფესვებმოწყვეტილი თაობა, რომელთა მეხსიერება აფხაზეთს მკრთალი, გრაფიკული ესკიზებით დაატარებს. ომის შემდგომ დაბადებულ მოზარდებს კი არც ომი უნახავთ... და არც აფხაზეთი!

ვერც აფხაზები გრძნობენ მშვიდად თავს. ომმა თან საშინელი ნგრევა მოიტანა. ეიფორია გაქრა. ვერაფრით გაითავისეს ნანატრი „თავისუფლება“. „ძველი სოხუმი დიოსკურიასავით ზღვაში ჩაიძირა“, — ასტამურ ხვარწკიას სინანულით ნათქვამი ფრაზა ქვეტექსტებს შეიცავს: დე ფაქტო დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ ახლა უკვე ეჭვი ეპარებათ მის „დღეგრძელობაში“, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებისას ნათლად დაინახეს, რომ „მფარველ“ რუსეთს ეთნიკური აფხაზეთი კი არა, მხოლოდ ტერიტორია სჭირდება. აფხაზები ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩნდნენ, რომლის უკან არ დგას ერის სასიცოცხლო ინტერესების დამცველი ეთნოკულტურული სახელმწიფო. ახლა იმპერიული რუსეთისა ეშინიათ. ასტამურ ხვარწკია (იგი სახელისუფლებო წრიდანაა) ხვდება, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთმა ბედი ისევ საქართველოს უნდა დაუკავშიროს. ეს მწარე რეალობაა, მაგრამ აფხაზებს სურთ, ეს „სამწუხარო ფაქტი“ რეალობად აქციონ.

ტრაგიკული სახეა აფხაზი საიდა (ლილი ხურითი). მან ომში დაკარგა ქმარი, რომლის გვერდით ქართველი განისვენებს. საიდა ამას არავის ეუბნება, გლოვობს ორივეს, უვლის საფლავს და სურს წარმოიდგინოს, რომ მკვლელი მისი ქმარია და არა — პირიქით! მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ენგურის საგუშაგოზე დგას და თუ ვინმეს არ სურს ომის განახლება, ეს ცხელ წერტილში მყოფი ჯარისკაცის დედაა. საიდა პირველი გადადგამს შესარიგებლად ნაბიჯს. აფხაზი ქალი ეძებს გზას, მან იცის, რომ ქართველი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს აფხაზეთში — მაგრამ როგორ? — ეს მან არ იცის. სპექტაკლის კონცეფციაც სწორედ ეს არის.

ენგურგამოღმა მყოფმა შვილდაღუპულმა დედებმაც, ომგამოვლილმა ჯარისკაცებმაც მწარედ იწვნიეს ომის სისასტიკე. ენგურზე აღმართულმა ცამეტწლიანმა ყრუ კედელმა დაგვანახვა „დიდი პოლიტიკის“ უძლურება კონფლიქტის მოგვარებაში. ომის მსხვერპლი ხალხია და სწორედ მათი ნებით უნდა მოხდეს დიდი შერიგება, მაგრამ როგორ? — ეს არც ენგურგამოღმა იციან.

აფხაზი ასტამურის (მერაბ ბრეკაშვილის) ღირსეული მეტოქეა ქართველი ზურაბი (დიმიტრი ჯაიანი). სპექტაკლის მთავარი სიუჟეტური ხაზი მათი უკომპრომისო დიალოგია. ზურაბი სამშობლოში ლტოლვილად ქცეული, თავისი კუთხიდან გამოძევებული ქართველია, რომელმაც ენგურგამოღმა სახლიც გაიჩინა, ოჯახიც აქვს და თითქოს ცხოვრება გრძელდება, მაგრამ დამარცხებული კაცი დღემდე წელში ვერ გამართულა.

რეალობიდან აღებული მხატვრული სიმართლეა სპექტაკლის ფინალშიც. ქართველის გოდება-მონოლოგში მთავარი სათქმელი ძევს. ის ყველასთვის გასაგებია. ეს განწმენდაა, რომელსაც ორივე მხარისთვის შვება მოაქვს. მიწა კი, რომელსაც თავის ქალაქში „სტუმრის“ სტატუსით ჩასული მწერალი ეფერება, ის ზიარი მიწაა, სადაც საუკუნეების განმავლობაში ფესვი აქვს გადგმული ორი ერის ისტორიულ თანაცხოვრებას.

სპექტაკლის ექო აფხაზეთსაც მისწვდა. თბილისში ჩამოსული აფხაზებისთვის სოხუმისთვის დამახასიათებელი რუსულ-ქართულ-მეგრული ინტონაციით შეფერილი სპექტაკლი ნამდვილი შოკი გამოდგა. აფხაზებმა მისი ვიდეოფირზე ჩაწერა ისურვეს. დამდგმელი რეჟისორი არ დათანხმდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვიდეოვერსიით სათქმელი სიმძაფრეს დაკარგავდა. შემოქმედებით ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს ტელესპექტაკლის გადაღება, რის შემდეგ აფხაზი მაყურებელი მის ნახვას აფხაზეთშიც შეძლებს.

რაც შეეხება ქართველ მაყურებელს, მისი რეაქცია არაერთგვაროვანია. სპექტაკლი დადებითად მიიღო იმ კატეგორიის მაყურებელმა, ვინც უშუალოდ დაკავშირებული იყო ომთან, ვინც მსხვერპლი გაიღო... იყვნენ განსხვავებული აზრის მქონენიც. ეს ის ხალხია, ვისაც აფხაზეთში დაბრუნება ტანკებით წარმოუდგენია, ოღონდ... არც საკუთარ თავს და არც შვილებს „ტანკისტებად“ არ მოიაზრებს.

სპექტაკლით „...ზღვა, რომელიც შორია“ საქართველოში პირველად ითქვა ორი სიმართლე და ომით დაზარალებულ მხარეებს დაფიქრებისკენ მოუწოდა. ხელოვნების ენაზე ნათქვამი ქართულ-აფხაზური სიმართლე შემზადებაა თანაცხოვრების აღდგენისათვის, უვერტიურაა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებისთვის.

„...ამ ომს გამარჯვებული არ ჰყავს. ქართველიც და აფხაზიც — ორივე დამარცხებულია, მაგრამ დამნაშავე ყოველთვის სხვაში არ უნდა ვეძებოთ. სანამ ქართველებს იმის ძალა არ გვექნება, რომ ჩვენი შეცდომები ჩვენშივე მოვიძიოთ და ამაღლება შევძლოთ, არაფერი გამოგვივა“, — ამბობს თემურ ჩხეიძე და დაფიქრებისკენ მოგვიწოდებს.

**სვეტლანა კვიკვინია**


## იერიში ართროზზე

GV ჯეოვიტი

ოსტეოართროზის თანამედროვე თერაპიაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ პრეპარატს წარმოადგენს „მუვ ფრი ედვენსდი“. ამ ფორმულის შემადგენლობაში შედის სახსრის შემადგენელი შემაერთებელი ქსოვილის ყველა კომპონენტი.

„მუვ ფრი“-ს ახალი ფორმულა სახსარს დაკარგულ „დაზეთვის“ უნარს დაუბრუნებს, გაუიოლებს მოძრაობას და დაიცავს ხრტილს დატვირთვებისგან. შედეგად, მცირდება ტკივილი და იზრდება სახსარში მოძრაობის სიფართე.




პრეპარატი კაფსულების სახითაა. მკურნალობის კურსი, ჩვეულებრივ, 2-3 თვეს შეადგენს. ეფექტი ფიქსირდება რამდენიმე თვის მანძილზე, ზოგჯერ წელიწადიც. ყველაფერი „დაავადების ასაკზეა“ დამოკიდებული. საუკეთესო შედეგები ართროზის საწყის სტადიებში მიიღწევა მკურნალობის ერთი კურსი სახსარში ტკივილის დავიწყების შესაძლებლობას რამდენიმე წლით იძლევა.




შორს წასული შემთხვევებისას კურსის ჩატარება ეფექტურია არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ. პრეპარატს არ გააჩნია უკუჩვენებები. იწარმოება ოკეანის მოლუსკებისგან.

ათიდან ცხრა გამოკითხული ამერიკელი ექიმი უპირატესობას ანიჭებს „მუვ ფრი ედვენსდის“ დანიშვნას.

2004წ. ქ. მაიამიში ჩატარებულმა პრეპარატის კლინიკურმა გამოკვლევამ რანდომიზირებული, ორმაგი ბრმა პლაცებო-კონტროლირებადი მეთოდით, მოგვცა შედეგი:

- სახსრებში კომფორტულობის მატება 83%;
- დღიური აქტივობის მატება 78%;
- ფიზიკური დატვირთვის მატება 72%.

„მუვ ფრი ედვენსდი“ -მიღებული და რეკომენდებულია ამერიკის ართრიტის ფონდის მიერ.

„მუვ ფრი ედვენსდი“-ს ოფიციალური დისტრიბუტორია „ჯეოვიტი“

„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრია

„ჯეოვიტი“ მის: ი. ჯავჯავაძის გამზ. №41, ☎ 29-20-91; 899-10-99-20

ყოველდღიური უფასო კონსულტაცია

ასევე აფთიაქებში: თამარაშვილის 1, თამარ მეფის გამზ. 19, თამარ მეფის გამზ. 32, ჰიპერმარკეტი „გუდვილი“



## დაისვენეთ მშვიდად!

დადგა ზაფხული... დასვენებისა და გართობის სასიამოვნო სეზონი.

მთელი წლის დაძაბული სამუშაოს, ყოფითი პრობლემების, ინფორმაციის ზღვა ნაკადის, ცხოვრების სწრაფი და დამქანცველი ტემპის შემდეგ თითებზე ვითვლით დღეებს, რომ დავივიწყოთ ყველფერი, გავემგზავროთ ახალ გარემოში და.. დავისვენოთ მშვიდად, ყოველგვარი პრობლემებისა და სტრესების გარეშე.

სწორედ ახლა, ყველაზე ხელსაყრელი დროა საბოლოოდ დავამარცხოთ ნევროზი, შფოთვა, სტრესი და უძილობა.

შეამზადეთ თქვენი ორგანიზმი საუკეთესო შვებულების გასატარებლად!

ამაში თქვენ მცენარეული დამამშვიდებელი საშუალებები სომნა-რიცი და სომნა-რის ფორტე დაგეხმარებათ.

თუ თქვენ გსურთ საბოლოოდ უარი უთხრათ ნევროზს, დეპრესიას, სტრესებს — მიიღეთ 1 კაფსულა სომნა-რიცი 2-3-ჯერ დღეში. სომნა-რიცი დაგეხმარებათ აღიდგინოთ ნერვული სისტემის წონასწორობა და წარმატებით გაუმკლავდეთ სტრესებით გამოწვეულ შედეგებს.

თუ უძილობა თქვენს დასვენებას საფრთხეს უქმნის, დაძინებამდე 1 სთ-ით ადრე მიიღეთ სომნა-რის ფორტეს 1 კაფსულა. იგი უზრუნველყოფს თქვენს სრულფასოვან და მშვიდ ძილს გაღვიძებისას უსიამოვნო შეგრძნებების გარეშე.

სიმშვიდე და სრულფასოვანი ძილი ხომ დღის საუკეთესოდ გატარების აუცილებელი პირობაა!

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალებების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ფსპ ჩემი ოჯახის აფთიაქი ალმაშენებლის 148/II

საწარმო GMP ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს "ISO-9001-2000"

GMP ჯი-ემ-პი



## თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!

ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.

კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული

ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

# სამხედრო რიტორიკა ზაფხულის მზეს ჩრდილავს

International Herald Tribune




ზღვა და ზამთრის კურორტები, სოფლის მეურნეობა და ტრანზიტიდან შემოსული თანხები საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ 5 მილიონ ქართველს თავის ქვეყანაში უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ საბჭოთა ეპოქიდან საქართველომ მემკვიდრეობით უმძიმესი პრობლემები მიიღო, მათ შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

წლევანდელ დრამატულ მოვლენებს შორის ალსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებული ოპერაცია ამბოხებული საველე მეთაურის განსაიარაღებლად კოდორის ხეობაში — აფხაზეთის ერთადერთ რაიონში, რომელსაც ნომინალურად აკონტროლებს თბილისი. ამ აქციამ შეაშფოთა აფხაზეთის ხელისუფლება.

სამხრეთ ოსეთში კი საიდუმლოებით მოცული მკვლელობები მოხდა — კაცმა არ იცის, კრიმინალური თუ პოლიტიკური. ამერიკელი დიპლომატის, მეთიუ ბრაიზას აზრით, დაძაბულობა ამ რეგიონში „საგანგებოდ მაღალია“; ივლისში სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ხაინდრავას გადაყენებამ კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია. ზოგმა ეს „ომის პარტიის“ გამარჯვების სიმპტომად მიიჩნია.

პრობლემების სამხედრო გზით გადაწყვეტა უგუნურობა იქნებოდა საქართველოს მხრიდან, რადგან სინამდვილეში ეს რუსეთთან ომს ნიშნავს. კოდორის ხეობის მოვლენებში ქართველები „რუსეთის ხელს“ ხედავენ. ბატონი ზურაბ ნოღაიდელი ამბობს: — დაუჯერებელია, საველე მეთაური მარტო საკუთარი თავის იმედად [illegible]. თუმცა რუსეთი და საქართველო უკვე არიან „ცივი“ ომის მდგომარეობაში — მოსკოვი სააკაშვილს [illegible] არ პატიობს... სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ომის განახლება საქართველოს დაღუპავს, სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ტერიტორიული დავის მოგვარება შეუძლებელი იქნება და ბატონ სააკაშვილს [illegible] საქართველოს ნატოში შესვლის სანუკვარ ოცნებასთან გამოთხოვება მოუწევს. ყველაფერი ეს კარგად უნდა ესმოდეს ახალგაზრდა, ფიცხ თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს. ბატონი გიორგი ხაინდრავა ირწმუნება, — საქართველო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა, ომის პარტია კი არსებობს, რადგან [illegible] რუსეთშია. მოსკოვში მართლაც [illegible].

მეორე მხრივ, ბატონი სააკაშვილი და მისი გუნდი ამბოხებული რეგიონების პრობლემების მოგვარებას ჩქარობენ. [illegible]

# „საქართველო — ჩვენს გულებში“

Economist

ტრაგიკული წარსულის მქონე პატარა ქვეყნები. უცხოური ზესახელმწიფოების შემოტევები. მოულოდნელად გაჩაღებული ომები...

ყველაფერი ეს ეხება ლიბანის კონფლიქტს. ახლა მსოფლიოს ყურადღება მისკენაა მიპყრობილი, მაგრამ ეს ქართული ზღაპრების სიუჟეტიცაა, რომლებიც შეიძლება ლიბანურად დასრულდეს. ამიტომ, ვიდრე უბედურება არ მომხდარა, საჭიროა ახლავე ვილაპარაკოთ საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებზე.

მეზობელი, მაგრამ დაღატაკებული საქართველო ორი „გაყინული კონფლიქტის“ ქვეყანაა. 90-იან წლებში [illegible] აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მათ შორის განსხვავება არის, მაგრამ ორი დიდი მსგავსებაც შეინიშნება: ორივე აუღიარებელი ქვეყანა თავის სტატუსს მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერით ინარჩუნებს. [illegible] სისხლის ღვრამ შეცვალოს, რაც კატასტროფა იქნება არა მარტო მათთვის, არამედ საქართველოსთვისაც [illegible] მისდამი კრემლის სიძულვილმა თავისებური გამოუცხადებელი ომი გამოიწვია, ფრონტის ხაზი კი საქართველოსგან მოგლეჯილ ორ ანკლავზე გადის. რუსებს არ უნდათ, რომ სააკაშვილმა საქართველო ნატოსკენ წაიყვანოს, პრეზიდენტის პოსტიდან მისი გადაგდება მათთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა. პატარა ქვეყნებს დიდი მეგობრები სჭირდებათ. ყოფილ პატრონთან ზურგშექცეული საქართველო ამერიკის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს. არც ისაა გულგრილი — ივლისში, თეთრ სახლში სააკაშვილის ვიზიტის დროს, ჯორჯ ბუშმა მას მეგობარი უწოდა და კალამბურიც უთხრა — „საქართველო ჩემს გულშიაო“ („Georgia on my mind“ — 60-იანი წლების პოპულარული სიმღერა, ჯორჯიის შტატის ჰიმნი). სინამდვილეში კი ბუში და ევროპელი ლიდერები, რუსეთის ენერგომატარებლების ხათრით, კრემლს მაინცდამაინც არ აუშარდებიან, მაგრამ საჭიროა კი პუტინს შეაგნებინონ, რომ კავკასიის ბედი მათთვის სულერთი არ არის. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, მხოლოდ იმის გამო, რომ ასე უნდათ უცხოელ პარტნიორებს, — არ შეიცვლება, მაგრამ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პროცესის ან ევროკავშირთან სავაჭრო მოლაპარაკებების გაჯანჯლება შესაძლოა კრემლს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების შეცნობაში დაეხმაროს. ახლა უმთავრესი ამოცანაა ნეიტრალური ძალების შექმნა, რომელიც შეცვლის ანკლავში მდგარ რუს სამშვიდობოებს.

ქართველებს ეშინიათ, ვითომდა „გაყინული კონფლიქტები“ რუსეთის შეგულიანებით არ გალღვეს და ანკლავები სამუდამოდ არ დაკარგონ. სააკაშვილი საქართველოს პოზიციებს ნამდვილად გააძლიერებდა, მუდამ იმის ფიქრში რომ არ იყოს, თბილისს როგორ დავუმორჩილო ეს რეგიონებიო. აჯობებდა, ეკონომიკისა და დემოკრატიის გაძლიერებაზე ეზრუნა, რითაც განდგომილ ანკლავებს მოხიბლავდა.

სააკაშვილმა დასახმარებლად ესტონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მრჩევლები მოიწვია, რაც გვაიმედებს, რომ მათ რჩევებს გაითვალისწინებს. მხოლოდ წარმატებულ დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბების შემდეგ შეძლებს საქართველო განდგომილი ტერიტორიების მიერთებას და ფეთქებად კავკასიაშიც ხანგრძლივი სიმშვიდე დაისადგურებს.

# „გარეული ბატები“ კოდორის ხეობის მისადგომებთან

Коммерсантъ

***ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების კომისიის სხდომა, რომელიც სოხუმში უნდა გამართულიყო — ჩაიშალა. მოდავე მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ და კოდორის ხეობაში შეჯახებისთვის ემზადებიან. ამაში კი დარწმუნდა კორესპონდენტი, რომელიც აფხაზური მხრიდან წინა ხაზზე იმყოფებოდა.***

კოდორის ხეობის შესასვლელშია უძველესი აფხაზური სოფელი ნებელდა, საიდანაც სოხუმამდე 40 წუთის სავალია. აქვე დგანან აფხაზური არმიის მოზრდილი ქვედანაყოფი და სარეზერვო ბატალიონი.

კოდორის ხეობაში შესასვლელ ერთადერთ გზას აფხაზი სამხედროები აკონტროლებენ, ამიტომ იქ შეღწევა შეუძლებელია. სამხედრო დაჯგუფებებს პოლკოვნიკი, წარმოშობით სპარსელი გურამ ინუქ-ოღლი მეთაურობს. წინა ომის დროს ის ამ ადგილებში იბრძოდა. საგუშაგოზე არ გვატარებენ. პოლკოვნიკი გვიხსნის, — გასასვლელი დროებით ჩავკეტეთ, რადგან ძალიან ბევრი მოხალისე ჩამოდის. აფხაზეთში ყოველ მამაკაცს იარაღი აქვს. ხომ შეიძლება არეულობა მოხდეს. ამას კი არ დავუშვებთ. იქით მაინც ვერაფერს დაინახავთ, მთავარი დანაყოფები აქ დგანან, იქით პატარა ჯგუფებიაო. პოლკოვნიკი ამბობს, რომ 1992 წელს მისი მეომრები პრაქტიკულად უიარაღოდ, სხვის დაუხმარებლად იბრძოდნენ, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს, რადგან თითოეული აფხაზი კარგად იცნობს ამ მთებს.

ამჯერად აქ თითქმის ყველანი რუსეთის მოქალაქეები ვართ, ახლა არავინ მიგვატოვებს, — მრავალმნიშვნელოვნად დასძინა გურამ ინუქ-ოღლიმ.

გზის გადაღმა, მიტოვებულ სახლში რეზერვისტების შტაბია. იქვე 30-40 წლის მამაკაცები კარტს თამაშობენ. ზოგს სამოქალაქო, ზოგსაც სამხედრო ფორმა აცვია, მხარზე ყველას ავტომატი ჰკიდია.

— რეზერვისტებს ჯერ სამხედრო ტანსაცმელს არ ვაძლევთ, — ამბობს რეზერვისტების ბრიგადის შტაბის უფროსი ნოდარ ჯინჯოლია, — იარაღი დავურიგეთ და ვამოწმებთ, რამდენად არიან მომზადებული.

— *მერე, მზად არიან?*

— რეგულარული ნაწილების ჯარისკაცებს ჯობნიან, რადგან ყველა ნაომარია. მაგალითად, აგუძერელი ოთარ გოგუა 50 წლისაა. სანამ თვალი მიჭრის და გული მიძგერს, თოფის ხელში დაჭერა შემეძლებაო, — ხუმრობს.

— ნაღმმტყორცნელებთან ერთად აქეთ გამოგვზავნეს, დანარჩენები ქვემოთ იცდიან. ყველას ესმის, რომ ქართველებს სვანეთი კი არა, ზღვა და პალმები უნდათ. სოხუმამდე ყველაზე მოკლე გზა კი კოდორის ხეობაზე გადის. მართალია, აქ ტექნიკას გაუჭირდება, მაგრამ სპეცრაზმი ან სამთომსროლელთა ბატალიონი გაივლის. ტყუილად კი არ ვდგავართ აქ, — განაგრძობს ოფიცერი ჯინჯოლია.

აქ, მთებში, პოლიტიკაზე ლაპარაკობენ იმას, რასაც ფიქრობენ. არავის სჯერა, რომ ლათასთან მდგომი სამშვიდობოები შეაჩერებენ ქართველ სამხედროებს, თუ ისინი სოხუმისკენ დაიძვრებიან. ამბობენ, მათ ხუდონთან უკვე გაატარეს სვანეთში მიმავალი კოლონა, ე.ი. აქაც გაატარებენ — სროლა არ უნდათ და იმიტომ! სულ ასი კაცი დგას იქ, რატომ უნდა დაღვარონ სისხლი ჩვენი გულისთვის, ჩვენ გაცილებით მეტნი ვართ. სამშობლოს ჩვენ დავიცავთ, რუსები კი დაგვეხმარებიან ტექნიკით, იარაღით. საქართველოს ამერიკა აიარაღებს, ჩვენ კი რუსეთის გარდა არავის იმედი არ გვაქვს, — ერთვება საუბარში ზურგის დაცვის უფროსის მოადგილე მურმან კაკუბავა.

მოხალისეებს არ სჯერათ, რომ დევნილობაში მყოფი მთავრობა კოდორის ხეობაში გაძლებს. ერთ სახელმწიფოში ორი ხელისუფლების არსებობას არ დავუშვებთ, სვანებიც არ მოითმენენ ამას, განსაკუთრებით ახლა. მათ კარგად ვიცნობთ, — ამბობენ ისინი.

რეზერვისტების შტაბიდან 50 მეტრში რეგულარული არმიის შტაბი და ნაღმმტყორცნელთა დივიზიონია. თუ ჰკითხავ, საიდან გაქვთ ნაღმსატყორცნებიო, არავინ გიპასუხებს, ან იტყვიან, აფხაზურმა მთავრობამ იყიდაო. ხეობის შესასვლელში ჰაუბიცებითა და ყუმბარებით აღჭურვილი კიდევ ორი პოლკი დგას — ისინიც ალბათ აფხაზეთის მთავრობამ შეიძინა...

— ზემოთ მხოლოდ ერთი ბატარეა ამოიყვანეს, — ამბობს დივიზიონის მეთაური დავით სანძავა, — მთავარი ძალები ქვემოთაა, ბრძანებას ელიან... ჩვენ არ შევეგუებით იმას, რომ ქართველებმა კოდორის ხეობაში თავისი მთავრობა დასვან.

სანძავამ უშიშროების ზონა მონიშნა სოფელ ლათასთან, სადაც აფხაზი სამხედროები განლაგდებიან. თუ ქართული მხარე ამ ზონას გაარღვევს, აფხაზებსაც შეეძლებათ ამის გაკეთებაო, — ამბობს.

— *არ დაიღალეთ გაუთავებელი ომით?*

— ომი არავის უნდა, მაგრამ თუ ახლა აჟარაში რაღაცა მთავრობის არსებობას შევეგუებით, ხვალ კოდორსაც დავკარგავთ. ამისთვის ვიბრძოლეთ ამდენი ხანი?.. ემზარ კვიციანი დაპირისპირების მეორე დღეს სამხედრო დახმარებას გვთხოვდა. სვანებს ამას არ დავამადლიდით, რადგან ბოლო წლებში ჩვენ შორის კეთილმეზობლური თუ არა, ასატანი ურთიერთობა დამყარდა. მაგრამ კვიციანს არ დავუჯერეთ, — ამბობს სანძავა, — ვიფიქრეთ, მთელი ძალები რომ კოდორში გადმოვისროლოთ, ვაითუ ამასობაში ქართული ჯარი გალის რაიონში გავიდესო. შეიძლება მართლაც სჭირდებოდა კვიციანს დახმარება, მაგრამ მან ჩვენი ნდობა 2001 წლის შემდეგ დაკარგა, როცა აქეთ გელაევს შემოუძღვა. საქართველოს ხელისუფლებამ ის თავად შეაიარაღა, ახლა კი განიარაღების მომიზეზებით ხეობაში ჯარი და დევნილი მთავრობა შეჰყავს. ეს დაგეგმილ ოპერაციას ხომ არ ჰგავს?

ამასობაში სოხუმში თავს იყრიან მოხალისეთა რაზმების პოტენციური მეთაურები ყარაჩაეთ-ჩერქეზეთიდან, ადიღედან და ყაბარდო-ბალყარეთიდან, რუსეთის სამხრეთი ნაწილის სხვა რესპუბლიკებიდან, ყუბანის კაზაკობის წარმომადგენლები, რომლებიც, აუცილებლობის შემთხვევაში, „ბუკსა და ნალარას დასცემენ, თავიანთ რაზმებს მოუხმობენ“. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი განმარტავს, რომ ისინი 1992-1993 წლებშიც აფხაზეთის მხარეზე იბრძოდნენ.

სამხედრო პროგნოზების ცენტრის ხელმძღვანელის, ანატოლი ციგანოვის აზრით, აფხაზეთში ამგვარი „მოხალისეების“ გამოჩენა რუსეთის ინტერესებში არ შედის. „ახლა აფხაზეთისკენ ყველა ჯურის ავანტიურისტი დაიძრა, ესენი თავგადასავლების მაძიებელი „გარეული ბატები“ არიან. ვფიქრობ, რუსეთმა უნდა გაამკაცროს კონტროლი აფხაზეთის საზღვარზე და „მოხალისეებს“ აქეთ გზა გადაუკეტოს. ასევე არ უნდა შემოვუშვათ პარტიზანები. ამჟერად ამის შესაძლებლობა არსებობს. ცოტა ხნის წინ კავკასიაში ჩატარდა სამხედრო სწავლება, ჯარები ახლაც ბანაკებში იმყოფებიან.

სიტუაციის გართულების შემთხვევაში აფხაზებს რუსეთის იმედი აქვთ. „თავისი მოქალაქეების დაცვა რფ-ის კონსტიტუციური მოვალეობაა, აფხაზეთში თითქმის ყველას რუსული პასპორტი აქვს“, — ამბობს სერგეი შამბა. ანატოლი ციგანოვი კი აღნიშნავს, — რუსეთს აფხაზეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევის იურიდიულად გაფორმებული დოკუმენტი არ გააჩნია, მაგრამ იმასაც დასძენს, რომ „არსებობს საერთაშორისო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ყოველი სახელმწიფოს უფლებას, დაიცვას თავისი მოქალაქე, სადაც უნდა ცხოვრობდეს ის“.

აფხაზეთის დასაცავად მზად არიან არა მარტო რუსეთის მოქალაქეები, არამედ სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი. ამ მიზნით ცხინვალში თათბირი გამართეს აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა სერგეი გაბუნიამ და სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი ბარანკევიჩმა. ამ ორ რესპუბლიკას შორის არსებობს მოლაპარაკება ურთიერთდახმარების შესახებ არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში, არამედ სამხედრო დარგშიც. სწორედ ამ საკითხებს განიხილავდნენ ცხინვალში.

და მაინც, სერგეი შამბას იმედი აქვს, რომ აფხაზეთის მთავრობა ყველაფერს იღონებს საქართველოსთან პრობლემების მშვიდობიანად გადასაწყვეტად.

„აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს სჯერა, რომ კოდორის ხეობაში საქართველოს საომრად კი არ შეჰყავს სამხედრო დაჯგუფებები, არამედ დევნილი მთავრობის დასაცავად“, — ამბობს აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ ემზარ კვიციანი გამოიყენა კოდორის გასამაგრებლად. „პარალელური ადმინისტრაციული სტრუქტურის გაჩენა ჩვენ ხელს არ გვაძლევს. ქართველები 1997 წლიდან აპირებდნენ იქ დევნილი მთავრობის დასმას, მაგრამ სვანებმა მათი მინისტრებიანი თვითმფრინავი შეიპყრეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. ეტყობა, ეს არ აპატიეს სვანებს“, — ამბობს მინისტრის მოადგილე.



კვიციანმა და კუპალბამ დიდი ხნის წინ დადეს აფხაზების და სვანების ურთიერთთავდაუსხმელობის და კოდორის ზედა ნაწილში სამხედრო ფორმირებების შეუშვებლობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ჩარჩოებში აფხაზებმა სვანებს აფხაზეთში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის უფლება მისცეს და მძიმე ავადმყოფების გადასაყვანად შვეულმფრენებს უგზავნიდნენ. „ხალხი ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული. ჩვენთან მოლაპარაკების გარდა მათ სხვა არაფერი დარჩენოდათ. ეს ჩვენთვისაც ხელსაყრელი იყო. ამიტომაც გვქონდა ნორმალური ურთიერთობა. ეტყობა, საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს ხელსაყრელი არ არის“, — ამბობს კუპალბა.

საქართველოში გარი კუპალბას ადანაშაულებენ — ემზარ კვიციანს იარაღით იმიტომ ეხმარებოდა, რომ მათი ცოლები ნათესავები არიანო. „სისულელეა. მე მისი დახმარება არ შემეძლო, მას თბილისიდან ეხმარებოდნენ. მე გამუდმებით ვატყობინებდი გაეროს, რომ ემზარ კვიციანს იარაღი შეჰქონდა კოდორის ხეობაში, მაგრამ ქართული მხარე ამაზე დუმდა. ემზარს ტელეფონზე ხშირად ველაპარაკებოდი და ვხვდებოდი, ერთხელ იქაც ჩავფრინდი და მისი დის სახლში ვესტუმრე. ეს იყო კაცი, ვისთანაც მოლაპარაკება შესაძლებელი იყო. ბოლო დროს მთხოვა, გალის რაიონში დაპატიმრებული მისი კაცი გაგვეთავისუფლებინა. ჩვენ მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ, მტრები ვიყავით. დაშოშმინდეს ყველა, ვისაც ჰგონია, რომ კვიციანს ჩემს სახლში ვმალავ — არ ვმალავ და ის არც აფხაზეთშია. ჩვენ არც კვიციანის დამალვა გვჭირდება და არც მისი შეიარაღება. ახლა საკურორტო სეზონია და რად გვინდა ომი“, — ამბობს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გონიერობენ

***

პატარა **ნიკოლოზს** მამიკოს ფეხსაცმელი მოეწონა და ეუბნება:

— მამიკო, როცა დაგიპატარავდება, არ გადააგდო, მე რომ გავიზრდები, ჩავიცვამ.

***

პატარა **დაჩიმ** „იურმალას“ ფესტივალზე რუსი კომპოზიტორი, გრძელთმიანი და ულვაშიანი, იგორ ნიკოლაევი რომ დაინახა, გაოცებულმა ჩაილაპარაკა:

— გოგო-ბაბუა არ გამიგია მეო...

## I — აბა, გამოიცანი

**1. ვინ იცავდა წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნულ საგანძურს საფრანგეთში?**

ა) გრიგოლ რობაქიძე; ბ) ექვთიმე თაყაიშვილი; გ) ნოე ჟორდანია; დ) ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

**2. ვინ გაახმოვანა ბატი ტასიკო მულტფილმში?**

ა) მედეა ჯაფარიძემ; ბ) მედეა ჩახავამ; გ) დოდო ჭიჭინაძემ; დ) ლეილა აბაშიძემ.



**3. რისი შენობაა გამოსახული ამ ფოტოზე?**

ა) სახელმწიფო კონსერვატორიის; ბ) რუსთაველის თეატრის; გ) ოპერის და ბალეტის თეატრის; დ) საჯარო ბიბლიოთეკის.

## III

ნუმერაციის მიხედვით შეიტანე უჯრედებში ქვემოთ მოცემული ნახატების სახელწოდებათა პირველი ასოები და გრაფებში მიიღებ ერთ ხალხურ ანდაზას:





**იპოვე 10 განსხვავება**



## II

გამოიცანი, გეყოფა თუ არა ფილები ბაღში გზის დასაგებად, თუ ზედმეტიც დარჩება? შენს განკარგულებაშია სხვადასხვა ფორმის 4-4 ფილა




### იცი თუ არა, რომ...

- თორმეტი მოციქულიდან მხოლოდ იოანე მიიცვალა თავისი სიკვდილით.
- ცნობილი მე-9 სიმფონია ბეთჰოვენმა სრულიად ყრუმ დაწერა.




## არაკები

### მგელი და დათვი

ერთმა მსუნაგმა მგელმა ფარიდან კრავი მოიტაცა და გახარებულმა ტყისაკენ მოკურცხლა. სანამ თავის ბუნაგამდე მიაღწევდა, გზად უცბად დათვი შემოხვდა, რომელმაც მგელს ნანადირევი წაართვა და ერთი მაგრადაც უთავაზა. მგელს ეწყინა, იქვე ხის ძირას ჩამოჯდა და ხმადაბლა აყმუვლდა: — განა სირცხვილი არაა, ძლიერმა სუსტი დაჩაგროსო?

### მენავეები

მენავეებს შუა მდინარეში ძლიერმა ქარიშხალმა მოუსწრო. ძალიან შეშინდნენ, ნიჩბებს ხელი უშვეს, პირჯვარს იწერდნენ და გაიძახოდნენ: „ღმერთო, გვიშველეო“. ამ დროს იქვე ნაპირიდან ვილაცამ გასძახა მათ: „თქვე სულელებო, ღმერთს რომ ევედრებით, ნიჩბები მოუსვით და გადარჩებითო“. ასეც მოიქცნენ და ნაპირზე გამოვიდნენ.

### ენის გასატეხი

* წისქვილის და წაბლნარის წინ მოწანწკარებს წყარო წყნარად.

### საიდან მოდის...

**სახტად დარჩა** — ამ გამოთქმას ყველა ვიცნობთ და ხშირად ვიყენებთ, ანუ მაშინ, როდესაც გვინდა ხატოვნად ვთქვათ — მოულოდნელობისაგან გაშტერდა, განცვიფრდა, გაოცდაო, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რას ნიშნავს სიტყვა — „სახტი“. იგი წარმოშობით ოსურია და „დარჭობილს“, „დარგულს“ ნიშნავს. ამრიგად „სახტად დარჩას“ პირდაპირი ახსნაა — „ჩარჭობილი დარჩა“.

### შინაარსის მიხედვით დააწყვილე საგნები



პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაშუკა ხუციშვილმა

# მეზობელს ვერ მოვიძულებ, ძმისავ, ვერა!

„ღმერთო, დამბადებელო და ბუნების ძალავ, რა დავაშავეთ ისეთი? როსნამდე უნდა ვიყოთ ესე ბრმაყრუობაში?" — ისმოდა გზიდან. რო გავიხედე, დათა იყო, ცხვარიაშვილი, კარის მეზობელი. ეზოს შემოსასვლელთან ტრიალებდა. ეტყობა, შემოსვლა უნდოდა და კარი რომ ვერ გააღო, იქვე საფიხვნო სკამზე ჩამოჯდა, თან ხმამაღლა ფიქრი გააგრძელა.

— რა იყო, დავით, რაზე ბრაზობ? თავს გაუფრთხილდი, კაცო, ხანში ხარ უკვე, — შევეხმიანე და სალაპარაკოდ გავედი. სალამი მივართვი. ხელი ჩამომართვა, ამბავი მკითხა, მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი.

დათა ოთხმოცს გადაცილებული ძირძველი თიანელი ფშაველია. მარტო ცხოვრობს. შინაურები რუსეთში წაუვიდნენ. აქაც ჰყავს ერთი ქალშავა (ქალიშვილი), მაგრამ სხვა სოფელშია გათხოვილი.

ჩავეძიე უკმაყოფილების მიზეზზე.

— კაცო, სამი ლარისა მაქ დენი დაწერილი. ხუთიანი კიდე უნდაო. ვაა! ეს სადა ვართ, კაცო? სოჩიკი რაღა ოხრობად დამიდგეს, თუკი ფულს მაინც თავი ნებაზე აკრეფავენ?

— რას ამბობ, კაცო, როგორ თუ თავის ნებაზე?

— საკონტროლო სოჩიკიაო რავი, მთელი უბნის დენს ითვლის. იქ მეტია დაწერილიო. ეხლა ეგ არი გამოსარკვევი, თვითონ ქურდობენ თუ მეზობლებშია ვინმე მამაძაღლი. როგორ ჩავუდგე კაცს კრიჭაში, თორე მაგის გაგება იოლია. იოლი კი არა, დანამდვილებით ვიცი, ვინც იპარავს, მაგრამა როგორ მოვიძულო კაცი? არა, ქართველი კაცი სხვანაირია. რუსი მაგას არ გაპატიებს და იქნება მართალიც არი, მაგრამ ჩვენ სხვა ხალხი ვართ და კონტროლიც სხვანაირი გვინდა, ამნაირ საქმეს რომ გამოადგება.

— რაღა სხვანაირი კონტროლი გინდა, კაცო, ქურდი სახელზეაო და თუ დაბეზღება არ გინდა, მიდი და პირდაპირ უთხარი, დენს ნუ იპარავ-თქო.

— ვა, რა კარგად სთქვი, ძმისავ, მივალ და ვეტყვი: შენა, ქურდი ხარ-მეთქი და კიდენა ხალხის მტერიო. წინავ იცოდნენ, ხალხის მტერიაო და იცი, იმას სად აგზავნიდნენ? მაგრამ ეს კოლექტივის დროს იყო და ეხლა ხო ის დრო არ არი, კაცო. ეხლა კერძოობა და გაზია თუ დენი, იმას ვილაცა ყიდის ბაზარზედა ისე, როგორც კიტრსა და პამიდორსა. თუ კიტრის გამყიდველს ვილაცამ ყუთებით კიტრი ააცალა, იმას მე სადა ვდიო, კაცო. მე იმის მოხელე ვარ, იმ ერთ კილო კიტრს მოვუარო, რო ვიყიდე. ეს გამყიდველი კიდენა, იმ ქურდის გამო მე უნდა მედავოს? მე უნდა ავანაზღაურო? ეგრე სად არი, კაცო! თუ კერძოობაა, კერძოობა იყოს და თავის საქონელს ყველამ თვითონ მოუაროს. თუ ძველებურად კოლექტივი უნდათ და, ეგეცა თქვან. მე ვერც დენის ქურდს დავუწყებ დევნასა და ვერც ნაპარავს ავანაზღაურებ. აგე, გალმაურმა სიკომა: ვერ ვიხდი ფულსა და არა მაქ შუქი, აბა რაღა ვქნაო. ინკასატორმა კიდენა, არაო, სანამ შენს დანახარჯს არ გადაიხდიან, მთელ უბანს ბნელში ვამყოფებთო. აჰა, სად არი აქა ქურდი და ვინღაა დანაშაულში? მე მაინცა მგონია, რომ მტყუანი კიტრი გამყიდველია და კიდენა ბაზრის უფროსი, ვინც მაგას ნებას აძლევს, რო მე აქ მეძალაოს და მაყაჩაღოს. ბაზრის უფროსს კიდენა, ალბათ, მთავრობა აძლევს მაგის უფლებასა... გაიგე, ძმისავ?! მე მეზობელს ვერ მოვიძულებ, ვერა!..

ეჰ დათავ, დათავ, შენ მაგრა ჩამაფიქრე. ეგ საქმე მართლა წააგავს კოლექტივსა. ფაშისტებმა თურმე მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ უკრაინაში კოლექტივი ხელუხლებლად დატოვეს: ხალხის ექსპლუატაციისათვის ამაზე უკეთესი რაღა უნდა მოვიფიქროთო(!).

დათამ კარგად იცის უკრაინაც და გერმანიაც (ომის მონაწილეა). იმაშიც შეუცდომლად ერკვევა, როდის შეიძლება მეზობლის მოძულება და როდის — არა.

ღმერთმა, დამბადებელმა და ბუნების ძალამ ბოლომდე გაგაძლებინოს, კარის მეზობელო ცხვარიაშვილო!

შესაბამის სამსახურებს კი მთავრობაში დათას სახელით ამას ვეტყოდი: „აგერ — ჩვენ, აგერ — გერმანია" და ისიც გაგვაგებინონ, თვითონ ვის მხარეს არიან.

*ჯემალ მოსეშვილი,*
*თიანეთი*




# „მტვრის სიტკბოზე შეიძლება ლაპარაკი?"



„И дым отечества нам сладок и приятен"

— ნალკაში მთელი სხეულით შევიგრძენი ამ სიტყვების ჭეშმარიტება. ოღონდ ბოლის სიტკბო კი არა, მტვრისა დავიგემოვნე. არადა მტვრის სიტკბოზე შეიძლება ლაპარაკი? თან წალკაში, სადაც ავტობუსში ასულს 2 მილიმეტრი მტვერი დაგედება სხეულზე.

მოკლედ, დილით ვდგავარ აიაზმაში, ველოდები ავტობუსს. ვხედავ, შორიდან მოდის დიდი მანქანების კოლონა, აბდღვირებს იქაურობას. ვცდილობ, სადმე გავერიდო, მტვერმა რომ არ დამახრჩოს. ცოტა რომ მოახლოვდნენ და დავუკვირდი, ფეხი ველარ მოვიცვალე: ეს ხომ რუსული სამხედრო ტექნიკა და რუსი სამხედროები მიდიოდნენ ახალქალაქიდან სამშობლოში.

ვიდექი და ვიდექი, ვუყურებდი და ვუყურებდი, ვყლაპავდი და ვყლაპავდი იმ მანქანებისგან ადენილ „ტკბილ" მტვერს.

*გიორგი ჭაუჭიძე წალკა*

# დევიმსეთ

ზრდილობით განთქმული ზემოიმერელი დიდი ხნის უნახავ ნათესავსაც კი მისალმებამდე, თქვენთან რავარი პირი უჩანს მოსავალსო, ეკითხება.

— რაღა რავარი, დევიმსეთ, დეიწვა და დეითუთქა ყველაფერი.

— არც ლობიო აღარ იქნება.

— რაი? სიმინდი კიდე ხო, კვინჭს მაინც გამოილებს, ვენახმა ადრევე მოგჭამა ჭირი და... — წუხან იმერლები.

ჯერ იყო და, ტრაქტორი გახდა სანთლით საძებარი. მოძებნილი ძვირია — ოცდაათი ლარი ათასი კვადრატული მეტრის დახვნაში. ახლა ერთი თავის დროზე აქ მდინარის მარგანეცის მინარევებისგან გამწმენდი ნაგებობა და ღურღუმელას შლამსაცავი მეურნეობა აიგო, რაზეც კოლოსალური თანხები დაიხარჯა. ახლა ეს ყველაფერი დაფუშულია — ჯართად და სამშენებლო მასალებად არის გაყიდული. ხშირად ვფიქრობ, ნეტა სხვა ქვეყანაში ხომ არ ვცხოვრობ ან ჭიათურა ხომ არ არის აფრიკის რომელიმე სახელმწიფოსი — ტელევიზიით მესმის და პრესაშიც ვკითხულობ, წყლის დაბინძურებისთვის გარემოს დაცვის ინსპექციამ ესა და ეს ორგანიზაცია დააჯარიმაო. ცნობისთვის: სტატისტიკის ჭიათურის განყოფილების მასალებზე დაყრდნობით, დემოგრაფიული სურათი აქ არცთუ სახარბიელოა — მეტი



თვეა, წვიმა კი არა, ნამი არ დასდენია მიწას. არადა ცხელი მჭადის სურნელი თუ ვერ იგრძენი და ლობიოს ქოთნიდან თუ არ გეცა ქონდრისა და ქინძის სურნელი, ის რაღა იმერეთია.

არნახული გვალვაა.

ჭიათურის ზონის სოფლებში მოსავალი მაინცდამაინც არასდროს ყოფილა ხვავრიელი. ოჯახის ძირითად მატერიალურ საყრდენს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მანგანუმის მოპოვება წარმოადგენდა — გლეხკაცი მაღაროელიც იყო. ასეა დღესაც.

სს „ჭიათურმანგანუმი" ახლა გაკოტრების რეჟიმში მუშაობს, იფიცებიან, მინიმალური მოგებითაო. ფიცი, რა თქმა უნდა, გვწამს, ბოლო კი გვაკვირვებს.

გლეხი, რომელიც მარგანეცის მარცვლებს აგროვებს ძველისძველი ნაზნევიდან, კარგ ფულს იღებს. კი ბატონო, თვითღირებულებაც გვჯერა, მაგრამ ვისაც ხელის გატოკება არ ეზარება, ყველა მარგანეცის ბიზნესს აკეთებს ჭიათურაში და სოლიდური მოგება რჩებათ, ამოდენა საწარმო კი აგებს?

## სანამ ყვირილა იყვირებდეს...

ჭიათურაში დედამდინარე ყვირილაა. დედას კი არა, ავ დედინაცვალს არ მოექცევა შვილი ისე, როგორც ყვირილას ექცევიან დღეს. ერწოს ტბის შემოგარენიდან ტალღათა ჩქეფებით წამოსული ჭიათურის მიდამოებში მდორდება და უხმოდ მიედინება — თითქოს ერცხვინება კუპრივით შავი ფერის რომაა და მიიპარება კლდეთა შუა ორწოხებში. კვდება, ვიდრე იბადება. ასეა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე და ასე გაგრძელდება, ალბათ, კარგა ხანს. ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა, მარგანეცია: მისი მტვრით, ზედაპირზე გამოტანილი გოგირდის შემცველი ტოქსიკური ქანებით, მავნე სამუშაოებითა და სხვა. წესით, მტვერი უნდა ირეცხებოდეს; ტოქსიკური ქანები მარგანეცის მოპოვების შემდეგ კვლავ ჰუმუსოვანი ფენით უნდა იფარებოდეს. ყველაფერ ამას კი გარემოს დაცვის ინსპექცია აკონტროლებდეს.

## არ სურთ დანახვა...

მახსოვს, ადრე დახლქვეშ იყიდებოდა სიგარეტები „კოლხეთი", „ლუქსი" და კიდევ ბევრი რამ. ამჯერად „ბევრი რამ" დახლს ზევით ამოვიდა და დახლქვეშ დარჩა რუსული წარმოების კონტრაბანდული სიგარეტები. შებრძანდით ნებისმიერ მაღაზიაში, მიბრძანდით ხელზე მოვაჭრესთან დიდ ბაზრობაზე და მაშინვე მოგართმევენ „იავას", „ტროიკას" და კიდევ სხვას თითო ლარად. იკითხავთ: რას აკეთებენ ადგილობრივი კომპეტენტური ორგანოები, ვერ ხედავენ თუ არ სურთ დანახვაო. არ ვიცით! ის კი ვიცით, რომ ქალაქში ხიდების მოაჯირები შევღებეთ; ახლა ცენტრალური ქუჩის სახლების ფასადებს ვღებავთ — ფერებს ხომ უნდა შეხამება, ამას კი დრო სჭირდება. ჩვენ არსად გვეჩქარება და დინჯად ვაკეთებთ ჩვენს საქმეებს. ბოშო, აქ არა ვართ?!

*ვიტალი მიროტაძე ჭიათურა, წირქვალი*

# რატომ აღარ ჩქამობს ქართული რადიო მთაში?

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენთან, მთაში, ქართული რადიოს გადაცემებს ვერ ვიღებთ. არადა ტელევიზია ყველა სოფელში არ აჩვენებს, არც დენია ყველგან და აქაურებისთვის რადიო არის ინფორმაციისა და გართობის ერთადერთი წყარო.

— წასულ ზამთარ ქოოდ (მთლად) გავტყიურდით კაც-დიაცნიო (ცოლ-ქმარი), — მითხრა ერთმა ხევსურმა და რადიოს უმოქმედობა ისე დაიჩივლა, თითქოს უზარმაზარი დარდი აწუხებსო.

ბევრია, ალბათ, მსგავს მდგომარეობაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მგონი, არა მხოლოდ აღმოსავლეთში).

ვისი ან რისი ბრალია ეს?

ჩვენი მწირი ინფორმაციით, რომლის გადამოწმებაც ვერსად შევძელით, საქმე შემდეგშია: ბაზალეთის რადიოსადგური, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფდა საქართველოს რადიოფიცირებას, ამჟამად გაუქმებულია. რადიოტალღების მიმღებ-გადამცემი ანძები ჯართში ჩასაბარებლად არის განწირულიო, გვითხრა ამ დასახლების მოსახლეობამ.

კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა ჩვენთან, — ვითომდა შემოდგომისთვის კოსმოსური თანამგზავრის მეშვეობით უკვე ყველგან გავრცელდება საქართველოს რადიოს ხმა. ესეც ყურმოკრული ამბავია, რომლის დადასტურება-არდადასტურება, ვფიქრობთ, ყოფილ სახტელერადიოს, ამჟამად კი საზოგადოებრივი მაუწყებლობის რადიოს ხელმძღვანელობას ხელეწიფება. ჩვენ კი ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ რადიოს გაუქმება მთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის არ იქნებოდა.

არიქა, თქვენის გამჩენის მადლმა, ვისაც ამ საქმის მოგვარება გევალებათ და შეგიძლიათ, იქნებ სთვლისად მაინც (შემოდგომისთვის მაინც) ავაჩქამათ (ჩქამობს — ხმაურობს, ლაპარაკობს; ავაჩქამათ — ავალაპარაკოთ) ქართული რადიო მთაში. *გოგი ჭინჭარაული, ხევსურეთი, ბარისახო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი თვე საკმარისია ადამიანის გასაცნობად

— ამბობენ ლადო ჯანელიძემ 14 წლის გოგო მოიყვანა ცოლადო. თუ ეს მართალია, იქნებ რაიმე ინფორმაცია მოგვაწოდოთ მათ შესახებ.

*მარი ლიპარტია*



ნუცას სკოლელმა 22 წლის ლადო ჯანელიძემ სულ რამდენიმე კვირის წინ 14 წლის ანუკა ჩხეიძე მოიყვანა ცოლად. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ჩვენ თავად ლადოს დავუკავშირდით.

— ანუკა რუსთაველის პროსპექტზე გავიცანი. ხშირად ვხედავდი თეატრალურ ინსტიტუტთან. ძალიან მომწონდა, გაცნობის შემდეგ კი მისი ხასიათითაც მოვიხიბლე. ერთ თვეს დავდიოდით ერთად და ბოლოს გადავწყვიტეთ, გავპარულიყავით. მერწმუნეთ, ერთი თვე სავსებით საკმარისია ადამიანის გასაცნობად და სიყვარულის გამოსამჟღავნებლად. თავიდან, რა თქმა უნდა, მშობლები შემოგვწყრნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, ჩვენ მაინც ჩვენსას გავიტანდით. ნიშნობა უკვე გვქონდა, ხოლო ქორწილსა და ჯვრისწერას ზამთარში ვგეგმავთ.

მე და ანუკას ბევრი საერთო გვაქვს — ერთნაირი მუსიკა გვიყვარს, ერთნაირი ჩაცმის სტილი გვაქვს. ამ ზაფხულს დავისვენებთ და სექტემბრიდან ისევ მუშაობას შევუდგებით. ანუკა ფოტოხელოვნებით არის გატაცებული, კარგადაც მღერის და დუეტის ჩაწერასაც ვაპირებთ.

## სად დავისვენოთ ზაფხულში

— გთხოვთ, განგვიმარტოთ საქართველოში არსებული კურორტების მნიშვნელობა კონკრეტული დაავადებებისთვის.

*თინათინ ჯღარკავა*

კითხვას უპასუხებს **თამარ ჩილინგარიშვილი**, ექიმი-კურორტოლოგი:



— ზაფხულში კარგია როგორც მთის საკურორტო ზონაში, ასევე შავი ზღვის სანაპიროზე დასვენება. ადრე წესად გვქონდა, ბავშვები ზაფხულში ჯერ მთაში მიგვყავდა, მერე კი ზღვაზე. მთის კლიმატი იმუნურ სისტემას აძლიერებს. მთის კლიმატი დაყოფილია დაბალი, საშუალო და მაღალი მთის კლიმატებად. დაბალი მთის კლიმატს მიეკუთვნება კურორტი, რომელიც ზღვის დონიდან 400-900 კმ-ზე მდებარეობს, საშუალო მთისას — ზღვის დონიდან 900-1400 კმ-ზე მდებარე, მაღალი მთის კლიმატს კი 1400-დან ზევით.

ადამიანმა კურორტი თავისი დაავადების მიხედვით და ექიმთან კონსულტაციით უნდა შეარჩიოს. მაგალითად: კუჭის მაღალი მჟავიანობისას კარგია ბორჯომის მინერალური წყლები; კანის დაავადებებს რგებს კურორტ ნუნისის წყალი. სხვათა შორის, თბილისში არსებული გოგირდის წყალიც არანაკლებ ეფექტიანია კანის დაავადებებისთვის.

ბავშვებში გავრცელებული რაქიტული დაავადებებისთვის მზის აბაზანები და ზღვაა საჭირო. ამიტომ უმჯობესია ურეკის სანაპირო ზოლს ესტუმროთ, იქაური პლაჟების მაგნიტური ქვიშა სამკურნალოა.

თირკმლების კენჭოვანი დაავადების დროს ეფექტიანია საირმის მინერალური წყალი, რომელიც დაბალი მინერალიზაციით გამოირჩევა და შარდმდენი თვისება აქვს. ორგანიზმიდან გამოიდევნება მავნე დანალექები.

თუ ბავშვს სუსტი ფილტვები აქვს, კარგი იქნება ბაკურიანის, შოვის, სურამის, კიკეთის მთის კლიმატი.

სასურველია, ბავშვი კურორტზე 21 დღით მაინც დაასვენოთ.

## პირველი ნაბიჯები

— გთხოვთ, გვიამბოთ მომღერალ ნინი შერმადინის სამომავლო გეგმებზე.

*მისი თაყვანისმცემელი*

კითხვას უპასუხებს **ნინი შერმადინი**:

— ახლახან დავასრულე მუშაობა ახალ კლიპზე „არაფერს ვითხოვ". კლიპი ალეკო გოგინაშვილმა გადაიღო, სიმღერის ტექსტი კი თემო ხვიბლიანს ეკუთვნის. კლიპში თიკო მაღალაშვილის კოსტიუმები და ავთო ცქვიტინიძის კაბა გამოვიყენეთ.



კლიპის იდეა თავად რეჟისორს დაებადა. როდესაც ალეკომ სიმღერა მოისმინა, მაშინვე შემომთავაზა გადაღება. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. შეიძლება ითქვას, რომ ეს კლიპი საჩუქრად გამიკეთეს. მგონი, კარგი გამოვიდა, მე კმაყოფილი ვარ და ალბათ, ჩემი მსმენელიც. მომწონს, სხვადასხვა ეპოქის ქალს რომ ვასახიერებ, ძალიან საინტერესო იყო.

სექტემბერში გამოვა ჩემი ახალი სოლო ალბომი, სახელწოდებით „პირველი ნაბიჯები". სექტემბერშივე იხილავს მაყურებელი ორ ახალ კლიპს. სავარაუდოდ, რეჟისორი კვლავ ალეკო გოგინაშვილი იქნება. ჯერ ვერ გეტყვით, რა სახის კლიპებს შევთავაზებთ მსმენელს. შემოდგომაზე იალტაში, კონკურსზეც გავემგზავრები.

ამ ზაფხულს ბათუმში დასვენებას ვაპირებ, თან ახალ პროექტებზე ვიმუშავებ. ამ ზაფხულს ბათუმში უამრავი კონცერტია დაგეგმილი, რომლებშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

წელს თეატრალური ინსტიტუტის დრამის ფაკულტეტის სტუდენტიც გავხდი. ჩემი ცხოვრება ისევ და ისევ სცენას დავუკავშირე და შევეცდები, გავამართლო ჩემი თაყვანისმცემლების იმედი და უამრავი სიახლე შევთავაზო, როგორც მომღერალმა და მსახიობმა. პირად ცხოვრებაში სიახლე არ მაქვს. ჯერჯერობით ინტენსიურად ვემზადები ახალი კონცერტისთვის.

## სიტყვათა კონა

**მიქავაშლა** — ბალახოვანი მცენარე; მიწის ქვეშ იკეთებს კარტოფილის მსგავს ტუბერებს, რომელთაც იყენებენ საქონლის საკვებად.

**მიწიშვილი** (წიგნ.) — მოკვდავი ადამიანი.

**მიჭყრიტანა, მიჭყრიტინა** (ძვ.) — სარკე.

**მკედი** (ძვ.) — მომსხო ძაფი.

**მკლავპაჭიჭი** — მკლავზე წამოსაცმელი (პაჭიჭივით); იკეთებენ კაცები მკის დროს, ქალები პურის ცხობის დროს.

**მლაშობი** — მარილების შემცველი, მლაშე ნიადაგი — ბიცი.

**მლივი: მლივი ნაწლავი** — (ანატ.) წვრილი ნაწლავის ნაწილი, რომელიც მოსდევს თორმეტგოჯა ნაწლავს.

**მმაჩი** (შემოკლ.) — მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი განყოფილება.

**მნათე** — ეკლესიის მსახური, რომლის მოვალეობას შეადგენს სანთლების ანთება, ზარების რეკვა და მისთ.

**მნე** — პირი, რომელსაც დაწესებულებაში, ორგანიზაციაში აბარია სამეურნეო საქმეები.

**მოაყივნებს** (ძვ.) — საქვეყნოდ შეარცხვენს, თავს მოსჭრის, სახელს გაუტეხს.

**მოაჭახრაკებს** — მოაგვარებს, მოახერხებს რასმე (ეშმაკობით, გაქნილობით).

**მობრალული** (ძვ. და კუთხ.) — იგივეა, რაც შემბრალებელი.

**მოგვი** — 1. ცეცხლმსახურთა ქურუმი. 2. ვარსკვლავთმრიცხველი; გრძნეული, მისანი.

**მოგვერდი** — ჭიდაობის ფანდი, მოპირდაპირის თეძოზე გადმოგდება.

**მოენე** — 1. ტყვე, რომლისგანაც შეიძლება საჭირო ცნობების მიღება. 2. მეთვალყურე, ჯაშუში, ენატანია.

## «ავტობანი»

— გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქართველოში მშენებარე დიდი მაგისტრალური გზის, ე. წ. ავტობანის შესახებ. რა სიგანის იქნება; საიდან იწყება და სად მთავრდება; რომელ ადგილებში გაივლის...

*დურმიშხან ტორონჯაძე*

კითხვას უპასუხებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი:



— თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე საქართველოში პირველი ჩქაროსნული გზატკეცილის (ავტობანის) ნატახტარი-აღაიანის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა დაგეგმილი გრაფიკით მიმდინარეობს. წელს ამ მონაკვეთის ერთი მხარე (დასავლეთის მიმართულება) ახალი ტექნოლოგიით — ცემენტ-ბეტონის საფარის გამოყენებით აშენდება. გაისად პარალელური გზის (დღეს არსებული გზა აღმოსავლეთის მიმართულებით) რეკონსტრუქციასაც ახალი ტექნოლოგიით გავაკეთებთ. გზატკეცილის სიგრძე 16 კმ იქნება, სიგანე 11,50 მეტრი, ცემენტ-ბეტონის მთლიანი საფარი კი 176 ათას კვადრატულ მეტრს მოიცავს. ცემენტ-ბეტონის საფარი ეკოლოგიურად სუფთაა და რეაბილიტაციას 30 წლის განმავლობაში არ საჭიროებს. ამ ტიპის საფარზე ავტომობილი 10-15 პროცენტით ნაკლებ საწვავს მოიხმარს. ცემენტ-ბეტონის საფარი გერმანული წარმოების მექანიზმებითა და გერმანელი ინსტრუქტორების დახმარებით დაიგება. ნატახტარი-აღაიანის 16კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის მთლიანი ღირებულება 47 მილიონ ლარს შეადგენს. ძირითად სამუშაოებს აწარმოებენ კომპანიები: შპს „ზიმო", შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი" და შპს „გზამშენი-4". სამშენებლო სამუშაოები მარტში დაიწყო და მისი დასრულება სექტემბრის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. გარდა ამისა, ნატახტარსა და აღაიანთან იქნება სატრანსპორტო კვანძები, რაც უზრუნველყოფს გზატკეცილზე ავტომობილების შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გადაადგილებას ორივე მიმართულებით. ადგილობრივი მნიშვნელობის (გადამკვეთი) გზები ჩქაროსნულ გზატკეცილთან სატრანსპორტო კვანძით იქნება დაკავშირებული. დაგეგმილია ორი ხიდის მშენებლობა (202-მეტრიანი ხიდი მდინარე ქსანზე და 18-მეტრიანი მდინარე ნარეკვავზე).

ამავე მონაკვეთზე აშენდება ხუთი გზაგამტარი (250 მეტრი), რომლებიც სოფლებს: ნატახტარს, გოროვანს, ქანდასა და აღაიანს დაუკავშირდება.

*რუბრიკა მოამზადა ქეთი ჭეიშვილმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...







პოეზია

# მუხრან მაჭავარიანი

## „დუმილი რეკავს“

304 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 6 ლ.




–ლაპარაკი ვერცხლია, დუმილი, — ოქრო! — ამბობენ ჩვენი ძველები.
ჩემი ოქრო და ჩემი ვერცხლი ჩემი სამშობლოა;
ვყვირი! — მისთვის ვყვირი!
ვდუმვარ! — მისთვის ვდუმვარ!
მხოლოდ ჩემთვის, — ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს.

### სულთხდომა

სინათლის არ ჩანს არსაით ხემსი.
უკუნეთია გარშემო სრული.
უბედურთ, — მე და სამშობლოს ჩემსას, —
ორთავეს ერთად ამოგვდის სული.

### სურთ

სურთ, —
დაუკარგონ საქართველოს სახე თავისი!
სურთ, —
საქართველო უსახური გახადონ მხარე!
(არის რა ბიჭიც! —
სამწუხაროდ, — ბევრმა არ იცის, —
საქართველოში
ვინც ვითომდა
წესრიგს ამყარებს)!

სურთ, —
იმნაირად საქართველო აქციონ ქვეყნად, —
ქართული სადაც ძლივს ორლობის იქნება ენა, —
თვით ქართველი კი
(ნუ შემასწროს მე ამ დღეს ღმერთმა)! —
კვლავ ხელისბიჭად ეყოლება არაქართველსა!
არ ჩაეყუდა თუ თორნეში კაცი რაჭიდან!..
თუ არ ვიყიდე ზესტაფონის ბაზარში სარცხი!..
მე საქართველო ამისთანა მინდა რა ჭირად?! —
საქართველოში
ამნაირში
სიცოცხლე
არც ღირს!

### ვენდო?! – ვით ვენდო?!

რამ დამიამოს იარა?! —
ვენდო?! —
ვით ვენდო მომავალს?! —
როდესაც ადამიანი, —
ვითომ ქართველი რომაა, —
არის ქართველი კი არა, —
თამაშობს
ქართველობანას!

### აწი

რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის აწი:
წვიმაა თუ მზე?!
დღეა თუ ღამე?! —
ერთიც კი როცა არ შემრჩა კაცი, —
რო მივახარო, —
რაც გამახარებს!

* * *

ვინც ილხენს ახლა, —
უფრო ცოდოა, —
ვიდრე ის ბევრი, —
ახლა ვინც ტირის...
ამგვარში, —
დღეს რომ საქართველოა, —
არც სიცოცხლე ღირს
და არც სიკვდილი!

* * *

მე ვაკის პარკში
(დღეა ცივი თუ დღეა თბილი), —
გატანილს სტე-სტე,
ყოველდილით,
ვადგავარ ბილიკს.
კაცი, რომელიც,
ამ ბილიკზე,
მხვდებოდა შარშან, —
არ ჩანს!

### გარდა ერთისა

*(შეძახილი პეტრე ბაგრატიონის ძეგლის ხილვისას ორთაჭალაში)*

– Спаси Господи Россию! –

*ასე შებღავლა თურმე უფალს (ფეხი როცა მოჰკვეთეს, მაშინ) პეტრე ბაგრატიონმა, — ვისაც საქართველო ფეხზე ეკიდა, ვინც რუსეთისთვის ჭკუასა კარგავდა და ბოლოს ფეხიც დაკარგა მისთვის.*

ვიცი: რა ხდება!
ვიცი: რა გველის!
ტანჯავს ვის რისი,
ვიცი, ნაღველი! —
ყველაფერია ჩემთვის ნათელი!
ყველაფერია ჩემთვის ნათელი, —
გარდა ერთისა:
აქ რატომ არის
ძეგლი პეტრესი, —
ბაგრატოვანის?! —
ვაშა-რუსის და ვაი-ქართველის!

* * *

ყველამ გამწირა, —
მეგობრისა ვინც იყო მსგავსი:
მიწაზე ყოფნას
ზოგმა ყოფნა არჩია ცაში.
ზოგი მათგანი
ქვეყნის დამქცევს ჩაუჯდა ნავში:
ტყე აიჩეხა, —
ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი.

### ნუ გაიკვირვებ!

ულხინს თუ უმძიმს, —
სულ ერთია! —
ყველა რწმუნდება! —
ძალმომრეობის დათვლილია უკვე წუთები! —
და, — ვინც მიგანა, —
ისევ ჩემთან
მოძუნძულდება!

და ისევ:
არვინ ეყოლება
მას ჩემი ფასი!
და ისევ:
შესვამს სადღეგრძელოს
ის ჩემსას თასით!..
კი, მარა! —
ბნელა?! —
მეც კაცი და
ეს კაციც —
კაცი?!

მე ვინც დამწიხლა! —
მე ვინც მირქინა! —
სულზე ქართულზე, —
დღეს ვინც ქირქილებს!..
ნუ გაიკვირვებ! —
ხვალ ჩემთან ძმობა
მოიწადინოს
კაცმა
იგივემ!

### ჩემი ეპიტაფია, – წასაწერი საფლავის ქვის ორივე მხარეზე (ქვედაზეც, ზედაზეც), – მკვდარმაც რომ წაიკითხოს და ცოცხალმაც

შენი არ იყოს, — ჩემო ირაკლი! —
ვერ ვიდევგმირე! — ვერ ვიწინაპრე! —
ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილაღემ! —
მამულმა შენებრ შემიწირა მე

*გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ*


## წიგნები

### სახლში მიტანით

### ფასნამატის გარეშე!

**გამომცემლობა „პალიტრა L“**

| | |
|---|---|
| ედუარდ შევარდნაძე — მემუარები „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ (მგ.ყდ., ფოტოჩანართი) | 18 |
| ედუარდ შევარდნაძე — მემუარები „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ (რბ.ყდ.) | 12 |
| აუდიოკასეტა „რჩეული ზღაპრები“ | 2,50 |
| ბორის აკუნინი — „თურქული გამბიტი“ | 5 |
| მაია ბურჭულაძე — „შეშლილი თაფლობისთვე“ | 4,90 |
| „შემოდგომა მშრალ ხიდზე“ | 4,90 |
| **ლექსების კრებული** | |
| მუხრან მაჭავარიანი — „დუმილი რეკავს“ | 6 |
| ამირან ჭიჭინაძე — „ჭკუა“ | 5 |
| „რას გვეტყვი, მამაო“ | 5 |
| თემურ ყიფიანი — სამაგიდო ენციკლოპედია: „ყველაფერი ყველაფერზე“ | 12 |
| ოტია იოსელიანი — „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მგ.ყდ) | 8 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| გოჩა დვალი — ანტიდეპრესანტი | 5 |
| ართურ კონან დოილი — „დაკარგული ქვეყანა“ | 5 |
| **ლიტერატურული ზღაპრების კრებული** | |
| „ჯადოსნური კარი“ | 7 |

ახალი

**გამომცემლობა „ლიტერა“**

| | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| „რობინზონ კრუზო“ | 7 |
| „იულიუს კეისარი“ | 7 |
| „ალექსანდრე მაკედონელი“ | 7 |
| „ტროას ომი“ | 7 |
| „ჰერაკლე“ | 7 |
| „რობინ ჰუდი“ | 7 |

**„ელფის“ გამომცემლობა**

| | |
|---|---|
| სიმონ მასხარაშვილი „მატიანე ქართველთა“ | 12 |
| „მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ფეხბურთში“ | 7 |
| **საბავშვო** | |
| „ჩემი საქართველო“ | 19 |
| „საქართველოს დიდი მეფეები“ | 16 |
| „ჩვენი გალაქტიკა“ | 16 |

**გამომცემლობა „თბილისელები“** ახალი

| | |
|---|---|
| გოჩა მანველიძე „მგლები I“ | 7 |
| „მგლები II“ | 7 |
| „მგლები III“ | 10 |

**გამომცემლობა „ლაშარელა“** ახალი

| | |
|---|---|
| **სერია XX საუკუნე** | |
| რეზო ჭეიშვილი „ცისფერი მთები“ | 6,50 |
| გოდერძი ჩოხელი „ადამიანთა სევდა“ | 6,50 |
| გურამ დოჩანაშვილი „კეჟერაძეები“ | 6,50 |

**გამომცემლობა „დიოგენე“** ახალი

| | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| ა. მილნი — „ვინი პუჰი“ | 14,95 |
| „სახლი ვინის ტყეში“ | 15 |
| სანდრა რულოვსი — „იდეალისტის ნაამბობი“ | 10 |
| ვახუშტი კოტეტიშვილი — „მოუკრეფავნი“ | 6 |

**გამომცემლობა „გია ქარჩხაძე“** ახალი

| | |
|---|---|
| „ოქსფორდის სამეცნიერო ენციკლოპედია“ | 39.90 |
| „მსოფლიო მითოლოგია“ | 26 |
| „ბერძნული მითები“ | 9.10 |

**გამომცემლობა „საარი“** ახალი

| | |
|---|---|
| **ანტიკური და ბიბლიური ფრთიანი გამონათქვამები** | |
| „ანიდან ჰოემდე“ | 29 |

ახალი

| | |
|---|---|
| ოთარ აბაშიძე — „გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ | 51,30 |

| | |
|---|---|
| ჭაბუა ამირეჯიბი — „დათა თუთაშხია“ | 16 |
| „გიორგი ბრწყინვალე“ | 15 |
| „გორა მბორგალი“ | 16 |

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**

| | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| მოსწავლის პირველი ენციკლოპედია, ცხოველები | 9 |
| მოსწავლის პირველი ენციკლოპედია, ჩვენი სამყარო | 9 |
| **პროზა** | |
| მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია | 39 |
| გეოგრაფიის ენციკლოპედია | 39 |
| მეცნიერების ენციკლოპედია | 40 |

ტელ: 42-43-40
38-26-73

## გამოიწერეთ „ცხელი წიგნები“

## დაისვენეთ ქართულ დეტექტივთან ერთად

### „შემოდგომა მშრალ ხიდზე“




გოგონები, მშრალ ხიდზე საჩუქრის არჩევისას, ერთ-ერთის სახლიდან გამქრალ ანტიკვარულ ფოტოსურათს წააწყდებიან. საიდან მოხვდა სურათი გამყიდველთან? ვინ დგას წლების წინ ჩადენილი დანაშაულის უკან? რა „სიურპრიზები“ ელის მთავარ გმირს რუსეთის დედაქალაქში სტუმრობისას?

### „ფსიქოპათთა თამაშები“

288 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 4.90 ლ




ახალი წლის ღამეს ცოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამაკაცის ოჯახს დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვევიან — სანტა კლაუსისა და ფიფქიას სახით. სანტას თეთრი წვერის მიღმა სამძებრო განყოფილების მაიორი იმალება, ვერცხლისფერწვიმებით შენიღბული ფიფქია კი, თვითმარქვია დეტექტივი იათამზე მდივანია.

### „შეშლილი თაფლობისთვე“

288 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 4.90 ლ




ახალშეუღლებული წყვილი თაფლობის თვის გასატარებლად აგარაკზე გაემგზავრება. შემთხვევით ახალშობილის ჩონჩხს აღმოაჩენენ. იბადება უამრავი კითხვა, ჩნდება ეჭვები... კვალი ქალაქში ცნობილ ოჯახთან მიდის... სასიყვარულო ისტორიები, ინტრიგები, მკვლელობები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 13-დან 19-მდე

## „ბევრჯერ გოგოებთან დამირეკავს და ბიჭებისთვის საქმე ჩამიწყვია“



*კითხვამ, ვინ უყვართ და ვის ბაძავენ თინეიჯერები, „პირველი სტერეოს“ წამყვან **თაკო ცქვიტინიძესთან** მიმიყვანა. როგორც მისი ფანები ამბობენ, ლივ ტაილერს ჰგავს; კეთილია, მეგობრული, საუკეთესო მრჩეველი და მაჭანკალი... ისიც გავიგე, რომ ახალგაზრდულ გადაცემათა წამყვან თაკოს იშვიათად უგზავნიან აგრესიულ ეს-ემ-ესებს, რადგან... ამის ახსნას და თაკოს აზრს „თინეიჯერულ დეპრესიაზე“, პირველ სიყვარულსა და მის „ყველაზე დიდ დაუჯერებლობაზე“ გულახდილი საგაზეთო ინტერვიუდან შეიტყობთ:*

**— თაკო, თინეიჯერებისთვის ვინ შეიძლება იყოს კარგი და ვინ — ცუდი გოგო?**

— კარგი გოგო გარეგნულად უნდა გამოირჩეოდეს — ეცვას მოდურად, იყოს მხიარული და უკომპლექსო. თინეიჯერებისთვის ცუდი გოგოა ის, ვისაც თავი ყველაზე მაგარი ჰგონია. ასეთებზე ამბობენ, თავში აუვარდაო...

დიდ ყურადღებას აქცევენ ნდობის ფაქტორსაც, — ჭორიკანა გოგო მათ სამეგობროში ვერ მოხვდება. ასევე შურიანიც, ვისაც სხვისთვის ფეხის დადება და სხვისი დაჩრდილვა შეუძლია.

**— შენზე ამბობენ, კარგი გოგოაო. როგორ ახერხებ ტელეეკრანიდან თინეიჯერებთან დამეგობრებას?**

— ვითვალისწინებ მათ ინტერესებს და ვცდილობ, ყველასთან მეგობრულად ვიყო. მათთან ურთიერთობისას არ ვფიქრობ, რაკი ეკრანზე ვჩანვარ, მათზე რალაცით მეტი ვარ-მეთქი, — პირიქით. ამიტომაც არიან გულახდილები სატელეფონო საუბრების დროს. ხშირად „პირველ სტერეოშიც“ მოდიან ჩემს გასაცნობად, — მირეკავენ, მიმესიჯებენ...

**— ყველაზე ხშირად რასთან დაკავშირებით რეკავენ პირად ნომერზე?**

— ბიჭები უფრო რეკავენ, მეკითხებიან, გოგო მიყვარს, რა ვქნა, როგორ ვუთხრაო... ბევრჯერ ყოფილა, გოგონებთან მე დამირეკავს და საქმე ჩამიწყვია.

**— თაკო, რა უხარიათ თინეიჯერებს ყველაზე მეტად და რა უქმნით პრობლემებს?**

— თინეიჯერ ბიჭებს უხარიათ, როცა კარგი, ლამაზი შეყვარებული ჰყავთ; ასევე სპორტული მიღწევები — მირეკავენ და მეუბნებიან, ამა და ამ გუნდში ამიყვანეს, საზღვარგარეთ მივყავართ სათამაშოდო.

გოგონებს ყველაზე მეტად ბევრი თაყვანისმცემელი უხარიათ, მათი ყურადღება და საჩუქრები. მეც ასე ვიყავი მათ ასაკში, საჩუქრებზე ვგიჟდებოდი.

თინეიჯერულ დეპრესიას რაც შეეხება, მას კომპლექსები იწვევს. ვთქვათ, ვილაც ფიქრობს, რომ რალაც ნაკლი აქვს, ლამაზი არ არის; წუხან მატერიალურ მდგომარეობაზეც. სამწუხაროდ, ყველა მშობელს არ შეუძლია შვილის სურვილების ასრულება. მაგალითად, კარგი მობილურის ყიდვა, მეგობრებთან ერთად შვილის დასასვენებლად ზღვაზე გაშვება და ა.შ. თუმცა ზოგადი სურათი სულ სხვაა. როგორც ამბობენ, ეს „ფეხებზე მკიდია“ თაობა არისო და რალაც-რალაცებში ვეთანხმები კიდეც.

**— პირველ სიყვარულზე არაფერი გითქვამს. რედაქციაში შემოსული წერილებით თუ ვიმსჯელებთ, ეს მათ „ფეხებზე არ ჰკიდიათ“, პირიქით...**

— პირველ სიყვარულს ხშირად შეცდომით უწოდებენ ხოლმე. თინეიჯერული ასაკისთვის დამახასიათებელია უცებ ცაში აფრენა და მერე კი იმის აღმოჩენა, რომ თურმე არ ჰყვარებიათ ერთმანეთი. აი, ამის შემდეგ ხდება პირველი სიყვარული მტკივნეული, იწყება — „რატომ მომატყუე, „გადამაგდე“ და ა.შ.

**— გოგონები შეყვარებულის დაკარგვასაც განიცდიან და იმასაც, რომ არავის უყვართ...**

— შეიძლება ერთი-ორი წელი არავინ აგიხსნას სიყვარული, მაგრამ ამის გამო ნერვიულობა არ ღირს. დღეს არ არის, ხვალ გამოჩნდება. მუდმივად ხომ არ გეყოლება შეყვარებული... 13 წლის ვიყავი, როცა ერთი ბიჭი შემიყვარდა. იყო დაშორებები, უსიამოვნო შუალედები, მაგრამ იმდენად მიყვარდა, რომ დღემდე მახსოვს, როგორც რომანტიკული ადამიანი, რომელიც ცდილობდა, ყველაფერი გაეკეთებინა ჩემთვის.

**— თაკო, გოგონები მუდმივად ბიჭებისგან მოითხოვენ ყურადღებას. ალბათ, ბიჭებსაც სჭირდებათ გოგოს ყურადღება.**

— ერთმა ახალბედა მომღერალმა თქვა, მე რატომ უნდა ვაჩუქო ბიჭს რამე, თუ ვუყვარვარ, აქეთ მაჩუქოსო. ასეთი ეგოისტური აზრები ჩემთვის მიუღებელია. აი, მე (იცინის) მიჩუქებია ბიჭისთვის სუნამო, მაისური ჩამომიტანია ამერიკიდან, მოსკოვიდან. ისეთი ბედნიერები იყვნენ, ისე მოსწონდათ ჩემი საჩუქარი, რომ მეც მეცხრე ცაზე ვიყავი. გოგონებო, ნუ გრცხვენიათ, უყიდეთ ბიჭებს თუნდაც უმნიშვნელო საჩუქარი, მერწმუნეთ, ძალიან გაახარებთ.

**— ქალიშვილობის ინსტიტუტზე რას ფიქრობენ, ამ თემაზე გამოთქვამენ ხოლმე აზრს?**

— როგორც ვიცი, ამ ინსტიტუტზე ბიჭებს უფრო აქვთ გართულება და აქედან გამომდინარე, გოგონებიც ცდილობენ თავის შეკავებას. ქართველი ბიჭებისთვის თითქოს არ აქვს მნიშვნელობა ამ საკითხს, სინამდვილეში კი დიდ ყურადღებას აქცევენ გოგოს წარსულს. გამიგია, როგორ ეკამათებოდა მეგობარი მეგობარს, რა იცი, შენამდე რამდენ ბიჭთან გაუვლია, იმას ცოლად როგორ მოიყვანო... არის შემთხვევები, როცა ბიჭს მოჰყავს ცოლად გოგონა, რომელიც ქალიშვილი არ არის, მაგრამ გადის დრო და იწყებს ეჭვიანობას, უხეშობს და ურთიერთობაც კრახით მთავრდება. ამ საკითხისადმი ევროპული მიდგომა კიდევ დიდხანს არ ექნებათ საქართველოში, გოგონებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

**— თაკო, თუ გიფიქრია, ევროპაში გეცხოვრა?**

— არასოდეს... ვერც წარმომიდგენია, იქ თუ შევძლებდი „სხვანაირად“ ცხოვრებას, იმდენად კოდირებულია ჩემში ტრადიციები. ერთი სიტყვით, არასერიოზული ურთიერთობები ჩემთვის მიუღებელია.

**— თქვი, რომ ჩაცმა არის ერთ-ერთი რამ, რითაც „კარგი გოგოს“ იმიჯი შეიძლება შეიქმნა. ახირებები თუ გაქვს ამ მხრივ?**

— სამოსის ფასს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, გიხდებოდეს. აუცილებელია, მოდასაც მისდიო, მაგრამ თუ ვერ ირგებ, აჯობებს, არ ჩაიცვა, ვიდრე სასაცილო იყო. თინეიჯერები ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს, „ფერზე“ გაცვიაო, მაგრამ ყველა საფირმო მაღაზიას, რომლებიც თბილისშია გახსნილი, ყველაფერი თურქეთიდან შემოაქვს, ანუ პატენტია... ასე რომ, იარლიყების გამო გულს ნუ გაიტეხენ. ახირება კი მართლა მაქვს. შინაურები სულ მეჩხუბებიან — ზაფხულში როგორ შეიძლება ჩექმა გეცვასო. ვერ გავაგებინე დედასა და ბებიას, რომ მოდაშია. მაქვს უამრავი ჩექმა და მაინც ვყიდულობ ახალ-ახალს.

**— ახირებები მამაკაცებთან ურთიერთობისასაც ხომ არ გაქვს?**

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ მამაკაცს პირველად თითებზე ვაკვირდები და რამდენიც უნდა იცინონ ჩემმა მეგობრებმა, ვიტყვი, რომ თითების ფორმით მამაკაცის ხასიათის ამოცნობა შემიძლია.

**— რა აზრის ხარ სიგარეტის მოწევაზე?**

— არ ვეწევი, არ ვსვამ და არც საჭიროდ მიმაჩნია. ამაში მოსაწონი არაფერია.

**— მშობლებს როდის არ უჯერებდა თაკო?**

— (იცინის) ყველაზე დიდი დაუჯერებლობა ჩემი გათხოვება იყო. 17 წლის გავიპარე, მაგრამ როცა დავშორდით ერთმანეთს, ხმამაღლა გამოვაცხადე, რომ მშობელმა მეტი იცის და შვილმა მისი აზრი უნდა გაითვალისწინოს-მეთქი.

**— შვილთან ერთადაც ყოფილხარ ეთერში, არა?**

— დიახ, სანდრო ორი წლის და ექვს თვისაა. ძალიან არ მოსწონს, როცა დედიკოს ეკრანზე ხედავს, მაგრამ მასთან ერთად ეთერში ყოფნაზე უარს არ ამბობს (იცინის).

**— ადრეულ ასაკში ქორწინებაზე რა აზრის ხარ?**

— ჩემმა მშობლებმა 17-18 წლის ასაკში შექმნეს ოჯახი, მაგრამ დღემდე უბედნიერესი წყვილია. მათი შემხედვარე ვერ ვიტყვი, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება ნაჩქარევია. თუმცა ამ დროს ხშირია შეცდომის ალბათობა. გგონია, გიყვარს, მერე კი აღმოაჩენ, რომ სიყვარულის გარდა თანაცხოვრებისათვის კიდევ ბევრი რამ არის აუცილებელი.

## გამოხმაურება




*„შეყვარებული რომ მეყოლება“... — ამ სათაურით წინა ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა თინეიჯერების ერთგვარი პროტესტი გამოხატა 16 წლის ანის მიმართ. გოგონას, რომელიც ამბობს, ქალიშვილობის ინსტიტუტი უაზრობა მგონიაო, უთვალავი წერილი და ეს-ემ-ესი მოუვიდა. თანატოლები მას დაფიქრებისაკენ მოუწოდებენ. გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას:*

ანი, ძალიან ცდები! აბა, რა არის მთავარი, თუ არა პატიოსნება? ქალი მიუწვდომელი უნდა იყოს. დაფიქრდი, რას ამბობ, ასეთი მიდგომით თავს დაიღუპავ.

***საკო, 13 წლის***

ანი, მეც მაგრად მიშლიდა ნერვებს ქალიშვილობის ინსტიტუტი; ორი თვის წინ კინაღამ დავკარგე. ახლა ვფიქრობ, რომ გადავრჩი. მადლობა ღმერთს, ცხოვრება არ დავანგრიე. შენ რა გგონია, სხვა გოგონებს არ უნდათ ბიჭებთან ურთიერთობა? სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საპირისპირო სქესისადმი ინტერესი შენს ასაკში ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ თავის შეკავებაც უნდა შეგეძლოს. ერთი შეხედვით, თითქოს გათანამედროვდნენ ჩვენი ბიჭები, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგა, არავის უნდა სხვისი ნაფერები გოგო, დამიჯერე. როცა დაოჯახებაზე მიდის საქმე, შეიძლება პრობლემები შეგექმნას მაგის გამო. თუმცა გამონაკლისებიც არსებობენო, ამბობენ...

***ლაკო, 17 წლის***

იცი რა? რადგან ოცდამეერთე საუკუნეა, ყველაფერი კი არ არის, გენაცვალე, დასაშვები... ჯერ ვერ აცნობიერებ, რასაც ამბობ, კარგად დაფიქრდი, ცხოვრება არ დაინგრიო.

***ხატია, 16 წლის***

ქალიშვილობა არა მარტო ზნეობრივად და რელიგიურად, არამედ ბიოლოგიურადაც გამართლებულია... რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, მე ვაჟიშვილობის ინსტიტუტის მომხრეც ვარ. სხვანაირად ქართველი ბიჭი და გოგო ვერც კი წარმომიდგენია.

***ვახო, 21 წლის***

საქართველოში ეს მართლა აქტუალური საკითხია, ევროპისგან განსხვავებით. ჩემი აზრით, ყველამ ის არჩევანი უნდა გააკეთოს, რაც მისთვის მისაღებია. არავის აქვს უფლება, განსხვავებული შეხედულების გამო სხვა აკრიტიკოს. ანი, შეყვარებული რომ გეყოლება, გირჩევ, მის სიყვარულში დარწმუნდე... აჩქარებამ შეიძლება მერე გული გატკინოს.

***„გაუჩო“, 16 წლის***

გეთანხმები, ანი, ნებისმიერთან ინტიმური ურთიერთობა მიუღებელია, მაგრამ შეყვარებულთან სექსი მისაღებია ჩემთვის. ბიჭები ხომ ქორწინებამდე „ამას“ აკეთებენ და გოგონებმა რაღა დააშავეს?!

***ანი, 18 წლის***

ანი, ჩემი აზრით, პატარა ხარ იმისთვის, რომ ამ თემას ყველა კუთხიდან შეხედო. დაფიქრებულხარ შედეგზე?!

***თამთა, 17 წლის***








## გულახდილთა კლუბი

## მესიჯობაში გაგვითენებია

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი და მეგობართან ურთიერთობის გარკვევაში დამეხმაროთ. ჩემს დაქალს ერთი ბიჭი დაევასა. მისი ნომერი გავიგე და ჩემგან დავუმესიჯე. მერე იმანაც დამიმესიჯა და მეც დამევასა. მაგარი ტიპი აღმოჩნდა, მესიჯობაში გაგვითენებია, სასიყვარულო ეს-ემ-ესებს მწერდა. სახლის ნომერიც მომცა. მიხვდა, ვინც ვიყავი. მითხრა, მაგრად მომწონხარო და შეხვედრაც მთხოვა. ახლა არ ვიცი, რა ვქნა. ჩემი დაქალი კი მეუბნება, რომ აღარ მოსწონს, მაგრამ მან ჯერ ეს ამბები არ იცის. ყველაზე მეტად იცით, რა მაინტერესებს, ეს-ემ-ესებით ადამიანის შეყვარება შესაძლებელია? გთხოვთ, მომწეროთ თქვენ შესახებ.

***ვიკო, 15 წლის***

***რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ***

***ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-52-15***

# ჩექმებიანი ცხვარი



გერმანიაში თუ იალაღებზე გაშლილ რეზინის ჩექმებში გამოწყობილ ცხვრის ფარას დაინახავთ, არ იფიქროთ, რომ მოჩვენებები დაგეწყოთ, უბრალოდ, გერმანელმა ფერმერებმა ასეთი გულის ამაჩუყებელი ფორმით გადაწყვიტეს თავიანთ საქონელზე ზრუნვა.

ცხოველებისთვის ფეხსაცმელების შეკერვის ორიგინალური იდეა ქვემოსაქსონიელ ფერმერს, ვილჰელმ ფემერს დაებადა. მართალია, თავიდან ეგონა, რომ მისი პროდუქციით ძაღლების პატრონები უფრო დაინტერესდებოდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცხოველის ფეხსაცმლის გამოყენება ფართო სპექტრს მოიცავს. მალე ბიზნესმენმა მოულოდნელად მიიღო ჰამბურგელი ფერმერის წერილი — ის თავისი ფარისთვის ჩექმების შეკერვას ითხოვდა და. ეს უცნაური თხოვნა ასე განმარტა, — გული მშვიდად მექნება — ჩემი ჩექმებიანი ცხვრები ველარანაირ ინფექციას ველარ აიკიდებენო...

*ვოკრუგ სვეტა*

# ავსტრალიის არმია ბაყაყებს ებრძვის

ავტრალიის არმიას უბრძანეს შხამიანი ბაყაყების შემოსევისგან მოსახლეობის დაცვა. ბაყაყები აქ 30-იან წლებში ჰავაის კუნძულებიდან შემოიყვანეს მავნე ხოჭოების გასანადგურებლად. მერე რეპტილიები ტროპიკულ ტყეებს მოედვნენ. ის კი არა, უკვე ქალაქების გარეუბნებშიც გამოჩნდნენ.

მხოლოდ სამხედროები თუ შეძლებენ ბაყაყებთან გამკლავებას ამ მეჩხრად დასახლებულ შორეულ რაიონებში. ჯარებს ნებისმიერი საშუალების გამოყენების უფლება ეძლევა, ჰაერიდან დაბომბვისაც კი... ბაყაყის შხამი რამდენიმე წუთში კლავს ნიანგს, გველს და ა.შ. არც ერთ მტაცებელს ამ შხამისადმი იმუნიტეტი არ გააჩნია.

*ოკნა*

# ვირი მოწმედ



ქალაქ კანჩიპურამის (ტაილანდში) პოლიციამ სასამართლოში „სამხილად" ვირი მოიყვანა. ცხოველი ოპოზიციის მიტინგის მონაწილეთა შორის აღმოჩნდა, იგი წინ მიუძღოდა მიტინგს და კისერზე ჩამოკიდებული ჰქონდა პლაკატი წარწერით — „რაიონის ადმინისტრაცია". დემონსტრანტები მიწის სერტიფიკატებს მოითხოვდნენ. პლაკატიანი ვირი პოლიციამ დაატუსაღა და სასამართლოში მიიყვანა. განცვიფრებულმა მოსამართლემ პოლიციელებს უბრძანა, ვირი პატრონისთვის დაებრუნებინათ და სამართალში თავად პატრონი მიეცათ... „ცხოველის არამიზნობრივად გამოყენების" გამო.

*იტოგი*

# თავს დატეხილი გაუგებრობა

60 წლის პროვინციელი ბრიტანელი ქალი ინსულტის შემდეგ იამაიკური აქცენტით ალაპარაკდა. ლინდა ვოლკერს თავისი ქვეყნიდან ფეხი არასოდეს გაუდგამს, არც იამაიკაში ჰყოლია მეგობრები, არც იამაიკელ ემიგრანტებთან ჰქონია ურთიერთობა.

ქალი ვერ ხვდებოდა, რომ ინსულტის შემდეგ მის მეტყველებაში რაღაც შეიცვალა. ექიმმა მოსასმენად ჩანაწერი რომ მისცა, ქალი გაოგნდა. „განცვიფრებული დავრჩი — თითქოს სულ სხვა ადამიანი ლაპარაკობდა", — უამბო ლინდამ ჟურნალისტებს.

ნიუკასლის უნივერსიტეტის ექიმი ნიკ მილერი ამბობს, რომ უცხოური აქცენტის სინდრომი იშვიათობა არ არის მის პრაქტიკაში. ერთ წელიწადში, სულ ცოტა, ხუთი ამგვარი შემთხვევა ფიქსირდება. ეს უკავშირდება თავის ტვინის ქერქის დაზიანებას „სასაუბრო ცენტრებში", შედეგად ადამიანი კარგავს ჩვეული ბგერების სწორად გამოთქმის უნარს და ისე ჩანს, თითქოს ავადმყოფი უცხო აქცენტით ლაპარაკობდეს...

*გარდიანი*

# „ოსამა" — „მარტოხელა"

სერბულ-ხორვატიულ ენაზე „ოსამა" „მარტოხელას" ნიშნავს. ბელგრადში, ერთ-ერთი კაფეს პატრონმა, მილომირ ჯეფტიკმა ადგილობრივ უსახლკაროთა პატივსაცემად თავის დაწესებულებას „ოსამა" დაარქვა.

კაფე აშშ-ის საელჩოს მახლობლადაა. ამერიკელმა დიპლომატებმა აზრაზე ამოტვიფრული მსოფლიოს №1 ტერორისტის სახელი შეურაცხყოფად მიიღეს და კაფეს პატრონს მისი სასწრაფოდ შეცვლა მოსთხოვეს. „ეს ჩვეულებრივი სერბული სიტყვაა. ამერიკელების განაწყენება არც მიფიქრია. გულწრფელად გეტყვით: ოსამა ბინ ლადენის შესახებ გაგონილი კი მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იყო", — თქვა კაფეს პატრონმა.

*ტურისტ რუ*

# მოხუცს საყვარელი თოჯინები წაართვეს



ამერიკელი ემილი გიბსონი 15 წელია თოჯინებს აგროვებს. მის პატარა ბინაში 400 სხვადასხვა სახის და ზომის თოჯინაა, 73 წლის ქალბატონს ისინი შვილებივით უყვარს, მაგრამ საყვარელმა სათამაშოებმა დიდი საფიქრალი გაუჩინა — მისი კოლექციით ქალაქის საყოფაცხოვრებო სამმართველო დაინტერესდა. ისინი ამბობენ: — მუნიციპალური ბინა ძალზე გადატვირთულია, იმდენი სათამაშო დაგროვდა, რომ კარი აღარ იღება, ყველა კუთხე-კუნჭულში თოჯინები დასკუპებულან, დარღვეულია ყველა ტექნიკურ-სანიტარული ნორმა, ბინაში ფეხის გადადგმა ჭირს, ამის გამო შეიძლება ხანძარიც კი გაჩნდესო და ქალბატონს დაემუქრნენ, — თუ ამ „ნაგვისაგან" სახლს არ გაასუფთავებ, გაგასახლებთო. მისის გიბსონმა, როგორც იქნა, თოჯინების უმეტესობა ყუთებში „ჩასასმელად" გაიმეტა, დაიტოვა მხოლოდ 20 ყველაზე საყვარელი თოჯინა, დანარჩენი კი დროებით ქალიშვილის ბინაში გადაიტანა. ამბობს, — ძალიან მენატრება ჩემი თოჯინები და მინდა ისეთი ოჯახები მოვუძებნო, სადაც ისინი ჩემსავით ეყვარებათო.

*ჯენტი*

# რუბენსის ტილო აუქციონზე აღმოაჩინეს...

რუბენსის დაკარგულად მიჩნეული ტილო პარიზში აუქციონზე აღმოაჩინეს. ეს არის 1611-1612 წლებში დახატული „ნადირობა კალედონიაში". ტილო აუქციონზე გაიტანეს, როგორც მხატვრის შეგირდების მიერ შესრულებული ასლი, ამიტომ ფასიც მოკრძალებული დაადეს — 10 ათასი ევრო. ვაჭრობისას ფასმა 300.000 დოლარამდე აიწია. ბოლო სიტყვა კალიფორნიის მუზეუმის დილერს უნდა ეთქვა. აუქციონის მონაწილეები მხოლოდ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ მიხვდნენ, რომ დილერის ინტერესი ტილოს მიმართ შემთხვევითი არ ყოფილა. მოგვიანებით, ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ სურათი თავად რუბენსის მიერაა შექმნილი. მსოფლიოს აუქციონებზე მისი ტილოები მილიონებადაა შეფასებული. 2002 წელს „ყრმათა წარტყვევნა" სოთბის აუქციონზე 76 მლნ დოლარად გაიყიდა.

*თაიმი*

# ბრიტნი სპირსი — მომავალი დიზაინერი



ცოტა ხნის წინ პოპპრინცესამ განაცხადა, — სიმღერა მომბეზრდა და დიზაინერობა მწადიაო.

ახალგამომცხვარი კუტიურიე პირველ ნიმუშებს ბავშვებისთვის შექმნის. სამოსის სტილი იქნება „ჰიპ-ჰოპი" და „პანკი", ახალ კოლექციაში ძალიან პატარა ზომის საქმიანი კოსტიუმებიც იქნება. ტანსაცმლის შექმნის იდეა ბრიტნის თავის პატარა შვილთან, შონ ბრესტონთან თამაშის დროს მოუვიდა. მომღერალმა ესკიზები უკვე გადასცა პროფესიონალ მკერავს და როგორც კი ექსპონატები შეიკერება, ახალი ბრენდი ბაზარზე გამოჩნდება.

*ნიუს რუ*

# უარს ამბობენ თქვენობით მიმართვაზე

ჟურნალმა „ფიგარომ" ბიზნესმენების, პოლიტიკოსებისა და ლინგვისტების გამოკითხვა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა მოძველებულად მიიჩნევს „თქვენობით" მიმართვას და ინგლისური „შენობით" მიმართვის მომხრეა. ბიზნესში ასეთი დამოკიდებულება აუმჯობესებს ურთიერთობებს, კომპანიის ყოველ მუშაკს ნებას აძლევს, თავი ყველას თანასწორად იგრძნოს. სოციოლოგების აზრით, „შენობით" მიმართვა უფრო გულახდილი საუბრის საშუალებას იძლევა. თუმცა ყველა ფრანგი არ იზიარებს ამ მოსაზრებას; ცნობილია, რომ პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ყველას, ცოლს და ახლო მეგობრებსაც კი, „თქვენობით" მიმართავს. მსგავსი დებატები ფრანგებისთვის არახალია. 1783 წელს რევოლუციური ხელისუფლების დეკრეტით „თქვენობით" მიმართვა აეკრძალათ ფრანგ მოხელეებს. ამისთვის მათ პატიმრობა ემუქრებოდათ. მიმართვა „თქვენ" გენერალმა დე გოლმა აღადგინა.

*ოჯი*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"






**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ვაჟა ფშაველას სიტყვებს ამოიკითხავთ.

**კ.** შხამიანი გველი; **ვ.** XIX-XXსს-ის რუსი ფერმწერი; **ი.** ზამთრის თვე; **რ.** ვიბრაცია; **ი.** კატისებრთა ოჯახის მტაცებელი; **ს.** ელექტრული ძრავის უძრავი ნაწილი; **პ.** ტუჩის კოსმეტიკური საცხი; **ა.** ინგლისის ძველი სახელწოდება; **ლ.** საყვავილე ვაზა; **ი.** იტალიელი ფეხბურთელი ფილიპო...; **ტ.** სასულე; **რ.** კრივის მოედანი; **ი.** რაიმე სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა; **ს.** დოკუმენტი; **კ.** სკიპტრა; **ი.** კავკასიონის მწვერვალი; **თ.** სინდიოფალა; **ხ.** კლდიანი ღრმა ხევი; **ვ.** ლატვიელი მომღერალი ქალი; **ი.** ინგლისური ავტომობილი; **ს.** პარლამენტის თავმჯდომარე; **ა.** ჩვილის საწოლი; **ს.** იაპონური ჭიდაობა; **ა.** მარჯნის კუნძული; **რ.** ჯარისკაცების წყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვით; **მ.** რელიეფის ნაწილი; **ო.** მოწონების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე ტაშით; **ი.** მთავარი ღვთაება ასურულ-ბაბილონურ მითოლოგიაში; **წ.** $H_2O$; **ყ.** ორი ულელი ხარ-კამეჩი; **ე.** აშშ-ის სატელევიზიო პრემია; **ნ.** კვანძი; **თ.** შინაური ცხოველი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

1. ბოსხი-ბოხი; 2. ბაასი-ბასი; 3. რომბი-რობი; 4. მილანი-მილნი; 5. ბურლი-ბული; 6. თართი-თარი; 7. ბლერი-ბერი; 8. შაირი-შარი; 9. ლაიმა-ლიმა; 10. პანი-პაი; 11. დოინჯი-დინჯი; 12. გერბი-გერი; 13. პაიკი-პიკი.

FRESH – ის სიტყვა-გასაღებია „სამართლიანობა"

# თქვენთვის, ბატონებო!

# ნუ ჩაერევით, როცა ასეთი სიყვარულია



ძია ივანე 90 წლისაა. ძალიან უყვარს ჩვენი გაზეთი. რედაქციაში მოსვლა რომ ვერ მოახერხა, შვილიშვილები ჩარია საქმეში... როცა გავიგე, ხანდაზმულ კაცს სურდა ჩემთან საუბარი, შინ ვეწვიე.

ძია ივანემ დიდი ხნის სურვილი გამანდო: ჩემს სოფელში მომხდარი ტრაგიკული ამბავი მინდა გიამბოთ. ვიცი, გულს დაგიმძიმებთ, მაგრამ გასათვალისწინებელი რამ არის და ყოველთვის უნდა ახსოვდეთ უფროსებს, რომ სიყვარულში უხეშად ჩარევა არამც და არამც არ შეიძლებაო.

ძია ივანე ქარელის რაიონიდან არის. ეს ამბავიც ქარელის ერთ-ერთ სოფელში მოხდა.

— მე და მიხო მეზობლები ვიყავით, ერთად ვიზრდებოდით, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენი მშობლებიც მეგობრობდნენ. მიხოს დედა ცოტა ამპარტავანი ქალი გახლდათ, გორში დაბადებულ-გაზრდილი, კაი ოჯახიშვილი იყო და ამით ამაყობდა კიდეც, ცოტათი ქმარსაც ამეტებდა თავს, თუმცა ჩემს მშობლებს მისი კუდაბზიკობა არ უგრძნიათ. მიხო 15 წლის იყო, როცა გამომიტყდა, ელიკოს გოგო, თამრო მიყვარსო. არ მესიამოვნა, რადგან ელიკო სახელგატეხილი ქალი იყო. მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. ძმებმა მოიძულეს და ისიც იძულებული გახდა, სხვა სოფელში გადასახლებულიყო. მერე მამამისს შეეცოდა, სოფლის განაპირას პატარა ხის სახლი აუშენა და იმ დღიდან იქ ცხოვრობდა შვილთან ერთად. თამროს არ უყვარდა სოფლის ბავშვებთან თამაში, ამიტომაც კარგად არ ვიცნობდით. არც დედამისს სჩვეოდა ხალხში გამოჩენა. სოფელიც კეთროვანივით ერიდებოდა მას. თამრო მხოლოდ ერთხელ ვნახეთ ხატობაზე და მაშინაც იმდენად პატარა იყო, ყურადღება არც მიგვიქცევია. მხოლოდ ის მახსოვს, რომ უფროსებმა ელიკოს დანახვაზე მუჯლუგუნები გაჰკრეს ერთმანეთს — დამიხედეთ „კაროუნას“, თავის ნაბუშართან ერთად გართობა რომ მონდომებიაო. ეგ იყო და ეგ. მალევე მიმავიწყდა ელიკო და თამრო. ახლა კი ეს ჩემი მიხო მეუბნებოდა, თამრო შემიყვარდაო. თურმე, მიხო ყოველ საღამოს რომ დაბნელდებოდა, ჩუმად მივიდოდა მათ სახლთან, ღობეს აეკვრებოდა და უთვალთვალებდა 13 წლის გოგოს. ერთ საღამოს მეც გავყევი. თამრო მეც თვალში მომივიდა, ალვისტანა გოგო იყო. ბავშვური გულუბრყვილობა ეხატა სახეზე, ისეთი მშვენიერი, მაგრამ სევდიანი თვალები ჰქონდა, გული მოგეწურებოდა. მიხომ მითხრა, ჩვენები გაგიჟდებიან, როცა გაიგებენ, რომ თამრო მიყვარს, არადა, მის გარეშე სიცოცხლე არ მინდა. ცოტა წამოიზრდება, მოვკიდებ ხელს და თბილისში წავიყვან. დურგლობა უკვე ვიცი და ამ ხელობით ვირჩენთ თავსო. პირი დავალე. გამიკვირდა მისგან ასეთი გაბედულება.

გავიდა სამი წელი. თამრო ისე დამშვენდა, ავ თვალს არ ენახვებოდა. სოფელმა უკვე შეამჩნია და ყველა ბიჭს მისკენ ჰქონდა კისერი მოღრეცილი, არადა მიხოს და თამროს უკვე ერთმანეთისთვის ერთგულების ფიცი ჰქონდათ მიცემული. ყველანაირად მხარში ვედექი მიხოს, ხელს ვუწყობდი. ის კი არა, როცა არ ეცალა, მე მივდიოდი უკაცო ოჯახში და თივის დადგმასა და შეშის დაპობაში ვეხმარებოდი. ელიკო ჩემს ლოცვაში ათენ-ალამებდა... მალე მთხოვნელი გამოუჩნდა თამროს. შეხედულადაც კარგი ბიჭი იყო და საქმითაც. დედა არ ჰყავდა. მამამ ქალ-ვაჟი უდედოდ გაზარდა. დავითი ისეთი მშრომელი იყო, სახლკარი სულ მოწესრიგებული ჰქონდა. დაც კარგად გაათხოვა და ახლა თავად უნდოდა ოჯახს მოჰკიდებოდა. როგორც ვიცი, თავიდან არც მამამისს მოსწონებია მისი არჩევანი, მაგრამ დავითს უთქვამს: ან ეგ ქალი იქნება, ან უშვილოდ გადავშენდებიო. ამდგარა შალიკო ძიაც და ელიკოსთვის კაცი მიუგზავნია, — ხვალ მოვალთ მე და ჩემი შვილი შენი ქალის დასანიშნადო. დავითი თამროზე 12 წლით უფროსი იყო. ეს რომ თამრომ გაიგო, მაშინვე ჩემთან მოირბინა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, მიხოს სასწრაფოდ გააგებინე, რომ ძალით მათხოვებენო. მიხო ამ დროს თბილისში იყო. ნათესავთან ცხოვრობდა და რომელიღაც ტექნიკურ სასწავლებელში დაუსწრებლად სწავლობდა. რა უნდა მექნა? ქარელში ბიძაშვილები მყავდა. იმათ მოველაპარაკე, ძმადნაფიცის საცოლე უნდა მოგიყვანოთ და 3-4 დღით დამალეთ, სანამ მიხოს გავაგებინებ ყველაფერს-მეთქი. დამთანხმდნენ.

მეორე დღეს ნიშანმიტანილ კაცებს ქალი შინ არ დაუხვდათ. ელიკომ ლოყები დაიხოკა: ძლივს ბედნიერებამ შემოიხედა ჩემს სახლში და ეს რა მეხი დამეცაო. ცალკე გამიხმო და გამომკითხა, — შენ ხომ არაფერი იციო. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ ორი თვის წინ წამოსცდა თამროს, ნეტავ სტალინირში (ახლანდელი ცხინვალი) წამიყვანა და ჩემი ბიძაშვილი მანახვაო. ვიცოდი, რომ ელიკოს უფროსი ძმისშვილი იქ ცხოვრობდა და თამროს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული მასთან ახლო ურთიერთობა. სტალინირი იმიტომ ვახსენე, რომ მინდოდა დავითისთვის გზა-კვალი ამერია... რა თქმა უნდა, დავითმა იქ ვერ მოძებნა თავისი რჩეული და ყურებჩამოყრილი დაბრუნდა. ამასობაში კი თამრო უკვე მიხოსთან იყო — მიხოს როგორც კი გავაგებინე ამბავი, მაშინვე ჩემს ბიძაშვილთან მივიდა და თამრო პირდაპირ თბილისში წაიყვანა.

ცოტა ხანში ყველამ ყველაფერი გაიგო. მიხოს დედას ჯერ გული წაუვიდა, მერე კი განაცხადა: თუ ჩემი შვილი სახელგატეხილი ქალის შვილთან იცხოვრებს, თავს მოვიკლავო. მიხო დედას ფეხებში ჩაუვარდა: მაპატიე ეს სიყვარული, ნუ ჩამამწარებ ბედნიერებას, თამროს გარეშე ვერ ვიცოცხლებო, მაგრამ დედამისს არაფრის გაგონება არ სურდა. ელიკომ და დავითმა თბილისიდან წამოიყვანეს ატირებული გოგო. დავითს ისე უყვარდა, ეუბნებოდა: ხალხის აზრი არ მაინტერესებს, ხომ ხედავ, მიხოსიანები უარზე არიან, მე კი მაინც მინდიხარო. ერთი სიტყვით, დავითმა შინ წაიყვანა თამრო. მიხო ორი დღე ტახტზე იყო დამხობილი. რამდენი არ ეხვეწნენ, მეც ვემუდარე, მაგრამ ლუკმა ვერ ჩავადებინეთ პირში. სულ მის გვერდით ვიყავი. დედამისი კი ყინჩად დადიოდა და აცხადებდა: დრო გავა, გადაუვლის და მიხვდება, რომ მართალი ვიყავიო, მაგრამ მწარედ შეცდა. მეექვსე ღამეს მარანში თავჩამომხრჩვალი იპოვეს მიხო. მამამისმა ამ უბედურებას ვერ გაუძლო და თოფი იკრა შუბლში. თამროც სახლიდან გაიქცა და მისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს მანამ, სანამ მდინარეს ნაპირზე არ გამორიყა მისი ცხედარი.

ეს იმხელა ტრაგედია იყო, რომლის მსგავსი იქამდე არც მომხდარა იმ მხარეში. თუკი აქამდე მიხოს დედას ხალხი ამართლებდა და ამბობდა, მართალია ეს ქალი, ვის ენდომება „მაგნაირი“ ქალის შვილის ოჯახში შეყვანაო, ახლა პირში წყალჩაგუბებულები იყვნენ, შეყვარებულების დასაფლავების დღეს კი ყველამ გულწრფელი ცრემლი გააყოლა მიხოს და თამროს. ისიც თქვეს: უყვარდათ ერთმანეთი და ვის უშლიდნენ ხელს, ყოფილიყვნენ ერთად და დამტკბარიყვნენ სიცოცხლითო.

ეს ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ უფროსებმა პატივი სცენ შვილების გრძნობას... არ შეიძლება ხელების გასავსავება მაშინ, როცა საქმე წრფელ და დიდ სიყვარულს ეხება. ამას წინათ აგერ, ჩემს მეზობლად დედა 17 წლის ვაჟს ეჩხუბა — რა დროს შენი სიყვარულიაო და მანაც თავის მოკვლა სცადა. კიდევ კარგი, მიუსწრეს. ახლანდელმა ამბავმა ის ძველი გამახსენა. ხომ ამდენი წელია გასული მიხოს და თამროს სიკვდილიდან, მაინც ვერ ვივიწყებ ამ ლამაზ წყვილს. თამროს დედა თუ შეცდა, ეგ შვილის ბრალი ხომ არ იყო? დედის ცოდვა შვილს არ უნდა მოეკითხებოდეს. მიხოს დედის ამპარტავნება რომ არა, ახლა ვინ იცის, ისინიც შვილებითა და შვილიშვილებით ყოფილიყვნენ დახუნძლულები...

## ბედისწერა

ეს მოხდა ქობულეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც იმდენად ბევრი ბერძენი ცხოვრობს, რომ იმ ადგილს „საქართველოს საბერძნეთს“ ეძახიან.

სოფლის ბოლოს ცხოვრობდა ორი ოჯახი — ქართული და ბერძნული. ორივე ოჯახმა თითქმის ერთდროულად მოიყვანა რძალი. ალბათ ესეც ბედისწერა იყო, რომ ორივეს ერთად მოუწია მშობიარობამ. მათ რაიონულ სამშობიაროში გააჩინეს ვაჟები, რამდენიმე წუთის სხვაობით, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. მედდას ახალშობილები აერია, ამიტომ ქართველი პატარა მიუყვანეს ბერძენ დედას, ბერძენი — ქართველს. სამწუხაროდ, მშობლები ვერაფერს მიხვდნენ. თვით მედდამაც ვერ გაიგო, რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

მალე დედები, თავ-თავიანთი შვილებით შინ დაბრუნდნენ. თითქოს ამით დამთავრდა ყველაფერი. რამდენიმე თვის შემდეგ ბერძნულ ოჯახში ბებიამ იეჭვა, ბავშვი ბერძენს(?!) არ ემსგავსებაო. შვილმა და რძალმა ეს მოხუცის ახირებად მიიჩნიეს, მაგრამ ბებია თავისას არ იშლიდა. მაშინ ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო სისხლის ანალიზის მიხედვით მშობლების ვინაობის დადგენა და რადგან იმ დღეს სამშობიარო სახლში მხოლოდ ის ორი პატარა გაჩნდა, ბერძნებმა ქართველებს მიაკითხეს. ქართველები მონათხრობმა გააოგნა, მაგრამ ნათქვამის სისწორეში ეჭვის შეტანა გაუჭირდათ. ამ დროისათვის პატარები უკვე 7-7 თვისანი იყვნენ. ორივე ოჯახმა გადაწყვიტა, რომ ერთი წლის მერე ისევ ენახათ ერთმანეთი, მაშინ უფრო იქნებოდა შესაძლებელი ბავშვების მშობლებთან მიმსგავსება. მართლაც ასე მოხდა და მშობლებმა ბავშვები გაცვალეს.

ამის შემდეგ ორი ოჯახი ერთმანეთს დაუახლოვდა, ბავშვებიც ერთად იზრდებოდნენ.

გავიდა დრო. ბერძენთა სოფელი ნელ-ნელა დაცარიელდა. უმეტესობა საბერძნეთში გადასახლდა. ბერძენმა ძმობილმა ქართველს სიტყვა მისცა, როგორც კი დავფუძნდები სამშობლოში, შენც წაგიყვან და სამუშაოს გიშოვიო. მართლაც, წლინახევრის შემდეგ სტავრომ პირობა შეასრულა და მალე კახას ოჯახი ფეხზე დადგა. რამდენიმე წლის შემდეგ კი კახა სამშობლოში დაბრუნდა. ბიჭებმა საერთო ბიზნესი წამოიწყეს. ბერძენი ძმობილი საქონელს აგზავნიდა საქართველოში.

ერთ დღეს სტავრომ კახას შეატყობინა, ტრაილერით გიგზავნი საქონელსო. თვითონ არ აპირებდა წამოსვლას, თუმცა ბოლოს, გადაიფიქრა და საქონელს თავადაც გამოჰყვა. კახა მსუბუქი მანქანით გაემართა საბაჟოსკენ. სტავროს უკვე გამოევლო საბაჟო და თავის სოფელს უახლოვდებოდა. მოსახვევში ტრაილერი მოცურდა, გადატრიალდა და ქვეშ მოიყოლა კახას მანქანა. ტრაილერში კი, მძღოლის გვერდით, სტავრო იჯდა...

ძმობილები ერთ დღეს მოევლინნენ ქვეყანას და ერთ დღესვე დაასრულეს სიცოცხლე.

## ჩვენ გვწერენ

### ნუთუ სიყვარული შეურაცხმყოფელია?

ვიცი, არაფერი შეიცვლება, მაგრამ მაინც მიყვარს და რა ვქნა?

მინდა ჩემი უცნაური სიყვარულის შესახებ გიამბოთ...

ეს ამბავი 8 წლის წინ, ზაფხულში დაიწყო. რაიონში ვცხოვრობ. რაიონულ ანსამბლში ვცეკვავდი და ერთ-ერთ რეპეტიციაზე ძალიან ლამაზი გოგო გავიცანი. ნათია თბილისელი იყო და ნათესავთან ჩამოვიდა დასასვენებლად. ყოველ საღამოს ვხვდებოდით ერთმანეთს. მალევე მივხვდი, რომ შემიყვარდა. როცა ეს ვუთხარი, მიპასუხა, — შეყვარებული მყავსო. იმდენად მიყვარდა, რომ არ დამეკარგა, მეგობრობა შევთავაზე. სიამოვნებით დამთანხმდა. ხშირად ვურეკავდი და საათობით ვესაუბრებოდით ერთმანეთს. მე უფრო და უფრო მიყვარდებოდა „მეგობარი“ და ვერაფრით ვერეოდი ამ გრძნობას. ყოველი დღე მასზე ფიქრით იწყებოდა და მთავრდებოდა. თითქმის 3 წელი გაგრძელდა ასე. მასთან ერთად გატარებული ბევრი ლამაზი დღე მახსოვს. არასოდეს დამავიწყდება ერთ-ერთი ახალი წლის ღამე, როცა მე და ნათია მთელი ღამე ქუჩაში ვსეირნობდით. მას მერე, ყოველი ახალი წელი სევდას მგვრის. ერთ ზაფხულს ექსკურსიაზე წავედით მეგობრები ღამისთევით. ძილის წინ ჩემი ხელი თავქვეშ ამოიდო და ტკბილად დაიძინა, მე კი მთელი ღამე გაუნძრევლად ვიჯექი, რომ არ გაღვიძებოდა. მეგობრები მირჩევდნენ, დამევიწყებინა, მე კი ჯიუტად ვუცხადებდი, რომ მის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო. ამის გამო მეგობრებს დავუპირისპირდი. ნაწილმა გამიგო, ნაწილმა — ვერა, თუმცა ეს აღარ მადარდებდა. გავიდა წლები და კვლავ გადავწყვიტე, სიყვარულში გამოვტყდომოდი. ძლივს მოვიკრიბე ძალა... მან კი: როგორც მეგობარი, მიყვარხარ, როგორც მამაკაცი — არაო. იმ დღიდან ზურგი შემაქცია და აღარ მოუსურვებია ჩემი ნახვა. გასაგებია, რომ არ ვუყვარდი და ვერც მოახერხა ჩემი შეყვარება,



მაგრამ ნუთუ არ გაუჭირდა იმ ლამაზი ურთიერთობის ხელაღებით გაწყვეტა? მე თვალისჩინივით ვუფრთხილდები მის საჩუქრებს, წერილებს, სურათებს, მან კი... ახლა მას უკვე ოჯახი აქვს. სულით და გულით ვუსურვებ ბედნიერებას, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მისგან მოყენებული ტკივილი დღემდე არ გამნელებია. სიკვდილამდე ვერ დავივიწყებ ნათიას, რომელიც მთელი არსებით მიყვარდა და მიყვარს.

***უცნობი***

### ასეთ დროს როგორ უნდა მოიქცეს კაცი?

არ ვიცი, ასე უხეშად რატომ ერევიან უფროსები ახალგაზრდების საქმეში. ნუთუ არ ფიქრობენ, რომ ცოდვას სჩადიან? მე და მარიკას 4 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. მისმა მშობლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ვფიქრობდით, დრო მოვა და გავუმხელთო. ერთმა მეტიჩარა მეზობელმა ყველაფერი ჩაუკაკლა მარიკას დედას. მან კი დასტაცა თავის ქალიშვილს ხელი და სოფლიდან გადაკარგა. როგორ არ ვეცადე, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერაფრით შევიტყვე. ძალიან მინდა მისი ნახვა. არც ის ვიცი, რა გზას დავადგე. ამ წერილს რომ წაიკითხავს დედამისი, იქნებ მიხვდეს, როგორ მიყვარს მარიკა და დააფასოს ჩემი უსაზღვრო გრძნობა.

***ზ.კ., სოფელი ბზიაური, ტყიბულის რაიონი***

## ღიპი რომ გაქრეს...

*ამას წინათ ერთ-ერთი მკითხველი მამაკაცი შეგვეხმიანა: სულ ქალბატონებს რომ ურჩევთ წონაში დაკლებას და დიეტებს სთავაზობთ, ჩვენ, მსუქანმა და ღიპიანმა მამაკაცებმა რა დავაშავეთო.*

*სამდღიანი გამწმენდი დიეტა, რომელსაც ახლა გთავაზობთ, ჭარბწონიანთათვის არის განკუთვნილი და მამაკაცებსაც ისევე რგებს, როგორც ქალბატონებს.*



ეს დიეტა დაბალკალორიულია (900 კალორია დღე-ღამეში), ამიტომ თავი შეიკავეთ მძიმე ფიზიკური შრომისაგან. ხშირად დაისვენეთ და იფიქრეთ იმაზე, რომ 3 დღეში დაიკლებთ 2-3 კგ-ს, ეს კი ცოტა ნამდვილად არ გახლავთ.

უნდა იკვებოთ ზომიერად.

მართალია, დიეტა დაბალკალორიულია, მაგრამ პროდუქტების ფარდობითი ბალანსის გამო მისი დაცვა გაგიიოლდებათ.

ჩვეულებრივი სასმელისა და მინერალური წყლის, ასევე ბალახეულის ჩაის სმა შეუზღუდავია (არანაკლებ 6-8 ჭიქა დღეში).

**I დღე.** საუზმე (9-10სთ): უშაქრო შავი ყავა ან ჩაი, 1 ნაჭერი შავი პური, 2 ს/კ მურაბა.

მეორე საუზმე: (12სთ) ნახევარი გრეიპფრუტი.

სადილი (3-4სთ): 100გ ქათამი (უკანოდ და უცხიმოდ), 1 პატარა თეფში მწვანე ლობიო, 1 თეფში მოხარშული ჭარხალი, 1 ცალი ხრამუნა („ხლებცი“) პური.

ძილის წინ (23-24სთ): 1ცალი ვაშლი.

**II დღე.** პირველი საუზმე: შავი ყავა ან ჩაი უშაქროდ (შეიძლება შაქრის შემცვლელი), 1ცალი კარგად მოხარშული კვერცხი.

მეორე საუზმე: 1 ცალი ბანანი.

სადილი: 2 ცალი სოსისი და 1 თეფში უხორცო ბორშჩი.

ძილის წინ: 2 ცალი შავი ქლიავი.

**III დღე.** პირველი საუზმე: უშაქრო შავი ყავა ან ჩაი, 5-6 ცალი კრეკერი და 1 ნაჭერი უცხიმო ყველი.

მეორე საუზმე: 1 ცალი საშუალო ზომის ვაშლი.

სადილი: 200გ მოხარშული, კანგაცლილი ქათმის ხორცი. 1 ცალი მოხარშული ჭარხალი, 1 პატარა ნაჭერი ყვავილოვანი კომბოსტო, 1 ცალი ხრამუნა პურის ნაჭერი.

ძილის წინ: პატარა ნესვის ნახევარი ან ვაშლი.

***რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ერთგვარი ქუდი
2 სახელმწიფო აზიაში
3 ... ჭავჭავაძე
4 ფარმაცევტი
5 ფრანგული მინერალური წყალი
6 ამერიკის შტატი
7 ქულა ძიუდოში
8 დახელოვნებული მზარეული
9 მოზეტიალე მუსლიმანი
10 ერთგვარი მოკლე შარვალი
11 ისრაელის ფულის ერთეული
12 კავკასიელ მთიელთა სოფელი
13 ფრანგული ავტომობილი
14 არაბული ქვეყანა
15 გერმანელი კომპოზიტორი
16 პატარა ქირურგიული დანა
17 ჩალისფერი თმა
18 ჭადრაკის ფიგურა
19 მარტოხელა, უპატრონო
20 ქალაქი ისრაელში
21 ქალაქი საფრანგეთში
22 მეცნიერების დარგი
23 პატარა გობი
24 ... ბერიკაშვილი
25 კოტე მარჯანიშვილის ფილმი
26 თეატრალური თოჯინა
27 წონის საზომი ერთეული
28 უგუმბათო ეკლესია
29 ქალაქი საქართველოში
30 ვარსკვლავთმრიცხველობა
31 ტყის მხალი
32 ქალის პირბადე
33 მცირე გადასატანი რადიოსადგური
34 მტაცებელი ფრინველი
35 აზერბაიჯანის პრეზიდენტი
36 ავტორბოლა
37 ზნე, ხასიათი
38 შებოლილი ღორის ხორცი
39 ზღაპრული შინაარსის ლექსი
40 გადამდნარი კარაქი
41 მუსლიმანთა კულტის მსახური
42 რაიმე გამოცემის ცალკე წიგნი
43 მაიმუნის ჯიში
44 დიდი თეფში
45 მშვიდი, გაბმული საუბარი
46 სახელმწიფო აფრიკაში
47 ჭაობის ფრინველი, ჩიბუხა
48 საჯინიბო
49 სუსტი ქარი
50 დაბალი სამფეხა სკამი თუშეთში
51 ქართველი მსახიობი ქალი
52 დასარტყამი მუს. საკრავი
53 ერთი დღის სახნავი მიწა
54 აფრიკული უკუდო მაიმუნი
55 ქალაქი გერმანიაში
56 ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი
57 ყურის ანთება
58 მხეცი
59 რძის ნაწარმი
60 იგივეა, რაც დვრიტა
61 ტიბეტური ხარი
62 იტალიური ავტომობილი
63 წიგნაკი შენიშვნების გასარკვევად
64 ბუსუსები ქსოვილზე
65 შინაური ფრინველი
66 პოეტი ... მირცხულავა
67 მუსიკალური კოლექტივი
68 ქალაქის ტიპის დასახლება
69 ინფორმაციის ერთეული
70 ლატვიის პარლამენტი
71 ჭადრაკის პარტიის ერთგვარი დასაწყისი
72 სიტყვათა წარმოთქმის მანერა
73 შესახედაობა, გარეგნობა
74 კარგად მოსიარულე ცხენი
75 ესპანელი ფერმწერი





1. ეს არის ბეთჰოვენის ერთადერთი ოპერა



2. ბენ გურიონი ამ სახელმწიფოს პირველი პრემიერ-მინისტრი იყო



3. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ეს ღმერთი გეას შვილი და ამავე დროს მისი ქმარი იყო



4. ერთხელ ფორტეპიანოზე დაკვრისას ამ ავსტრიელ კომპოზიტორს თითები არ ეყო და კლავიშს ცხვირი დაარტყა



5. ამ იტალიელი მწერლის ნამდვილი სახელი და გვარია ალბერტო პინკერლე

31-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. ვატიკანი; 2. არენა; 3. მატადორი; 4. ლიგა; 5. პითონი; 6. სოლოლაკი; 7. პაკისტანი; 8. პედრო; 9. ოქტაგონი; 10. კარაკალი; 11. სკიპტრა; 12. გაბელია; 13. ბოგინი; 13. პლანერი; 15. მიდია; 16. ანალოგია; 17. ჯავა; 18. ალებასტრი; 19. დანი; 20. გალიერა; 21. თიკანი; 22. ასპირინი; 23. კავალერი; 24. ბიკინი; 25. აპისი; 26. სკანდალი; 27. ელეგია; 28. ისარი; 29. ელი; 30. სამბო; 31. ივანე; 32. კიპუ; 33. ირისი; 34. ნისლი; 35. რაფი; 36. ტიტა; 3[illegible]. მერინოსი; 38. ფლიდი; 39. თემიდა; 40. კაიაკი; 41. ნენია; 42. ცილა; 43. ქორი; 44. კანდელაკი; 45. კაპიტოლიუმი; 46. ჩილე; 47. ნაუტილუსი; 48. არკებუზი; 49. ონი; 50. ბერულავა; 51. ტიტანი; 52. უჯარმა; 53. ნისანი; 54. [illegible]ონე; 55. ნუტრია; 56. დანა; 57. ანდორა; 58. ნატურა; 59. რეციდივი; 60. კრიტიკა; 61. ბუზი; 62. კულინარი; 63. კოლეგა; 64. სუფრა; 65. ნიზამი; 66. კირი; 67. ალია; 68. ოპტიკა; 69. იაშინი.

სურათებზე: ათანელი; 1. კობა; 2. კანადა; 3. მოტოროლა; 4. პასტორალი; 5. კეიჯი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძე

# უსამას ვაჟი ლიბანელ ტერორისტებს ეხმარება



LA STAMPA

„ალ-ქაიდას" ლიდერის, უსამა ბინ ლადენის 27 წლის ვაჟი საად ბინ ლადენი ლიბანში ჯიჰადური დაჯგუფებების ჩამოსაყალიბებლად ჩავიდა. ამ ჯგუფებში შევლენ არაბი მოხალისეები და სირიელი ლტოლვილები. ისინი „ჰეზბოლაჰის" მებრძოლებს დაეხმარებიან ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ, ტერაქტების მოწყობაში.

ყველას ეგონა, საად ბინ ლადენი ირანში ციხეში ზისო, რადგან 2004 წელს ირანის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზმმა ვაშინგტონის დასარწმუნებლად, რომ ისლამურ რესპუბლიკას არავითარი კავშირი არ ჰქონდა „ალ-ქაიდასთან", საად ბინ ლადენი და „ალ-ქაიდას" სამხედრო ხელმძღვანელობა ციხეში ჩასვა. ახალმა პრეზიდენტმა, მუჰამედ აჰმადინეჯადმა სახელმწიფო კურსის შეცვლა გადაწყვიტა და პატიმრები გაათავისუფლა. ახალგაზრდა ბინ ლადენის მეშვეობით ირანს „ჰეზბოლაჰთან" კავშირი აქვს — ამარაგებს იარაღით და ფულით.

ლიბანში საად ბინ ლადენის გამოჩენით დასტურდება, რომ შედგა მოლაპარაკება სირიასა და ირანს შორის. ახალგაზრდა ბინ ლადენის მეთაურობით ტერორისტული დაჯგუფებები თავიანთ მზაკვრულ საქმეს უნაკლოდ გააკეთებენ.

მამა-შვილი ბინ ლადენები განსაკუთრებით დაახლოვდნენ 1996 წელს, როცა საადი სუდანში ინგლისური ენის შესასწავლად ჩავიდა. იქიდან ორივე ავღანეთში გადავიდა, 2002 წელს კი საადი ირანში გაიქცა. მას შემდეგ რამდენიმე ტერაქტი მოახდინა ტუნისში, საუდის არაბეთში, მაროკოში. ყველა მათგანს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ამიტომაც დააპატიმრეს, მაგრამ ახლა თავისუფალია და საომრადაც ემზადება...

# ჰილარი კლინტონი რამსფელდს გადადგომას ურჩევს

Guardian

მას შემდეგ, რაც კონგრესზე რამსფელდმა კანონმდებლებს ერაყში ამერიკის პოლიტიკის არსი აუხსნა, ჰილარი კლინტონმა აშშ-ის თავდაცვის მინისტრს გადადგომა ურჩია. „არ მესმის, რატომ არ შეგვიძლია ისეთი ხელმძღვანელის დანიშვნა, რომელიც, სანამ გვიან არ არის, მზად იქნება სიტუაციის გამოსასწორებლად. თავდაცვის მინისტრმა კონგრესის ნდობა დაკარგა. დროა გადადგეს და მართვის სადავეები იმას გადასცეს, ვინც მართლაც ეფექტიან სტრატეგიას შეიმუშავებს", — განაცხადა სენატორმა.



კონგრესის წინა სხდომაზე ქალბატონმა კლინტონმა სამხედრო უწყებას უსაყვედურა, — ერაყში მიმდინარე სიტუაციას სრულად არ იცნობსო; რაზეც რამსფელდმა უპასუხა, ქალბატონმა სენატორმა არ იცის საქმის ვითარება და ამიტომაც ობიექტურ დასკვნებს ვერ აკეთებსო.

პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ერიკ რუფმა უარი თქვა კლინტონის ინიციატივის კომენტირებაზე — ჩვენ პოლიტიკურ განცხადებებს არ განვიხილავთო.

ალსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ამერიკის ხელისუფლების ზედა ეშელონებიდან რამსფელდის გადადგომის მოწოდება გაისმის, მაგრამ მინისტრი პრეზიდენტ ბუშის უსაზღვრო მხარდაჭერით სარგებლობს, რომელსაც მიაჩნია, რომ აშშ-ის წინაშე მდგარი ზეამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ რამსფელდს შეუძლია.

# იუშჩენკომ მეტოქე პრემიერად დანიშნა

FINANCIAL TIMES

უკრაინის მედასავლეთე პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ თავისი პრომოსკოვური მეტოქე ვიქტორ იანუკოვიჩი პრემიერ-მინისტრად დანიშნა. ბოლო წუთს მიღწეულმა კომპრომისმა ქვეყანა პოლიტიკური ჩიხიდან უნდა გამოიყვანოს.

ღამის ორ საათზე უმაღლესი რადას სპიკერთან ალექსანდრ მოროზთან და ვიქტორ იანუკოვიჩთან ექვსსაათიანი თათბირის შემდეგ უკრაინის ტელევიზიით გამოსულმა იუშჩენკომ განაცხადა, რომ მისმა პარტია „ნაშა უკრაინამ" და პრომოსკოვური კოალიციის ორმა წამყვანმა პარტიამ, რომლებიც ადრე დასავლეთთან ინტეგრაციის მის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც იანუკოვიჩს გზას უხსნის პრემიერ-მინისტრობისკენ.



იუშჩენკომ თავის ნაბიჯს მნიშვნელოვანი უწოდა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო ქვეყნის გასაერთიანებლად. „მე ვთხოვ ერს, სულგრძელად შეაფასოს ეს გადაწყვეტილება, რაც ვიცი, რთული იქნება აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინისთვის, მაგრამ ჩვენ დნეპრის ორივე ნაპირის გაერთიანების უნიკალური შანსი მოგვეცა", — განაცხადა პრეზიდენტმა.

იანუკოვიჩის ხელისუფლებაში დაბრუნება კითხვას ბადებს, — შეძლებს კი იუშჩენკო იმას, რომ უკრაინამ დასავლეთთან ინტეგრაციის გზას არ გადაუხვიოს. საფრთხე ემუქრება ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებასაც. იანუკოვიჩი საარჩევნო კამპანიის დროს მომხრეებს რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებას დაჰპირდა.

როგორც პრეზიდენტი, იუშჩენკო კვლავ გააკონტროლებს საგარეო პოლიტიკას, თავდაცვასა და ეროვნულ უშიშროებას. მეთვალყურეების აზრით, ის განუხრელად გაატარებს თავის პოლიტიკას. ბოლო დღეებში მოლაპარაკებები დაძაბული იყო: იუშჩენკო ზეწოლას ახდენდა იანუკოვიჩის კოალიციაზე, ითხოვდა დასავლეთთან ინტეგრაციის თავისი გეგმების შენარჩუნებას და მოლაპარაკებების ჩავარდნის შემთხვევაში პარლამენტის დაშლით იმუქრებოდა. იუშჩენკომ იანუკოვიჩის კოალიციიდან კომუნისტების გარიცხვა და მათ მაგივრად „ნაშა უკრაინას" შეყვანა შესთავაზა.

იულია ტიმოშენკოს ბლოკი კვლავ ოპოზიციაში ყოფნას აპირებს.

# რაული სად არის?



The Washington Post

ფიდელ კასტრო კუბას 1959 წლიდან უდგას სათავეში. ცოტა ხნის წინ „თავისუფლების კუნძულის" ლიდერის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, იგი იძულებული გახდა, საავადმყოფოში დაწოლილიყო და ქვეყნის მართვა-გამგეობა უმცროსი ძმისთვის, რაულ კასტროსთვის ჩაებარებინა.

მას შემდეგ კუბის დედაქალაქ ჰავანის ქუჩებში, რესტორნებში, ოფისებსა და ბაზრებში მხოლოდ ერთი კითხვა ისმის: სად არის რაული?

დროებით პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ რაულ კასტროსთვის თვალი არავის მოუკრავს, რაც ათასგვარი ჭორის საბაბად იქცა.

მთავრობას ფიდელის ჯანმრთელობის შესახებ 1-ელი აგვისტოს შემდეგ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. არადა კუბელი ემიგრანტები და ზოგიერთი ამერიკელი ჩინოსანი კითხულობს — ხომ არ მოკვდა კუბის ლიდერი, რომელსაც ამ თვეში 80 წელი უსრულდებაო. ერთადერთი, თითქოსდა ოფიციალური განცხადება გააკეთა კუბის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ, რიკარდო ალარკონმა კუბის ნაციონალური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში — კასტრო თავს ძალიან კარგად გრძნობს და „რამდენიმე კვირაში" დაბრუნდება ხელისუფლებაშიო, ხოლო კითხვას, სად არის რაულ კასტროო, ჰავანაშიო, — უპასუხა.

როჯერ ნორიეგამ, რომელიც 2003-2005 წლებში გენერალური მდივნის თანაშემწე იყო, განაცხადა, — რაულ კასტროს გაუჩინარება ახალი ამბავი არ არის, მსგავსი რამ მას სჩვევიაო.

75 წლის რაულ კასტრო უკვე კარგა ხანია მეთაურობს კუბის შეიარაღებულ ძალებს და უფროსი ძმის პოსტის მემკვიდრედაა მიჩნეული. რაული არც ძმის ოპერაციამდე და არც მერე ხალხის წინაშე არ გამოსულა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ქვეყნის ნომინალური მეთაური იქნება. „რაული იმიტომ არ გამოდის ჩვენ წინაშე, რომ მას უწინდებურად ფიდელი აკონტროლებს. სანამ ის ცოცხალია, ქვეყნის სადავეებს არავის დაუთმობს", — ამბობს ხელზე მოვაჭრე, რომელიც რეპრესიების შიშით ვინაობას არ ამხელს. ფიდელის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ მათი „კომენდანტე" მალე გამოჯანმრთელდება.

ამასობაში კი ძალზე გააქტიურდნენ გარეშე და შიდა ძალები. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კუბელებს დემოკრატიული ცვლილებებისკენ მოუწოდებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი მზად არის, მხარში ამოუდგეს ხალხს, რომელიც კუბაში გარდამავალი ხელისუფლების ჩამოყალიბებას ცდილობს და ჰუმანიტარულ დახმარებასაც ჰპირდება.

კუბის გაზეთები კი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები მზად არიან კუნძულზე კომუნისტური რეჟიმის დასაცავად. მართალია, პრესაში სიტყვა „მილიტარიზაცია" არსად არის ნახსენები, მაგრამ შეიარაღებას ნამდვილად აძლიერებენ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა მაიამში მცხოვრები კუბელი ემიგრანტების მოწოდების შემდეგ. ისინი თანამემამულეებს ურჩევენ, იბრძოლონ „კასტროს გარეშე გარდამავალი ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად".

# 55 მილიონი ლუკაშენკოს დამხობისთვის

REGNUM

ვაშინგტონი ფარ-ხმალს არ ყრის და კვლავ ცდილობს ალექსანდრ ლუკაშენკოს რეჟიმის დემონტაჟს, მაგრამ ბელორუსი ლიდერის თავს უფრო იაფად აფასებს, ვიდრე კუბური რევოლუციის ბელადისას. უახლოესი 2 წლის მანძილზე ბელორუსიის დემოკრატიზაციისთვის 55 მლნ დოლარი გამოიყოფა (ანალოგიური მიზნისთვის კუბაზე 80 მლნ-ის დახარჯვას აპირებს). აშშ-ის დემოკრატიულმა და რესპუბლიკურმა პარტიებმა კონგრესს უკვე წარუდგინეს შესატყვისი კანონპროექტი.

## მოკლედ

**მადონამ** ანჯელინა ჯოლის მიბაძა და აფრიკელი ბავშვების სავალალო მდგომარეობით



დაინტერესდა. პოპვარსკვლავმა აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნის მალავის 1 მლნ ობოლს (12 მლნ მოსახლეობა) დასახმარებლად 3 მლნ დოლარი გადაურიცხა. ეს ფული მოხმარდება თავშესაფრის მშენებლობას. თავშესაფარი იზრუნებს პატარების დაპურებაზე, ჩაცმა-დახურვაზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე.

**ისრაელის** პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი ირწმუნება, რომ ისრაელის არმიამ ლიბანში თითქმის მთლიანად გაანადგურა მოძრაობა „ჰეზბოლაჰის" ინფრასტრუქტურა, მოსპო ექსტრემისტთა 700 სამეთაურო პუნქტი. ამავე დროს, აცხადებს, რომ ისრაელი ლიბანში სამხედრო ოპერაციას იმ შემთხვევაში შეწყვეტს, თუ რეგიონისთვის გამოყოფილი სამშვიდობო ძალები იქ წესრიგს დაამყარებენ.

**ბოლივიის** პრეზიდენტმა ივო მორალესმა ფეხბურთის თამაშის დროს ცხვირი გაიტეხა. მოწინააღმდეგის მეკარემ ბურთი მინდორზე ისროლა და პრეზიდენტს პირდაპირ ცხვირში მოარტყა. ბოლივიის ლიდერს ოპერაცია გაუკეთეს. ტრავმის გამო მორალესი ველარ ითამაშებს ქვეყნის მთავრობის ნაკრებში, რომელიც საპატიო სტუმრების ნაკრებს შეერკინება, სტუმრებს შორის კი იქნებიან ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა და სილვა და ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი.

**იოჰანესბურგში,** სამხრეთ აფრიკის უდიდეს ქალაქში, პირველად 25 წლის მანძილზე, თოვლი მოვიდა. თოვს კარლეტონვილსა და



ვესტონარიაში. ქვეყნის დანარჩენ ნაწილში კი ძალიან დაბალი ტემპერატურაა.

ფრი-სტეიტის ცენტრალური პროვინციის ქალაქ ბლუმფონტეინში 13 სმ თოვლი დადო. ამხელა თოვლი აქ უკანასკნელად 1988 წელს მოვიდა.

აცივებამ ძალიან გაახარა სათხილამურო კურორტ ტიფინდელის დამსვენებლები. ახლა ისინი ხელოვნური თოვლის მაგივრად ნამდვილით ისარგებლებენ.

**ჩინეთის** სამხრეთ სანაპიროს ტაიფუნმა „პრაპირონმა" გადაუარა და 38 კაცის სიცოცხ-



ლე შეიწირა, 14 დაიკარგა, 60 ათასზე მეტი ევაკუირებულია. სტიქიით მიყენებული ზარალი 300 მლნ დოლარს შეადგენს.

**სამხრეთ კორეაში** 10 ივლისიდან განუწყვეტლივ წვიმს, რასაც წყალდიდობა მოჰყვა. დაიღუპა და დაიკარგა ათი ათასამდე კაცი, 60 ათასი უსახლკაროდ დარჩა. გარდა ამისა, სტიქიამ გაანადგურა კარტოფილისა და ბრინჯის ნათესები. ამან კი შეიძლება სასურსათო კრიზისი გამოიწვიოს ქვეყანაში, როგორც ეს 1990 წელს მოხდა. მაშინ შიმშილით თითქმის 2,5 მლნ კაცი, ანუ მოსახლეობის 10% დაიღუპა.



გვერდი მოამზადა
ნანა ანტონოვა-ილურიძემ

ევროპული დონის პოლიგრაფია
ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის" გერმანულ დანადგარებზე
შპს „გოდოლი"
ხარისხი
ოპერატიულობა
ფასი
ტელ: 56-40-56
877-43-04-57

„ტრანსცენტრი" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის" გვერდით
☎ 34-49-40; 35-47-47; 26-30-50; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 35-13-13

შპს „გეოკორი" აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს
სასმელი და ტექნიკური წყლის
მის: აკაკის ქ. №8
(სამების საკათედრო ტაძარი, ოთ. 118)



# როგორ შევიძინოთ უძრავი ქონება

ბინა თბილისში მხოლოდ საცხოვრებელი უკვე აღარ არის — უძრავი ქონება ფულის სარფიანად დაბანდების კარგ საშუალებად, მომგებიან კომერციულ ოპერაციად გადაიქცა. უძრავ ქონებაში ფულის ჩადება დღეისათვის ყველაზე ნაკლებრისკიან ინვესტიციად მიიჩნევა, ამიტომაც გაიზარდა მოთხოვნილება საცხოვრებელ თუ სავაჭრო ფართზე, რამაც ქვეყანაში სამშენებლო ბუმი გამოიწვია.

ფართომასშტაბიანი ახალმშენებლობების პირობებში ბაზარზე საცხოვრებელი ფართის მიწოდება მოთხოვნას უკვე ბევრად აღემატება. თუ ფული გაქვს, კარგი ბინის, სავაჭრო ფართისა თუ აგარაკის შეძენა პრობლემა აღარ არის, მაგრამ რა უნდა ქნას კაცმა, თუ არ აქვს საკმარისი თანხა საცხოვრებელი ბინის თუ კომერციული ფართის შესაძენად? ამ შემთხვევაში ორი გზა აქვს, — ან ბანკს მიაკითხოს, იპოთეკური სესხი აიღოს, ან უშუალოდ სამშენებლო კომპანიას დაუკავშირდეს და მისი შეთავაზებული განვადებით ისარგებლოს.

გასულ წლებში ნდობადაკარგული მოქალაქეები, რომლებსაც სესხის აღება უნდოდათ, ბანკებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აკითხავდნენ. უძრავ ქონებაზე ფასების ზრდამ ბინის შეძენის მსურველებს ფულის სესხებისკენ უბიძგა. ერთი მხრივ, სესხებზე მოთხოვნილების მატებამ და მეორე მხრივ, საბანკო სექტორის სტაბილურობამ მოსახლეობას ფსიქოლოგიური ბარიერი თითქმის დააძლევინა და ამჟამად იპოთეკური სესხებისთვის ბანკებს სულ უფრო მეტი მოქალაქე აკითხავს. იპოთეკური კრედიტების გაცემა ბანკებისთვის ყველაზე დინამიკურ მიმართულებად გადაიქცა — ქვეყნის უძრავ ქონებაში კრედიტორების დაბანდებული თანხა ბოლო წელიწად-ნახევარში თითქმის გაორმაგდა. რადგან საცხოვრებელი ბინების ფასმა მოიმატა და სავაჭრო ფართებიც ძალზე გაძვირდა, კომერციულმა ბანკებმა სესხის მოცულობა გაზარდეს. კლიენტს დღეს ნებისმიერი ბანკიდან შეუძლია გამოიტანოს 2 ათასიდან 250 ათას დოლარამდე ოდენობის თანხა (კრედიტის მაქსიმალური მოცულობა ორიოდე წლის წინ 60 ათას დოლარს შეადგენდა). სესხებს უკვე 20-წლიანი ვადითაც გასცემენ. მაგალითად, უძრავი ქონების შეძენის მსურველმა ბანკიდან 4 ათასი დოლარი 5-წლიანი ვადით თუ გამოიტანა, მას ამ პერიოდის განმავლობაში ყოველთვიურად სულ რაღაც 100 დოლარის გადახდა მოუწევს. ბანკებიდან იპოთეკური სესხის გამოტანის დროს საკმარისია კლიენტმა წარმოადგინოს სტაბილური შემოსავლის წყარო, ან ხელფასი — თვეში სულ ცოტა 400 დოლარი, ან მის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონების იჯარით მიღებული შემოსავალი.

ადრე ბანკებისგან ფულს უმეტესად ბინების შესაძენად სესხულობდნენ და არავის მოსდიოდა ფიქრად, რომ იპოთეკური სესხის აღებით სოლიდური მოგების მიღება შეეძლო.

იპოთეკურ სესხებს მოხერხებული ხალხი სარფიანად იყენებს. მას, ვინც უძრავ ქონებას ბანკიდან გამოტანილი იპოთეკური სესხით შეიძენს, წარმატებით გაკეთებული გათვლების შემთხვევაში, შეუძლია ბანკზე დიდი სარგებელი ნახოს. თუ იპოთეკური კრედიტით მოსარგებლე პირი ბანკს წელიწადში საშუალოდ 15 პროცენტს გადაუხდის, ამ ფულით შეძენილი უძრავი ქონება სესხის დაფარვის მომენტისათვის შესაძლოა, 30-40 პროცენტით ძვირი ღირდეს; ანუ მან 15-25-პროცენტი მოიგოს.

კომერციული ნიჭით დაჯილდოებული მოქალაქეები ბანკიდან აღებული კრედიტით კომერციულ ფართებსაც ყიდულობენ, სავაჭრო ცენტრებს აგებენ და შემდეგ აქირავებენ. ფართის ადგილმდებარეობის კარგად შერჩევის შემთხვევაში არცთუ პატარა მოგება აქვთ. მაგალითად, თუ სესხის ამღები პროცენტის სახით ბანკს თვეში 700 დოლარს უხდის, კარგ ადგილას ნაყიდი სავაჭრო ფართი შეუძლია თვეში 1.000 დოლარად გააქირაოს. ამ თანხით ბანკის სესხს ფარავს და ვალის მთლიანად გასტუმრების შემდეგ უძრავი ქონებაც მის საკუთრებაში რჩება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კომერციული ფართის ფასი მუდმივად იმატებს, ერთიორად მოგებული აღმოჩნდება.

მიუხედავად ამისა, იპოთეკური სესხების აღება არ არის მთლად ურისკო ბიზნესი, რადგან ფასების პერიოდული „გაყინვის“, სტაგნაციისა და კრიზისული მოვლენებისგან არც უძრავი ქონების ბაზარია დაზღვეული.

საქართველოს მსხვილი ბანკების საკრედიტო პროგრამები თითქმის იდენტურია, იპოთეკური სესხის პირობები და საპროცენტო განაკვეთიც თითქმის თანაბარი (სხვადასხვა კომერციულ ბანკში სესხებზე საპროცენტო განაკვეთები ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ, 1-2 პროცენტით განსხვავდება), ამიტომ ბანკები კლიენტებს უკვე სამშენებლო კომპანიებთან ერთობლივად შემუშავებული პროექტებით იზიდავენ. დღეისათვის საქართველოში ბანკის იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია და შეთავაზებული პირობებისა და კრედიტის ვადის შესაბამისად, 15-20 პროცენტს შორის მერყეობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დასავლეთის ქვეყნებში იპოთეკურ სესხში კლიენტები წელიწადში სულ რაღაც 2-3 პროცენტს იხდიან, რუსეთში კი ბანკების სარგებელი 10-12 პროცენტს შორის მერყეობს, საქართველოს მოქალაქეებს ბანკის კრედიტით უძრავი ქონების შეძენა საკმაოდ ძვირი უჯდებათ. ქართული ბანკები იპოთეკურ სესხებზე მაღალი განაკვეთების არსებობას ქვეყანაში არასტაბილური ეკონომიკური გარემოთი ხსნიან. დიდი რისკი ძვირი ღირს, ამიტომ მაღალი საპროცენტო სარგებლის დაწესებით ბანკები გაცემული თანხების დაკარგვისგან თავის დაზღვევას ცდილობენ. რისკი, რომ შესაძლოა, ბანკმა გაცემული თანხა ვერ დაიბრუნოს, არსებობს — ხომ შეიძლება კლიენტმა სესხით სარგებლობის პერიოდში სამსახური დაკარგოს და ვალის დაფარვაც ველარ გააგრძელოს. სესხებზე მაღალი განაკვეთის კიდევ ერთ არგუმენტად ბანკებს სარეზერვო კაპიტალის ნაკლებობა მოჰყავთ. როგორც საბანკო სპეციალისტები ამბობენ, ქართული კომერციული ბანკები დეპოზიტზე განთავსებულ თანხებზე მეანაბრეებს საკმაოდ მაღალ დივიდენდს უხდიან — 3-4 პროცენტს (უცხოეთის ქვეყნებში საბანკო დეპოზიტზე განთავსებულ თანხაზე სარგებელი 1,7 პროცენტს არ აღემატება) და შემდეგ ამ ფულს შესაბამისად მაღალ ფასად გასცემენ. სესხებზე პროცენტის კლების ტენდენცია დღეს ყველა ქვეყანაში არსებობს, მათ შორის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც. ერთი თვეა, რაც ქართულმა ბანკებმაც შეამცირეს პროცენტი 14-19 პროცენტამდე, თუმცა ეს დროებითი, საზაფხულო აქციაა — რადგან ზაფხულში უძრავი ქონების ბაზარზე გაყიდვები იკლებს და იპოთეკურ სესხებზეც მოთხოვნა მცირდება, კომერციული ბანკები კლიენტების მოზიდვის ამ ხერხს მიმართავენ.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მომავალში კრედიტორებს შორის კონკურენცია გამძაფრდება, ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციაც შედარებით გამოსწორდება და იპოთეკურ სესხებზე პროცენტი 2-3 წელიწადში დაიკლებს.

ბინის შეძენის ბევრ მსურველს ბანკიდან იპოთეკური სესხის აღებას, ურჩევნია, კარგი სერვისის გამო სამშენებლო კომპანიაში მივიდეს და მისი განვადებით ისარგებლოს, განსაკუთრებით. მაშინ, თუ განვადების ვადა დიდია.

სამშენებლო კომპანიებს ბანკებთან შედარებით მომსახურების გამარტივებული წესები აქვს. ბანკისგან განსხვავებით ის არ ითხოვს კლიენტისა და მისი თანამსესხებლის (კლიენტის ოჯახის წევრების) სტაბილური შემოსავლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, არც შემოსავლის წყაროს მითითებაა სავალდებულო. კომერციული ბანკები სესხებს არ გასცემენ უცხოეთის მოქალაქეებსა და საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ პირებზე, მაშინ როცა ეს მოთხოვნა სამშენებლო კომპანიებს მოხსნილი აქვთ. კომერციულ ბანკებს არ აქვთ გარანტია, რომ ემიგრანტი მოქალაქეები საზღვარგარეთ დარჩებიან და მუდმივი სამსახური ექნებათ, ამიტომ თავს იზღვევენ. სამშენებლო კომპანიებმა ამ შეზღუდვაზე უარი თქვეს, რადგან მათი კლიენტების 30 პროცენტს სწორედ უცხოეთში სამუშაოდ წასული მოქალაქეები შეადგენენ.

სამშენებლო კომპანიებმა კლიენტების მისაზიდ კიდევ ერთ ეფექტიან საშუალებას მიმართეს — ბინის შეძენის მსურველებს უპროცენტო განვადებას ჰპირდებიან. კლიენტს ის იზიდავს, რომ სამშენებლო კომპანიაში თავიდან საწყისი თანხა შეაქვს, დაახლოებით 3-4 ათასი დოლარი, დარჩენილი თანხა განვადების ვადაზე იყოფა და კლიენტი ყოველთვიურად განსაზღვრულ, ფიქსირებულ უპროცენტო თანხას იხდის. რეალურად განვადება უპროცენტო არ არის, კომპანია ბინის საერთო ღირებულების საშუალოდ 17-18 პროცენტს ანგარიშობს.

**მერაბ ლვინაძე** (უძრავი ქონების ბაზრის ექსპერტი): „თუ მოქალაქეს ფული არ აქვს, ბუნებრივია, ვერც ბინას იყიდის და ვერც სხვა უძრავ ქონებას, მაგრამ თუ რაღაც საწყისი თანხა აქვს, მაგრამ საცხოვრებელი ფართის შესაძენად არ ჰყოფნის ან შემოსავლის მუდმივი წყარო აქვს და ფულის უძრავ ქონებაში დაბანდება სურს, — შეუძლია ან ბანკიდან იპოთეკური სესხი გამოიტანოს, ან უშუალოდ სამშენებლო კომპანიის განვადებით ისარგებლოს. საცხოვრებელი ბინის შეძენის მსურველისთვის უფრო კომფორტული სამშენებლო კომპანიის განვადებაა, რადგან კლიენტი ვალდებული არ არის დამატებითი დოკუმენტაცია წარადგინოს. მართალია, თანხის გადახდაზე გარანტიებს სამშენებლო კომპანიაც ითხოვს, მაგრამ მისი მოთხოვნები ბანკთან შედარებით ნაკლებმკაცრია, რადგან სამშენებლო კომპანია ნაკლებ რისკს ეწევა — ბინა მის ხელშია და თუ კლიენტი ფულს ვერ შეიტანს, ბინა მას დარჩება. ამიტომ არ კითხულობს კომპანია, საიდან აქვს პირს შემოსავალი. ბანკს კი იპოთეკური კრედიტის ჩაშლის შემთხვევაში ფულის სასამართლოს მეშვეობით დაბრუნება მოუწევს და ეს პროცესი შეიძლება 2-3 წელიწადს გაგრძელდეს. ამიტომ ბანკი სიფრთხილეს იჩენს, რისკზეც არ მიდის და საპროცენტო განაკვეთიც სესხებზე უფრო მაღალი აქვს. კრედიტით სარგებლობის პროცენტი სამშენებლო კომპანიასაც აქვს განვადების თანხაში შეტანილი. სამშენებლო კომპანიებმა საკრედიტო ბაზარი შეისწავლეს და მომსახურებაში საშუალო პროცენტს იღებენ, სხვაგვარად მისი მუშაობა წამგებიანი იქნებოდა“.

სესხის მიღების არცთუ იოლი პროცედურისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიუხედავად, იპოთეკური სესხები და განვადება უძრავი ქონების შეძენის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა მათთვის, რომელთაც მისი ღირებულების ერთბაშად გადახდის საშუალება არ აქვთ.

# უცხოური კომპანიები ახალი ჰესების მშენებლობას იწყებენ

## 3-4 წლის შემდეგ საქართველო ელექტროენერგიის ექსპორტიორი გახდება

2-3 წელიწადში საქართველოს ელექტროენერგიის იმპორტი აღარ დასჭირდება, მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას ქვეყანა საკუთარი ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებული ელექტროენერგიით შეძლებს და იმდენი რესურსიც მორჩება, დენი მეზობელ სახელმწიფოებს მიჰყიდოს.

ქართველი ენერგეტიკოსების პროგნოზით, თბოელექტროსადგურების ძვირი ელექტროენერგია ახალი ჰესების შედარებით იაფმა დენმა თანდათან უნდა ჩაანაცვლოს, რის შემდეგაც ქვეყანაში ტარიფი აღარ გაიზრდება. სულ საქართველოში 32 მცირე და საშუალო ჰესის მშენებლობა იგეგმება. უმრავლესობა 10-დან 30 კილოვატამდე სიმძლავრის იქნება და 3-3,5 წლის შემდეგ, როცა მათი მშენებლობა დასრულდება, ენერგოსისტემას დამატებით 500 მეგავატი ელექტროენერგია გაუჩნდება. საქართველოს მდინარეებსა და ტბებზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით 38 უცხოური კომპანიაა დაინტერესებული. ახალი ჰესების მშენებლობა შემოდგომაზე უნდა დაიწყოს.

**მიხეილ ანთაძე** (ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თავმჯდომარე): — საქართველო მსოფლიოში ჰიდრორესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. 140 მილიარდამდე კილოვატის რესურსი გვაქვს და მისი მხოლოდ 12 პროცენტი გვაქვს ჯერ ათვისებული. 70 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე 26 ათასი მდინარეა და ჰესის აგება სვანეთიდან კახეთამდე ყველა მდინარეზე შეიძლება.

— **ჰესების მშენებლობით რომელი ქვეყნის კომპანიები დაინტერესდნენ?**

— როცა ენერგეტიკის სამინისტრომ უცხოურ პრესაში განაცხადი გააკეთა, ხუთი-ექვსი კომპანიის გამოხმაურებას ველოდებოდით, მაგრამ განაცხადი ოცდათვრამეტმა კომპანიამ შემოიტანა. მათ შორის ექვსი ერთობლივი, ანუ ქართულ-უცხოური კომპანიაა, დანარჩენები ამერიკული, შვეიცარიული, იტალიური, გერმანული, თურქული კომპანიები.

საქართველოს ჰიდრორესურსები ყველას აინტერესებს. რაც მთავარია, ჰესების მშენებლობაზე სახელმწიფო ხარჯს არ გასწევს. ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არ დაიხარჯება — ყველგან კომერციული ინვესტიცია ჩაიდება.

— **ახალი ჰესების გამომუშავებული ელექტროენერგია რა ეღირება?**

— ახალი ჰესის ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ფასი, სავარაუდოდ, 4-4,5 ცენტი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თბოელექტროსადგურების გამომუშავებული ელექტროენერგია უკვე 5,3 ცენტი ღირს და გაზის ფასი მუდმივად იმატებს, ჰიდროენერგია მომავალში კიდევ უფრო მომგებიანი გახდება. როგორც კი კომპანიები მშენებლობაში ჩადებულ ინვესტიციას ამოიღებენ, ჰესების ელექტროენერგია გაიაფდება.

ახალ ჰესს მარეგულირებელი კომისია ელექტროენერგიის ტარიფს არ დაუდგენს. მხოლოდ ზედა ზღვარი იქნება ფიქსირებული და ჰესის მფლობელს შეეძლება თავის დენს ფასი საკუთარი შეხედულებისამებრ დაადოს. ახალი ჰესების ელექტროენერგიას ოთხი სადისტრიბუციო ენერგოკომპანია და მსხვილი კომერციული მომხმარებლები შეიძენენ. ის საბითუმო მომხმარებლები, რომლებსაც 30 მილიონ კილოვატსაათამდე ელექტროენერგია ენდომებათ, ჰესებთან პირდაპირ კონტრაქტებს გააფორმებენ.

| საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7630 |
| ევრო | 2,2552 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,3342 |
| რუსული რუბლი | 0,0659 |
| თურქული ლირა (1*) | 1,1836 |



— **როდის დაიწყებს საქართველო ელექტროენერგიის ექსპორტს და ვინ არიან პოტენციური მყიდველები?**

— 3-3,5 წლის შემდეგ, როცა ჰესების დიდი ნაწილი დასრულებული იქნება, ზაფხულის სეზონზე საქართველოს გასაყიდი ელექტროენერგია ექნება. 2012 წლისთვის „ხუდონჰესის“ მშენებლობის დასრულებაა ნავარაუდევი, რომელმაც დამატებით 700 მეგავატი უნდა გამოიმუშაოს. ეს ელექტროენერგიაც მთლიანად საექსპორტო იქნება. ჩვენი ჰიდროენერგიის ძირითადი მომხმარებელი შეიძლება იყოს თურქეთი, რომლის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება. თანაც, თურქეთში დენი საკმაოდ ძვირი ღირს. შესაძლოა, ელექტროენერგია გავყიდოთ სამხრეთ რუსეთსა და ირანშიც.

— **შესაძლებელია თუ არა, რომ ელექტროენერგია ირანს გაზში გავუცვალოთ?**

— ირანთან გაზის ბარტერზე ლაპარაკი ჯერ არ გვაქვს. სამომავლოდ, თუ ირანში პოლიტიკური სიტუაცია მოწესრიგდება, დენის ბუნებრივ აირში გაცვლა რეალური შეიქნება. საქართველო ელექტროენერგიას ზაფხულში მიაწვდის, როცა ირანში ყველაზე დიდი მოთხოვნაა და სანაცვლოდ ზამთარში გაზს მივიღებთ.

*გვერდი მოამზადა*
*ნონა ქელიხაძემ*

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მათზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს 13 წლის გოგონა. ხშირად არის უგუნებოდ, ტირის. ხან მეუბნება, რომ თავი სტკივა, ხან გული აწუხებს. ზოგჯერ კი აიკვიატებს ხოლმე, სიმსივნე მაქვსო. ჩავუტარე სამედიცინო გამოკვლევები: სისხლის და შარდის ანალიზი, ექოსკოპია, კარდიოგრამა, ყველაფერი რიგზე აქვს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. გთხოვთ მირჩიოთ რამე.**

***მკითხველი***

მოზარდებს გარდატეხის ასაკში აქვთ ხოლმე ჰორმონულ ძვრებთან დაკავშირებული იპოქონდრიული დეპრესიები. უჩნდებათ ეჭვი საკუთარი ჯანმრთელობის გამო და ავადმყოფურად ეშინიათ. თუმცა ამავე ასაკში ხშირად იჩენს ხოლმე თავს ე.წ. ენდოგენური (შინაგანი მიზეზებით გამოწვეული) დეპრესიებიც. ამიტომ გირჩევთ, ბავშვი ფსიქონევროლოგს აჩვენოთ. მანამდე კი შეგიძლიათ ასვათ მას ვარდკაჭაჭას ფესვების ნაყენი (2ს/კ ბალახი 1 ჭიქა წყალზე) თითო ს/კ 5-6-ჯერ დღეში. მსგავს მდგომარეობაში ეს ნაყენი კარგ შედეგს იძლევა.

**ჩემს 8 წლის გოგონას ადვილად უოფლიანდება ხელები. რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ეს ნიშანი და რა ვილონო?**

***პატივისცემით, ნაირა ლალიაშვილი***

ხელების ოფლიანობის გარდა, ბავშვს აუცილებლად ექნება სხვა საგულისხმო სიმპტომებიც, რომლებიც სავარაუდო დიაგნოზის დასასმელად გამოგვადგებოდა, მაგრამ შეკითხვაში მათ შესახებ არ აღნიშნავთ. ამიტომ შეგვიძლია მოგაწოდოთ რამდენიმე მოსაზრება. პირველ რიგში უნდა გამორიცხოთ თირეოტოქსიკოზი (ჩიყვი). თუ ბავშვს აქვს გახშირებული გულისცემა (ტაქიკარდია), ძალიან ემოციურია, ადვილად ღიზიანდება, სავარაუდო დიაგნოზს ადასტურებს. ბავშვის გაძლიერებული ოფლიანობა შესაძლოა გამოწვეული იყოს კალციუმისა და C ვიტამინის ნაკლებობით, ანემიით (სისხლნაკლებობით). გირჩევთ, გოგონას ჩაუტაროთ სამედიცინო გამოკვლევა პედიატრის მეთვალყურეობით...

**ახლობელმა მირჩია, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემის მოხსნა შემიძლია A ვიტამინის მიღებით. გაციებისას, ყელისა თუ მუცლის ტკივილის დროს იგი თურმე A ვიტამინს სვამს.**

***დონარა ვ.***

A ვიტამინი, საერთოდ, ასტიმულირებს კანისა და ლორწოვანი გარსის ეპითელური ქსოვილის რეგენერაციას, აძლიერებს იმუნიტეტს. ამიტომ მისი გამოყენება შესაძლებელია გაციებითი პათოლოგიების პროფილაქტიკის მიზნით. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ვიტამინი საკმაოდ ვერაგია — სხვა ვიტამინებისგან განსხვავებით, ჩვენს ორგანიზმს A ვიტამინის ჭარბად გამოყოფა არ შეუძლია, ამიტომ იგი გროვდება და შესაძლოა საერთო რაოდენობამ საშიშ, ტოქსიკურ დოზას მიაღწიოს. დოზის გადამეტების მიღწევა კი გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე მისი დეფიციტისა, რადგან თუ ადამიანი სრულფასოვნად, მრავალფეროვანი საკვებით იკვებება, A ვიტამინს იგი საკმაო რაოდენობით იღებს. ეს ვიტამინი ბევრია სტაფილოში, ატამში, გარგარში, ღვიძლში, კარაქში, კვერცხის გულში, რძეში (ცხიმიანში). A ვიტამინის ჭარბად მიღებისას შეიძლება განვითარდეს მუცლის ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხვევა, კანის სიმშრალე. ორსულებში კი შეიძლება ნაყოფის განვითარების დარღვევა გამოიწვიოს.

ვიტამინები ისეთივე წამლებია, როგორიც სხვა პრეპარატები, მათი მიღება მხოლოდ მაშინაა საჭირო, როცა ორგანიზმს ნამდვილად სჭირდება, ამიტომ პრეპარატის მიღების წინ აუცილებლად დაეკითხეთ ექიმს.

A ვიტამინის რეკომენდებული დოზა მამაკაცებისთვის გახლავთ 1000მკგ, ხოლო ქალებისათვის — 800მკგ დღეში.

**მაქვს ნევროზი. ვსვამ წამლებს, რომლებიც ნევროპათოლოგმა დამინიშნა. ამის მიუხედავად ვარ საშინელ დეპრესიაში. ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ დეპრესიას კარგად შველის კრაზანის ნაყენი. შეიძლება თუ არა ამ ნაყენის მიღება ქიმიურ პრეპარატებთან ერთად — რამე ხომ არ დამიშავდება?**

***ო. კიკაძე***

მსგავს შემთხვევაში ქიმიური პრეპარატებისა და მცენარეული ნაყენების (მით უმეტეს, ისეთი სტიმულატორისა, როგორიც კრაზანას ნაყენია) ერთდროულად გამოყენებამ შეიძლება უარყოფითი შედეგი მოიტანოს. სარგებლობის ნაცვლად ორგანიზმს ამგვარად ზიანს მიაყენებთ. თუ ანტიდეპრესანტებს სვამთ, კრაზანა მათ ნეიტრალიზებას მოახდენს და პრეპარატის ეფექტი დაიკარგება.

## კარაბადინი

**ვეხმაურები მკითხველს, რომელსაც აწუხებს ჭარბი ოფლიანობა. მეც მქონდა მსგავსი პრობლემა და შევძელი მისი დაძლევა. პირველ რიგში, თავი დაანებეთ სიგარეტს ან მნიშვნელოვნად შეამცირეთ მოწევა. ერიდეთ სტრესულ სიტუაციებს ან სვით მცენარეული დამამშვიდებელი საშუალებები, მაგალითად, კატაბალახასა და შავბალახას ნაყენი.**

**ერთი თვის განმავლობაში უნდა მიიღოთ სალბის ფოთლების ნაყენი: 1ს/კ სალბის ფოთლებს დაასხით 400 მლ (2 ჩ/ჭ) მდუღარე წყალი. დააყოვნეთ 1 სთ, გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა 3-ჯერ დღეში.**

**თუ ყველა რჩევას გაითვალისწინებთ, ოფლიანობა მნიშვნელოვნად შეგიმცირდებათ და აღარც ოფლის სუნი შეგაწუხებთ.**

***მკითხველი***

ექიმის კომენტარი: მკითხველის მიერ მოწოდებული რჩევები საკმაოდ სწორადაა ჩამოყალიბებული. ჭარბი ოფლიანობით შეწუხებულმა ადამიანმა თავი უნდა დაიცვას სტრესული ფაქტორებისაგან, ერიდოს ქრონიკული ინტოქსიკაციის გამომწვევ ფაქტორებს (ნიკოტინს, ალკოჰოლს). სალბს აქვს ადგილობრივი ანტიანთებითი, ანტიბაქტერიული, ქსოვილის აღმდგენი თვისებები. მის ნაყენს იყენებენ აგრეთვე დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტისა და კუჭის წყლულის დროს, კუჭისა და ნაწლავების სპაზმებისას. სალბი ამცირებს ოფლის გამოყოფას. მის ამ თვისებას იყენებენ ხოლმე კლიმაქსურ პერიოდში ჭარბი ოფლიანობის სამკურნალოდაც.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## კაკალი — მკურნალი



კაკალი არა მარტო გემრიელი საკვებია, არამედ მკურნალიც. სამკურნალოდ გამოიყენება ნიგოზი, მწვანე ნაყოფი, ფოთლები, ნაჭუჭი, წენგო, ულელი და ზეთი. კაკლის ფიტონციდური და ბაქტერიების საწინააღმდეგო თვისებები ხელს უშლის სტაფილოკოკების, დიზენტერიის, ტიფისა და ტუბერკულოზის ჩხირების გამრავლებას, კურნავს ყველა სახის სოკოვან დაავადებას.

სწორედ ფიტონციდური თვისებების წყალობით, იქ, სადაც კაკლის ხე დგას, ვერ მრავლდება ბუზი და ჩრჩილი.

C ვიტამინით მდიდარი კაკლის ფოთლების ჩაი (50გ 1ლ წყალზე) რეკომენდებულია კანის დაავადებების, ჭიების, კუჭ-ნაწლავის, კატარის, ათეროსკლეროზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის სამკურნალოდ და იმუნიტეტის ასამაღლებლად.

ნიგოზი, მთრიმლავი ნივთიერებების წყალობით, კურნავს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებას. შეიცავს რკინას, სპილენძს, კობალტს, თუთიას, ვიტამინ $B_6$-ს, კალციუმს, ფოსფორს, ხელს უწყობს ზრდას, სასარგებლოა ანემიის დროსაც.

C ვიტამინით, თიამინით, ორგანული მჟავებით მდიდარი ნორჩი ნაყოფით დამზადებული კონცენტრატი საუკეთესო საშუალებაა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული აშლილობის სამკურნალოდ, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ამაღლებს იმუნიტეტს.

იოდით მდიდარი ნიგვზის ულლის ნახარში რეკომენდებულია ფარისებრი ჯირკვლის დაავადების სამკურნალოდ.

*გთავაზობთ რეცეპტებს:*

**კოლიტის დროს** პატარა მაიონეზის ქილაში ჩაყარეთ 3 ს/კ ნიგვზის ულელი, შეავსეთ არყით, თავდახურული გააჩერეთ ერთი კვირა. 10 წვეთი ნაყენი გახსენით 1 ს/კ წყალში და მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში, მკურნალობის კურსია 1-2 თვე.

**შაქრის დონის დასაწევად** (დიაბეტის დროს) — 1ჩ/ჭ წვრილად დაჭრილი კაკლის ფოთოლი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 3 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და თავდახურული გააჩერეთ 0,5 საათი, მიიყვანეთ ადუღებამდე და ისევ გააჩერეთ 6 საათი. გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი ჭამიდან 30-40 წუთის შემდეგ.

**ართრიტის დროს:** 2 ს/კ კაკლის წენგოს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთი და ნაყენი წაისვით მტკივნეულ სახსრებზე.

ხალხურ მედიცინაში პოპულარობით სარგებლობს ნორჩი ნაყოფისა და 100-160 გრადუსზე დისტილირებული ნავთის ნაყენი, რომელიც გამოიყენება არა მარტო სახსრების, არამედ მეტასტაზებისა და სიმსივნეების სამკურნალოდ:

დაჭრილი ნორჩი კაკლით გაავსეთ მინის ქილა და პირამდე შეავსეთ დისტილირებული ნავთით, მჭიდროდ თავდახურული 21 დღე გააჩერეთ ბნელ ადგილას. შემდეგ გაწურეთ ორფა მარლაში, ჩაასხით მინის ბოთლში და შეინახეთ ბნელ ადგილას. თავდაპირველად მიიღეთ ჭამამდე 5-6 წვეთი ნაყენი დილა-სალამოს და ყოველდღე დაამატეთ თითო წვეთი, აიყვანეთ 15 წვეთამდე, გააგრძელეთ კიდევ 10 დღე 15 წვეთის მიღება, შემდეგ კი შეამცირეთ ყოველდღე თითო წვეთით და დაიყვანეთ 5 წვეთამდე. მკურნალობა გრძელდება 1 თვე. შეისვენეთ და გაიმეორეთ საჭიროების შემთხვევაში.

***ლეჩებნიკი***

## არა მარტო სამკაული, არამედ...

თითქმის ყველა ქალს უყვარს ბეჭდები, სამაჯურები, მძივები და ა.შ. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ სამკაული არა მარტო შვენის მათ, არამედ ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე მოქმედებს, რითაც ხელს უწყობს ჯანმრთელობას.

ძველინდური შეგონების თანახმად, საყურე აუმჯობესებს მეხსიერებასა და ააქტიურებს ტვინის მუშაობას, სამაჯური აწესრიგებს საკვერცხეების ფუნქციას, მოკლე მძივი ყელზე ასტიმულირებს ფარისებრ ჯირკვალს, წელზე სარტყელი არეგულირებს კრიტიკულ დღეებს და კუჭის მუშაობას.

***ლიზა-ჰოროსკოპი***



# 10 წესი ჰიპერტონიკებისთვის

1. რეგულარულად გაიზომეთ წნევა;
2. დაიცავით ექიმის რეკომენდაციები;
3. შეინარჩუნეთ იდეალური წონა;
4. უარი თქვით (ან შეამცირეთ) ალკოჰოლურ სასმელებზე;
5. მარილის ნაცვლად სადილი შეკაზმეთ სანელებლებით;
6. მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული;
7. ნუ მოსწევთ სიგარეტს (ან შეამცირეთ მისი რაოდენობა);
8. რეგულარულად ივარჯიშეთ;
9. სალათებისა და სადილის მომზადებისას გამოიყენეთ მაღალი ხარისხის მცენარეული ზეთი;
10. სამსახურში შეძლებისდაგვარად შეისვენეთ.

*ლიზა*

# თუ თავის ტკივილმა შეგაწუხათ...

ყოველდღე სვით 1/4 ჭიქა ახალგამოწურული უმი კარტოფილის წვენი ერთი თვის განმავლობაში. მსგავსი მკურნალობა შეგიძლიათ ჩაიტაროთ წელიწადში 3-4-ჯერ. შესანიშნავი საშუალებაა აგრეთვე კომბოსტოს თბილი წვენი: ნახევარი ჭიქა ჭამის შემდეგ, 2-3-ჯერ დღეში.

*ზდოროვიე*

# თუ ირუჯებით, მაშინ...



1) თუ ხალები გაქვთ, მოერიდეთ სოლარიუმს;

2) მზეზე გარუჯვისას არ დაგავიწყდეთ ზომიერება;

3) ეცადეთ, არ მიიღოთ მზის დამწვრობა;

4) სუნამო ან დეზოდორი აძლიერებს კანის მგრძნობელობას მზის მიმართ, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ პლაჟზე;

5) ბანაობის წინ კანში შეიზილეთ წყალგამძლე კრემები;

6) მიირთვით ბუნებრივი ანტიოქსიდანტები — სტაფილო, პომიდორი, მცენარეული ზეთი. დალიეთ გაცივებული მწვანე ჩაი;

7) ჩაიცვით ბამბის ტანსაცმელი. სინთეტიკისაგან განსხვავებით, ის ატარებს ნაკლებ ულტრაიისფერ სხივებს.

*დობრიე სოვეტი*

# ექსპრესგაწმენდა

ახლა საზამთროს და ნესვის სეზონია, ე.ი. გვაქვს შესაძლებლობა, კვირაში ერთხელ ორგანიზმი საზამთროთი გავიწმინდოთ. ეს ტკბილი და დაბალკალორიული საკვები ეხმარება ორგანიზმს გათავისუფლდეს წიდებისა და ტოქსინებისაგან, წმენდს ნაწლავებს.

2-2,5კგ მწიფე ტკბილი რბილობი გაანაწილეთ 6 ულუფად და მიირთვით მთელი დღის მანძილზე. თუ შიმშილის გრძნობა შეგაწუხებთ, შეგიძლიათ მიატანოთ 3 თხელი ნაჭერი გამომშრალი პური.

საზამთროსაგან განსხვავებით, ნესვი გაცილებით კალორიულია (100გ საშუალოდ შეიცავს 39 კკალ). ნესვით განტვირთვის დღეებიც ისევე მოიწყვეთ, როგორც საზამთროთი.

*ჟენსკიე სეკრეტი*

# როგორ ვებრძოლოთ ქერტლს



პირველ რიგში უნდა იცოდეთ, რომ ქერტლის მიზეზი შეიძლება იყოს სერიოზული დაავადებები: გასტრიტი, დისკინეზია, დისბაქტერიოზი, სებორეა. ქერტლს, ისევე როგორც ძირითად დაავადებას, მკურნალობა სჭირდება. თუ თავის ქალის კანი მშრალი გაქვთ, გიშველით ჩვეულებრივი სუფრის მარილი. დაიბანეთ თავი თბილი წყლით, შეიზილეთ მარილი 15 წუთის მანძილზე, შემდეგ თმა ჩამოიბანეთ. საკმარისია 5-6 ყოველდღიური პროცედურა.

ანდა: თავის კანში შეიზილეთ ახალი მაწონი, ჩამოიცვით თავზე ცელოფანის პარკი და შემოიხვიეთ პირსახოცი, გაიჩერეთ 30 წუთი, ჩამოიბანეთ თმა გვირილის ან კალენდულის ნახარშით. დაგჭირდებათ 10 პროცედურა.

*ცელებნიკი*

# როგორ მოვიქცეთ მოწამვლის დროს



*გაგაცნობთ სხვადასხვა პროდუქტით მოწამვლის სიმპტომებს და გაგიზიარებთ მათთან ბრძოლის მეთოდებს.*

1. საზამთროთი და ხილ-ბოსტნეულით მოწამვლის სიმპტომებია: ჭამიდან 5 საათის შემდეგ შეტევითი ხასიათის ტკივილი მუცელში, ძლიერი ფალარათი, პირღებინება. ქიმიკატებით დამუშავებული საზამთროთი მოწამვლას ხშირად თან სდევს კანის ალერგიული რეაქცია. ამ შემთხვევაში სასწრაფოდ გამოიძახეთ ექიმი.

2. შინაური კონსერვებით (ხილის, ბოსტნეულის) მოწამვლის მიზეზია მომზადების ტექნოლოგიისა და შენახვის წესების დარღვევა. არ შეიძლება ჭამოთ იმ ქილის მურაბა ან კონსერვი, რომლის ხუფიც იოლად აიხადა ან ამობურცულია. ე.ი. იქ უკვე დაწყებულია დუღილის ან გაფუჭების პროცესი. მოწამვლის სიმპტომებია: ჭამიდან 7-8 საათის შემდეგ გულისრევის შეგრძნება და პირღებინება, მუცლის ბუყბუყი, ფალარათი, გაძნელებული სუნთქვა.

ორივე შემთხვევაში ავადმყოფს ამოურეცხეთ კუჭი მარილიანი და სუსტი მანგანუმის ხსნარით, გაუკეთეთ იმავე ხსნარის ოყნა. მიეცით 5-6 აბი აქტივირებული ნახშირი (შეიძლება შეცვალოთ კეფირით ან კვერცხის ცილით), ბევრი თბილი სითხე. თბილად დააწვინეთ. ავადმყოფმა 12 საათის განმავლობაში მხოლოდ სითხე უნდა სვას. შემდეგ მიეცით მსუბუქი წვნიანები და ნახარშები.

3. ხორცითა და თევზით მოწამვლის სიმპტომებია: 7-8 საათის შემდეგ პირღებინებისა და მუცელში სიმძიმის შეგრძნება, აუტანელი ტკივილი, ტემპერატურა აღწევს 38 გრადუსს, ზოგჯერ ახლავს თავის ტკივილი.

პირველ რიგში ამოურეცხეთ კუჭი, სპაზმების მოსახსნელად მიეცით 2 აბი ნო-შპა ან 1 აბი ბარალგინი და ბევრი თბილი წყალი.

არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ ასპირინი ან ანალგეტიკები, არც სათბურა დაადოთ მუცელზე.

4. სოკოთი და ხორცით ან კონსერვებით მოწამვლის მიზეზი თითქმის ყველა შემთხვევაში ბოტულიზმია. სიმპტომებია: მხედველობის გაუარესება (გაორება, დაბინდული, გაფართოებული გუგები, ყელში სიმშრალისა და ფხაჭნის შეგრძნება), დუდღუნით ლაპარაკი, რადგან იწყება ენის კუნთების სპაზმები. სითხე, სმის დროს, ყელში კი არ გადადის, ცხვირიდან იღვრება.

საკვებით მოწამვლის ან ბოტულიზმის დროს სიმპტომები მაშინვე არ ვლინდება — დაავადება თავს იჩენს 12 საათის (ზოგჯერ 2-3 დღის) შემდეგ. სასწრაფოდ გამოიძახეთ ექიმი. თუ ავადმყოფი საავადმყოფოში არ მოხვდება, შეიძლება დაიღუპოს სასუნთქი გზების დამბლით. ექიმის მოსვლამდე ამოურეცხეთ კუჭი 2%-იანი სოდის ხსნარით, მიეცით კუჭში გამხსნელი, დაუზილეთ ხელ-ფეხი.

5. კვერცხით ან კრემიანი ნამცხვრით მოწამვლის მიზეზი ხდება სალმონელოზი. სიმპტომებია: ავადმყოფს მკვეთრად უწევს ტემპერატურა (39 გრადუსი და უფრო ზევით), ეწყება საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, შეციება, გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, მუცლის ტკივილი, მოგვიანებით — ფალარათი.

გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების ექიმი, არ მისცეთ არავითარი წამალი, ამოურეცხეთ კუჭი და გაუკეთეთ ოყნა.

6. დიზენტერიის, რომლის ინკუბაციური პერიოდია 1-7 დღე, სიმპტომებია: მუცლის მკვეთრი ტკივილი (გამუდმებით, შემდეგ შეტევითი ხასიათის), ფალარათი, ჟრჟოლა, მადის დაქვეითება, თავის ტკივილი, წნევის მომატება. უნდა გამოიძახოთ ექიმი. დიზენტერიის ფალარათისაგან გარჩევა ზოგჯერ ინფექციონისტსაც უჭირს. დიზენტერიისთვის დამახასიათებელია ლორწოიანი და სისხლიანი ფალარათი. თუ ცდილობთ შინ „გადაიტანოთ" ეს დაავადება, ცდებით, შეიძლება ყველაფერი დასრულდეს ინფექციურ-ტოქსიკური შოკით. დიზენტერია იწვევს ორგანიზმის გაუწყლოებას და ინტოქსიკაციას. ავადმყოფს უნდა მისცეთ, რაც შეიძლება ბევრი სითხე — უმჯობესია თბილი მარილიანი წყალი და ღია ფერის ბალახეულის ჩაი.

*რა აღადგენს კუჭის ნორმალურ მუშაობას...*

— შეეცადეთ, კუჭმა არ იმუშაოს უქმად, რათა ამ დროს გამოყოფილმა მჟავამ არ დააზიანოს კუჭის კედლები. არ იშიმშილოთ, ჭამეთ დღეში 5-6-ჯერ, ცოტ-ცოტა და არა მაძღრისად, ფაფები, კარტოფილის პიურე, ვერმიშელი, კარგად მოხარშული უცხიმო ხორცი და თევზი, მოხარშული ბოსტნეული, დალიეთ ახალი კომბოსტოსა და სტაფილოს წვენი, თაფლი, ალოეს წვენი, ზეითუნის ზეთი და მრავალძარღვას ნახარში.

— საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის დარღვევის დროს ანტიბიოტიკებით მკურნალობა სერიოზულად აზიანებს ნაწლავების მიკროფლორას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კოლიტი და საჭმლის მონელების პრობლემები, ამიტომ სასურველია აღიდგინოთ მიკროფლორა.

*კომსომოლსკაია პრავდა*

# სილამაზის სალონი

**დაიხსომეთ:** ყველა სახის ნიღაბი უნდა გაიკეთოთ მხოლოდ კარგად გაწმენდილ (დაბანილ) სახეზე!

გთავაზობთ ზაფხულის ნიღბებს:

1. გათლილი ვაშლი ან სტაფილო გახეხეთ, წაისვით სახეზე და 10-15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ჯერ თბილი, შემდეგ ცივი წყლით (ალერგიაზე წინასწარ ჩაიტარეთ ასეთი ტესტი: იდაყვთან ან ბიბილოს უკან კანზე წაისვით ნიღაბი. თუ კანი არ გაწითლდა და არ დაგეწყოთ ქავილი, წაისვით მთელ სახეზე).

2. კანს ასწორებს და ხელს უშლის ნაოჭების წარმოქმნას ბანანი, ატენიანებს — ავოკადო.

3. მშრალ სახის კანზე წაისვით არაჟანდამატებული კარტოფილის პიურე და 10-15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

4. რძეში მოხარშული კარტოფილის პიურე 10-15 წუთით გაიჩერეთ სახეზე და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

5. ჟოლოს ნიღაბი უხდება ყველა ტიპის სახის კანს... 100გ ჟოლოს წვენს დაამატეთ 2 ს/კ რძე, დაასველეთ მარლა და 15 წუთით დაიფინეთ სახეზე. შემდეგ დაიბანეთ სახე თბილი წყლით.

6. სახეზე წაისვით დაჭყლეტილი მარწყვი (ალერგიაზე წინასწარ ჩაიტარეთ ტესტი, ისე, როგორც ვაშლზე).

7. სახის კანი გლუვი და მკვრივი გახდება, თუ 10 წუთით სახეზე წაისვამთ დაჭყლეტილ მწიფე პომიდორს.

8. 1 ს/კ ხაჭოსა და 1ს/კ რძის ნარევს დაამატეთ ცოტა ფორთოხლის წვენი, 10-15 წუთით წაისვით სახეზე და შემდეგ ჩამოიბანეთ (ალერგიაზე წინასწარ ჩაიტარეთ ტესტი).

*ლიზა*

# რა უნდა ვიცოდეთ კვინკეს შესახებ...

ალერგოლოგ-იმუნოლოგების მონაცემებით თითქმის ყოველ მესამეს ერთხელ მაინც განუცდია ეს უსიამოვნო დაავადება — კვინკე (შეშუპება), რომელიც ორგანიზმის სწრაფი რეაქციაა სხვადასხვა ფაქტორზე. ზოგჯერ ის ჭინჭრის ციებას ერწყმის და თავს იჩენს ხოლმე ტუჩებზე, ქუთუთოებზე, უპეებზე, სასქესო ორგანოებზე და, რაც მეტად საშიშია სიცოცხლისთვის — ხორხზე, რომელსაც თან სდევს ხუთვა.

კვინკე შეიძლება გამოიწვიოს პენიცილინმა, ბარბიტურატებმა, სულფანილამიდებმა, ასპირინმა, კრუნჩხვების საწინაალმდეგო საშუალებამ, ჭარბმა პოლივიტამინებმა, საკვებში შემავალმა საღებავებმა, ნიტრატებმა და ნიტრიტებმა, კონსერვანტებმა. გარდა ცნობილი ალერგენების — შოკოლადის, მარწყვის, ციტრუსებისა, ის შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა, ერთი შეხედვით უწყინარმა საკვებმა, ჩვეულებრივმა თვალის წვეთებმა ან გულ-სისხლძარღვთა სამკურნალო საშუალებამ.

კვინკეს და საერთოდ, ალერგიულ რეაქციას იწვევს ორგანიზმში თავისუფალი ჰისტამინური ნივთიერებების ზრდა, რომლის დროსაც ფართოვდება სისხლძარღვები, იკუმშება გლუვი კუნთები, იმატებს კუჭში მჟავიანობა. ამიტომაც კვინკეს საწინააღმდეგო წამლებს ეწოდება ანტიჰისტამინური. ესენია: ერიუსი, ტელფასტი, ფენისტილი, სუპრასტინი, ტავეგილი.

კვინკეს გამომჟღავნებისთანავე ეს წამლები უნდა მივიღოთ, დავაყოლოთ თბილი წყალი, რათა სწრაფად შეიწოვოს ორგანიზმმა — საერთოდ, ამ დროს აუცილებელია ბევრი სითხის მიღება.

თუ კვინკე გამოიწვია საკვებმა, უნდა მიიღოთ ენტეროსორბენტები — პოლიფეპანი, ენტეროს-გელი. წამლების მიღების შუალედი არ უნდა აღემატებოდეს 1,5 საათს, რათა ალერგენებთან ერთად ენტეროსორბენტებმა სასარგებლო წამლები არ გამოდევნოს ორგანიზმიდან.

კვინკეს შემთხვევაში (რისგანაც უნდა იყოს გამოწვეული), ექიმები ურჩევენ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში დაიცვან ჰიპოალერგიული დიეტა. გარდა ამისა, გამორიცხონ მენიუდან: კივი, ბანანი, ანანასი, პაპაია, კაკალი, თევზი და ზღვის პროდუქტი, ქათმისა და ინდაურის ხორცი, კვერცხი, შებოლილი ხორცი, სოკო, პომიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა, ბოლოკი, რძე, ნამცხვარი, მდოგვი, პირშუშხა, ძმარი, მაიონეზი, ალკოჰოლი.

რეკომენდებულია: ძროხის ხორცი, ხილ-ბოსტნეული და უცხიმო ხორცის წვნიანები, მოხარშული კარტოფილი, უცხიმო ახალი ხაჭო, მაწონი, საზამთრო, ახალი ხილისა და ჩირის კომპოტები, თეთრი პური, შვრიის, წიწიბურას, ბრინჯის ფაფეული.

კვინკეს დროს ფიტოთერაპიული მკურნალობა უნდა დანიშნოს ექიმმა, რადგან ბევრი სამკურნალო ბალახი, მისი ყვავილი, მტვერი, თვით მცენარეული ზეთი (მზესუმზირის ზეთიც), ჰალვა, მაიონეზი, მდოგვი, სანელებელიც კი იწვევს კვინკეს.

*ვესტნიკ ზოჟ*

პრეპარატი ფენსო გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალეთ
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
იკითხეთ აფთიაქებში
საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით
ცხელი ხაზი: 39 66 03




„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია - ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
სარეზიდენტო არჩევითი მოდული „სამედიცინო სექსოლოგიის საფუძვლები" - 1 თვე.
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
პროფ. გ. უსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომონადულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №14
მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავანწყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).

## „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“

მიხეილ სააკაშვილმა ლიხსიქითა საქართველოს კუთხეები მოიარა და ერთიმეორის მიყოლებით გახსნა გასართობი პარკები, ატრაქციონები და ახალი სარკინიგზო სადგური. პრეზიდენტი ნანახით იმდენად მოიხიბლა, რომ უცხოელებს, მათ შორის რუსეთის მოქალაქეებს, ურჩია, ჩამოვიდნენ და ნახონ შავი ზღვის ყველაზე ლამაზი ქალაქი — ბათუმი. ჩამოვლენ, ბატონო, აბა რას იზამენ? მოსკოვსა და პეტერბურგში თანამედროვე ატრაქციონი ხომ თვალით არ უნახავთ და ძველებურ „აიწონა-დაიწონაზე“ „კატაობენ“(?!).





„რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო!“
(კ/ფ „თოჯინები იცინიან“)

„— ტა-ტა-ტა-ტა, კვირტივით ბიჭია, მშრომელი, ოჯახის მუქუქი, საქმე რომ არაფერი ჰქონდეს რა, ყორეს დაანგრევს და ისევ ააშენებს“
(კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“)

„ქუჩა-ქუჩა ნაგავსა ყრის,
ყველა ოხერ-ტიალია,
რაც არ უნდა გამოჰგავო,
ქუჩა მაინც მტვრიანია!“
(ანსამბლი „ივერია“)



თბილისის მერია დედაქალაქში გამეფებულ ანტისანიტარიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს. ამ მიზნით ქალაქის მერმა ასობით მეეზოვე „სრული საბრძოლო ეკიპირებით“ აღჭურვა და თბილისის დასაკრიალებლად დარაზმა. გიგი უგულავამ უსუფთაოთა გონს მოსაყვანად ძველი თბილისის კოლორიტი მეეზოვის სიმბოლოც გვერდში ამოიყენა და უეჭველია, ამიერიდან, ვინც ქალაქს დაანაგვიანებს, საკუთარი ხელით გაცოცხავს.

## „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“

„— საიდან მოდის ეს ამბავი, ვიცი მე. ეს კაცები თავს არიან გასული — მთავრობა მათ მხარეზეა, კანონი არ მიუდგება, იციან მათ. მე და შენ იმდენი ძალა სადა გვაქვს, ბოროტების სათავე რომ მოვსპოთ, მაგრამ ამ ბოროტებას ხელები რომ მოვაჭრათ, ხომ შეგვიძლია, ეს?“
(„დათა თუთაშხია“)




საპყრობილიდან თავდახსნილმა ირაკლი კაკაბაძემ განაცხადა, რომ „სიკვდილის ბრიგადებთან“ ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებს. „თანასწორობის ინსტიტუტის“ ლიდერმა საკუთარი ძალა მას შემდეგ უფრო ირწმუნა, რაც მათ რიგებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა შეუერთდა.

კოდორის სპეცოპერაციის შემდეგ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელები გვარიანად შეშფოთდნენ და განაცხადეს, რომ ქართველთა შემოტევას ელიან. ცხინვალის მთავრობა უფრო შორს წავიდა და მათი პოლიგონის ინსპექტირებისთვის კონფლიქტის ზონაში ჩასული ეუთოს დამკვირვებელთა ჯგუფი უცერემონიოდ გამოაპანღურა.

„რავა იცინის აი აბდალი, სასაცილოდ აქვს ახლა მაგას საქმე?“
(„მე ვხედავ მზეს“)



უკრაინაში საპარლამენტო კრიზისი დასრულდა. პრეზიდენტმა იუშჩენკომ ეროვნული ერთიანობის „უნივერსალს“ იანუკოვიჩთან ერთად მოაწერა ხელი. ორი ვიქტორის შეხმატკბილებამ პოლიტოლოგთა აზრით „ნარინჯისფერი რევოლუცია“ დაასამარა. ერთობის ალიანსში არ ისურვა შესვლა იულია ტიმოშენკომ და „თამაშგარეთაც“ დარჩა.

## ვიქტორთა — VICTORIA!



„— შენ თუ არ განანო დღევანდელი კრების ასე ჩატარება, შენი ფეხი დამადგი, აგერ, კისერზე!
— აბა, რა გეგონა, თავმჯდომარედ დაგნიშნავდი?“
(„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“)



„დაგაჯდა სიკვდილის ბუზი?“
(კ/ფ „ხარება და გოგია“)

„შენა, ე ბებერი მუშტი არ მოგხვდეს“
(კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“)

„არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ!“



კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო რომ არაორდინარული ადამიანია, გასულ კვირას კიდევ ერთხელ დამტკიცდა. კასტროს ასაკმა და ავადმყოფობამ უწია, შეუძლოდ შეიქნა და საავადმყოფოში დააწვინეს, მაგრამ მას შემდეგ ვერავინ შეძლო მის შესახებ რაიმის გაგება. ჯორჯ ბუშმა არ დააყოვნა და კუბელებს გარდამავალი ხელისუფლების ფორმირებაში დახმარება აღუთქვა, მაგრამ მაგას აჭმევს უბერებელ ფიდელს? — ზევით რომაა, ორი იმდენი მიწაშია!..

ახლო აღმოსავლეთში ისევ იღვრება სისხლი და რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება იმის საშიშროება, რომ ომში ლიბანის მხარეს მებრძოლთა რაოდენობა გაიზრდება. ბეირუთში უკვე ჩავიდნენ მუსლიმანი მოხალისეები სხვადასხვა ქვეყნიდან თანამოძმეთა საშველად. ისრაელი არც ამას შეუჩერებია და ლიბანს კიდევ ერთი საავიაციო დარტყმა მიაყენა.



# „ასე ძალად გავხდი ხუტა-უფროსი...“

კინოხელოვნებაში (თეატრისაგან განსხვავებით) არაპროფესიონალები ხშირად მოხვედრილან. სამაგალითოდ ქართული კინოს მშვენება ნატო ვაჩნაძეც იკმარებდა, რომელიც იღბლიანი შემთხვევის წყალობით დამკვიდრდა კინემატოგრაფში.

თუ იღბალი არა, რა შეიძლება ერქვას სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის, დოდო ჭიჭინაძის მთავარ როლზე მოხვედრას „დავით გურამიშვილში“. გზად მიმავალი — ნიკოლოზ სანიშვილის (ფილმის რეჟისორი) დედას შეუნიშნავს და ქალიშვილის ხილამაზით მოხიბლული მისამართის დასადგენად ფეხდაფეხ ასდევნებია...

ასე რომ, დოდო ჭიჭინაძის პროფესიული მომავალი (მიუხედავად იმისა, რომ სცენარის ერთ-ერთი ავტორი გოგონას ბიძა — სიმონ ჩიქოვანი გახლდათ), სრულიად შემთხვევით, ქუჩაში გადაწყდა...

პროფესიონალი მსახიობებისთვისაც (ოღონდ სულ სხვა თვალსაზრისით) იღბალი გადამწყვეტია... ხშირია შემთხვევა, როცა როლზე ამა თუ იმ აქტიორს ამტკიცებენ, მაგრამ იღბლის წყალობით, მას სხვა განასახიერებს ხოლმე. წარმოუდგენია კი ვინმეს „პირველი მერცხალი“ — დოდო აბაშიძის იასონის, ან „რეკორდი“ — გოვენ ჭეიშვილის ხუტა-უფროსის გარეშე? მსგავსი მაგალითებით კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ ნიჭთან ერთად ხელოვნებაში იღბალიც გადამწყვეტი, რაზეც ქვემოთ მოხმობილი ფაქტებიც მეტყველებს.

## „საპლატონე“ წვერი სასწრაფოდ გავიპარსე და „რაჭა — ჩემი სიყვარულზე“ წავედი

**ნანა მჭედლიძე:** — „იმერულ ესკიზებში“ მთავარ როლზე გენიალური სესილია მყავდა მოწვეული, მაგრამ სიმართლე გითხრათ, სადღაც ცოტა გული უკან მახევინებდა, რადგან იგი გურული ბებია უფრო იყო. თუმცა გადაღების წინ როცა გავიგე, სესილია ავადმყოფობის გამო ვერ წამოვიდოდა, ლამის გავგიჟდი. მერე ქეთევან ბოჭორიშვილის გადაღება გადავწყვიტე. ვიფიქრე, — ქუთაისისკენ მიმავალი გორში შევივლი და წავიყვან-მეთქი. მართლაც, მივედი და რას ვხედავ, ქეთო ყავარჯნებით არ შემეგება? დაცემულა და ფეხი მოუტეხია. გული რომ არ დასწყვეტოდა, აღარაფერი მითქვამს... ერთი სიტყვით, მთელი იმერეთი მოვიარე, მაგრამ როგორი ბებიაც მინდოდა, ვერა და ვერ ვიპოვე. ის იყო, უკან უნდა დავბრუნებულიყავით, ჩემი ახალგაზრდა რეჟისორი, ნუგზარ ლორია გადამეკიდა — გინდა თუ არა, შენ უნდა ითამაშოო. მთელი ჯგუფი ამიჯანყა, შემომიტიეს — ერთი ეპიზოდი გადაიღე, თუ მოგეწონება, დარჩები, არადა, ხელს ვინ გიშლის, შენი ნება არ არისო? მართლაც, გადავიღეთ ის ეპიზოდი — „ოტელოს“ წარმოდგენას რომ ვუყურებ. როცა ნახეს, ატყდა ერთი ამბავი, მოიწონეს. ასე ვითამაშე მთავარი როლი... ჩემი გმირის ხასიათის გამოკვეთა არ გამჭირვებია, რადგან უამრავ იმერელ ბებიას ვიცნობდი...

„პირველ მერცხალში“ კი იასონი დოდოს მაგიერ კახი კავსაძეს უნდა ეთამაშა, მაგრამ სცენარის წაკითხვისთანავე ამ როლში დოდო წარმოვიდგინე. თუმცა იმხანად სხვა ფილმში თამაშობდა. არადა, კახიმ უარი თქვა და უფლის ნებით როლი მაინც დოდოს ერგო...

**კახი კავსაძე:** — „პირველ მერცხალში“ იასონის როლზე უარი კი არ მითქვამს, რატომღაც ფილმის გადაღება შეფერხდა, მე სხვა სურათზე გადავინაცვლე და... დოდო აბაშიძე აიყვანეს. დოდო იმდენად არაჩვეულებრივია ამ როლში, სხვა ვერც კი წარმომიდგენია. კიდევ კარგი, ასე რომ მოხდა. მერე დოდო მეხუმრებოდა ხოლმე, — მიდი, ბიჭო, კიდევ რამეზე თქვი უარი და მე ვითამაშებო...

მეტსაც გეტყვით, — არასოდეს მიფიქრია მსახიობი გავმხდარიყავი. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვაპირებდი ჩაბარებას. XI კლასში ვიყავი, როცა ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ მთავარ (ვეფხია ხალიბაურის) როლზე დამამტკიცეს, მაგრამ მოხდა უბედურება, დავიმტვერი და თითქმის ერთი წელი საწოლს მივეჯაჭვე, ჰოდა, ტრავმაზე დაბოღმილმა (გადაღება რომ ჩაიშალა) „გეპეის“ სანაცვლოდ თეატრალურში ჩავაბარე.

**ნუკრი ალხაზაშვილი:** (ვეფხია ხალიბაურის როლის შემსრულებელი ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“): — საქართველოს კალათბურთის ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი. შეჯიბრებაზე ვიყავი ლიკანში... თურმე სწორედ მაშინ იღებდნენ ფილმს „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. ვეფხიაზე კახი კავსაძე ჰყოლიათ დამტკიცებული, მაგრამ მოულოდნელად ავად გამხდარა და შემცვლელს ეძებდნენ. შეჯიბრებაზე ვიღაცამ მნახა, მოვეწონე. მეორე დღეს დამამტკიცეს კიდეც... ვითამაშე, მაგრამ პირველივე ფილმის შემდეგ ავიცრუე გული, განა იმიტომ, რომ საინტერესო არ იყო... მივხვდი, მსახიობი ვერ გავხდებოდი. „ნინოში“ თამაშზე კი ბატონ ლეო ესაკიას (ჩემი მეგობრის მამას) უარი ვერ ვუთხარი და...

მახსოვს, ერთ შეხვედრაზე, რომელზეც ბატონი ნიკოლოზ სანიშვილი, ედიშერ მაღალაშვილი და მე მიგვიწვიეს, ვთქვი: — მე უზარმაზარი დამსახურება მაქვს ქართული კინოსა და მაყურებლის წინაშე-მეთქი. დარბაზი გაირინდა, ალბათ, იფიქრეს, ნუკრი გაგიჟდაო, მე კი გავაგრძელე, — რადგან ქართული ფილმიცა და საზოგადოებაც ერთი უნიჭო მსახიობისაგან გადავარჩინე-მეთქი. აუუ, ისეთი ამბავი ატყდა...

**გურამ ლორთქიფანიძე:** — „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გადაღებისას რეჟისორსტაჟიორად ვმუშაობდი. ამ მიზნით მანამდე ბატონ ნიკოლოზ სანიშვილთანაც ვიყავი ფილმზე „გაზაფხული საკენში“. პატარა ეპიზოდშიც კი გადამიღეს, მაგრამ მსახიობობა აზრადაც არ მომსვლია. ასე რომ, აგული ერისთავი ჩემი პირველი როლია, თანაც ეს სრულიად შემთხვევით მოხდა.

ვეძებდით პიპინიას როლის შემსრულებელს, გურიის ერთ-ერთ სოფელში, ასკანაში, ვიპოვეთ ვასილ ჩხაიძე და სინჯებიც გადავუღეთ. პირველ-მეორე სინჯმა არ ივარგა, ღელავდა კაცი, მე კიდევ მისი გულშემატკივარი ვარ... მახსოვს, მივაბიჯებთ სტუდიის ეზოში და ვამშვიდებ: — რატომ ღელავ, ნამდვილად კარგი ხარ-მეთქი. იქვე, შორიახლო ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი დგანან და გაკვირვებულები გვიყურებენ. ელდარი მოგვიახლოვდა და — პავილიონში შევიდეთ და ახლა როგორც ლაპარაკობდით, ეს ყველაფერი გადავიღოთო. სცენარი კიდევ სულ ზეპირად ვიცოდი. შევედით და ერთ-ერთი სცენა გავითამაშეთ. სამხატვრო საბჭომ როგორც კი ნახა, ჩხაიძე ნამდვილი პიპინიააო, — ერთხმად დაამტკიცეს. ახლა ბჭობა ჩემზე გამართეს და დაასკვნეს: რაღა სხვას ვეძებთ, აგერ არ არის ნამდვილი აგულიო? ჰო, მე მგონი, აგულიაო, — დაადასტურა ელდარმაც და კიდეც დამამტკიცეს როლზე, მაგრამ როცა ნამდვილი სინჯი გადამიღეს, ღელვა მომეძალა და ელდარს მივუბრუნდი: — რას მიშვრები, მე რა მსახიობი მნახე, ძლივს ვბლუკუნებ-მეთქი.

გადაღება რომ დამთავრდა, აგულის გასახმოვანებლად უამრავი მსახიობი გასინჯეს, მაგრამ გამოსახულებამ არც ერთი არ მოიხდინა და — შენვე უნდა გაახმოვანოო, — ელდარმა. არადა, ეროსის გვერდით (პიპინიას ახმოვანებს) როგორია ხმის ამოღება? იქით კიდევ რამაზ ჩხიკვაძე! ისეთი ოსტატია, ერთდროულად არათუ ათ კაცს, ღორს, ძროხას და ვინ მოთვლის, კიდევ რას არ ახმოვანებს. გლაფირა — ვალია ტელიჩკინა ამ საქმის დიდოსტატია... რაღა ბევრი გავაგრძელო, შემაგულიანეს და როლი რუსულ-ქართულად არ გამახმოვანებინეს?! თქვენ წარმოიდგინეთ, ივარგა!.. გავიდა თუ არა ფილმი ეკრანებზე, ერთბაშად პოპულარული გავხდი...

თუმცა ასეთი შემთხვევაც ყოფილა: „სამანიშვილის დედინაცვალში“ პლატონი უნდა მეთამაშა. მე და იმედა კახიანი ვიყავით კონკურენტები. სხვათა შორის, ჩვენ ძმაკაცებიც ვართ და ოჯახებითაც ვმეგობრობთ. რაღა გავაგრძელო და მოვუგე... უკვე წვერიც მოშვებული მქონდა და ჩოხასაც ვიკერავდი... ერთ დღეს ელდარი მოვიდა. შინ არ ვიყავი, მამაჩემი დახვდა, ჰოდა, ბიძია კოწია, ძალიან გთხოვთ, გამიგოთ, პლატონზე იმედა ავიყვანეო, — უთხრა. მამაჩემმა კიდევ — არა გრცხვენია, რას ბოდიშობ, მერე რა, იმედა რომ აიყვანეო... სხვა რომ ყოფილიყო ამ როლზე, ნამდვილად გული დამწყდებოდა. ფაქტია, მაგ როლში ყველაზე კარგია... ჯერ კიდევ ვატარებდი საპლატონე წვერს, რომ დამირეკეს, სასწრაფოდ გაიპარსე და წამოდი „რაჭა — ჩემი სიყვარულზე“ ხარ დამტკიცებულიო. ამით იმის თქმა მინდა, რომ მსგავსი შემთხვევები კინოში ხშირია.

**იმედა კახიანი:** პირველ კურსზე ვიყავი, როცა სტუდიიდან კაცი მოვიდა და რამდენიმე ჩვენგანს შემოგვთავაზა: — შოთა მანაგაძე „საბუდარელ ჭაბუკს“ იღებს, მთავარი როლის შემსრულებელი უკვე ჰყავს, ახლა მისი გარემოცვა სჭირდება და იქნებ წამოხვიდეთო. გავყევით... ეს მიწვევა ჩემთვის მართლაც ფეხბედნიერი აღმოჩნდა... რატომღაც ბატონმა შოთამ მომაქცია ყურადღება — წარმოშობით საიდან ხარ და სად ცხოვრობო, — მკითხა. ბავშვობის წლებზეც მაამბობინა. ჩანს, ამ მონათხრობმა კიდევ უფრო დააინტერესა, მერე თანაშემწეს დაავალა, ამ ბიჭს ჩააცვით, გრიმიც გაუკეთეთ და გოგიტას როლზე მოვსინჯოთო. ერთი სიტყვით, ძველი ტანსაცმლით მომკაზმეს და სინჯიც გადამიღეს. მეორე დღეს უკვე ეპიზოდში გადამიღეს და ბოლოს აღმოჩნდა, რომ მთავარ როლზე დამამტკიცეს. არადა, გოგიტა გოჩა აბაშიძეს უნდა ეთამაშა... თუმცა მსგავსი შემთხვევაც იყო: „გლახის ნაამბობში“ გაბრიელის როლზე დამტკიცებული მე ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ გოჩამ ითამაშა.

**გიორგი შენგელაია:** — საკავშირო კინოინსტიტუტში პირველი კურსი დავხურე და საზაფხულოდ თბილისში დავბრუნდი. იმხანად რეზო ჩხეიძე „ჩვენი ეზოს“ გადაღებას იწყებდა. ამ ფილმის გმირები სულ ახალგაზრდები უნდა ყოფილიყვნენ. სოფიკო მაშინ სამსახიობო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. როგორც კი ციცინოს როლზე გასინჯეს, მაშინვე მოეწონათ და მთავარ როლზეც მიიწვიეს კარგა ხანს ეძებდნენ დათოს როლის შემსრულებელს. ბევრი დაიწუნეს, ბოლოს, სოფიკომ ჩხეიძეს უთხრა, — ტყუილად მაწვალებთ ამდენს, მოგიყვანთ ისეთ ბიჭს, რომელთანაც მეც კარგად ვითამაშებ და თქვენც მოგეწონებათო. მთხოვა და მივედი, ეტყობა, ისე ვუხდებოდით ერთმანეთს, უმალვე დამამტკიცეს...

**გრიგოლ წიტაიშვილი:** — ნანა მჭედლიძემ „პირველ მერცხალში“ სათამაშოდ მიმიწვია, სიხარულითაც დავთანხმდი, როლისთვის სახე ულვაშითაც დავიმშვენე, თანაც ადრე ბათუმის „დინამოში“ ვთამაშობდი, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ხომ გაგიგონიათ?

ნანამ გვითხრა, — ამ საღამოს მთელი ჯგუფი ფოთში გაემგზავრებით. იქ ბორის პაიჭაძე და სხვებიც დაგხვდებიან, ივარჯიშეთ და ორ-სამ დღეში მეც ჩამოვალო. თანაც გამაფრთხილა — ულვაშს ხელი არ ახლოო. მახსოვს, იმ საღამოს კინოსტუდიაში შევიარე. ნაცნობი მსახიობი შემხვდა, მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ვუთხარი, ამ საღამოს გადაღებაზე ფოთში მივდივარ, ამა და ამ როლს ვთამაშობ-მეთქი. იტკიცა — გინდა თუ არა, მაგ როლზე სხვაა დამტკიცებულიო. ძალიან მეწყინა, გავბრაზდი (იცინის). ფოთში კი არა, შინ წავედი და ულვაშიც გავიპარსე. მეორე დღეს სტუდიაში ნანას გადავეყარე — შენ აქ რა გინდა ან ულვაში რა უყავიო, — გაგიჟდა. მერე კი ვინანე, მაგრამ... ფილმი კარგი გადაიღო... კარგი იქნებოდა, მეც მეთამაშა...

**ოთარ ხატიაშვილი** (დათიკოს როლის შემსრულებელი ფილმში „გლახის ნაამბობი“): — სკოლის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაბარება გადავწყვიტე. მისაღებ გამოცდებზე მიმავალი უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ვიღაც კაცმა (მერე გავიგე, რეჟისორის ასისტენტმა) გამაჩერა და ფილმში მთავარი როლი შემომთავაზა. ეს ჩემთვის, ქიზიყიდან ჩამოსული ბიჭისთვის, მოულოდნელიც იყო და უცნაურიც.

ფილმში („ბედნიერი შეხვედრა“) სულ კორიფეები — ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი კვანტალიანი, გიორგი შავგულიძე, თემო ხელაშვილი, დოდო ჭიჭინაძე თამაშობდნენ... უარი ვთქვი.

ამ ამბავს შინ რომ მოვყევი, ნათესავი გოგონა, რომელიც მსახიობობდა, გადაირია — კინოგადაღებისთვის ხალხი თავს იკლავს, და უარი როგორ თქვიო და სტუდიაში იძულებით წამიყვანა, სასინჯი სურათებიც გადამიღეს, მაგრამ ბოლოს, მუსკომედიის თეატრის ცნობილი მსახიობი და მომღერალი, კარგი შესახედავი ვაჟკაცი — თემო ხელაშვილი დაამტკიცეს. არც მწყენია... ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ხელოვნებასთან.

ფილმი, რომელშიც ვითამაშე, „სად არის შენი ბედნიერება, მზია“ იყო. მახსოვს, მაშინ გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ვხელმძღვანელობდი. ჰოდა, გორიდან ფეხბურთის საყურებლად ჩამოსული სტუდიასთან ლეილა აბაშიძეს („აკაკის აკვნის“ პერიოდიდან ვმეგობრობდით) გადავეყარე. გადამეხვია თუ არა, მაშინვე — სადა ხარ, ოთარ, რა ხანია ფილმისთვის დაგეძებთო, — მომაძახა. რეჟისორიცა და ასისტენტიც მაშინვე გამომეხმაურნენ, ერთად შემომიტიეს. ამდენი უარი ვიუხერხულე და სინჯებზე დავთანხმდი, მაგრამ მეორე დღესვე გორს და სამსახურს დავუბრუნდი. ორი თვის შემდეგ პარტიის „ბრძანებით“ (ცეკას კულტურის განყოფილებიდან დაავალეს გორის რაიკომის მდივანს) მაინც გადაღებაზე აღმოვჩნდი.

სხვათა შორის, ლეო ესაკიამ „გლახის ნაამბობში“ დათიკოს როლზე რომ მიმიწვია, იგივე ამბავი გამეორდა — კვლავ ცეკა ჩაერია საქმეში.

**გოვენ ჭეიშვილი:** — 1972 წლის გაზაფხული იდგა. მარჯანიშვილის თეატრში წერილი დამხვდა, — გურამ პატარაია კინოსტუდიაში გიბარებსო... ლინტუს როლზე მიმიწვია. ხუტა-უფროსი ეროსის უნდა ეთამაშა. მაგრამ, რატომღაც უარი თქვა... მერე კახი კავსაძე შეარჩიეს ამ როლზე. რეპეტიციები მთელი თვე გაგრძელდა და ის იყო, სამეგრელოში დავაპირეთ წასვლა გადაღებაზე, რომ ახლა კახიმ თქვა უარი. ატყდა ერთი ამბავი... და სრულიად მოულოდნელად გურამმა თქვა, — ხუტა-უფროსის „პაგონები“ გოვენს დააკერეთო. რის ხუტა, რა ხუტა, ლინტუზე ამდენი ვიმუშავე-მეთქი, — გადავირიე. არაფერი გამომივიდა... აი, ასე ძალად გავხდი ხუტა-უფროსი...

**ნათია ჩუბინიძე**


„ჩვენი ეზო“


„არაჩვეულებრივი გამოფენა“


„საბუდარელი ჭაბუკი“


„ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“


„პირველი მერცხალი“



# მკითხველის საჩუქარი ანეკდოტი



1. გურიაში მიცვალებულს ასაფლავებენ. ერთი შექეიფიანებული გურული მეორეს ეუბნება:

— აფრასიონ, არ გავაცილოთ საწყალი სილოვანა სასაფლაომდე? რაცხა ორი კილომეტრია, მეტი კი არა.

— რასაა, რო ამბობ, ყაძახო, დეიცენტრე შენ?!

— რა ვთქვი ახლა, იმფერი?

— ბიჭო, ორი კილომეტრი მაი საწყალი სილოვანაზაა, იქანა რომ რჩება, თვარა ჩვენდა ოთხია და ორჯერ ოთხი რვაია...

*გ.გ.*



2. — ბიჯო, გურამიე, გამაგებიე რა ხდება? ამ ბოლო დროს რას დეიარები ქალების ფეხბურთზე, თანაც მაინცდამაინც დამთავრებისას? — ეკითხება ძმაკაცს ქუთაისელი შალიკო.

— ბოლოსაა კაი, მაიკებს რომ ცვლიან, ჩემო შალიკია, თვარა გოლებს არც კაცები უხათქუნებენ! — უხსნის სახეგაბადრული გურამიე ძმაკაცს.

*თეიმურაზ ვარდოსანიძე,*
*თბილისი*

## ცხოვრებისეული კურიოზები

### 3. გემით წამეყვანე!




ბიცოლაჩემი თალიკო ქუტიძე ახალდაქორწინებული გახლდათ, ქმარმა რომ სვანეთში წაიყვანა, — თუ ნახვაა, სვანეთზე უკეთესს რას ნახავსო... არც მაშინ იყო სვანეთში ლარივით გასწორებული გზები და თალიკო ფრიად უკმაყოფილო დაბრუნდა — სვანეთი კი ლამაზია, მარა მაგფერი არც სილამაზე მინდა და არც ექსკურსია, იმისთანა გზები იყო, გვერდები დამენგრაო...

გავიდა ერთი წელიწადი და ბიძაჩემმა, ახლა ბათუმში დაასვენა ბიცოლაჩემი. მოკლედ, წევს ეს ჩემი თალიკო ბიცოლა პლაჟზე და ზღვაში კენჭებს ისვრის... და უცებ, რას ხედავს, — იქვე ნაპირთან, ასე, 50 მ-ის დაშორებით, თეთრი ქათქათა გემი დგას წარწერით — „სვანეთი“ და უცებ...

— ბორისა! — შეხტა ელდანაკრავივით ბიცოლაჩემი...

— რაია, ქალო? — დაიბნა ბორისი...

— რაია და, ჯანდაბაა შენი, თუ გემი დადიოდა, რას დამინგრიე შარშან გვერდები, ვერ წამიყვანე გემით სვანეთში? — იყვირა თალიკომ.

*ალექსანდრე ეჯიბია*

### 4. არ მითხრათ!..



იყო პერიოდი, როდესაც მომღერლები, გიო ხუციშვილი და თემურ თათარაშვილი საბაჟოზე მუშაობდნენ.

ერთხელ ხანში შესული მძღოლი შევიდა გიო ხუციშვილთან, დააკვირდა და:

— საიდანღაც მეცნობი, შვილო, შენა!.. მგონი, ტელევიზორში მინახავხარ...

— კი, მე ვარ, — გაუხარდა გიოს.

— ის ხარ, რო მღერის? — არ იჯერებს მძღოლი.

— დიახ, ის ვარ, — გამოართვა გიომ ფურცელი და რეზოლუცია დაადო.

— ახლა სად უნდა წავიდე?

— გვერდით ოთახში, ხელს მოაწერენ, — მიასწავლა უფროსის კაბინეტი გიომ.

შევიდა მძღოლი უფროსთან და რას ხედავს, — იქ თემურ თათარაშვილია.

— შენა, ძალიან მეცნობი, — დაიწყო შეცბუნებულმა, — ის არ ხარ, ტელევიზორში რო მღერის ხოლმე?

— კი, ის ვარ, — გაიცინა თემურმა.

— ვის აგლახავებთ თქვენა, ბაბუისტოლა კაცსა? — დაეჭვდა მძღოლი.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო! — შეწუხდა თემური.

— აბა, არ მეკადრება? ახლა არ მითხრათ, „ფეჩატს“ მერაბა სეფაშვილი დაგირტყამს და წიგნში დათო გომართელი გაგატარებსო, თორემ აქედან ვერ გამასწრებთ! — აყვირდა ძიაკაცი.

*მურმან მერკვილიშვილი*

## კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის
ან ანეკდოტის ნომერი

__________________

__________________

__________________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №32

## ყურადღება!

### კურიოზების კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 9 აგვისტოს 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 10 აგვისტოს 13 საათამდე.

## ფელეტონი

# მარათონი ტომრით

ძვირფასო მკითხველო! გთავაზობთ ინტერვიუს მორიგ სტუმართან. ეს გახლავთ ქალბატონო ციალა ჭ., რომელმაც... თუმცა, მოდი, გავესაუბროთ მას და ყოველივე მისი ნაამბობიდან შევიტყოთ.

„კვირის პალიტრა: გამარჯობა, ქალბატონო ციალა! იქნებ თქვენი რეკორდის შესახებ გვიამბოთ?

ციალა ჭ.: მოგესალმებით, შვილო, რეკორდის დამყარება არც მიფიქრია. თავისთავად დამიმყარდა. მე, უბრალოდ, სადილის გაკეთება გადავწყვიტე და ბოსტნეულის საყიდლად შინიდან გავედი. აჯაფსანდალი მინდოდა მომემზადებინა.

კ.პ.: ნუ ღელავთ. მერე? გზაში რა მოხდა?

ც.ჭ.: შევედი ჩემივე კორპუსის წინ სუპერმარკეტში...

კ.პ.: დიახ, დიახ.

ც.ჭ.: აღმოჩნდა, რომ კარტოფილი სამმაგად გაძვირებულიყო, ხახვი — ხუთმაგად, ხოლო ბადრიჯანი... ბადრიჯანი...

კ.პ.: ნუ ნერვიულობთ!

ც.ჭ.: ბადრიჯანი კი სულაც რვაჯერ! მითხრეს, ინფლაციააო. კაპლიც დამალევინეს.



კ.პ.: გასაგებია. ალბათ, შინ დაბრუნდით?

ც.ჭ.: პირიქით, ერთი კვარტალით იქით, ბოსტნეულის მაღაზიაში გავიქეცი. იქაც იგივე ამბავი დამხვდა. ხუთი თეთრით მეტიც კი! იქიდან პატარა ბაზარში გავვარდი, იქაც იგივე სურათი იყო. ძალიან გავმწარდი და დიდ ბაზარს მივაშურე. იქ კი... ბადრიჯანი სულაც 9-ჯერ გაძვირებულიყო, შვილო!

კ.პ.: შინ რატომ არ დაბრუნდით?

ც.ჭ.: რას ამბობთ! შვილებს, შვილიშვილებს და მეუღლეს რა პასუხს მივცემდი?! ბადრიჯანი გაძვირებულა და დღეს სადილს ნუ მომთხოვთ-მეთქი?!

კ.პ.: დიახ. მესმის. აბა, რა მოიმოქმედეთ?

ც.ჭ.: მიმასწავლეს რკინიგზის ვაგზალზე, მე-8 ბაქანზე ორი ვაგონი დგას, იქიდან ხახვი და კარტოფილი იაფად რიგდებაო; იქნებ მიუსწროო. გავიქეცი, მაგრამ ერთი ვაგონიდან ხახვის ნაფცქვენებიღა დარჩენილიყო, მეორე კი დეპოსკენ დაძრულიყო...

კ.პ.: წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდით!

ც.ჭ.: ვერა, ვერ წარმოიდგენ, შვილო! თვალწინ მშიერი ქმარ-შვილ-შვილიშვილი მედგა. დავკარი ფეხი და დაძრულ ვაგონს სულ ლიანდაგ-ლიანდაგ დავედევნე.

კ.პ.: ღმერთო ჩემო! რამდენი კილომეტრი გაირბინეთ?

ც.ჭ.: ბევრი, შვილო! დეპოში ვაგონთან მივირბინე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შიგ ხახვი და კარტოფილი კი არა, რაღაც მილები ელაგა ბაქო-ჯეიჰანისთვის... მუშებს ძალიან შევეცოდე. მითხრეს, ლილოში ჯერ კიდევ სიიაფეა, ჯერ გაძვირებას იქამდე არ მიუღწევიაო...

კ.პ.: ნუთუ ლილოში გაიქეცით?

ც.ჭ.: გავიქეცი კი არა, გავფრინდი, შვილო! გზაში სულ ერთსა და იმავეს ვფიქრობდი: „გაძვირებამ არ მიმასწროს, გაძვირებას უნდა მივასწრო! გაძვირებას უნდა მივასწრო“...

კ.პ.: მერე, მიასწარით?

ც.ჭ.: ვერა! წუთ-ნახევრით მიმასწრო! რომ მივირბინე, შვილო, სულს ძლივს ვიბრუნებდი. ეგრევე ბადრიჯნის დახლს მივაწყდი! მითხრეს, წუთ-ნახევრის წინ ძველ ფასად იყიდებოდა, ზუსტად წუთ-ნახევარია, რაც გაძვირდაო! გადავიქეცი და წამივიდა გული! მომაბრუნეს ცივი წყლით.

კ.პ.: ქალბატონო ციალა, ძალიან მერიდება, მაგრამ ერთი კითხვა მინდა დაგისვათ: ამდენ სირბილს, ახალი ფასით რომ შეგეძინათ? გაძვირებული?

ც.ჭ.: რას ამბობ, შვილო! ჩემი პენსია სწორედ 1 კილო ბადრიჯნის, კილო-ნახევარი ხახვის და ნახევარი კილო კარტოფილის ფასისოდენია! გაძვირებულს ვგულისხმობ. ის კი არა, მწვანილს სულაც ვეღარ ვიყიდდი!

კ.პ.: სამწუხაროა. მერე? მერე რაღა მოიმოქმედეთ?

ც.ჭ.: ლილოში მითხრეს, მთელი ეს ბოსტნეული მარნეულ-გარდაბანში ჩალის ფასად იყიდებაო.

კ.პ.: ნუთუ მარნეულში გაიქეცით?

ც.ჭ.: მითხრეს, იქამდე ავტობუსი კაპიკები ღირს. იყიდი მაგ ფულით ტომარა ბოსტნეულს და წამოხვალ ისევ კაპიკებადო. ჰოდა, აღარ მიფიქრია ბევრი! დავჯექი ავტობუსზე და გავწიე... ჩავედი. მართლაც ჩალის ფასად ვიყიდე ტომარა ბოსტნეული: ხახვი, კარტოფილი, ბადრიჯანი... და ავტობუსამდე დიდი გაჭირვებით მივათრიე.

კ.პ.: ნუ ღელავთ, ქალბატონო ციალა! გთხოვთ! განაგრძეთ...

ც.ჭ.: დიახ, ტომარა რის ვაი-ვაგლახით მივათრიე ავტობუსამდე და იქ დამეცა მეხი, შვილო!

კ.პ.: ბილეთები აღარ იყო?

ც.ჭ.: უარესი! სანამ მე ვვაჭრობდი, ბენზინის ფასი 27-ჯერ გაზრდილიყო. ერთი ლიტრი ბენზინი ჩემი მთელი პენსიისოდენა გამხდარიყო!

კ.პ.: რა იღონეთ?

ც.ჭ.: რა უნდა მეღონა, შვილო? ავტობუსით წამოსვლაზე ვეღარც ვიოცნებებდი. ვერც მარნეულში დავრჩებოდი სამუდამოდ. ვერც ოჯახს დავტოვებდი უსადილოდ. მოვიკიდე ტომარა ზურგზე და გამოვიქეცი!

კ.პ.: და რეკორდიც დაამყარეთ!

ც.ჭ.: დიახ. ჩემმა ტომრიანა სირბილმა წიგნის მესვეურთა ყურადღება მიიპყრო. აღმოჩნდა, რომ სახლიდან გასვლის მომენტიდან მსოფლიო რეკორდი დამიმყარებია სირბილში! საარაკოდ ბევრი კილომეტრი გამირბენია პატარა დროში, შვილო! თანაც, კარგა დიდი მანძილით, ტომარაწამოკიდებულს!

კ.პ.: აჯაფსანდალი თუ მოამზადეთ?

ც.ჭ.: ისეთი აჯაფსანდალი დავახვედრე ოჯახს, თითები კინაღამ ჩაიკვნიტეს! ნამდვილად ღირდა ამდენ სირბილად!

კ.პ.: რეკორდის გაზრდას ხომ არ აპირებთ, ქალბატონო ციალა?

ც.ჭ.: თავისთავად გაიზრდება, შვილო. ანი ხომ მარნეულამდე აქედანაც ფეხით უნდა ვირბინო! ბილეთი ძალიან ძვირია...

კ.პ.: წარმატებას გისურვებთ, ქალბატონო ციალა!

ც.ჭ.: გმადლობთ, შვილო!

*ესაუბრა თამრო შვარცი*

## ·ფოტოპალიტრა·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოს გთხოვთ, გაუკეთოთ შესაფერისი წარწერა და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. საუკეთესო წარწერები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.



ზურაბ ნოღაიდელი, ირაკლი ოქრუაშვილი, მაია ნადირაძე

რას დაარქმევდით?

__________________

__________________

თქვენი სახელი, გვარი __________

ქალაქი (რაიონი) __________

## მილოცვა



**მაყვალა დიასამიძეს!**

ლიკუ, გილოცავთ ამ ლამაზ საიუბილეო დაბადების დღეს, გისურვებთ წარმატებებს შენს საქმიანობაში, ლამაზ სიბერეს, ბედნიერი, ჯანმრთელი და ლამაზი მომავლით.

*უდიდესი სიყვარულით – მთელი შენი ოჯახი*

ჩვენთვის უსაყვარლეს ადამიანს, ქართველ დედას, უდიდეს და კეთილშობილ ქალბატონს – **ნელი ჩიქოვანს** ვულოცავთ 56 წლის იუბილეს. ქალბატონი ნელი დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი, შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებიაა. ქალბატონი ნელი კეთილი, ულალატო, ჭირისა და ლხინის გამზიარებელია ყველა ადამიანისთვის. მას ბუნებამ უხვად დაანათლა უბრალოება და სიკეთის კეთება.



სიამოვნებით ვულოცავთ იუბილეს და გვინდა ვუთხრათ, რომ ესაა მისი ცხოვრების შუადღე. წინ ძალზე საიმედო მომავალი ელოდება.

გკოცნით, გეფერებით. უფალი იყოს შენი მფარველი.

*შენი შვილები*

**ნინო ნაჩხატაშვილს!**



ჩემო საყვარელო, ჭიკჭიკა მერცხალო, გილოცავ დაბადებიდან 7 წლის შესრულებას. მყავდე სულ ასეთი თბილი და მოსიყვარულე, გქონდეს ბედნიერი ბავშვობა და კარგი მომავალი, მშობლებთან, მამიდასთან, დაიკოსა და ყველა ახლობელთან ერთად.

*მედიკო ბებო*

## მადლობა

საპატრულო პოლიციის წარმატებულ საქმიანობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით არაერთგზის მსმენია. ამას წინათ, პირადი საჭიროებიდან გამომდინარე, თავად მომიხდა საპატრულო პოლიციის მუშაკთან შეხება.

საზოგადოება, საერთოდ, ჯერ კიდევ მიუჩვეველია პოლიციელთა მხრიდან ყურადღებიან და გულისხმიერ დამოკიდებულებას. რაოდენ აღფრთოვანებული დავრჩი, როცა სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს სარეგისტრაციო, საგამოცდო და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა – **ალას აბისოგომიანმა** გულთან ახლოს მიიტანა ჩემი პრობლემა და დაკარგული დოკუმენტაციის აღდგენაში უანგაროდ დამეხმარა. მისი კეთილშობილებითა და გულისხმიერებით აღფრთოვანებული დავრჩი.

მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ალასს თავისი ხელმძღვანელობის წინაშე და ამით გამოვხატო ის დიდი პატივისცემა, რასაც მის მიმართ ვგრძნობთ. უფალს ვთხოვთ, ასეთი წესიერი და გულისხმიერი ადამიანები უმრავლოს არა მარტო საპატრულო პოლიციას, არამედ მთელ საქართველოს.

*პატივისცემით – ა. გაჩეჩილაძე*

## ბინები

იყიდება საგურამოსთან ახლოს, სოფ. ბიწმენდში საკუთარი სახლი, პატარა ხეხილიანი ბაღით. ორი ოთახი მე-2 სართულზეა, სამზარეულო და საკუჭნაო – I სართულზე. წყალი ეზოშია შემოყვანილი. ტელ: 75-64-74; 893 90-93-97

გირავდება 1,5-იანი ბინა დიღმის მასივში, ტელეფონით. მის: II კვ. კორპ. 13. VIII სართ. ტელ: 52-58-07; 899 53-74-20. ჟანა

## გთავაზობთ სამუშაოს

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მსოფლიოს 61 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება – გამომუშავებით, ყოველთვიური 400-600 ლარი ან სტაბილური $100-დან ზევით. ტელ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიღუბე, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38

ოფისში გვესაჭიროება 3 თანამშრომელი. მოთხოვნები: ორგანიზაციული ან პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – არანაკლებ 5 წელი, ასაკი 45 წლამდე. წინასწარ ჩაწერა გასაუბრებაზე: 64-63-40; 893 99-90-89

დასაქმების პროგრამა ახალ ინდუსტრიაში მრავალდარგოვანი განხრით, მოსახლეობის იმ კატეგორიისთვის, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ან სამუშაო გამოცდილება ბიზნესის სფეროში და ფლობს რუსულ ენას. ტელ: 893 37-61-37

გვესაჭიროება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანები საოფისე სამსახურში. თქვენ გაქვთ შანსი, მიიღოთ მაღალანაზღაურებადი სამსახური. ტელ: 899 35-25-17

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესჭიროება თანამშრომლები პედაგოგიური, ორგანიზაციული და საკადრო-ადმინისტრაციული გამოცდილებით. მიღება – გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრება უფასოა. ტელ: 62-99-62

დამატებითი სამუშაო პედაგოგებისთვის. აუცილებელი პირობები: 1. რუსული ენის ცოდნა სასაუბრო დონეზე; 2. დადებითი დამოკიდებულება სიახლისადმი. ტელ: 899 44-09-66

ამერიკული კომპანია პირველად საქართველოში აწარმოებს კადრების შერჩევა-გადამზადებას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ასაკობრივი ცენზი განუსაზღვრელია. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მიიღონ როგორც რაიონებში მცხოვრებ, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ინფორმაციის მიღება უფასოა. ტელ: 893 16-91-45; 60-30-22. ნანული

## მომსახურება

აგიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 70 თ. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

გთავაზობთ კომფორტულ დასვენებას ბათუმში (ბარცხანაში, ქალაქის შესასვლელში), 2-სართულიან სახლში (კერძო სასტუმროსავით). პირობებით კმაყოფილი დარჩებით! ფასები: კაცი – 7, 8 და 10 ლარი. სურვილისამებრ, ყოველდღე მოგემსახურებათ მიკროავტობუსი: წაგიყვანთ სარფის პლაჟზე. ტელ: 893 95-18-74

თუ გსურთ დაისვენოთ თქვენთვის სასურველ ფასად, მიმართეთ ტურისტულ კომპანიას „ჩიფ ტურს“. ჩვენ გთავაზობთ დასასვენებელ, ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს: საქართველოს, თურქეთის, დუბაის და კუბის კურორტებზე. შეგიძლიათ ისარგებლოთ უპროცენტო, 6-თვიანი განვადებით!!! მის: რუსთაველის №36. ტელ: 99-84-68; 899 22-20-10

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, გამონაყარის, პიგმენტური ლაქების, ჭორფლის მოშორება; მოდუნებული სახის კანის, ყელის, ღაბაბის აღდგენა სამკურნალო მასაჟით (35 წუთი) + ეგვიპტური ვაკუუმნილბებით. შედეგი გარანტირებულია 7-10 დღეში, შემდგომში ნაოჭის არგაჩენის გარანტიით, სპეციალური მალამო-ზეთით. სეანსი – 6 ლარი. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: №1 სამშობიაროსთან, ჯავის ქ. №26. ტელ: 899 17-63-90; 69-98-92. ეთო

შევაკეთებთ ნებისმიერი სახის მაცივარს და ოთახის ნებისმიერ კონდიციონერს გარანტიით. შევისყიდით ზემოთ აღნიშნულ ნივთებს შეღავათიან ფასად. ტელ: 66-35-94. ბეჟანი; 893 56-31-93. ემზარი

## მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული და ფუნქციონალური გამოკვლევა – წნევების დარეგულირება, თავის ტკივილები, ნევროზი, კუჭის და თორმეტგოჯას წყლული, ბუასილი (სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი), უნებლიე შარდვა, პროსტატიტი, ქოლეცისტიტი, ღვიძლის გაწმენდა, სიმაღლეში ზრდის აქტივაცია, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მასაჟი. ტ: 899 43-97-34; 32-39-46. ექიმი ნათია

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით, ასევე „პახმელიის“ მოხსნა. გარდა ამისა ნევროზი, აგრესია, დეპრესია, უძილობა, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში გაზრდა (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით), სიახლე! – გახდომა დიეტის გარეშე. ტ: 893 35-45-35 (ნების. დროს); 93-44-25 (12-16 სთ); 58-04-67 (საღამოს). მაკა ექიმი

საგვარეულო სხნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა – ამოდის თმა: თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილების სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ღრძილების, ჭრილობების, ნაწოლების, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა. აგრეთვე ვაკეთებ მასაჟს. აქვე გაიხსნა კოსმეტოლოგიის შემსწავლელი კურსები: მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთ. 28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტ: 39-39-51 (სამსახური); 35-32-62; 893 91-89-17

რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მკურნალობს გარანტიით, ფუტკრის პროდუქტებისგან დამზადებული პრეპარატებით, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს (თუნდაც გახსნილი, სისხლმდენი, ძლიერი ტკივილებით). მის: ახმეტა, ყაზბეგის ქ. №72. ტ: 899 48-91-05. მიხეილი

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული ფუნქციონალური გამოკვლევა-დიაგნოსტიკა (45 ლ), ნერვული, კუჭ-ნაწლავის, გულსისხლძარღვთა, ქალური, მამაკაცური, სიმსუქნის, სიმაღლეში ჩამორჩენისა და სხვა ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლენა და მკურნალობა. კონსულტაციას გაგიწევენ გამოცდილი ექიმები. ჩაწერა წინასწარ. ტ: 877 45-78-39 ქ-ნი ბელა; 893 16-70-76 ბ-ნი ზვიადი; 96-66-49; 92-39-44 (შესაძლებელია გამოკვლევა ბინაზეც – 50 ლ)

აკვიატებული აზრები და ქმედებები, აგრესია, თვითმკვლელობის სურვილი, უძილობა, დეპრესია, ეჭვიანობა, უიმედობა, კოშმარული სიზმრები, მოუსვენარი ძილი, აფორიაქება, შიშები, სევდა, ნაღველი, მელანქოლია, დაძაბულობა. შედეგი გარანტირებულია, შეიძლება პაციენტის გარეშეც. ტელ: 899 49-84-23

სქესობრივი სისუსტე, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, პენისის ანთება, კონტაქტის შიში, პროსტატიტი, ხშირი შარდვა, ბუასილი (ტკივილი, ნაპრალი, კვანძები, ქავილი, სისხლდენა), სოკოვანი, კუჭ-ნაწლავის წყლულები, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ღვიძლი, გასტრიტი, ბრონქიტი, ჰაიმორიტი, წვრილი ჭია, ცისტიტი, პიელონეფრიტი, წითელი ქარი, კანის და სხვა დაავადებები. შედეგი გარანტირებული, წამლები – ბუნებრივი. ტელ: 899 49-84-23

ცხვირ-ხახასთან დაკავშირებული პრობლემები: ქრონიკული სურდო (მუდმივი გამონადენი ცხვირის ღრუდან), პოლიპები (წლების განმავლობაში ქიმიურ ცხვირის წვეთებზე დამოკიდებულების მოხსნა, ზომების შემცირება, სუნთქვის გაუმჯობესება, იმუნიტეტის გაძლიერება, ვირუსული ინფექციებისგან დაცვა), ქრონიკული ჰაიმორიტი, ფრონტიტი. პრობლემების მოგვარება ფიტოთერაპიული პრეპარატებით. ტელ: 93-44-25 (12-16 სთ); 893 65-99-71. ნინო

ოპერაციის გარეშე! გარანტირებული ეფექტით! ვმკურნალობთ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, კოლიტი, ნაპრალი, წვა, ქავილი). მწვავე ტკივილი ქრება 1-2 დღეში. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, მ. „ნაძალადევთან“ (ცოტნე დადიანის 87). ტელ: 69-91-98; 61-02-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ხალხური მედიცინა – ეფექტი სამ დღეში! ექიმი ალექსიშვილი გთავაზობთ ხერხემლისა და სახსრების დაავადების და მათგან გამოწვეული ნევროლოგიური დარღვევების მკურნალობას, ორიგინალური, მაღალეფექტური მეთოდით. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, მ. „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის 87. ტ: 69-91-92 (კაბ.); 61-02-97 (ბინა); 899 57-16-99

ალკოჰოლიზმის მკურნალობა, უახლესი, ეფექტური მცენარეული, ქარხნული, გარანტირებული, უსაფრთხო პრეპარატებით: „პახმელია“, „ზაპოი“, ჰალუცინაციები, ნერვული სისტემის აგზნებადობა. პრეპარატები მოწოდებულია გაეროს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ; იმ დეფიციტის შევსება, რის გამოც აქვს ალკოჰოლის ხშირი მოთხოვნა. პრეპარატების მიწოდება შესაძლებელია ფარულადაც. ტ: 99-75-90; 899 36-65-34

ალკოჰოლიზმის, მისი მძიმე შედეგების მკურნალობა! მკურნალობა ეფუძნება დაავადების მიზეზების აღმოფხვრას. შედეგი გარანტირებულია. მკურნალობა შესაძლებელია მცენარეული, ქარხნული ISO-ს სერტიფიკატის მქონე პრეპარატებით. შესაძლებელია პაციენტისაგან ფარულად, საკვებში შერევით. არავითარი უკუჩვენება, მაღალი ხარისხის გამოსავალი. ტელ: 899 36-67-46; 99-75-90. ნინო ექიმი, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრი

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) – აგრესიები, ნაბახუსევის მოხსნა, აკვიატება, უძილობა, შიშები, დეპრესია – ნევროზი; თამბაქოს გადაგდება, სოკო, ფსორიაზი, ბუასილი (სისხლმდენი, ნაპრალი, ქავილი), კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ჰაიმორიტი, წითელი ქარი, ღვიძლი, ქოლეცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით, რომელთაც უკუჩვენება არ გააჩნიათ. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77 (დილით ან 18 სთ-ის შემდეგ). ექიმი ლალი

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი“ გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

შპს „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიონალური მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი (კანის მოვლა, ეპილაცია, სახის გაწმენდა, იონოფორეზი, ლიფტინგი, ფიზიოთერაპია, მალამოები, კოსმეტიკური მასაჟი, მაკიაჟი); 2. მასაჟისტი (ჰიგიენური, სპორტული, სამკურნალო, წერტილოვანი); 3. საპარიკმახერო (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი), საბანკეტო ვარცხნილობა; 4. ვიზაჟისტი; 5. მანიკიურის ოსტატი. გაიცემა ლიცენზიერებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის №113, თაღიანი შესასვლელი, ეზოს ბოლოს, მარცხნივ. შპს „ქართი“. ტელ: 94-01-82; 96-22-89

ავტოსკოლა „გზაჯვარედინი“ ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით. ჩარიცხულ მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ საგამოცდო ბილეთები. მის: ლადო ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

თბილისის დამოუკიდებელი ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ სასწავლებლად დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები; ასევე უმაღლესდამთავრებულებს – პროფესიის შესაცვლელად. მის: ს. ეულის ქ. 1 (ვაჟა-ფშაველას ბოლოში) ტ: 32-06-97; 893 93-38-15; 899 67-05-25

## იყიდება

ა/მ BMV-525, 1995 წლის, მწვანე მეტალიკი – ავტომატიკა, კონდიციონერი, ტყავის სალონი, ელმინები. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი $6.600. ტელ: 877 48-77-22

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-13 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

ახალი კორეული სატელიტური ანტენა. აჩვენებს 4 ქართულ, 8-დან 80-მდე რუსულ, 600-მდე ევროპულ არხს. ერთი ანტენის კომპლექტის ფასი – $100-120, მონტაჟი – 50 ლარი. I ვარიანტი: 3 ქართული, 4 აზერბაიჯანული 140 თურქული; II ვარიანტი: 1 ქართული, 8 რუსული, 500 ევროპული. სხვა ვარიანტები: 8-დან 35-მდე რუსული. მხოლოდ 45 რუსული $150 – მონტაჟით. ტელ: 899 94-27-04

## შევიძენ

35 სმ-ზე გრძელ თმას, მაღალ ფასად. ტელ: 58-55-58; 899 98-68-98

გაორმაგებული ძალით!
„სიტყვა და საქმე“
ერთი გაზეთი –
ორ რვეულად!
64
გვერდი




ორჯერ უფრო ეფექტური და
ორჯერ უფრო მოსახერხებელი!

## ლაშა გუჯეჯიანის მოგონება



რამ შეიძლება დამავიწყოს ის საზარელი 2004 წლის 12 აგვისტო – შენთვის საშინელი განსაცდელისა და უბედური აღსასრულის დღე. თურმე ამ დღეს, შენი ბედისწერა მრისხანე ზარის დასაჭუხებლად ემზადებოდა.

იმ ღამით ბუნება საშინლად ბობოქრობდა, ცაზე ელვა ათასნაირად იკლაკნებოდა, კოკისპირულად წვიმდა. მეხის გავარდნამ ქვეყანა შეაზანზარა. ის მეხი იმ ღამეს შენს ლამაზ ოჯახს და ყველა შენიანს დაგვეცა, ლაშიკო, ჩემო 20 წლის ღიმილის ბიჭო.

ერთი კვირით ადრე, უწერაში, მეგობრებთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრე, ბედნიერმა და გახარებულმა დატოვე თბილისი. თურმე უკანასკნელად შეგავლო თვალი ლაღად მოღიმარს, შენმა უბედურმა დედ-მამამ. როგორ განსაკუთრებულად დამშვიდობებიხარ საყვარელ ბებიას, ძმას და რძალს.

რამდენიმე დღის შემდეგ, „ბროლის მთის" მონახულება გადაწყვიტეთ. მთაზე კი ახვედით, მაგრამ დაბრუნებისას სტიქიამ შემოგიტიათ. ის ღამე საშინელ თავსხმასა და სიცივეში, გარეთ გაატარეთ. თურმე მთელი ღამე ხელებგაშლილი, შენი სხეულით მეგობრებს იფარავდი წვიმისა და სეტყვისგან. გარიჟრაჟზე, უკან დაბრუნებისას, კლდეზე ჩამოსვლის დროს, ნაწვიმარზე ფეხი დაგიცურდა და...

გაუსაძლისი მონატრება დაგვიტოვე. ძალიან ძნელია შენზე წარსულში წერა. მოუნელებელ დარდად და ვარამად იქეცი სიყვარულისთვის გაჩენილო საუკეთესო ვაჟკაცო, შესანიშნავო სპორტსმენო და [illegible]

შენ ხომ ოცნებობდი მათი შვილების სიძრავლეს. ჰოდა, ნათუნას მიერ პირმშოსთვის შერქმეული შენი სახელის მატარებელი პატარა ლაშიკოა სწორედ შენგან მიტოვებული კეთილი ოჯახის გადამრჩენი და იმედი. მხოლოდ მან შეძლო ამ ოჯახში ღიმილისა და სიხარულის შემოტანა.

შენი საყვარელი გაზეთი იყო „კვირის პალიტრა". რა ვიცოდით, რომ ამ გაზეთის მეშვეობით დაგიკავშირდებოდით, რა ვიცოდით, თუ ამ გაზეთის მეშვეობით უკვე მერამდენედ დავწერდით შენს მოგონებას. ცრემლიანია ყოველი სიტყვა, ჩემო ვაჟკაცო დისშვილო. კიდევ ერთხელ მოვალთ მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად 12 აგვისტოს შენს საფლავთან, შევამკობთ ყვავილებით და სანთლებით, გიხსენებთ სპეტაკ სულს, მოვისმენთ ჩანაწერებს შენზე, ჩემო ძლიერო ვაჟკაცო.

შენი მამა კი ამ დღეს შარშანდელივით, იქ, უწერაში ჩამოვა, იქ დაგინთებს სანთლებს, განაახლებს წმინდა ნინოს სახელობის იმ ლამაზ სალოცავს, რომელსაც ის ხეობა გადმოჰყურებს, რომელმაც შენ გიმსხვერპლა. „მუშვანის ხეობა" სწორედ შეურქმევიათ ამ ხეობისთვის. სახელი „მუშვანი" – ხომ სვანს ნიშნავს. სწორედ იქ, მაღლა, მთების ძირას მოგიგონებენ ბრგე და გულკეთილი უწერელები იმ დღეს, რომელ დღესაც ორი წლის წინ გული დასწყვიტე მათ, შენი ტრაგიკული საამქვეყნო აღსასრულით. ალბათ ამ დღეს კიდევ ერთხელ მანიშნებს შენი სპეტაკი სული რამეთი, რისი იმედიც უზომოდ აქვს მამაშენს. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, ჩვენო განუმეორებელო ვაჟკაცო.

*ბედისწერამ გაგიმეტა, გწვდა მოშურნის ავი თვალი,*
*ოცი წლისამ გაიხურე ჩვენი სახლის თბილი კარი.*
*შენ წახვედი სამოთხეში, სადაც წინაპრები არი,*
*შთამომავალთ დაუტოვე ნათელი და თბილი კვალი.*

*ლალი დეიდა*

## ლიკა ხატიაშვილის გახსენება-მონატრება

უკვე მოვიდა 6 აგვისტო და ისევ უშენოდ ვხვდებით. ძალიან ძნელია იმის წარმოდგენა და ის განცდა, რასაც ახლა განვიცდით. ვინც არ გიცნობდა, იმ ადამიანების აზრით, უკვე გაგვინელდა შენი დანაკლისი, მაგრამ ვინ იცის, გულში რა დევს. დარწმუნებული ვარ, სასუფეველშიც გაიჩინე ბევრ მეგობარს, იქიდან გადმოგვაფარებ შენს წმინდა კალთას და დაგვიფარავ ყოველგვარი სატანჯველისგან. მე ვგრძნობ ყოველთვის შენს დახმარებას და გული მწყდება, რომ ვერ გიყურებ და ვერ გხედავ. ყველას ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. ძნელია უშენობა, ძნელი. ყოველთვის, როცა ჩამოვალ, პირველად შენს საფლაოზე ამოვალ და სანთელს დაგინთებ.

*დიდი მონატრებით – „ვალენტინა"*

## თენგიზ თევზაძის გახსენება



ჩემო საყვარელო თენგიზ, 8 აგვისტოს ერთი წელი გადის იმ საშინელი და უბედური დღიდან. უეცარმა სიკვდილმა ხელიდან ისე გამოგვაცალა შენი თავი, რომ „ვაიც" ვერ დაიძახე. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი ამ ქვეყნიდან წასვლა.

ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, ბევრი ტკივილი თუ „სიხარული" გვქონდა.

„სიხარული", რომელიც ყოველთვის უშენობით და შენი მონატრების სურვილით არის გახუნებული და ტკივილი, რომელიც უშენობით გამოწვეულ ტკივილთან შედარებით ყოველთვის მსუბუქი იყო.

ენით გამოუთქმელია ის ტკივილი, რაც შენი წასვლით დაგვიტოვე. მამაშენი თუ შენს წასვლამდე ფიზიკურ ტკივილს მტკიცედ უძლებდა, შენი სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე მისთვის ნამდვილი ტანჯვა იყო. დამბლადაცემულმა ვერ გაუძლო სულიერ ტკივილს და ერთი წელიც არ იყო გასული, რომ შენთან გამოეშვებინა.

თენგო, მამაშენს ყველა ვუმალავდით, თუ როგორი საშინელი სიკვდილი გქონდა. როგორ უნდა გაეძლო, როცა გაიგებდა, რომ ხირსაში დაბადებული, გაზრდილი ბიჭი, ხირსელი არაკაცის ხელით, შენსავე მშობლიურ ხირსაში გამოგასალმეს სიცოცხლეს – ვაჟკაცი, რომელსაც ყველაფერი გახარებდა, სიკეთეს თესდი და გულით უდიდეს სიყვარულს ატარებდი. მეგობრისთვის მოქნეულ დანას შენ შეეგებე გვერდზე, თუ სიკვდილს წინ შენ დახვდებოდი, ორივეს ავიქცევდით გვერდს. მაგრამ– სიკვდილი დაუნდობელი და ულმობელი ყოფილა.

საცოდავ დედაშენზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. მამაშენის გარდაცვალებით გამოწვეულმა ტკივილმა, შენი მოუშუშებელი ჭრილობა გაახსენა. ხშირად მოვდივართ შენს საფლავზე, გინთებთ სანთლებს და გიზიარებთ ჩვენი გულისნადებს, ტკივილსა თუ სიხარულს და როგორც ცოცხალს, ისე გესაუბრებით. თვალცრემლიანები ვბრუნდებით უკან და ვგრძნობთ, რა მწარეა რეალობა – შენ აღარ ხარ! თენგო, ძვირფასო, ყველა დიდი სიყვარულით, სინანულით და სიკეთით გიხსენებს. ენით გამოუთქმელია ის ტკივილი, რომელსაც შენი დაკარგვით განვიცდით. ყველას გვენატრები და ძალიან გვაკლიხარ. ყველა ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისთვის. ყველას გახსოვხარ და ასე იქნება მუდამ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩემო ბუმბერაზო, პატარა, მარად 19 წლის ბიჭო.

*ოჯახი*

## ლადო პერტიას მონატრება



უკვე გავიდა ეს ერთი წელი. ალბათ იმიტომ, რომ დაჩვეული ვიყავით უშენოდ ყოფნას. ზოგჯერ შვიდირვა თვე გიწევდა ჩვენგან შორს, გემზე ყოფნა. ყველანი მოუთმენლად ველოდით შენს დაბრუნებას. ვაგლახ, ძალიან გაიჭიმა ეს ლოდინი. პატარა რატი თავიდან ვერ გაერკვა, დიდხანს გელოდა, მაგრამ ახლა უკვე იმედი გადაეწურა. შენს საფლავთან მისული, სურათს რომ შეხედავს, შემდეგ ჩვენ თვალს ვერ გვისწორებს. ზომაზე მეტად ყურადღებიანი და მოსიყვარულე მეუღლე და მამა იყავი. მარი ამ ერთ წელიწადში დაქალიშვილდა, რატი თითქოს დავაჟკაცდა, გამწარებული ჩვენი ქალიშვილი კი, ვერა და ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან, შენ ხომ მარტო მეუღლე კი არა, ინსტიტუტის მეგობარიც იყავი მისთვის.

ჩემო კეთილო კაცო, გვაკლია შენი სითბო, იუმორი, ახლოს დგომა. მხოლოდ კეთილი თვისებებით იყავი დაჯილდოებული, ამიტომ ყველამ გულთან ახლოს მიიტანა შენი უდროოდ წასვლა ამ ქვეყნიდან.

ჩვენმა სიყვარულმა და მონატრებამ გზა გაგინათოს მარადისობაში.

*დოდო აბულაძე, ზაურ ლომაია*

## ცრემლები, ტკივილი, ტკივილი...

ცრემლითა და ტკივილით მილია უშენოდ გატარებული ერთი წელი. როგორ მენატრები, რომ იცოდე. რაც დრო გადის, ტკივილი უფრო მატულობს. ყოველი დღის დაღამება მიხარია, რადგან მილეული დღეები შენთან ყოფნას მაახლოებს. სიკვდილის აღარ მეშინია, ის ხომ შენთან მიმიყვანს.

შენი ფესვიდან ამოსული ორი ტოტი – მარი და რატი დღითი დღე იზრდებიან. ისინი შენს თავს მაგონებენ, ტირილის უფლებას არ მაძლევენ. შენ ხომ მათ ყოველნაირად ანებივრებდი. დღეს კი, ისინი მამით ობლები არიან. რატომ დამტოვე ამხელა გზაზე მარტო, ფრთებმოტეხილი და გულმკვდარი?! რა აზრი აქვს ცხოვრებას ასეთი ტკივილით?! დიდი მქონდა ის სიყვარული, რომლითაც ვარსებობდით, მაგრამ უფრო დიდი ბედისწერა ყოფილა. ყოველ დილას შენი სულისთვის ვლოცულობ. დაე, შენთვის აღვლენილ წირვა-ლოცვას განათებინოს გზა სამუდამო სასუფეველში.

*შენი ირმა*

## ირინა თევზაძის გახსენება



ზაფხული ალბათ ყველასთვის წელიწადის უსაყვარლესი დროა, ჩვენთვის კი ზაფხული ლამაზ ფერებთან და სიცოცხლესთან ერთად, მუდმივ ტკივილს მოიტანს.

6 აგვისტო – რა საშინლად და შავად დაგვრჩა ეს თარიღი გულში. უშენოდ უკვე ერთი წელი გავიდა, ჩვენო საყვარელო ირინა. შენ ხომ ჯერ ახლა უნდა შეგეგრძნო სიცოცხლე და შენი ლამაზი არსებობით, შეუდარებელი ღიმილით, სიყვარულით და დიდი სითბოთი დაგეშვენებინა...

მაგრამ განუკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი ლამაზი სიცოცხლე, ჩვენო პატარა. დიდი სიმწარე გვარგუნა განგებამ. მარადისობაში არჩიე ყოფნა.

შენ ჩვენთან ხარ, ჩვენო მშვენიერო. ღმერთი შენნაირ უმანკო არსებას არასოდეს მიატოვებს. შენი უსაყვარლესი მშობლები, ნათესავები, მარადიულად ვევედრებით ღმერთს შენი სულის სამარადჟამოდ უკვდავსაყოფად.

*საყვარულით – ოჯახი*

## მერაბ გაბუნიას მონატრება



2001 წლის 9 აგვისტო... და ხუთი წელი, შენგან გაუბედურებული შენი ოჯახი უშენოდ. მიკვირს, შვილო, რას უძლებენ შენი უბედური მშობლები ამდენ ხანს.

ჩვენო პირველო სიხარულო, სიყვარულო და მწუხარებავ, ეს რა „გმირები" გვყოლია სახლში თურმე. რა ვქნათ შვილო, რა ვქნათ, დედა, ცოცხლები ვართ, თუმცა ამ სიცოცხლეს სიკვდილი მილიონჯერ სჯობია. გჯეროდეს, შვილო, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში შენი უბედური დედა უშენოდ ხუთი წუთიც არ ყოფილა. შენ ჩემთან ხარ მუდმივად სულში, გულში, ფიქრში. ყოველ წუთს გესაუბრები, გეფერები, გსაყვედურობ, მაგრამ არაფერი იცვლება. ვცოცხლობთ შენი ოჯახისთვის, შენი ნინოსა და მანანასთვის, რომ ცოტათი შევუმსუბუქოთ უშენობა. შენს ნინოს შენი მოფერება და სიყვარული აკლია, რაც ყველაფერზე ძნელია.

შვილო მერაბ, გაიზარდა შენი ნინო, მესამეკლასელია. სამი წლის დატოვე. რატომ, რატომ?.. დავილიე ფიქრით, სიცოცხლით, ცხოვრებით. ყოველი დღის დაღამება მიხარია, შვილო, მაახლოებს შენთან შეხვედრას. რა ბედნიერები ვიქნებით მე და შენ ერთად. ესენიც ძალიან მიყვარს, დედა, მაგრამ მაინც შენთან მირჩევნია.

გჯეროდეს, მერაბ, ნათესაობას, ახლობლებს უყვარხარ, ახსოვხარ. ყოველ მნიშვნელოვან დღეს მოდიან შენს საფლავზე, გინთებენ სანთლებს და უფალს შესთხოვენ შენდობას. გვიყვარხარ, გვიყვარხარ, გვიყვარხარ უსაზღვროდ, გვენატრები.

*შენი უბედური დედა*

## გია თაზიაშვილის გახსენება



გია, 11 აგვისტოს წელიწადი სრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. 10 აგვისტოს 36 წელი შეგისრულდებოდა, რომელიც შენი მკვლელობის დღედ იქცა. არაკაცის ნასროლმა ტყვიამ მოგისწრაფა სიცოცხლე. ენატრები შენს ოჯახს, შენს ახლობლებს.

*ლალი, პაატა, ზურა ოქრუაშვილები*

## ალიკა ბერიძის ტკივილიანი მონატრება



ალიკა, დედი, 5 აგვისტოს ოთხი ტკივილიანი, ცრემლიანი წელი გისრულდება, რაც მიწიერი ცხოვრება დატოვე და ახალ სამყაროში დაიდე ბინა! 5 აგვისტო ეს ის დღეა, რომელმაც დაღი დაასვა ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას და სამუდამოდ მწარედ დაიკავა ადგილი ჩვენს გულში. ძალიან მიჭირს ამ დღის გახსენება, მაგრამ სანამ ვიცოცხლებთ, ყოველთვის გავიხსენებ, რათა დავიწყებას არ მიეცეს შენი სახელი. ამ დღიდან სამუდამოდ გაქრა ჩვენი ოჯახის სიხარული და ბედნიერი დღეები. რა ლამაზი იყო მაშინ ჩვენი ცხოვრება, როცა შენ ჩვენ გვერდით იყავი, სულ სხვა ხიბლი ჰქონდა ყველაფერს. ახლა კი, შავად მეჩვენება სამყარო.

23 წელი ჩვენს ოჯახში იმედის სანთლად იყავი დანთებული. ახლა კი მარადიული ხსოვნის სანთელი ხარ.

განგებამ ყველანაირი საუკეთესო თვისება დაგანათლა, გარდა ხანგრძლივი სიცოცხლისა, რომელიც ულამაზეს ხანაში დატოვე. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად გამოვეთხოვეთ იმ დიდი ბედნიერებას, რომელსაც შენგან ველოდებოდით. თურმე შენ გვაგრძნობინებდი სიცოცხლის ძალას და ვაი, რომ სიკვდილის ძალაც შენ გვაგრძნობინე.

ყოველთვის მამაყებოდა შენი დედობა და ახლაც ეს გრძნობა მაცოცხლებს. მენატრები, დედიკო, უზომოდ მენატრები. ჩუმად, მძინარეს გეფერებოდი და ჩუმად გკოცნიდი, მაგრამ წამართვა ეს დიდი ბედნიერება და დავრჩით უიმედოდ შენი მშობლები. ჩვენ აღარასოდეს ვიქნებით ბედნიერები. ძალიან მიკვირს, როგორ გრძელდება უშენოდ ჩვენი ცხოვრება. ალბათ ესეც ღმერთის ნებაა.

გინთებთ უამრავ სანთელს, რათა უფრო გაბრწყინდეს შენი სპეტაკი ლამაზი სული. ამას შენი სულის საამებლად და მოსახსენებლად ვაკეთებთ. ეს იცოდე, დედი, ჩვენს ტკივილსა და შენს უსაშველო მონატრებას არასოდეს ექნება დასასრული.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული, ჩვენო საფიცარო შვილო.

*უზომოდ მონატრებული მშობლები*

## ალიკა ბერიძის მონატრება



ალიკა, უკვე ოთხი გრძელი, სევდიანი და ცრემლიანი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვიჭირს უშენობა... იმ დროს, როცა შენი გული სავსე იყო სიცოცხლითა და დიდი სიყვარულით, უბედურმა შემთხვევამ და უიღბლო ბედისწერამ გაგიმეტა და 23 წლის ასაკში დაამთავრე შენი ლამაზი ცხოვრება. მაგრამ მაინც მოახერხე და ულალატო, მოსიყვარულე ბიჭის სახელი დაიმკვიდრე.

გლოვის აჩრდილი ჩამოადგა იმ არემარეს, რომელსაც შენი გულიანი სიცილი ანათებდა. გულიანო, მხიარულო, იღბლიანო... იღბლიანი აბა როგორ არ ითქმის ადამიანზე, რომელიც იმ ქვეყნად წასვლის შემდეგ ამდენ გულისტკენას და ზღვა სიყვარულს ტოვებს. ხალისიანი, ენამზიანი, საოცრად მოსიყვარულე იყავი ყველას მიმართ. გვიჭირს შენი მშობლების ნუგეშისცემა, მათთვის ხომ მთელი სამყარო შენა ხარ. ვფიქრობთ, უფალმა ასეთი გამორჩეული თვისებების გამო გაგარიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს და თავისთან გიხმო. ერთი რამ გვაიმედებს: ასეთი ამაღლებული სულით ალბათ მალე დაიმკვიდრე ცათა სასუფეველი.

ძნელია შევეგუო რეალობას, რომ ახლა მხოლოდ წარსულში უნდა ვეძებოთ შენთან ერთად ბავშვობაში გატარებული ხალისიანი დღეები. თუმცა ჩვენთვის ისევ ისეთი ლამაზი, ხალისიანი, უზომოდ კეთილი დარჩი, როგორიც იყავი. ვფიცავართ, ალიკა, არ დავივიწყებთ შენს სამუდამო ადგილსამყოფელს, ხშირად დავდივართ და ვივლით, რათა მუდამ იბიბინოს ლამაზმა ყვავილებმა.

ნათელში იყავ, ჩვენო ალიკა! ღმერთი იყოს შენი უკვდავი სულის მფარველი.

*შენი დეიდაშვილები – ელზა და ეკა ლომიძეები ოჯახებით*

## მექი ანტონის ძე ნადარეიშვილს!



უკვე ორმოცი დღეა უშენოდ... იმედები, რომელსაც შენზე ვამყარებდით, ერთმა ავბედითმა წუთმა დაამსხვრია და ნაფლეთებად აქცია. ჩვენო ტკივილო და მოურჩენელო იარავ, საყვარელო მეუღლევ, მამავ და ბაბუავ, ვერ ვეგუებით უშენობას. დაჯერება არ გვინდა იმის, რომ ჩვენთან არ ხარ. ყველგან გეძებთ, მაგრამ ამაოდ, პასუხს ვერ ვიღებთ. მტკივნეულად განვლე უკანასკნელი რვა თვე. როგორ მოვირჩინოთ ის ჭრილობა, რომელიც შენგან მივიღეთ?! ვინ და რამ მოგვიშუშოს შენი არყოფნით დამძიმებული სევდა? იდუმალებით გადაინაცვლა შენმა კეთილმა სულმა ცათა სასუფეველში. დაუვიწყარი იქნება შენი სახელი მეუღლისთვის, შვილებისა და შვილიშვილებისთვის. სიცოხლეს ამაოდ შენატროდი, შენმა ავადმყოფობამ არ მოგვცა იმის საშუალება, რომ ჩვენთან დარჩენილიყავი. რას ვიზამთ, განგებამ ასე ისურვა. გიხსენებთ და ვეფერებით შენს სურათებს, მეტი რა დაგვრჩენია სანუგეშებლად.

*ოჯახი*

## ვალიკო ლირსიაშვილის მონატრება



10 აგვისტოს ორი წელი სრულდება, რაც მოულოდნელად წახვედი წუთისოფლიდან და დაგვიტოვე დიდი ტკივილი, სევდა და მონატრება. გაუსაძლისია შენი ოჯახისთვის უშენობა. გაფერმკრთალებული და გაჯახირებულია ჩვენი ყოველდღიური ყოფა. შენ იყავი ჩვენი ბურჯი და ლაზათი, შენი წასვლით ყველაფერს დააკლდა შნო და ხიბლი.

დრო უფრო მიმძაფრებს, ძმაო, შენს მონატრებას. მოუშუშებელია შენი წასვლით გამოწვეული ტკივილი, რომელთანაც გამკლავება თანდათანობით მიჭირს.

შენი ოჯახი და შენი ხსოვნა აძლევს ჩვენს არსებობას აზრს. გინთებთ სანთლებს, ვლოცულობთ შენთვის, რათა უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ცოლ-შვილი – ქეთინო, სოსო, ნინო; დები: ციალა, დარეჯანი; შვილიშვილები: ვალერი, ქეთი*

## გია დიერაშვილის მონატრება



11 აგვისტოს ორი წელი ხდება, რაც უნუგეშოდ დაგვტოვე, სამუდამო ტკივილი დაგვიტოვე ოჯახში. გეძებთ შინ თუ გარეთ. ამაოდ... ვერაფერი გვიშუშებს შენ მიერ მოყენებულ ტკივილს, საყვარელო შვილო, კარგო მეუღლევ, სანატრელო, ორი ვაჟის მამავ და ძვირფასო ძმავ.

ვლოცულობთ შენთვის, რომ სასუფეველი გქონდეს დამკვიდრებული, უკუნითი უკუნისამდე. შენ დავიწყება არასოდეს გიწერია, ჩვენო სანატრელო გია.

*შენი დამწუხრებული ოჯახი*

## ლაშა და ვალერი გოგინაშვილების დიდი მონატრება





*„ცრემლის ზღვა დაღვა მილიონების, ჩემო ლაშა და ჩემო ვალერი, არ დაიჯერებთ, არ დაიჯერებთ, ჭირისუფალი იყო რამდენი".*

ჩემო ლაშა, ჩემო ვალერი, ჩემო უსაყვარლესო ბიჭებო, თქვენი მონატრება უსაზღვროა. მაინც მოვიდა თქვენი უბედურების დღე 11 აგვისტო, რისი გახსენებაც არ გვინდა. უკვე ორმა წელმა განვლო. გაუსაძლისია სიცოცხლე უთქვენოდ თქვენი მშობლებისთვის, ახლობლებისა და ჩვენთვისაც – თქვენი მასწავლებლებისთვის, პირადად ჩემთვის. სულ თქვენზე ვფიქრობ. არ მჯერა, რომ თქვენ აღარ ხართ. ყველგან დაგეძებთ, ზოგჯერ ქუჩაში მიგამსგავსებთ ვიღაცას, მაგრამ თქვენნაირი ვერავინ მიპოვია, ჩემო ლამაზებო, ჭკვიანებო, თავმდაბლებო. მიჭირს თქვენეულ საკლასო ოთახში შესვლა, ორი წელია, არ შევსულვარ. ლაშა, შენ უკვე დაამთავრებდი სამედიცინო ინსტიტუტს და ექიმი იქნებოდი. ვალერი, შენ მესამე კურსის სტუდენტი იქნებოდი, მაგრამ სტუდენტობა არ გეღირსა. თქვენს თავს გეფიცებით, არც ერთი დღე არ არსებობს ჩემთვის თქვენი ცრემლიანი გახსენების გარეშე. ყველაფერს ჰქონია საზღვარი, მონატრებას კი – არა. გჯეროდეთ, ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ჩემი გულის ერთ კუთხეში თქვენი მარადიული სიყვარული და ხსოვნა, რომლის თქმაც ესოდენ მიჭირს, სამუდამოდ დაისადგურებს...

*თქვენი მასწავლებელი – ნელი გურამშვილი, ნუკრიანის №1 საჯარო სკოლის დირექტორი*

## ნოდარ ნანობაშვილის ხსოვნას!



უკვე მიილია ტკივილით აღსავსე 5 წელი, მაგრამ მრავალი 5 წელიც ვერაფერს დააკლებს შენს ხსოვნას ჩვენს გულებში. შენ იყავი ყველასთვის კარგი ადამიანი, ნამდვილი ქართველი კაცი, მოსიყვარულე მშობელი და ბიძა. დაგვაკლდი ყველას, განსაკუთრებით ოჯახს და ახლობლებს. ჩვენს გულებში არსებული ხსოვნა და ჩვენ მიერ დანთებული სანთლები გინათებდეს მუდამ სულს.

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

*დისშვილი – ვალერი ბახტურიძე*

## ლაშა ქარჩავას ხსოვნას!



ლაშა, ძალიან მოგვენატრე.

შენი სიკეთით სავსე გული დღესაც სიკეთეს იმკის უშენოდ.

გვახსოვხარ და არასოდეს დაგივიწყებთ.

*ვარდო დეიდა*

## დათო ბეგლარაშვილის ხსოვნას!



ჩემო ლამაზო შვილო დათო, 9 აგვისტოს 24 წელი შეგისრულდებოდა. უკვე მესამე წელია, შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით. საშინელმა დაავადებამ დაგვაშორა მე და შენ ერთმანეთს, შენმა ულმობელმა ბედისწერამ 20 წელიც კი არ გაიმეტა სრულად შენთვის. რა ძნელია ერთადერთი შვილის დაკარგვა უნუგეშო დედისა და მამისთვის. ყოველი დღე ჩემთვის ცრემლიანია. რაც დრო გადის, მონატრების სურვილი უფრო მძაფრდება. შენი დაბადების დღის საჩუქარი, 9 აგვისტოს, სანთელი და 24 ცალი ვარდია. სიცოცხლისა და მხიარულების მაგივრად, მწარე ცრემლები დაგვყვება.

რა ვუყოთ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია?! ეს ტკივილი კი არასოდეს განიკურნება. ოღონდ მიხმე, შვილო და გჯეროდეს, რომ არც დავფიქრდები, მოვალ.

გვენატრები ძალიან.

*შენი უბედური დედა და მამა*

## უშანგი მეტრეველის ხსოვნას!



ჩემო უშანგი! დაბადების დღეს გილოცავთ. შენ და ჩემი გია უჩემოდ აღნიშნავთ ამ დღეს. მაპატიეთ უთქვენობა, შვილებო!

*შენი ვარდო დეიდა*

## ნიკა მაკალათიას გახსენება



შვილო ნიკა, მესამე დაბადების დღე დგება შენი, რომელსაც უშენოდ ვხვდებით.

18 წლის ვაჟკაცი იქნებოდი, რომ არა ის წყეული ადამიანი, რომელმაც გამოგასალმა წუთისოფელს. გილოცავ, შვილო, დაბადების დღეს. მიჭირს, ძალიან მიჭირს უშენოდ ყოფნა, მაგრამ რა ვქნა... ვეცდები, შენზე ტკბილ-მწარე მოგონებებით გავატაროთ ეს დღე. შვილო, ქუჩაში მიმავალს, სულ შენი სახე მელანდება. ყველა პატარა ბიჭში მინდა შენი სახე ამოვიცნო, შენ მიგამსგავსო – ხან თმით, ხან ტუჩებით, ხან შენი ლამაზი ღიმილით, მაგრამ ვაი, რომ არსად არ ჩანხარ, შვილო.

ჩემო ანგელოზო და ლამაზო, დიდი სითბო და სიყვარული გვაჩუქე და ამ დროს დიდი ტკივილი დაგვიტოვე. ყველას ენანება შენი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე. იმდენი სითბო და სიყვარული გაეცი, უცრემლოდ ვერავინ გიგონებს. ჩემო ალალო და მართალო შვილო. მთელი ცხოვრება ისე ჩქარობდი, ცოლიც ადრე – 15 წლის ასაკში გინდოდა მოგეყვანა. ალბათ ყველაფერი გინდოდა მოგესწრო, მაგრამ არ დაგაცადა დაუნდობელმა ბედისწერამ. არ არსებობს ნუგეში შვილმკვდარი დედისთვის, ვერც დრო და ჟამი კურნავს გულის იმ ნაწილს, რომელიც შენ გეკუთვნის.

ჩემო შვილო ნიკა, ძალიან მალე მიილია შენთვის ნაბოძები წუთისოფელი. სიკეთით და სითბოთი გამორჩეულს, ყველაფერში პირველს, უფალმა მარადიული ბავშვობა გარგუნა, ხოლო შენს დედას – მოურჩენელი ტკივილი და იარა, რომელიც შენთან მოსვლამდე არ მოურჩება. შენს დაბადების დღეზე მუდამ ძმაკაცებთან და შენს მეგობრებთან ყოფნა გინდოდა. ერთი წუთითაც არ ავიწყდები შენს მეგობრებს, ახლაც მოვლენ შენს საფლავთან, ყვავილებით შეამკობენ შენს სურათს, სანთლებს დაგინთებენ და ილოცებენ შენზე, შენს სულზე, რათა გზა გაგინათონ მარადისობაში. ნუგეშად მე და შენ ძმას გვრჩება შენი სახელი, რომელსაც შენი ძმისშვილი – პატარა ნიკა აგრძელებს.

ილოცე, შვილო, შენი ძმისშვილების ბედნიერებისთვის. ჩვენ კი ვილოცებთ შენი კეთილი სულისთვის. უფალს ვთხოვთ, სიმშვიდე მოუტანოს შენს ლამაზ სულს და დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

*შენი დატანჯული დედა*

## ილია-ბადრი ტატუაშვილის მონატრება.



შვილო, დედა მოგიკვდეს, როგორ მიმძიმს ასეთი მოგონება.

უსაზღვროდ მენატრები, მენატრები, მენატრები ძალიან, ჩემო ნამდვილო ბადრო, ლამაზო, ანგელოზო, დახატულო, ყველანაირად კარგო და მშვენიერო. შვილო, რა ბედნიერი ვიყავი და როგორ გამაუბედურე. მეშინია 9 აგვისტოს მოახლოება, ზღვაზე არ წახვიდე და არ მომიკვდე. 2 წელი ხდება, შვილო, რაც უშენოდ ყოველი წუთი და წამი ჩემთვის მწარეა. ხომ ვიცი, შვილო, რომ ძალიან გენატრები, ამიტომ გთხოვ, მალე წამიყვანე შენთან, მეც ძალიან მენატრები. ძნელი ასატანია უშენოდ სიცოცხლე მშობლისთვის, და-ძმისა და ყველა ახლობლისთვის. მარტო შენი სილამაზის ცქერა ღირდა ერთ რამედ, რომელსაც შენ 34 წელი და 7 თვე დაატარებდი, ყველასგან გამორჩეულო შვილო. ამიტომაც ღმერთმაც ამოგარჩია, მოგიკვდეს დედა – ბადრი. შენს სახელს შემოევლოს შენგან დაჩაგრული დედა. სანამ მე ცოცხალი ვარ, ყოველი წუთს ჩემს გულში ხარ და არაფერს მოგაკლებს უბედური დედაშენი. არ მინდა შენთან საუბრის გაწყვეტა, ასე მგონია, მოსკოვში ვგზავნი ამ პატარა ბარათს, მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის. რაღა ვქნა, რა მეშველება, ჩემო შვილო, უშენოდ, რატომ არ ვგიჟდები, მიკვირს.

ჩემო შვილო, ჩემო ბადრი, უფალს ვევედრები, შენთვის დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სამუდამო სასუფეველში.

გკოცნი.

*შენი გამწარებული დედა*

## გელა ხაბელაშვილის მონატრება



ჩემო საყვარელო და მარად მონატრებულო შვილო, უკვე ექვსი თვეა, დღე არ თენდება შენზე ფიქრისა და დარდის გარეშე. ყველგან შენ დაგეძებ, ვერ ვეგუები შენ გარეშე ყოფნას.

მოგიკვდეს დედა!. რა ბედნიერი მეგონე და რა უბედური ყოფილხარ, დედიკო. როგორ მალე დაბნელდა შენი წილი მზე. შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა უფალმა, მე კი – მარადიული გულისტკივილი, მწარე, ცრემლიანი სიცოცხლე და შენი ლამაზი სურათების მოფერება.

გელიკო, სიზმრად მაინც მომევლინე, რომ მოგეფერო, შვილო. ძალიან მენატრები, ჩემო კეთილო შვილო.

შენ დავიწყება არ გიწერია, დედი – ჩემო დიდო დარდო, ტკივილო და სიყვარულო.

*შენი დედი*

შპს „ელვა სერვისის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ორგანიზაციის თანამშრომლის, როზა თოდუას მეუღლის

**მინდია ვაჟიკოს ძე ბერიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ავერი ესართიას ოჯახი იუწყება **საშა ალექსანდრეს ძე კილაძის** გარდაცვალებას.

# ვერცხლისწყალი და პოლტერგეისტი



1852 წელს მოსკოვიდან ჩერნიგოვში ჩავიდა ცნობილი მეუფე, გერმანული ექიმი ჰანს კროეგერი. მან ერთი პატარა ოთახი დაიქირავა და საქმეს შეუდგა. მალე მისი პრაქტიკა ისე გაიფურჩქნა, რომ მოზრდილი სახლი შეიძინა და მსახურებიც დაიქირავა. ქუდებს მკრავებს აკეთებდნენ, თვითონ კი მხოლოდ სამოლოო საქმეს — ქუდების დასრულებისთვის ხელით აწობდა აკეთებდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან საქმეში დასრულების იმალებოდა საიდუმლო, რომლის გამჟღავნებაც სახელგანთქმულ მექუდეს კონკურენტებს გაუჩენდა და შემოსავალიც დაიკლებდა. ამიტომ ჰანსი სამუშაო ოთახის სარდაფში სამალავში ინახავდა ძვირფას კომპონენტებს — ვერცხლისწყლით სავსე ბოთლს და ოქროსფერ ფოლგის ფირფიტებს. ერთხელ, როცა შინ არ იყო, ბორომომქმედმა ფოლგა მოპარეს, ვერცხლისწყლიანი ბოთლი კი გატეხეს. ყოველდღე აგროვებდა კროეგერი იაფაზე ბურთულებად მიმოფანტულ ვერცხლისწყალს და ამ დროს არავის უშვებდა ოთახში. თითქმის შეეგროვა, მაგრამ ვერცხლისწყლის ნაწილი იატაკის ღრმულებში ჩაიღვარა და მისი ამოღება ოსტატმა ვერ შეძლო. ქურდების შიშით კროეგერმა სამუშაო ოთახში მოიწყო საძინებელიც. მალე მსახურები აბუზღუნდნენ — მიიღეს ოსტატს ხასიათი შეეცვალა, ნერვიული და შარიანი გახდაო...

კროეგერი ბევრს მუშაობდა, დილიდან დაღამებამდე იჯდა და ქუდებს საბოლოო მოსართავით ალამაზებდა. მხოლოდ ხანდახან თუ მოიცლიდა გარეთ გასასეირნებლად და ისიც იმისთვის, რომ პოლიციამისთვის შესაფერისი ადგილები მოენახა. მალე მოიკავე და ცოტა სახლში გამოსვლა და სპილოს ძვლის ყუთში მოკეტებული საკეთებელი ხელში დაჭერით. საიდუმლოს არავის ეუბნებოდა. მისი ბინიდან არ გამოდიოდა. მოსამსახურეები სარდაფში ჩასვლას ვეღარ ბედავდნენ. ამბობდნენ, სარდაფიდან ღამე ხმაური და კვნესა ისმოდაო. ხმამ მთელ ქალაქს მიაღწია და ჩერნიგოველები შეშინდნენ. რაღაცნაირად ქუდის მოსარჩენად კროეგერს სახელი გაუტყდა, ოსტატს ვერანაირი მოღვაწეობის მოლოდინი აღარ ჰქონდა. რომ ისიც უცხო ადგილას წავიდა და ჰანსმა ქუდების შეკერვა მიატოვა, მაგრამ ფულიც არ შეარჩა: ქალაქში დარჩენილი პოლტერგეისტი ყოველ ღამე ხმაურობდა, ჭურჭელს ამტვრევდა და უცნაურ ხმებს გამოსცემდა. ღარიბების ოჯახები ზურგს აქცევდნენ. — კროეგერი უბადლო ოსტატობით ემსგავსებოდა, ამიტომ მისი სიკვდილის შემდეგ კროეგერის სახლი დაცარიელდა. ეს მისი დისშვილის მატილდა კლაინის ნაამბობმაც დაადასტურა:

— გრუზათმიანი ძია ჰანსი თვალის დახამხამებაში გამელოტდა, ჯანმრთელი კბილები დასცვივდა, კანიც აქერცლა. მუდმივად მოჩვენებები დასდევდა. ის ხედავდა, სხვები — ვერა, მაგრამ დადგა დრო და ჩვენც დავინახეთ, თანაც ისეთი რამ დავინახეთ, ძნელად რომ დაიჯერო: ერთ ადამიანს უმშვიდესი სახით ძალით ბავშვები ძალა დაუწყეს ამოხვევას და ძლიერად ყვიროდნენ. მალე პოლიციამ მისი ბინა ჩაკეტა, ოთახი კი ჩვენ არ დაგვიბრუნდა.

ჩერნიგოვში მომხდარი ამბავი რუსეთში დაფიქსირებული ერთადერთი შემთხვევა არაა, რომელშიც პოლტერგეისტის არსებობა გამოვლინდა. იგი პირდაპირ უკავშირდება ძლიერ შხამს, ვერცხლისწყლის ზემოქმედებას. შუა საუკუნეებში მოიგონებდნენ, ამ შხამს მკურნალები იყენებდნენ და ხშირად სიცოცხლეს საგიჟეებში ასრულებდნენ, აქტიურ მეცნიერებს კი ჰქონდათ მსგავსი ცდები.

1979 წელს ქველმოქმედმა ანტიკვარმა ინგლისის ერთ-ერთ უნივერსიტეტს ისააკ ნიუტონის თმის ნიმუში გადასცა. ანალიზმა ცხადყო, რომ ის დიდი ვერცხლისწყალს შეიცავდა. თანამედროვე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნიუტონის ცხოვრების ბოლო წლებში გენიალურმა ნიუტონმა თავი დაანება მეცნიერებას და წერილებს სწერდა ღმერთს, თანაც ირწმუნებოდა, რომ პასუხებსაც იღებდა...

**ნლო**

## „საზალდო–სალადო“ გვერდის პასუხები

I. საზამთრო

II. ა–7, ბ–6, გ–5, დ–4, ე–1, ვ–3, ზ–2.

III. აბა, გამოიცანი:

1. — ბ); 2. — ა); 3. — ა); 4. — ბ);

IV. მე–3 გზით.

# აზრთა მკითხველი...

— ცხრა წლის წინ ავარიაში მოვყევი, — გვიამბობს ბატონი ავთანდილი, — გამიტყდა თავის ქალა, ტვინი დამიზიანდა და რამდენიმე თვეში სიმსივნეც განმივითარდა. ოპერაცია გავიკეთე მოსკოვის ცნობილ ნეიროქირურგიულ ცენტრში. ორი კვირა უგონოდ ვიყავი აპარატურაზე მიერთებული და გონს რომ მოვედი, სწორედ მაშინ აღმოვაჩინე უჩვეულო უნარი — თავის ქალის შიგნით ისეთ შიშინს ვგრძნობდი, რადიოტალღები რომ აირევა ხოლმე. შიგადაშიგ მესმოდა ხმები, მუსიკაც. ორი-სამი დღის შემდეგ კი ჩემს ტვინში თითქოს „ტალღები დაიწმინდა“ და დილის შემოვლაზე იმ ექიმისგან, აპარატურის მონაცემებს რომ ამოწმებდა, „გავიგონე“ — ახლა კი სიკვდილს დაუძვრაო.

— გმადლობთ, ექიმო-მეთქი, — ვუთხარი გახარებულმა. გაკვირვებულმა შემომხედა — რისთვის მიხდი მადლობასო.

— ახლა არ თქვით, სიკვდილს გადაურჩაო?!

— ეგ მხოლოდ გავიფიქრე, არ მითქვამს, — ინტერესით შემომხედა ექიმმა, მერე ექთანს მეორე ექიმი მოაყვანინა და უთხრა: — შენი ნაშრომისთვის, ვფიქრობ, ეს ავადმყოფიც გამოდგება, აშკარად კითხულობს სხვის აზრსო.

მოკლედ, თავის ქალის ტრეპანაციის და ტვინზე ჩატარებული ოპერაციების შემდეგ — 15-20 შემთხვევიდან ერთს მაინც აღენიშნებოდა თურმე მგრძნობელობის გააქტიურება. ძირითადად მანამ ინარჩუნებდნენ თურმე ავადმყოფები ამ უნარს, სანამ ელექტრონულ აპარატურაზე იყვნენ მიერთებულები, თითქოს არაბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ტვინი იმ აპარატურას ანტენის მსგავსად იყენებდა და სხვათა აზრებს „იჭერდა“...

ექსპერიმენტი ჩაატარეს და უშეცდომოდ შევძელი სხვათა ნააზრევის „ამოკითხვა“. მამშვიდებდნენ, — უსიამოვნო შეგრძნებებისგან მალე გათავისუფლდებიო... ძნელია, როცა სხვების აბსურდული ნააზრევი გესმის, რომელიც არც გაინტერესებს და ისეთ შეგრძნებებს გიჩენს, თითქოს წნევა გაქვს მომატებული, გულისცემა, პულსი იმატებს და თავს სიცხიანივით გრძნობ. ყოველ შემთხვევაში, მე ცუდად ვხდებოდი და ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა აპარატურიდან მოხსნის შემდეგ სხვათა აზრებს ველარ ვკითხულობდი.

რამდენიმე თვეში კი აღმოვაჩინე, რომ აზრების წაკითხვის უნარი ნაწილობრივ შემინარჩუნებია. გავცივდი, გრიპი დამემართა და სიცხემ 39-40°-მდე ამიწია. ვერაფრით დამიგდეს და სწორედ იმ პერიოდში ახლობლების ყველა ნაფიქრი ამოვიცანი...

მოკლედ, თუ გავცივდი და სიცხემ 39 გრადუსამდე მაინც ამიწია, უჩვეულო უნარს ვიძენ. ამის შესახებაც ვაცნობე ჩემს მოსკოველ ექიმებს, კონსულტაციაზეც ჩავედი ხუთი წლის წინ, შეეცადნენ ჩემს „განკურნებას“, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მსგავსი შემთხვევა მეცნიერებაში ჯერ არ გამოუკვლევიათ. შევეგუე ჩემს ხვედრს. კიდევ კარგი, ხშირად არ ვიცი გაცივება და სიცხე.

**ინა დარახველიძე**

# რწმენა თუ სასწაული?!

— მხოლოდ თვითმხილველთა მოგონებები ადასტურებს, რომ ჩემი პაპიდა იულია უჩვეულო ძალის თუ ნიჭის მფლობელი იყო, — გვიყვება ქალბატონი ანა მაჩაიძე, — იგი ღრმად მოხუცი გარდაიცვალა, 94 წლისა. არადა ისეთი სუსტი დაბადებულა, არავის ეგონა, თუ ჩვილობაში არ დაიღუპებოდა — იშვიათი დაავადება ჰქონდა, სიმაღლეში ზრდაც კი შეჩერებია. ეპილეფსიით იტანჯებოდა კარგა ხანს, სანამ თავად არ უშველა თავს. ეს კი მაშინ მომხდარა, როცა 16 წლისა გამხდარა და მორიგი გულყრის შემდეგ ახლობლებისთვის უთხოვია ნიკორწმინდის ტაძრის ეზოში მიყვანა. ჩოქვით შემოუვლია ტაძრისთვის და თან კედლის ძირში ამოსული ბალახი და ხავსი მოუგროვებია, შინ მოსულს ყველაფერი მოუხარშავს, ნაყენს ყოველ დილით უზმოზე სვამდა, რის შემდეგაც ეპილეფსიას აღარ შეუწუხებია. რა თქმა უნდა, გავარდა ხმა მთელ რაჭაში. ბევრი ეხვეწებოდა თურმე წამლის დამზადებას, მაგრამ იფიცებოდა, რომ ნაყენი სხვას არ არგებდა.

ძალიან განიცდიდა თურმე, სხვების შველა რომ არ შეეძლო. ახლობლების დახმარებით პატარა სამლოცველო აუგია იმ დროს, როცა ეკლესიაში შესვლის გამოც კი სასტიკად სჯიდნენ ხალხს, მაგრამ რადგან იულიას ჭკუასუსტად მიიჩნევდნენ, არ შეუშლიათ მისთვის ხელი. ისიც იმ სამლოცველოს პატარა ოთახში გადასულა საცხოვრებლად, ცოტა ხანში კი ახლობლებისთვის განუცხადებია: — ბევრნაირი ავადმყოფობისგან შემიძლია ხალხის განკურნება, ოღონდ ერთი პირობით, როცა სნეულს მომიყვანენ, თან მფარველი ანგელოზიც უნდა ახლდეს. თუ ვერ დავინახე, ე.ი. მიუტოვებია მხსნელს და მეც ვერაფერს ვუშველიო.

თავიდან ბოდვად მიუჩნევიათ იულიას ნათქვამი. მერე ჩემს უმცროს ბიძას შეჰყრია უცნაური სენი. მომაკვდავი ძმისშვილის დანახვაზე იულიას განუცხადებია: — ანგელოზი გვერდით ჰყავს, არ მოკვდებაო და ავადმყოფთან მარტო დარჩენა მოუთხოვია. მთელი ღამე ლოცვაში გაუტარებია, დილით კი კომში მოუხარშავს, მისი წვენი შავ ღვინოში აურევია, ავადმყოფისთვის დაულევინებია და ერთ კვირაში დაუყენებია ფეხზე. წამალს ყოველთვის ხილისგან, ბოსტნეულისგან, ყვავილებისგან და ბალახებისგან ხარშავდა. ერთი და იმავე ავადმყოფობის დროსაც კი სხვადასხვა ნაყენს ამზადებდა — ერთი და იგივე „წამალი“ არასდროს არჩენდა ორ კაცს...

დიდად მორწმუნე იყო და სწორედ ამ რწმენით ახდენდა სასწაულებს, თორემ ისეთი შემთხვევაც ყოფილა, ჩვეულებრივი ატმის კომპოტით ან ვაშლის პიურეთი მოუბრუნებია მომაკვდავი...

იულია 1997 წელს გარდაიცვალა და როცა ავად გახდა, წამალი აღარ გაიკარა: — ჩემს ანგელოზს ველარ ვხედავ, როგორც ჩანს, სიკვდილის დრო მომივიდაო და ორიოდე დღეში მართლაც გარდაიცვალა.

**ინგა ჯაყელი**

# იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

**წინა კროსვორდის პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 3 | 4 | 6 | 9 | 8 | 2 | 5 |
| 9 | 8 | 6 | 7 | 5 | 2 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 2 | 5 | 8 | 3 | 1 | 7 | 9 | 6 |
| 6 | 5 | 9 | 3 | 1 | 4 | 2 | 7 | 8 |
| 1 | 4 | 7 | 5 | 2 | 8 | 3 | 6 | 9 |
| 8 | 3 | 2 | 6 | 9 | 7 | 5 | 1 | 4 |
| 5 | 9 | 8 | 2 | 7 | 6 | 1 | 4 | 3 |
| 2 | 6 | 4 | 1 | 8 | 3 | 9 | 5 | 7 |
| 3 | 7 | 1 | 9 | 4 | 5 | 6 | 8 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 1 | 9 | 2 | 3 | 6 | 8 | 4 |
| 2 | 9 | 3 | 6 | 8 | 4 | 7 | 5 | 1 |
| 4 | 8 | 6 | 7 | 5 | 1 | 2 | 3 | 9 |
| 3 | 1 | 7 | 8 | 4 | 9 | 5 | 6 | 2 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 1 | 2 | 8 | 9 | 7 |
| 8 | 2 | 9 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 |
| 9 | 6 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 | 2 | 5 |
| 1 | 7 | 8 | 2 | 3 | 5 | 9 | 4 | 6 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 9 | 6 | 1 | 7 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 3 | 6 | 1 | 7 | 5 | 8 | 2 |
| 2 | 7 | 6 | 5 | 9 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 8 | 5 | 1 | 4 | 3 | 2 | 7 | 9 | 6 |
| 5 | 2 | 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 |
| 7 | 1 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 8 | 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 8 | 2 | 9 | 5 | 1 | 6 | 4 | 7 |
| 1 | 6 | 5 | 8 | 7 | 4 | 9 | 2 | 3 |
| 4 | 9 | 7 | 2 | 6 | 3 | 1 | 5 | 8 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 3 | | | 9 | 2 | 1 |
| | 2 | | 4 | 6 | 1 | 7 | | |
| 3 | 1 | 7 | 9 | | | 6 | | |
| 9 | | | 7 | 3 | 2 | | 1 | 4 |
| 2 | 3 | 1 | | 8 | | 5 | 7 | 9 |
| 7 | 4 | | 1 | 5 | 9 | | | 2 |
| | | 3 | | | 6 | 1 | 9 | 7 |
| | | 4 | 8 | 1 | 7 | | 5 | |
| 1 | 7 | 2 | | | 3 | | 8 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 4 | | 7 | | | | 6 |
| | | | 8 | 6 | 3 | | | 4 |
| | 5 | 8 | | | | 7 | | 3 |
| 9 | 7 | 3 | 6 | | 1 | | | |
| | 6 | | 2 | | 8 | | 7 | |
| | | | 4 | | 7 | 6 | 3 | 5 |
| 5 | | 6 | | | | 4 | 1 | |
| 8 | | | 5 | 4 | 9 | | | |
| 7 | | | | 1 | | 5 | 2 | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | 2 | 7 | | | |
| 9 | 6 | 5 | | | | 7 | | |
| | | | 3 | | | 8 | 1 | 9 |
| 2 | 4 | 9 | | 3 | | | | |
| 3 | 1 | | | 9 | | | 7 | 6 |
| | | | | 1 | | 9 | 3 | 4 |
| 1 | 8 | 7 | | | 3 | | | |
| | | 4 | | | | 3 | 5 | 8 |
| | | | 8 | 4 | 2 | | | |

# №32 (514) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**თემა №32(514) — ქართული კურორტები**

**თქვენი აზრით, საქართველოს რომელი კურორტი გამოირჩევა ყველაზე სასარგებლო ჰავით** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

| № | თემა №32(514) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ურეკი | |
| 2 | ბორჯომი | |
| 3 | შოვი | |
| 4 | ბაკურიანი | |
| 5 | ქობულეთი | |
| 6 | ბახმარო | |
| 7 | მანგლისი | |
| 8 | აბასთუმანი | |
| 9 | სურამი | |

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

## მკითხველის რეიტინგი

რომელი ჩინოვნიკის, პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაცია გაინტერესებთ ყველაზე მეტად?

✓ ______________________

## მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

დაასახელეთ შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**№32(514)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 9 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 10 აგვისტოს 13 საათამდე.**

©თბილისი

**ყურადღება!**

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში".
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.
- „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

# №31 (513) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 416 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 158-მა ქალმა და 253-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ბოლო პერიოდის ყველაზე სკანდალური მოვლენა საქართველოში?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ბოლო პერიოდის გახმაურებულ მოვლენათა შორის ყველაზე სკანდალური კოდორის ინციდენტია, რესპონდენტთა 79%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. საშუალო ქულაა **7.44.**

შემდეგ ადგილზე „სანდრო გირგვლიანის მკვლელობის სასამართლო პროცესია". რესპონდენტთა დაახლოებით 10% მიიჩნევს მას ყველაზე სკანდალურ მოვლენად. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა (1.3%) სწორედ ამ მოვლენამ დაიმსახურა.

ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ფაქტად შეფასდა „ირაკლი ბათიაშვილის დაკავებაც". საშუალო ქულაა 5.19.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ სკანდალებთან შედარებით უხმაურო ჩანს „ოპოზიციური პარტიების ბოიკოტი „რუსთავი 2-ს", რესპონდენტთა 1.1%-მა შეაფასა ეს ფაქტი მაქსიმალური ქულით, მინიმალური შეფასება კი 61%-სგან დაიმსახურა. 1.78 საშუალო ქულით ეს მოვლენა ბოლო ადგილზეა.

საპრიზოს ზუსტად სამი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 44 წლის **გია სერებრიაკოვი,** 54 წლის **კობა მიქაძე** და 58 წლის **ზურაბ ლომსაძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, 17 საათზე




# გამოავლინეთ ნომრის საუკეთესო სტატია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი მოგეწონათ და არ მოგეწონათ ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **30 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **25 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **20 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

**ნინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:**

1. **ვაჟა გავაშელი** — „ლეგენდარული თაღლითი ბრილიანტის კვალდაკვალ" — 51 ხმა
2. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 28

3-4. **ხათუნა პაიჭაძე** — „ქართველი ბავშვის ტრაგედია, რომელმაც მსოფლიო შეძრა" — 24

3-4. **ხათუნა პაიჭაძე** — „შავბნელი ისტორია ბომბივით გასკდება?" — 24

5. ეკა ლომიძე — „კვიციანი იარაღით რუსებთან ერთად ვაჭრობდა?!" — 18

*მკითხველის პრემიის მფლობელები 261-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

**მიიღეთ მონაწილეობა «მკითხველის პრემიაში»! მხარი დაუჭირეთ თქვენს ფავორიტს!**

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

**(32) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწერეთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№32 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 10 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## დამატებითი კითხვის შედეგი

**თქვენი აზრით, მხარს უჭერდა თუ არა ირაკლი ბათიაშვილი შეიარაღებულ ამბოხებას?**




*დამატებით კითხვას 326-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ცნობილთა აზრით:



**გია ბურჯანაძე:** — არა, ნამდვილად არ მჯერა, რომ ამ სისულელეში, რაც მოხდა კოდორის ხეობაში, ირაკლი მონაწილეობდა. ჩემი აზრით, ეს ბრალდებაც ისეთივე მოგონილია, როგორიც ბევრი სხვა გახმაურებული საქმე.



**გოგა ხაინდრავა:** — ძალიან მიჭირს პასუხის გაცემა, რადგან ძნელი დასაჯერებელი და წარმოსადგენია ირაკლის მონაწილეობა ან მხარდაჭერა შეიარაღებულ ამბოხებაში. რაც უფრო მეტს ვფიქრობ და ვაანალიზებ ამ ფაქტს, უფრო „არას" თქმისკენ ვიხრები.



**გია ბუღაძე:** — რთულია პასუხის გაცემა, მაგრამ თავად ირაკლი ბათიაშვილის აღსარებას თუ გავიხსენებთ, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხის მხარდაჭერას რომ ნანობდა, შეიძლება დავუშვა, რომ ახლაც შეცდა. იგი არასწორად მოიქცა. ნაცვლად იმისა, კვიციანისთვის იარაღის დაყრა ეთხოვა, პირიქით, აქეზებდა. ამბიცია და წყენა ასეთ შემთხვევაში ადამიანმა უნდა დაივიწყოს. საქმე ხომ ქვეყნის ღირსებასა და სტაბილურობას ეხებოდა.

**მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებს და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.**

## მსოფლიო რეიტინგები

# მსოფლიოს ყველაზე მდიდრული მამულები

ჟურნალმა Forbes-მა მდიდრული მამულების სია გამოაქვეყნა.

დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მდიდრული Updown Court-ია (უინდლშემში, უინძორების სასახლის მახლობლად). შენობა, რომელშიც 103 ოთახი და 5 აუზია, 139 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

სიაში მეორე ადგილზეა რანჩო Starwood



Estate მალალმთიან ასპენეში, რომელიც საუდის არაბეთის ყოფილ ელჩს აშშ-ში, პრინც ბანდერ ბენ სულთანს ეკუთვნის. შენობა 135 მილიონ დოლარად იყიდება.

შემდეგ პოზიციაზეა Maison de L'Amitie პალმ-ბიჩი — ეს მამული ამერიკელმა მილიარდერმა დონალდ ტრამპმა 2004 წელს შეიძინა 41, 25 მილიონ დოლარად, ამჟამად კი 125 მილიონ დოლარად იყიდება. მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული მამულებისა და აპარტამენტების ათეულში შედის ერთი მდიდრული შენობა ლონდონში, დანარჩენები კი აშშ-ში, ძირითადად, კალიფორნიაში მდებარეობს.

## სუპერბრენდები

კომპანია Harris interactive-მა საუკეთესო ბრენდები გამოავლინა. აშშ-ის მოსახლეობამ საყვარელი ბრენდები დაასახელა. ხმების დიდი რაოდენობა მიიღო Sony-მ



(ელექტროსაქონლის მწარმოებელი იაპონური კორპორაცია), რომელიც ამ რეიტინგში ზედიზედ უკვე მეშვიდე წელია, რაც იმარჯვებს. მეორე ადგილზეა — DELL-ი (კომპიუტერული ტექნიკა, აშშ), მესამეზე — Coca-Cola (გამაგრილებელი სასმელები, აშშ).

პირველ ათეულში აგრეთვე შევიდნენ: Ford-ი (ავტომობილი, აშშ), Honda (ავტომობილი, იაპონია), Hewlett Packard-ი (კომპიუტერები, აშშ), General Electric-ი (ელექტროსაქონელი, მანქანათმშენებლობა და ა.შ. აშშ), Kraft Foods-ი (საკვები პროდუქტები, აშშ) და Apple-ი (კომპიუტერები, აშშ). მომხმარებელი ასევე ენდობა მარკებს — Chevrolet-ი (ავტომობილი, აშშ), Panasonic-ი (საყოფაცხოვრებო ტექნიკა, იაპონია), Pepsi Cola (გამაგრილებელი სასმელი, აშშ), Nike-ი (სპორტული საქონელი, აშშ).

ბრიტანეთში კი კომპანია Superbrands Ltd-ის ექსპერტთა საბჭომ მომხმარებლის ხმის მიცემის საფუძველზე და დეტალური ანალიზის




ჩატარების შედეგად გამოაქვეყნა იმ 500 კომპანიის სია, რომელთაც უზადო რეპუტაცია აქვთ და მომხმარებელს ისეთ პროდუქციას სთავაზობენ, რომელსაც სხვა ბრენდებთან შედარებით, მატერიალური და ემოციური უპირატესობა აქვთ. პირველ ადგილზე Microsoft-ია, მეორეზე — BBC-ი, ხოლო მესამე ადგილზე British Aairways-ია. Mercedes-Benz-ი მეოთხე ადგილზეა. ათეულს კი ამერიკელების მიერ სუპერბრენდად აღიარებული Sony-ი ასრულებს.



*უხსოვარ დროში ზღვის ქაფისგან იშვა ქალღმერთი აფროდიტე. ორასი წლის წინ ის კვლავ მოევლინა ქვეყნიერებას, მაგრამ არა ქაფიდან...*

1820 წლის ზამთარში, საბერძნეთის კუნძულ მილოსს თავს დიდი ქარიშხალი დაატყდა. ორი დღე ბობოქრობდა ეგეოსის ზღვა. ზვირთებმა სანაპიროზე მეთევზეთა ნავების ნამსხვრევები და გვამები გამორიყა. მათ შორის, მეთევზე იორგას ბუტონისის მეუღლე პონტიაც აღმოჩნდა. საცოდავი — ავადმყოფი ქმრის მაგივრად გავიდა ზღვაში და...

ეკლესიაში დასვენებულ ქალს მეზობლები გაკვირვებული დაჰყურებდნენ და პირჯვარს იწერდნენ: — ორი დღე ტალღებმა აბურთავა, ეს კი ასეთი ლამაზი სიცოცხლეშიც არ ყოფილა, ნამდვილი ღვთაებააო, — ჩურჩულებდნენ. ტყუილად კი არ ერქვა პონტია — სიყვარულის ღმერთის ერთ-ერთი სახელი — აფროდიტე პონტია — ე.ი. ზღვისა.

გაზაფხულის ერთ მოქუფრულ დღეს იორგასი თავისი პატარა ნაკვეთის დამუშავებას შეუდგა. უეცრად სახნისი რაღაცას წამოედო... მერე შიშით გაქვავებულს ფეხქვეშ მიწაც გამოეცალა. ორმოს ჩახედა. ფსკერზე რაღაც თეთრად ანათებდა. ნამდვილად განძიაო, — გაიფიქრა, კუნძულზე ხომ ადრე მეკობრეები ბატონობდნენ. ამასობაში ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და ბუტონისმა მშვენიერი ქალის, ნამდვილი ქალღმერთის ქათქათა მარმარილოს ქანდაკება დაინახა.

იორგასი შინ გაიქცა, ვაჟიშვილს და დისწულს მიახარა — ისეთი რამ ვიპოვე, ახლა ნამდვილად გავმდიდრდებითო.

როგორც კი დაღამდა, სამივემ ორმოს მიაშურა... დიდი წვალებით მხოლოდ ქანდაკების ზედა ნაწილის ამოღება შეძლეს და ქოხში წაიღეს, ქვედა ნაწილს კი ძვრა ვერ უყვეს. შეწუხებულმა იორგასმა ბიჭებს უბრძანა, კრინტი არავისთან დაძრათო და ქანდაკებას მიწა მიაყარა. შინ დაბრუნებულმა ბუტონისებმა ლამპის სინათლეზე დაათვალიერეს მარმარილოს ბიუსტი და გაშეშდნენ — მათ წინ გარდაცვლილი პონტია იყო, ოღონდ ძალიან ახალგაზრდა.

— ნამდვილი აფროდიტეა! — ამოიოხრა იორგასმა.

— არა, ეს პონტია-აფროდიტეა, დედაჩვენი, — მიუგეს ბიჭებმა.

— რა სახელი დავარქვათ? — იკითხა იორგასმა.

— იქნებ ვენერა? — შესთავაზა დისწულმა.

შუბი ხალთაში არ დაიმალება — მეორე დილას მთელმა სოფელმა იცოდა ბუტონისების საოცარი აღმოჩენის ამბავი. ის იყო, ცნობისმოყვარე მეზობლები ეკლესიასთან შეიკრიბნენ, რომ ჰორიზონტზე დიდი გემი გამოჩნდა. მოსახლეობას ეგონა, თურქები არიანო და სახლებში შეიკეტა, მაგრამ, საბედნიეროდ, ფრანგული გემი გამოდგა, „ლეშევრეტი". ნაპირზე გადმოსულმა მეზღვაურებმა დუქანში ღვინო დააგემოვნეს, ძალიან მოეწონათ და გადაწყვიტეს, ერთი კასრი თურქეთში მათი ელჩისთვის, მარკიზ დე რივიერისთვის მიერთმიათ. მედუქნემ ძალიან ძვირად დაუფასა. მაშინ კაპიტანმა დიუმონ დიურვილმა სთხოვა მილოსელებს, — მარკიზისთვის მისართმევად იქნებ რაიმე ძველებური ნივთი მომყიდოთო...

სალამოხანს ფრანგმა ოფიცრებმა ბუტონისის ქოხის კარს მიუკაკუნეს. ოთახის კუთხეში, ძველ ჭილოფზე მარმარილოს ულამაზესი ქალის ბიუსტი ქათქათებდა.

— თუ მთელია, დიდძალი ფული ეღირება! — გადაულაპარაკა გაოცებულმა დიურვილმა ლეიტენანტ მატერერს.

ბუტონისი მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი და სწრაფად აჩურჩულდა:

— ქვედა ნაწილი ორმოშია... ვერ ამოვიღეთ... მაგრამ თქვენ გაჩვენებთ ჩვენს ვენერას!

ჩირაღდნებით გაიკვლიეს გზა ორმოსკენ. დაათვალიერეს ქანდაკების ნაწილი და მეთევზეს შეეხვეწნენ, — არ გაყიდო. ახლა ფული არა გვაქვს, მაგრამ მარკიზ დე რივიერას მოვუყვებით ამ ამბავს, ის კი არაფერს დაიშურებს ამ ნივთისთვისო. ბუტონისი დათანხმდა. სტამბოლში ჩასვლისთანავე დიურვილმა ელჩს მიაშურა. მარკიზმა როგორც კი გაიგონა მარმარილოს ვენერას ამბავი, აღელდა, მაგრამ საქმე ძალიან დელიკატური გახლდათ — კანონით ყველაფერი, რაც საბერძნეთის მიწაში მოიპოვებოდა, თურქებს ეკუთვნოდა. გამოსავალი ერთი იყო — ვენერა საიდუმლოდ უნდა გამოეტანათ. ორიოდ დღეში მილოსისკენ საელჩოს გემი „ესტაფეტა" დაიძრა საგანგებო დავალებით: ნებით, ძალით თუ ქრთამით ქანდაკის ხელში ჩასაგდებად.

# რატომ არ აქვს ვენერას ხელები



გემის მეთაურს, ვიკონტ მარსიულესს, გული ამოვარდნაზე ჰქონდა — ეჩვენებოდა, რომ ბერძნებმა უკვე გაყიდეს ძვირფასი ნივთი. გუმანმა არ უღალატა: ყურეში მოდრეიფე თურქული გემისკენ ნაპირიდან რამდენიმე კაცი რაღაცას მიათრევდა.

ვიკონტმა სასწრაფოდ დესანტი გადასხა ნავებში და უბრძანა, ქანდაკი როგორმე წაერთმიათ თურქებისთვის. თურქებმა როგორც კი ფრანგების გემი შენიშნეს, ქანდაკება ფერდობიდან კასრივით დააგორეს. ამასობაში ფრანგი მეზღვაურები ნაპირზე გადასხდნენ და თურქებს ეცნენ. უკუნ ღამეში ძნელი გასარკვევი იყო, ვინ ვის ურტყამდა. ბოლოს, თურქებმა იმარჯვეს, ქანდაკება თავის გემზე აათრიეს და ნაპირს მოსცილდნენ.

მარსიულესმა მეზღვაურის გულის გამგმირავი ყვირილი გაიგონა: — შეხედეთო. ტალახში ქანდაკების ზედა ნაწილი ეგდო.. თურქული გემიდან სროლა გაისმა.

ძვირფასი ნადავლი ფრანგებმა ჭილოფში შეახვიეს, გემბანზე ფრთხილად აიტანეს და თურქებს დაედევნენ. ატყდა ტყვიების ზუზუნი...

ბოლოს, მარსიულესმა გემის ჩაძირვას და ვენერას საბოლოოდ განადგურებას სროლის შეწყვეტა ამჯობინა. ამით თურქებმა ისარგებლეს და წყვდიადს შეეფარნენ. მარსიულესმა ჭილოფი გადახსნა და თავზარი დაეცა — ქალღმერთს ხელები აღარ ჰქონდა...

განრისხებულმა მარკიზ დე რივიერმა მილოსზე პატარა გემი გაგზავნა, რათა მეზღვაურებს ნაპირი დაეთვალიერებინათ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. მაშინ მარკიზმა სულთანს დიდძალი ფული შესთავაზა ქანდაკების ქვედა ნაწილის დასათმობად. თანხმობაც მიიღო და დე რივიერის კოლექციაში ვენერამ საპატიო ადგილი დაიკავა, სამწუხაროდ, უხელოდ...

მალე ბერძნებმა ქანდაკების დაბრუნება მოითხოვეს. გაქნილმა დიპლომატმა დე რივიერმა, საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტა ვენერა ლუდოვიკო XVIII-ისთვის მიერთმია, მაგრამ მეფემ, რომელმაც იცოდა ქანდაკების თავგადასავალი, საჩუქრის მიღება ვერ გარისკა და ქალღმერთი ლუვრში გაგზავნა. ასე მოევლინა მსოფლიოს ვენერა მილოსელი 1821 წელს.

გაზეთები აღფრთოვანებული სათაურებით აჭრელდა: „მსოფლიოს უდიდესი ქანდაკება", „სრულყოფილი მშვენიერება!". ხელოვნებათმცოდნეები მარჩიელობდნენ — ვინ იყო ავტორი. იმართებოდა დისკუსია — რა უნდა სჭეროდა ხელში ანტიკურ ვენერას.

1872 წელს საბერძნეთში საფრანგეთის წარმომადგენელი ჟიულ ფერი მილოსზე გაემგზავრა ქანდაკების მპოვნელთა სანახავად. იორგას ბუტონისი ცოცხალი აღარ იყო, მისი ვაჟი და დისწული კვლავ ქოხში ცხოვრობდნენ — ეტყობა, თურქებმა ქანდაკებაში არაფერი მისცეს.

ფერიმ რამდენიმე ოქრო გაუწოდა მოხუცებს და ჰკითხა, — ხომ არ გახსოვთ, რა ეკავა ხელში ვენერასო. რასაკვირველია, ბატონო, ვაშლიო, — მიუგეს.

ფერის სტატიამ სენსაცია მოახდინა: ე.ი. ვენერას ეკავა ვაშლი, რომელიც მას პარისმა მიართვა იმის დასტურად, რომ ის ქალღმერთთა შორის უმშვენიერესი იყო. ჟიულ ფერის „ვენერას ვაშლმა" დიდი წარმატება მოუტანა — ამ ამბიდან 8 წლის შემდეგ მან საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის სავარძელი დაიკავა.

XX საუკუნის დასაწყისში ვენერა მილოსელი პარიზელი სუფრაჟისტი ქალების წყალობით კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა — ეს ქალბატონები ილაშქრებდნენ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც „მამაკაცის თვალის გასახარად" იყო შექმნილი. ჩაქუჩების ტრიალით შეიჭრნენ ლუვრის ბერძნულ დარბაზში, სადაც ვენერა მილოსელი იდგა. მოქნეულმა ჩაქუჩმა ქალღმერთს მარცხენა ხელის მხრის ნაწილი ჩამოაცალა. მაგრამ მოხდა საოცრება: თითქოს იდუმალმა ძალამ მოისროლაო, ისე გახტა განზე ვანდალი ქალბატონი და შიშით აღმოხდა — მან ხელი მკრა!

ენთუზიასტებს ქალღმერთის ხელების პოვნის იმედი არ დაკარგვიათ. 1901 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ანატოლ ფრანსი ექსპედიციით კუნძულ მილოსს ეწვია. მთელი სანაპირო გადათხარეს, მაგრამ უშედეგოდ. 1964 წელს სენსაციური განცხადება გააკეთა თურქმა პროფესორმა აჰმედ რესიმმა, — ვიცი, ვის აქვს ქალღმერთის დაკარგული ხელები, მაგრამ პატრონები მხოლოდ იმ შემთხვევაში დააბრუნებენ ფრაგმენტებს, თუ ფრანგები ქანდაკებას სტამბოლში გადაიტანენო. ეს წინადადება ფრანგებმა შანტაჟად მიიღეს და, რასაკვირველია, არც ყურად იღეს.

შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩნდებოდა ქალღმერთის „სასწაულებრივად ნაპოვნი" ხელები, მაგრამ არც ერთი არ „ერგებოდა" ქანდაკებას. იმ ხანებში გაზეთი „ფიგარო" წერდა: „რატომ გვინდა, ვენერას ხელები „მივაწებოთ", რატომ ვცდილობთ ჰარმონიის დარღვევას? რა საჭიროა ყოველივე იდუმალის გაშიფვრა? წარსული საუკუნეების გენიოსებმა მშვენიერი გაკვეთილი მოგვცეს: სილამაზის ძალა მის საიდუმლოებაშია. ჩვენ კი აუცილებლად გვინდა მისი ამოცნობა. არ არის ამის გაკეთება საჭირო..."

# გამყინვარების პერიოდის წიგნი

ზოროასტრიზმი მსოფლიოში უძველეს მოძღვრებად არის მიჩნეული. ჩვენამდე მოაღწია ავესტამ — წმინდა წიგნების კრებულმა, რომელიც საგალობლებისგან, კერპებისადმი მიძღვნილი ჰიმნებისა და რჩევებისგან შედგება. ავესტა ჩვ.წ.აღმდე I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება.

### ყინულოვანი ატლანტიდის ლეგენდა

მრავალი საუკუნის მანძილზე ქურუმები ავესტას ტექსტებს თაობიდან თაობას ზეპირად გადასცემდნენ. მხოლოდ ისინი იყვნენ ძველი სიბრძნის მფლობელნი, ვიდრე სპარსეთის მეფე კიროსმა ბაბილონი არ დაიპყრო და ამ ტექსტების ჩაწერა არ ბრძანა. იმ დროს ავესტას ენა ისევე იყო მივიწყებული, როგორც ამჟამად ლათინური და ძველბერძნული ენებია. შორსმჭვრეტელ სპარსელ მბრძანებელს უნდა უმადლოდეს თანამედროვე მეცნიერება, რომ საშუალება აქვს, ზოროასტრულ წმინდა წიგნებში ასახული ის მოვლენები და ინფორმაცია გამოიკვლიოს, რომელიც უფრო მატიანეს ჰგავს და ათასწლეულების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ასახავს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წიგნის ის ნაწილი, სადაც აღწერილია ჩრდილოეთის რომელიღაც ქვეყანა — არიანა ვეიჯა, მისი ადგილმდებარეობა და მის მკვიდრთა ყოფა. ავესტის მიხედვით, ამ ქვეყანას მართავდა ბრძენი მეფე იიმა, რომლის დროსაც ხალხი ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობდა.

„ოქროს საუკუნემ" ათას წელს გასტანა. ამ ხნის მანძილზე მოსახლეობა გამრავლდა, გამდიდრდა და გაძლიერდა, მაგრამ ყველაფერს, სამწუხაროდ, აქვს დასასრული და ღმერთმა, რომელსაც ძველი არიელები აჰურა მაზდას უწოდებდნენ, გააფრთხილა იიმა, რომ ძალიან მალე დედამიწაზე დაისადგურებდა უამრავი უბედურების მომტანი გრძელი ზამთარი: „თოვლი დაფარავს მდინარე არდვის გასწვრივ გადაჭიმულ ველებსა და მაღალ მთებს. მხოლოდ საქონლის მესამედი გადარჩება, ყველგან უბედურება და შიში დაისადგურებს. თოვლიც რომ დადნეს, მიწას წყალი წალეკავს და აღარაფერი დარჩება."

აჰურა მაზდამ უბრძანა იიმას, აეგო უზარმაზარი „ვარი" — ციხე-ქალაქი, მის მცხოვრებთა მომაკვდინებელი ყინვისგან დასაცავად. ნოეს კიდობნის ამ პროტოტიპში იიმამ მოათავსა ყველა მცენარის თესლი, ცხოველთა და ფრინველთა ნაშიერნი და თავის ხალხთან ერთად მოემზადა უჩვეულო ზამთრისთვის.

### პალეოლითის პერიოდის მატიანე

იიმას ლეგენდა ბიბლიურ წარღვნას ეხმაურება. თუმცა უამრავი აღმოჩენილი ფაქტი ადასტურებს, რომ გლობალური წყალდიდობა მართლა მოხდა, მაგრამ მკვლევარები მაინც ფიქრობენ, რომ „წარღვნა" ლეგენდაა.

შესაძლებელია, დიდი წყალდიდობა, თუნდაც ადგილობრივი მნიშვნელობისა, წარღვნად აღვიქვათ, მაგრამ შეიძლებოდა გამყინვარება ლოკალური ყოფილიყო? ავესტაში კი სწორედ გამყინვარებაზეა ლაპარაკი. ნეტავ რომელი გამყინვარებაა ნაგულისხმები?

მეცნიერები მზად არიან აღიარონ, რომ ავესტაში აღწერილია მხოლოდ სასტიკი აცივების პერიოდი, რომელსაც ჩვენს პლანეტაზე ადგილი ჰქონდა 4-5 ათასწლეულის წინ. მაშინ კლიმატის ცვალებადობის შედეგად ჩრდილოყინულოვანი ოკეანის ბევრი კუნძული გაუკაცრიელდა. ახლა ამის წარმოდგენა საკმაოდ რთულია, მაგრამ ოდესღაც გრენლანდიის საძოვრები ფრინველითა და ნახირით იყო მოფენილი. გლობალურმა აცივებამ სასტიკი დაღი დაასვა ბევრ კუნძულსა და ჩრდილოეთ ზღვისპირეთს. თუმცა თითქმის არ შეეხო კონტინენტს. ავესტაში ნათლად არის მინიშნებული, რომ არიანა ვეიჯას მკვიდრნი მონადირეობასა და მესაქონლეობას ეწეოდნენ, სიტყვაც არ არის ნახსენები მათ ზღვაოსნობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ზღვისპირა ზონაში კი არა, მატერიკის სიღრმეში სახლობდნენ, მაგრამ სად? ავესტა პასუხობს ამ კითხვას: წიგნში ნათქვამია, რომ არიანა ვეიჯა მდებარეობდა მდინარე რას ზემო წელში. ძველ დროში რას სამ მდინარეს უწოდებდნენ: ვოლგას, სირ-დარიასა და არაქსს, თუმცა ვესტას კლიმატურ და გეოგრაფიულ აღწერილობას მხოლოდ ვოლგის ზემო წელი მიესადაგება.

ამას გარდა, იიმას ლეგენდაში ლაპარაკი რომ ყოფილიყო შედარებით ახლო წარსულის გამყინვარებაზე, ცნობებს აუცილებლად შემოინახავდნენ არიელი ტომები, მაგრამ ინდოარიულ ვედებში კლიმატის მკვეთრ შეცვლაზე არაფერია ნათქვამი. მეტიც: იიმა ვედებში წარმოდგენილია არა როგორც რეალური ისტორიული პირი, არამედ როგორც უძველესი პერიოდის მითური გმირი. ინდუსები კი მას მოიხსენიებენ იმქვეყნიური სამყაროს ყოვლისშემძლე მბრძანებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოთხი ათასი წლის წინ რეალური იიმას ისტორია უკვე დავიწყებული ჰქონდათ. ე.ი. გამოდის, რომ ავესტაში აღწერილი მოვლენები ემთხვევა სწორედ კონტინენტის გამყინვარებას, რომლის უკანასკნელი ფაზაც დაახლოებით 30 ათასი წლის წინ დაიწყო.

ბოლო დროს ზოროასტრიზმი ისევ იპყრობს ადამიანთა გონებას. 2003 წელი იუნესკომ ზოროასტრული კულტურის წლად გამოაცხადა.

*მოამზადა*
*თინათინ მარგველაშვილმა*



# ოცნება ავიხდინე — „ქართული“ ვიცეკვე

## ამერიკაში ხელოვნური სილამაზე უფრო ფასობს, ვიდრე ბუნებრივი

***გიული ჯაგაევა*** — *დაბადების წელი საიდუმლოა; მიზანსწრაფულია, ემოციური; სიმაღლე — 180 სმ, წონა — 60 კგ; პარამეტრები — 94-65-96. პირველობისთვის იბრძვის, მაგრამ ღირსეულად; ექიმ-პედიატრი; ჰყავს მეუღლე, ზვიად გოგიაშვილი (ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე) და ორი შვილი — 3 წლის კონსტანტინე და 2 წლის ელისაბედი.*

ორიოდე კვირის წინ ოსმა ქალბატონმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, მსოფლიოს 32 ქვეყნის მონაწილეთა შორის, საერთაშორისო კონკურსზე „მისის გლოუბი“, გიულიმ საქართველო წარადგინა. სხვათა შორის, ორგანიზაციის პრეზიდენტმა თრეისი ქემბელმა აღნიშნა კიდეც, — ქართველი დელეგაციები ყოველთვის კონკურსის ფავორიტები არიანო. თიკა ფაცაციასა და ნათია მაქაცარიას შემდეგ გიული მესამე კანდიდატია, ვინც ამ კონკურსში მიიღო მონაწილეობა.

გიული ჯაგაევა შვიდ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, აქედან ორის — „მისის ელეგანტურობისა“ და „მოსიყვარულე მეუღლის“ ტიტულით დაბრუნდა სამშობლოში.

ამერიკაში ჰკითხეს, პირველი ადგილი (პრიზი 15 ათასი დოლარი იყო) რომ მოიპოვო, რას გააკეთებდიო. როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში „მისის მსოფლიოს“ ტიტულს აუცილებლად გამოვიყენებდიო, უპასუხა გიულიმ. რა მოხდება, მომავალი გვიჩვენებს, ამჯერად კი პარფიუმერიულ მაღაზიათა ქსელის „ისი-პარის“ ბრენდმენეჯერი, კონკურსზე გვესაუბრება:

— **რატომ გადაწყვიტე მონაწილეობა გათხოვილ ქალბატონთა კონკურსში?**

— „მისის გლოუბის“ შესახებ სამი წლის წინ გავიგე, როცა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად „ნატალის“ მოდელი ნათია მაქაცარია კალიფორნიაში გაემგზავრა. გადავწყვიტე, მეც მეცადა ბედი. ინტერნეტში მოვიძიე იმ ორგანიზაციის საიტი, რომელიც კონკურსს ხელმძღვანელობს. გავაგზავნე ჩემი მონაცემები და მაშინვე მივიღე პასუხი. მას შემდეგ მიმოწერა გვქონდა, მაგრამ წლევანდლამდე კონკურსში მონაწილეობის საშუალება არ მომეცა — ორი შვილი გავაჩინე და ამისთვის არ მეცალა. წელს კი საქართველოს წარმომადგენელი მე გახლდით.

მოდის სამყარო ყოველთვის მაინტერესებდა და სტუდენტობის დროს კიდეც შემომთავაზეს მოსკოვში მუშაობა, მაგრამ სწავლას თავი ვერ დავანებე. 1995 წელს (22 წლისამ) თბილისში მივიღე მონაწილეობა მოდელების კონკურსში და სამეულში გავედი. ოჯახში არავისთვის მითქვამს, დედა მყავს ძალიან მკაცრი და საცურაო კოსტიუმით პოდიუმზე გასვლის უფლებას არ მომცემდა. მამას რომ შეეტყო, კიდევ უარესი...

სიმართლე გითხრათ, 18-დან 20 წლამდე ასაკისა დაკომპლექსებული გახლდით იმის გამო, რომ თანატოლებში ყველაზე მაღალი ვიყავი. თბილისში პოდიუმზე გამოსვლის შემდეგაც რამდენიმე წინადადება მივიღე, მაგრამ ისევ სწავლის გამო უარის თქმა მომიხდა... მშობლებმა ყველაფერი გვიან გაიგეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ, ვფიქრობ, გაუხარდათ კიდეც, ფინალში რომ გავედი...

— **თქვენი მეუღლე როგორ შეხვდა „მისის გლოუბში“ მონაწილეობის იდეას?**

— ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა, მეტიც, მისი დამსახურებაა, რომ კონკურსზე გავემგზავრე. ჩვენი ურთიერთობა სიყვარულზეა დაფუძნებული. ყველაფრის სათავე კი ექვსწლიანი მეგობრობაა, რომელიც ოჯახის შექმნამდე გვაკავშირებდა. ზვიადი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, მასთან საიდუმლო არ მქონდა, თაყვანისმცემლებზეც კი ვუყვებოდი ხოლმე. თავიდან სიყვარულზე უარი ვუთხარი, მეგობრობა შევთავაზე და მიიღო კიდეც, მაგრამ მერე...

— **გიული, როგორც გავიგე სპორტსაც მისდევდი?**

— საქართველოს ნაკრების წევრი გახლდით მძლეოსნობაში, სიმაღლეზე ხტომაში. პერსპექტიულ სპორტსმენად ვითვლებოდი, მაგრამ დადგა მომენტი, როცა ან სპორტი უნდა ამერჩია, ან სწავლის გაგრძელება.

— **დავუბრუნდეთ კალიფორნიას. მეუღლესთან ერთად გამგზავრება აუცილებელი პირობა იყო?**

— არა, როგორც ნახეთ, ბევრი ქვეყნის წარმომადგენელი მარტო ჩამოვიდა. აუცილებელი რომ ყოფილიყო ზვიადის თბილისში დარჩენა, მარტოც გავემგზავრებოდი. ჩვენ შორის უნდობლობა არ არსებობს... თავიდან კი იყო ეჭვიანი, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამის საფუძველი არ ჰქონდა.



მეუღლესთან ერთად

— **„მოსიყვარულე ცოლის“ ტიტული რა მოტივით მოგანიჭეს?**

— თურმე პირველივე დღიდან ყველას აკვირდებოდნენ, გარდა ამისა, გვესაუბრებოდნენ ოჯახურ ურთიერთობებზე, ტარდებოდა გამოკითხვები... ისე, ვერ გეტყვით, სახელდობრ, რა იყო განმსაზღვრელი ამ ტიტულის მოპოვებისთვის. გავოცდი, როცა ლიტვის წარმომადგენელი დაასახელეს საუკეთესო დედად, ქალი, რომელსაც წელიწადია შვილი არ უნახავს — თვითონ ამერიკაში ცხოვრობს, შვილს ლიტვაში ძიძა უზრდის.

— **რომელი ქვეყნის წარმომადგენელმა გაგაკვირვა?**

— იამაიკელმა... ფინალის დღეს ყველასთვის ლოცულობდა. გული აგვიჩუყდა.

— **მხოლოდ სტომატოლოგებით რატომ დაკომპლექტდა ჟიური?**

— კონკურსის ძირითადი სპონსორი სტომატოლოგიური კომპანია იყო და ჟიურის შვიდივე წევრი სტომატოლოგი იყო. სხვათა შორის, კბილების ჩასმა შემოგვთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. თუ არ ვცდები, ნახევარფინალში გასულთაგან მხოლოდ მე არ მქონდა მათთან კბილები გაკეთებული. ალბათ, ბუნებრივი კბილებით სხვებიც იქნებოდნენ, მაგრამ ფინალში მხოლოდ მე გავედი.

— **როგორც შევიტყვეთ, კონკურსში მონაწილე თითქმის ყველა ქალის სილამაზე პლასტიკური ოპერაციების წყალობა ყოფილა.**

— თურმე იქ ხელოვნური სილამაზე უფრო ფასობს, ვიდრე ბუნებრივი. ქალები არც მალავენ, რომ ოპერაცია აქვთ გაკეთებული, მეტიც, ჰყვებოდნენ, რომელი ოპერაცია რამდენი დაუჯდათ.

— **გიული, საკონკურსო სამოსი რა სტილის ან რა ფერის უნდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრეთ?**

— მხოლოდ საცურაო კოსტიუმი იყო სპონსორის მოწოდებული. სამივე კაბა ავთანდილ ცქვიტინიძემ შემიკერა. საშუალება რომ მქონოდა, ჟან პოლ გოტიეს კაბებზე არ ვიტყოდი უარს. არაერთხელ ვარ პარიზში მის ბუტიკში ნამყოფი და ვიცნობ მის მოდელებს. ფეხსაცმელი მეუღლემ ჩამომიტანა კანადიდან...

ზვიადი საკმაოდ ემოციური გულშემატკივარი აღმოჩნდა. კონკურსის პირველ დღეს ქორეოგრაფმა გადმომცა წერილი, ჩემი მეუღლე მწერდა: „გამხნევდი და თავი ასწიე“. ვერ ისვენებდა, სულ ცდილობდა, ხმა მოეწვდინა ჩემთვის.

— **ქართული ცეკვა, რომლითაც კალიფორნიაში თავი მოაწონეთ, ადრეც შეგისრულებიათ?**

— მინდა „ერისიონს“ ვუთხრა მადლობა. არა მარტო კოსტიუმები გვათხოვეს, ცეკვაშიც გვამეცადინეს. თავიდან ჩემი მეუღლე უარს იყო, მაგრამ რომ დარწმუნდა, ჩოხა უხდებოდა, დამთანხმდა. მე კი ჩემი ოცნება ავიხდინე, ქართული ცეკვა ძალიან მიყვარს. ოთხი დღე გვამეცადინა „ერისიონის“ სოლისტმა ირაკლი გელოზიამ. კონკურსზე საცეკვაო სამოსით ფურორი მოვახდინეთ, ცეკვაც მოეწონათ.

— **კულისებში რა ხდებოდა, საინტერესოა, სხვადასხვა ქვეყნის ქალების საკონკურენციო ხრიკები?**

— იამაიკელს ერთ-ერთმა დელეგატმა ფეხსაცმელი მოჰპარა და ჩაიცვა, არც მორიდებია...

— **ამერიკაში რამე განსაკუთრებული ხომ არ მომხდარა?**

— ლოს-ანჯელესში ქმარი დავკარგე. აეროპორტში მე წინ მივდიოდი, ზვიადი კი უკან მომყვებოდა. რომ მოვიხედე, აღარსად იყო. ავღელდი. აეროპორტის თანამშრომელმა შემამჩნია და მკითხა, რა მოხდაო. ქმარი დავკარგე-მეთქი. მართლა? რა ბედნიერებაა, მერე რა განერვიულებსო...

— **გიული, ზვიადმა უცხოელი ქალბატონების ყურადღება თუ მიიქცია?**

— როგორ არა და მსიამოვნებდა კიდეც, რომ მოსწონდათ. ჩემს მეუღლესაც მოეწონა ერთი ქალი, ესპანელი ფოტოგრაფი, სახელად დოლორესი. სულ მეუბნებოდა, შეხედე, რა ქალიაო. მეც ავდექი და დოლორესს ვუთხარი, ჩემს ქმარს მოსწონხარ-მეთქი. ზვიადი იცინოდა, ეს რა ქენი, უცხოელი ქალები ამას სხვანაირად აღიქვამენო; მეორე დღეს დოლორესს ავუხსენი, რასაც ვგულისხმობდი... არ მათქმევინა, ახსნა არ არის საჭირო, ქართველებსა და ესპანელებს ბევრი რამ საერთო გვაქვს, ყველაფერი სწორად გავიგეო.

P. S. „მისის გლოუბზე“ მონაწილეობის მისაღებად არ არის აუცილებელი მეუღლე და შვილები გყავდეს. მთავარია, გათხოვილის სტატუსი გქონდეს. როგორც გავიგეთ, საქართველოში ამ კონკურსზე მონაწილეობის სურვილი იმდენს აქვს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანას გაუსწრო განცხადებათა რიცხვით. ახლა საქართველოში ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი გიული ჯაგაევაა. ვნახოთ, ვის შეარჩევს 2007 წლისთვის კალიფორნიაში „მისის გლოუბის“ ტიტულის მოსაპოვებლად.

***ინგა უბილავა***

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს
(ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10** -ით

www.telecom.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲤᲝᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ



– სანამ ქვეყანა არ დაწყნარდება, არ გამაღვიძოთ.

### ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

**თარაზულად:** 1. კურარე; 5. ბესონი; 8. კოდალა; 9. ლეგატი; 10. მონეტა; 11. ვარამი; 12. იმპერია; 16. პატიო; 17. გონიო; 18. დრაჟე; 19. ლუაზი; 20. ჰანგი; 23. ალაფი; 26. კარაცია; 28. ოაზისი; 29. სტატია; 30. კაპელა; 31. რაიანი; 32. ფინალი; 33. ანემია.

**შვეულად:** 2. უფოლოგია; 3. ალავერდი; 4. ეპატაჟი; 5. ბოლივია; 6. საგარეჯო; 7. ნატამალი; 13. მანდოლინა; 14. ესკალაცია; 15. იმპერიალი; 21. ავლაბარი; 22. გარიგება; 24. ლებანიძე; 25. ფოლიანტი; 26. კლიმატი; 27. ავსტრია.

9/VIII

სავსე მთვარე



**თარაზულად:** 4. ერთგვარი აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი; 10. ქალაქი რუსეთში; 11. ქიმიური ელემენტი, თეთრი ლითონი, იყენებენ ოპტიკური მინის წარმოებაში; 12. ინგლისელი ფეხბურთელი; 13. ზედმეტი ტვირთი; 14. გამოუწვავი აგური; 15. შუაზიელი ფილოსოფოსი; 17. იტალიური მაკარონი; 18. ბულგარეთის დედაქალაქი; 20. სპორტული საქონლის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. ჩაროზი; 24. მათემატიკის ნაწილი; 28. პარკოსანი კულტურა; 31. რკინიგზის პატარა ვაგონი, რომელიც მოძრაობს შიგანვის ძრავათი ან ხელით; 32. ქალის თავსაბურავი; 33. სასამსახურო ძაღლის ჯიში; 34. სპორტული შეჯიბრება ჭადრაკში; 35. კურკოვანი ხილი.

**შვეულად:** 1. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 2. წყალში გახსნილი გაჯი, რითაც კედლებს და ჭერს ლესავენ; 3. ფრანგული წითელი ღვინო; 4. ძველი ბერძენი მოქანდაკე; 5. უეცარი რევიზია; 6. უდანაშაულობის საბუთი; 7. ტკივილის შეგრძნების დაკარგვა; 8. ქართველი მსახიობი; 9. ავსტრიის ფულის ერთეული ევრომდე; 16. პარაგვაის დედაქალაქი; 17. სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა; 19. ავტორი რომანისა „ქალბატონი ბოვარი"; 21. ძვირფასი ქვებით გაწყობილი გვირგვინი; 22. ელექტროტექნიკის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 23. სარწმუნოება; 25. კარტოფილის პიურე ან მაკარონი ხორცით მომზადებული კერძისთვის; 26. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 27. დიდი სიზუსტე; 28. კურდღლის ნაშიერი; 29. პაკისტანის ფულის ერთეული; 30. ვიოლინოს იტალიელ ოსტატთა გვარი.




## ᲔᲛᲘᲜᲔᲛᲡ ᲑᲔᲓᲛᲐ ᲒᲐᲣᲦᲘᲛᲐ



33 წლის ემინემი სასწაულით გადაურჩა სასამართლო პროცესს და გვარიან ჯარიმას. მარშალ მეტერსი (მომღერლის ნამდვილი სახელი) თავდასხმაში დაადანაშაულეს.

სტრიპტიზ-კლუბ „Cheetah"-ის ტუალეტში მუსიკოსი გადაეყარა თაყვანისმცემელს, რომელმაც ვარსკვლავს გული შეუწუხა შეკითხვებით. მომღერლის მცველი ამაოდ შეეცადა ფანატის დელიკატურად მოცილებას.

შემდეგ მოვლენები ქარიშხალივით განვითარდა.

— ემიმ უცებ ყბაში მუშტი მითავაზა და ცემა დამიწყო. მოულოდნელობისაგან გავშრი, — ჩიოდა დაზარალებული.

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ საცოდავმა ფანატმა საკუთარი სურვილით გამოიტანა განცხადება პოლიციიდან და სისხლის სამართლის საქმე დაიხურა.

## ᲙᲣᲖᲘᲐᲜᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲔ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ!



ტოპმოდელი ნაომი კემპბელი, რომელიც შარიანობით და უხასიათობითაა ცნობილი, კვლავ სკანდალის შუაგულში აღმოჩნდა. ახალი შეყვარებულის, დუბაის პრინცის, ბადრ ჯაფარის იახტაზე დასვენებისას წაეჩხუბა შეფ-მზარეულს და ჩვეული „შოუ" მოაწყო — დაამსხვრია მთელი ჭურჭელი და ავეჯი დალეწა. ზარალი 54 ათას დოლარს შეადგენს.




„კვირის პალიტრის"
რედაქცია
სათანამშრომლოდ
იწვევს საქართველოს
სხვადასხვა
კუთხეში მცხოვრებ
პროფესიონალ
ჟურნალისტებს.

გთხოვთ
გამოგვეხმაუროთ
(ტელ.: 899 90-31-38)

ან მობრძანდეთ რედაქციაში
ოთხშაბათს, 15-დან 17 საათამდე.


## ᲔᲥᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲘ ᲠᲘᲩᲘ?!



მადონამ გასტროლების წარმატებით დასრულების აღსანიშნავად ნიუ-იორკში წვეულება გამართა, მაგრამ ცოტა მეტი ღვინო დალია, სასმელი მოეკიდა და მეუღლის თვალწინ ცეკვის დროს მომღერალ ლენი კრავიტცს ერთობ მხურვალე ფერება დაუწყო — ეტყობა, ძველი დრო გაახსენდა — მადონას და ლენის ერთხანს რომანი ჰქონდათ.

ამის შემხედვარე გაი რიჩი თურმე კინაღამ გაგიჟდა, სცენაზე ავარდა და მთვრალი ცოლი გამოათრია...

ამბობენ, სკანდალები ოჯახურ ურთიერთობებს ამყარებსო. ვარსკვლავების მოსამსახურეები ყვებიან, ემოციური ჩხუბის შემდეგ ცოლ-ქმარი ასევე ემოციურად შერიგდაო.

## „A-ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡ" ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ავარია მოხდა — სამი ავტომანქანა ერთმანეთს შეეჯახა, დაიღუპა ორი კაცი. ერთი მათგანია ცნობილი მუსიკოსი, ჯგუფ „A-სტუდიოს" სოლისტი და გიტარისტი ბაგლან სადვაკასოვი. ბაგლანი მშვენიერ სიმღერებსაც წერდა.

— ამ ამბავმა თავზარი დაგვცა. ბაგლანის დაღუპვა ჩვენთვის და მაყურებლისთვის ძალიან დიდი დანაკარგია, — თქვა ჯგუფის დირექტორმა, — ეს წელი საბედისწერო იყო მუსიკოსისთვის. რამდენიმე თვის წინ თვითმფრინავით მგზავრობისას სალონში ხანძარი გაჩნდა და ძლივს გადაურჩა ტანჯვით სიკვდილს. ამ ამბის მერე დაწერა სიმღერა „მივფრინავ"...



მიმდინარეობს ავარიის მიზეზების ძიება, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე...


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ:
ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲚᲘᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მის.: იოსებიძის ქ. №49

ტელ.: რედაქცია: 389-888
რეკლამა: 377-807, ფაქსი: 389 888

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ © 1518
„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში".